

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

თამარ მოსიაშვილი

სიურრეალისტური ნაკადი XX საუკუნის არაბულ პროზაში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ფილოსოფიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ნანა ფურცელაძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი რობინ ოსტელი



სიურრეალისტური ნაკადი XX საუკუნის არაბულ პროზაში

სარჩევი

შესავალი

1

I ნაწილი – სიურრეალიზმი

თავი 1: სიურრეალიზმი – წარმოშობა და განვითარება

I. სიურრეალიზმის წარმოშობა: რა არის სიურრეალიზმი?	13
II. სიურრეალისტთა წინამორბედები	16
III. ექსპერიმენტები არაცნობიერზე – საფუძველი სიურრეალიზმისთვის	21
IV. არაცნობიერი სურვილების გამოვლენა და ავტომატიზმზე დამყარებული სიურრეალისტური რევოლუცია	23
V. სიურრეალიზმი – კოლექტიური გამოცდილება	26
VI. სიურრეალისტური ცხოვრების წესი	28
VII. სიურრეალისტური კვლევა	
ა. საკუთარი თავის ძიება	30
ბ. ენა	31
გ. ანალოგიური აზროვნება	32
დ. სინთეზი	33
ე. უცნაური გატაცებები	35
ვ. შემთხვევა	35
ზ. სიზმარი	36
თ. კვლევის მეთოდები	37
VIII. სიურრეალისტური ესთეტიკა	
ა. კონკულსიური სილამაზე	38
ბ. ქალი, როგორც სიურრეალისტის მუზა	39
გ. ეროტიზმი და სიყვარული	40
დ. კინო	41
IX. პოლიტიკური საქმიანობა	43
X. პერიოდული გამოცემები	45
XI. სიურრეალიზმის, როგორც მიმდინარეობის, დასასრული	46

თავი 2: სიურრეალისტური ჯგუფი ეგვიპტეში	
I. ეგვიპტეში სიურრეალისტმის გამოჩენა	49
II. „ხელოვნებისა და თავისუფლების საზოგადოების“ აქტიური წევრები	51
ჯურჯ ჰანინი	51
რამსას ფუნანი	53
ფურდ ქამილი	55
ქამილ ალ-თილმისანი	56
III. „ხელოვნებისა და თავისუფლების საზოგადოება“	
და ახალი იდეები	58
IV. „დამოუკიდებელი ხელოვნების“ გამოფენები	
და მათი მნიშვნელობა	60
V. ეგვიპტური და ფრანგული სიურრეალისტური ჯგუფების ურთიერთობა	64
VI. ეგვიპტელ სიურრეალისტთა ლიტერატურული მოღვაწეობა	65
VII. დასკვნა	70

II ნაწილი – სიურრეალიზმის გავლენა XX საუკუნის არაბულ პროზაში

თავი 1: არაბული ნოველა და რომანი XX საუკუნეში

I. ერთიანი არაბული ლიტერატურის პრობლემა	72
II. ეგვიპტური ლიტერატურის განვითარების პერიოდები	
ა. საუკუნის დასაწყისი და ახალი ჟანრების გაჩენა	75
ბ. 1930-40-იანი წლები და განვითარების ახალი ეტაპი	80
გ. 1950-იანი წლები და რეალიზმი	83
დ. 1960-იანი წლები და „ახალი ხედვა“	87
III. დასკვნა	99

თავი 2: ღუსუფ იდრისის ნოველები და მათში შექმნილი

სიურრეალისტური სამყარო

I. ღუსუფ იდრისის ცხოვრების გზა	101
II. ნოველების თემატიკი ანალიზი	
ა. თემატიკის ზოგადი მიმოხილვა	106
ბ. პოლიტიკური საკითხები	113

გ. ადამიანი და საზოგადოება	118
დ. სექსი	121
ე. რელიგია	127
ვ. ინტელექტუალის კრიზისი	131
III. ’იდუქტურუალისტური სამყარო	135
IV. დასკვნა	141
თავი 3: ’იდუქტურ ალ-ხარრატის „ზაფრანისფერი ქალაქი“	
I. ’იდუქტურ ალ-ხარრატის ბიოგრაფია	143
II. ’იდუქტურ ალ-ხარრატის შემოქმედების ზოგადი მიმოხილვა	
ა. მწერლის განსაკუთრებული ადგილი	148
ბ. ალ-ხარრატი და სიურრეალიზმი	150
გ. მრავალმხრივი რეალობა	153
დ. გაუცხოებული გმირი	155
ე. მოგონება	156
ვ. ალექსანდრია	157
ზ. ერთი მთლიანი ტექსტის ძიება	158
III. „მისი ქვიშა ზაფრანისფერია“	160
ა. რომანი ოუ ტექსტების ერთობლიობა?	161
ბ. ნაწარმოების ავტობიოგრაფიული ხასიათი	163
გ. ბავშვის მოგონებები, ფანტაზია და გრძნობები	165
დ. ასოციაციური კავშირები	168
ე. სიმბოლური მნიშვნელობის მქონე სახეები	170
ვ. ზღვისა და ზაფრანისფერი ქვიშის ქალაქი	173
ზ. დაკარგვის გრძნობა	176
თ. სიკვდილით სავსე სიცოცხლე	177
ი. ფანტაზიის, ხილვისა და სიზმრის სიურრეალისტური ეპიზოდები	183
კ. ერთისა და მრავლის ურთიერთკავშირი	190
IV. დასკვნა	198
თავი 4: ლადა ალ-ჭალაჟანის სიურრეალისტური ხედვა	
I. ლადა ალ-ჭალაჟანი	200
II. „მსუბუქი ჩხვლეტა“ – ალ-ჭალაჟანის სიურრეალისტური	

ნოველები	201
ა. საპირისპირო მხარეების დაკავშირება	202
ბ. პოეტური სახეები	205
გ. ტკივილი	207
დ. სიყვარული და მისგან გამოწვეული ტანჯვა	208
ე. რაციონალური კონტროლისგან თავისუფალი სამყარო	214
III. დასკვნა	217
დასკვნა	219
გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი	227

ଓଡ଼ିଆ ଲୋକାଙ୍କଳିତ ପରିଚୟ ଓଡ଼ିଆ ଲୋକାଙ୍କଳିତ ପରିଚୟ¹

ଏ	,	ଜ	ଝ
ବ	ଧ	ମ	ଢ
ତ	ତ	ନ	ନ
ଥ	ଲା	ହ	ତ୍ତ
ଖ	ଖୁ	ଓ	ପ୍ର
ହ	ଷୁ	ଯି	ରୂ
ଖ	ବ		
ଦ	ଘ		
ତ୍ତ	ଗ୍ରୁ		
ର	ରୁ		
ଶ	ର୍ବୁ	ଇ	ଇ
ସ	ର୍ବୁ	ଇୟ	ଇୟ
ଶ	ର୍ବୁ	ଓୟ	ଓୟ
ସ୍ତ	ର୍ବୁ	ଯିୟ	ଯିୟ
ପ୍ର	ର୍ବୁ	ଓୟ	ପ୍ରାପ୍ତ
ତ୍ର	ର୍ବୁ	ଯିୟ	ତ୍ରାପ୍ତ
ତ୍ର୍ଯ	ର୍ବୁ		
ଉ	'		
ଗ	ର୍ବୁ		
ଫ	ଫୁ		
କ	ଫୁ		
କ	ଫୁ		

¹ ଅବ୍ଦି: ଲୋକାଙ୍କଳିତ ପରିଚୟ 1977, ପୃଷ୍ଠା 30.

სიურრეალისტური ნაკადი XX საუკუნის არაბულ პროზაში

შესავალი

სადისერტაციო ნაშრომში „სიურრეალისტური ნაკადი XX საუკუნის არაბულ პროზაში“ შესწავლილია სიურრეალიზმის წარმოშობა და განვითარება, მიმდინარეობის ეგვიპტეში აღმოცენება და ეგვიპტური სიურრეალისტური ჯგუფის მოღვაწეობა. ჩვენთვის საინტერესოა ის გავლენა, რომელიც სიურრეალიზმა იქონია არაბულ, კერძოდ ეგვიპტურ, ლიტერატურაზე და სიურრეალისტური ნაკადი, რომელიც ამ გავლენის შედეგად XX საუკუნის ეგვიპტურ პროზაში გაჩნდა. სიურრეალიზმი ყოველთვის იწვევდა კრიტიკოსთა თუ მკვლევართა ინტერესს. ეს იყო მიმდინარეობა, რომლის სახელსაც ლიტერატურასა და ხელოვნებაში ბევრი სიახლის დამკვიდრება უკავშირდება. რეალობის ხედვის სიურრეალისტური ფორმა ხელოვნების ბევრი გენიალური ნაწარმოების შექმნის საფუძველი გახდა. არაცნობიერის წვდომის სურვილმა, დაფარულისა თუ არახილულის ძიებამ ადამიანთა ცხოვრების ბევრი ასპექტის სხვაგვარად დანახვის საშუალება მოგვცა. მეთოდები, რომლებსაც სიურრეალისტები არაცნობიერში არსებული სუფთა აზრების წვდომისთვის და მათი გამოხატვისთვის იყენებდნენ, ხელოვნებაში ფართოდ დამკვიდრდა. თავად სიურრეალისტები ხშირად საუბრობდნენ სიურრეალისტურ სულზე, რომელიც პროტესტისა და ახლის ძიების სული იყო. მას შემდეგ, რაც სიურრეალისტურმა ჯგუფმა ორგანიზებული ერთობის სახით არსებობა შეწყვიტა და ლიტერატურასა თუ ხელოვნებაში ასპარეზზე ახალი მიმდინარეობები გამოჩნდა, სიურრეალისტური ელემენტები, რეალობის აღქმისა და პროტესტის სიურრეალისტური გზები კვლავაც აქტიურად იჩენდნენ თავს ბევრი მწერლისა თუ ხელოვანის შემოქმედებაში. სიურრეალისტური ამბოხი დამახასიათებელი იყო ბევრი რადიკალური მოძრაობისთვის. სიურრეალისტური ხასიათი განსაკუთრებით მკვეთრად 1968 წელს პარიზში სტუდენტების პროტესტის დროს გამოჩნდა. ბევრი ხელოვანი და მკვლევარი ეთანხმება მოსაზრებას, რომ სიურრეალიზმი არ არის დროსა და სივრცეში შეზღუდული მოვლენა. ის არის ხედვა, ძიების წყურვილი და პროტესტი, რომელიც ყველგან და ყოველთვის შეიძლება არსებობდეს და, შესაბამისად, არასდროს კარგავს აქტუალობას.

سوچوررجهالدیზمما تاگو ეგვიპტეშიც იჩინა და „ხელოვნებისა და
 თავისუფლების საზოგადოების“ („جامعة الفن والحرية“) სახით მოევლინა ეგვიპტის
 საზოგადოებას 1930-იანი წლების ბოლოს. ეგვიპტელ სიურრეალისტთა იდეები
 და მიმართებები სრულიად ახალი იყო აღმოსავლური საზოგადოებისთვის.
 სიურრეალიზმი არც თუ ადვილი გასაგები აღმოჩნდა ეგვიპტელებისთვის და
 ჯგუფი ხშირად დიდ წინააღმდეგობას აწყდებოდა. ეგვიპტელმა
 სიურრეალისტებმა ერთგვარი საგანმანათლებლო მისიაც იკისრეს: წერდნენ
 სტატიებს, გამოსცემდნენ ჟურნალ-გაზეთებს და კითხულობდნენ ლექციებს,
 რომელთა საშუალებითაც საზოგადოებას დასავლურ ლიტერატურასა და
 ხელოვნებაში მიმდინარე პროცესების, სხვადასხვა მიმდინარეობისა და მათი
 წარმომადგენლების შესახებ აწყდიდნენ ინფორმაციას. ჯგუფის წევრების
 სახელს ეგვიპტურ ხელოვნებაში ბევრი სიახლის დამკვიდრება უკავშირდება.
 მართალია, საზოგადოებამ არც თუ დიდხანს იარსება, მაგრამ მნიშვნელოვანი
 როლი შეასრულა ეგვიპტური ლიტერატურის, მხატვრობის, ფოტოგრაფიისა და
 კინოს განვითარებაში. მათი გავლენა მოგვიანებით ბევრი ახალგაზრდა
 მწერლისა და მხატვრის შემოქმედებაზე აისახა. მიუხედავად ამისა, ჯგუფის
 მოღვაწეობა და მისი წევრების შემოქმედება ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ
 შესწავლილი. უნდა აღვნიშნოთ, რომ ეგვიპტური სიურრეალიზმით დაინტერესება
 მხოლოდ 1980-იანი წლებიდან დაიწყო. „ხელოვნებისა და თავისუფლების
 საზოგადოების“ და მისი წევრების ნაწარმოებები და მათ შესახებ დაწერილი
 სტატიები პერიოდულად იძეჭდებოდა ჟურნალებში: „ალ-თატაშურ“¹, „ალ-
 ჯარად“², „ალ-ქითაბა ალ-უხრა“³ და „ალ-ქითაბა ალ-საშდა“⁴. მიუხედავად ამისა,
 ფართო საზოგადოებისთვის ეგვიპტელ სიურრეალისტთა ბევრი ნაწარმოები
 დიდხანს უცნობი რჩებოდა. კრიტიკოსი ბაშირ ალ-სიბაზ ამის მიზეზად
 სიურრეალისტთა ნაწარმოებების ენას მიიჩნევს; რადგანაც ბევრი თხზულება
 ფრანგულად იწერებოდა. როგორც აღვნიშნეთ, „ხელოვნებისა და თავისუფლების
 საზოგადოების“ მოღვაწეობისა და მათ მიერ შექმნილი ნაწარმოებების შესახებ
 არც თუ ბევრი ნაშრომი დაწერილა. ამდენად, ამ საკითხების გამოკვლევა

¹ - التطور - განვითარება.

² - الجراد - კალიები.

³ - الكتابة الأخرى - სხვა მწერლობა.

⁴ - الكتابة السوداء - შავი მწერლობა.

მნიშვნელოვნად და აქტუალურად მიგვაჩია, რადგანაც მათი შესწავლა დაგვეხმარება, უკეთ გავიგოთ თანამედროვე არაბული ლიტერატურის ტენდენციები და მასში გაჩენილ სიურრეალისტურ ელემენტებთან დაკავშირებული ბევრი საკითხი.

მოგვიანებით 1960-იან წლებში ეგვიპტურ ლიტერატურაში სიურრეალიზმის ახალი ტალღა გაჩნდა. 1930-40-იანი წლების ნაკადისგან განსხვავებით, ამჯერად მიმდინარეობის გავლენა არაბულენოვან პროზაში უფრო ძლიერად გამოვლინდა. სადისერტაციო ნაშრომის მთავარ საკითხესაც ლიტერატურაში შემოჭრილი ეს ტალღა წარმოადგენს. ბევრი არაბი მწერლის ნაწარმოებებში ვხვდებით სიურრეალისტურ ხედვას, მისთვის დამახასიათებელ ელემენტებს. უნდა აღინიშნოს, რომ 1960-იანი წლებიდან მსგავსი ტენდენციები გახშირდა და ერთგვარი ახალი ლიტერატურული ხედვის ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი. ლიტერატურაში ახლი ნაკადის გაჩენა, რომელშიც ბევრი სხვადასხვა მიმდინარეობის გავლენა შეერწყა, რამდენიმე ფაქტორით იყო განპირობებული. არსებული სოციალურ-პოლიტიკური რეალობისადმი წინააღმდეგობის გრძნობამ და დასავლური ლიტერატურული ავანგარდის იდეების შეთვისებამ ახალ თაობას საშუალება მისცა, წინა თაობის მწერალთა და ხელოვანთა მიერ მომზადებულ საფუძველზე შეექმნათ ე.წ. „ახალი ხედვა“. რეალიზმის საწინააღმდეგოდ, მათ ხილული რეალობის აღწერის ნაცვლად ადამიანის შინაგან სამყაროში გადაინაცვლეს და შეეცადნენ, სხვა, უფრო ღრმა რეალობა წარმოექნიათ. სიურრეალიზმი მწერლებს ბევრ კარგ საშუალებას სთავაზობდა ამის მისაღწევად და, შესაბამისად, ბევრ ნაწარმოებში გაჩნდა მისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები. XX საუკუნის მეორე ნახევარში ახალი ლიტერატურული ნაკადის შესასწავლად განვიხილეთ სამი მწერლის პროზაული ნაწარმოებები. ჩვენი არჩევანი შეჩერდა ფუსუფ 'იდრისზე, 'იდჟარ ალ-ხარრატ'სა და ლადა ალ-ჰალაჟანიზე.

ფუსუფ 'იდრისი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ავტორია ეგვიპტეში. ის არაბული ნოველის დიდოსტატად აღიარეს. მისი შემოქმედებით ბევრი ცნობილი მკვლევარია დაინტერესებული. გვინდა აღვნიშნოთ, რომ ლიტერატორები მეტ ყურადღებას ავტორის ადრეულ ნაწარმოებებს უთმობენ, რომლებიც ძირითადად რეალისტური ხასიათისაა. შედარებით ნაკლები ყურადღება ხვდა წილად გვიანი პერიოდის, 1960-იანი წლების შემდეგ შექმნილ თხზულებებს. სწორედ ამ

ნაწარმოებებში ვლინდება სიურრეალიზმისთვის დამახასიათებელი ბევრი ასპექტი და, შესაბამისად, ჩვენთვის სწორედ ეს ნაწარმოებებია საყურადღებო. საინტერესოა ის ფაქტიც, თუ რატომ გაჩნდა სიურრეალისტური ხედვა და ამ ხედვისთვის დამახასიათებელი ელემენტები რეალისტად აღიარებული მწერლის ნოველებში.

’იდუარ ალ-ხარრატიც ეგვიპტის საუკეთესო მწერალთა რიცხვს მიეკუთვნება. მის ნაწარმოებებში სიურრეალისტური ელემენტები პირველი კრებულიდანვე შეინიშნება. სიურრეალიზმით მწერალი რევოლუციური მოღვაწეობის გამო ციხეში ყოფნის დროს დაინტერესდა და შემდეგ ამ მოვლენას ბევრი ნაშრომიც მიუძღვნა. მართალია, ვერ ვიტყვით, რომ მწერლის რომანები წმინდა სიურრეალისტური ხასიათისაა, მაგრამ მათში ვხვდებით თითქმის ყველა იმ თემასა და გამოხატვის ფორმას, რაც სიურრეალიზმისთვის იყო დამახასიათებელი. ნაწარმოებებში რეალური და ირეალური ერთმანეთს ერწყმის, დარღვეულია დროისა და სივრცის საზღვრები, განსაკუთრებული ადგილი ეთმობა სიზმარსა და წარმოსახვას. მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბავშვობის მოგონებები და ფანგაზია. ’იდუარ ალ-ხარრატის რომანები არაბულ ლიტერატურაში არსებული სიურრეალისტური ნაკადის შესასწავლად საინტერესო ნიმუშებად შეიძლება მივიჩნიოთ. ამდენედ, მათი განხილვა ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის მნიშვნელოვანი ელემენტია. ალ-ხარრატის კალამს რამდენიმე რომანი, ნოველებისა და ლექსების კრებული და ბევრი კრიტიკული ნაშრომი ეკუთვნის. ამდენად, შეუძლებელად ჩავთვალეთ მისი ვრცელი შემოქმედების სრულყოფილად განხილვა. შესასწავლად ავირჩიეთ ცნობილი რომანი „მისი ქვიშა ზაფრანისფერია“ („ترابها ز عفران“). ამ ნაწარმოების მაგალითზე გავეცანით განსაკუთრებულ ხედვას მწერლისა, რომელიც შემოქმედთა ახალი თაობის ლიდერად და 1960-იანი წლების ეგვიპტური ავანგარდის ერთ-ერთ ფუძემდებლად მოგვევლინა.

რაც შეეხება ღადა ალ-ჭალაუანის, ის საინტერესო ახალგაზრდა მწერალია. ლიტერატურულ ასპარეზზე XX საუკუნის მიწურულს გამოჩნდა და ჯერ მხოლოდ ორი წიგნის ავტორია. ნიჭიერმა მწერალმა მალე შეძლო ეგვიპტური ლიტერატურული საზოგადოების ყურადღების მიპყრობა. ’იდუარ ალ-ხარრატი დაინტერესდა მისი ნაწარმოებებით და მათ ნამდვილი სიურრეალისტური ტექსტები უწოდა. მიუხედავად მოპოვებული აღიარებისა,

ახალგაზრდა მწერლის ნაწარმოებები ჯერ თითქმის არ არის შესწავლილი. პირველი კრებული „მსუბუქი ჩხვლება“ („وَخْزَةُ خَفِيفَةٍ“) საინტერესო მასალას გვთავაზობს კვლევისთვის. კრებულში შემავალი ნოველები სავსეა სიურრეალისტური სახეებით. თხრობა ადამიანის გონების მოქმედებას მიჰყვება და ცდილობს ის ნამდვილი აზრები გადმოგვცეს, რომლებსაც ცნობიერი კონტროლი არ შეხებია. გარდა კრებულის სიურრეალისტური ხასიათისა, ჩვენთვის საინტერესოა ის ფაქტი, რომ სიურრეალისტური ნაწარმოებები შეიქმნა XX საუკუნის დასასრულს, ანუ საკმაოდ გვიან იმ პერიოდიდან, როდესაც სიურრეალისტური მიმდინარეობა არსებობდა. თავად მწერალი იზიარებს ზემოთ აღნიშნულ მოსაზრებას, რომ სიურრეალიზმი აზროვნებისა და ხედვის განსაკუთრებული ფორმაა და არა ისტორიის კუთვნილებად ქცეული ლიტერატურული მიმდინარეობა. ლადა ალ-ჭალაშანიშ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ სიურრეალიზმი არ არის დროში შეზღუდული. მისთვის ეს რეალობის აღქმის თავისებური ფორმაა, რომელიც ნებისმიერ დროში შეიძლება ჰქონდეს ამა თუ იმ ადამიანს.

ამდენად, სადისერტაციო ნაშრომი ერთდროულად რამდენიმე აქტუალურ და საინტერესო საკითხს ეხება. ნაშრომი ამ ცალკეულ საკითხთა განხილვისა და ერთი საერთო პრობლემის შესწავლისთვის მათი გაერთიანების მცდელობაა. თითოეული საკითხი მნიშვნელოვანია ნაშრომის მთავარი თემის ანუ XX საუკუნის არაბულ პროზაში არსებული სიურრეალისტური ნაკადის ზოგადი სახის წარმოჩენისა და შესწავლისათვის.

სადისერტაციო ნაშრომი ორ ნაწილად იყოფა: I ნაწილი – სიურრეალიზმი და II ნაწილი – სიურრეალიზმის გავლენა XX საუკუნის არაბულ პროზაში. თითოეული მათგანი რამდენიმე თავისაგან შედგება. პირველი ნაწილი მოიცავს ორ თავს: 1. სიურრეალიზმი – წარმოშობა და განვითარება და 2. სიურრეალისტური ჯგუფი ეგვიპტეში. ნაშრომის მეორე ნაწილი უფრო ვრცელია და ოთხ თავად იყოფა: 1. არაბული ნოველა და რომანი, 2. ალ-სუფ 'იდრასის ნოველები და მათში შექმნილი სიურრეალისტური სამყარო, 3. 'იდჟარ ალ-ხარრატი და „ზაფრანისფერი ქალაქი“ და 4. ლადა ალ-ჭალაშანის სიურრეალისტური ხედვა. ნაშრომს ასრულებს დასკვნა, რომელშიც შეჯამებულია კვლევის შედეგები და მიღებული დასკვნები.

სადისერტაციო ნაშრომის პირველ თავში განხილულია ზოგადად სიურრეალიზმი, მისი წარმოშობა, რეალობის სიურრეალისტური აღქმა, მისთვის დამახასიათებელი მნიშვნელოვანი თემები, არაცნობიერის კვლევის მეთოდები და ის ისტორიული გზა, რომელიც სიურრეალიზმა, როგორც მიმდინარეობამ, განვლო. სურრეალიზმი პარიზში პირველი მსოფლიო ომის შემდეგ 1920-იან წლებში წარმოიშვა. 1924 წელს ანდრე ბრეტონმა სიურრეალიზმის პირველი მანიფესტი გამოაქვეყნა, სადაც მიმდინარეობის ძირითადი პრინციპები იყო მოცემული. ბრეტონის გარშემო შეკრებილი ახალგაზრდების ჯგუფი ცდილობდა, ხელოვნებაში „სუფთა აზრები“ ყოველგვარი ზნეობრივი შეზღუდვისა და ცნობიერი კონტროლის გარეშე გადმოეცა. მათი მიზანი იყო, არაცნობიერი საწყისი დაემკვიდრებინათ არა მარტო ხელოვნებაში, არამედ ცხოვრებაშიც. ისინი ეყრდნობოდნენ ფროიდის თეორიებს და ესწრაფოდნენ სიზმრის მდგომარეობას, რადგანაც სიზმარი არაცნობიერი იმპულსების უკეთ წვდომის საშუალებას იძლეოდა. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ბავშვის ფანტაზიებს, მის მენტალურ სამყაროს. ბავშვები ჯერ არ არიან დიდების სამყაროს ცნებებითა და ნორმებით დამონტებული და, შესაბამისად, არაცნობიერი ცხოვრება მათთან უფრო ნათლად გამოიხატება.

სიურრეალიზმი მალე გასცდა საფრანგეთის საზღვრებს და მთელ მსოფლიოში გავრცელდა. მიმდინარეობა სხვადასხვა დროში მოღვაწე და განსხვავებული წარმოშობის მკვლევართა ინტერესს იწვევდა. სიურრეალიზმის შესახებ არა ერთი ნაშრომი დაწერილა. საკითხის შესწავლისთვის ბევრ მათგანს გავეცანით, მაგრამ რამდენიმე კვლევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ჩვენი სადისერტაციო ნაშრომისთვის. გამოვყოფთ როჯერ კარდინალისა და რობერტ შორთის წიგნს „სიურრეალიზმი, მუდმივი აღმოჩენა“⁵ („Surrealism, Permanent Revelation“), რომელიც 1970 წელს ლონდონში დაიბეჭდა. წიგნში აღწერილია სიურრეალიზმის წარმოშობა, ის ისტორიული საფუძველი, რომელმაც მიმდინარეობის წარმოშობას შეუწყო ხელი. ავტორები ასევე საინტერესო ინფორმაციას გვაწვდიან იმ მწერლების შესახებ, რომლებიც სიურრეალისტების წინამორბედებად შეიძლება მივიჩნიოთ. ნაშრომი განიხილავს ისეთ საკითხებს, რომლებიც არსებითია სიურრეალიზმის გასაგებად: სიურრეალისტური ჯგუფის ცხოვრების წესს, მათ მიზნებსა და ზერგალურის

⁵ იხ.: კარდინალი... 1970.

კვლევის მეთოდებს. ასევე საყურადღებოა ჯეპ სპექტორის წიგნი „სიურრეალისტური მხატვრობა და მწერლობა, 1919-1939, დროის ოქრო“ („Surrealist Art and Writing, 1919-1939, The Gold of Time“)⁶. ნაშრომი საყურადღებო ინფორმაციას გვაწვდის არა მარტო სიურრეალისტური მწერლობის სხვადასხვა ასპექტის შესახწავლად, არამედ საინტერესო მასალას გვთავაზობს სიურრეალისტური ჯგუფის პოლიტიკური მოღვაწეობისა და ხედვის შესახებაც. ასევე ადსანიშნავია სილვიო ლევის რედაქტორობით 1996 წელს გამოცემული კრებული „სიურრეალიზმი, სიურრეალისტური ხედვა“ („Surrealism, Surrealist Visuality“)⁷. წიგნში შემავალი სტატიები სიურრეალისტური ხელოვნების ყველა სფეროსა და სიურრეალისტური ხედვის გასაგებად მნიშვნელოვან შრომებს წარმოადგენს.

სადისერტაციო ნაშრომის პირველი ნაწილის მეორე თავი ეძღვნება ეგვიპტეში არსებულ სიურრეალისტურ ჯგუფს, მისი წევრების საზოგადოებრივ და შემოქმედებით მოღვაწეობას. ეგვიპტეში სიურრეალიზმი 1930-იანი წლების ბოლოს გამოჩნდა. 1939 წელს ჯურჯ ჭანიშვილი რომელიც საფრანგეთში სწავლობდა და უშუალოდ იცნობდა ფრანგ სიურრეალისტებს, ეგვიპტეში მეგობრებთან ერთად სიურრეალისტური ორგანიზაცია „ხელოვნებისა და თავისუფლების საზოგადოება“ ჩამოაყალიბა. ჯგუფმა განსაკუთრებულ წარმატებას მხატვრობაში მიაღწია. რაც შეეხება ლიტერატურას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საზოგადოების წევრები ძირითადად ფრანგულად წერდნენ, რის გამოც მათი ნაწარმოებები ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი არ იყო და, შესაბამისად, არც დიდი აღიარება ხვდათ წილად. სიურრეალისტურმა საზოგადოებამ დიდხანს არ იარსება, მისმა წევრებმა თანდათან დატოვეს ორგანიზაცია და სხვა მიმართულებით გააგრძელეს მოღვაწეობა.

როგორც აღვნიშნეთ, ეგვიპტური სიურრეალიზმით დაინტერესება საქმაოდ გვიან დაიწყეს და, შესაბამისად, არც თუ ბევრი ნაშრომი არსებობს ამ საკითხის შესახებ. ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო, ჟურნალისტ სამირ ლარიბის თრი წიგნი:

„სიურრეალიზმი ეგვიპტეში“

⁶ იხ.: სპექტორი 1997.

⁷ Levy, S., (ed.) (1996) *Surrealism, Surrealist Visuality*; (Keele Staffordshire: Keele University Press). გამოკვენებული ლიტერატურის ჩამონათვალში მითითებულია წიგნში შესული ცალკეული შრომები.

(،،السريالية في مصر“⁸ وـ „سurrealism in Egypt and Plastic Arts“⁹). პირველ მათგანში მოცემულია სრული ინფორმაცია „ხელოვნებისა და თავისუფლების საზოგადოების“. მოღვაწეობაზე წიგნში შესულია აგრეთვე ჯგუფის წევრების წერილები. მეორე ნაშრომი ძირითადად ჯგუფის სამხატვრო მიღწევებსა და გამოფენებს ეძღვნება. ეგვიპტურ სიურრეალიზმზე მუშაობს ეგვიპტელი მთარგმნელი და კრიტიკოსი ბაჰირ ალ-სიბან, რომლის სტატიები ბევრ ჟურნალში იბეჭდება. მათი გარკვეული ნაწილი, კერძოდ ჟურნალებში „ალ-ჯარად“ და „ალ-ქითაბა ალ-უხერ“ გამოქვეყნებული სტატიები, ხელმისაწვდომი გახდა ჩვენთვის¹⁰. ბაჰირ ალ-სიბან ძირითადად ჯურჯ ჭანინის და მისი ჯგუფის მოღვაწეობით არის დაინტერესებული. მან ჯურჯ ჭანინის ბევრი ნაწარმოები არაბულად თარგმნა და სწორედ ბაჰირ ალ-სიბანს მიერ შესრულებული თარგმანების საშუალებით გავეცანით მათ. 2006 წელს კაიროში ყოფნისას ცნობილ მკვლევართან პირადად შეხვედრის და ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე საუბრის საშუალება მოგვეცა, რაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩვენი კვლევისთვის.

სადისერტაციო ნაშრომის მეორე ნაწილი – სიურრეალიზმის გავლენა XX საუკუნის არაბულ პროზაში, როგორც აღვნიშნეთ, ოთხი თავისგან შედგება. პირველში მოცემულია არაბული ნოველისა და რომანის ზოგადი მიმოხილვა, მათი ჩასახვა XX საუკუნის დასაწყისში და შემდგომი განვითარება. ამ თავში განხილულია ის ძირითადი ტენდენციები, რომლებიც დამახასიათებელი იყო XX საუკუნის არაბული, კერძოდ, ეგვიპტური პროზისთვის. 1930-40-იან წლებში ეგვიპტურ ლიტერატურაში ფეხს იკიდებს სხვადასხვა დასავლური მიმდინარეობის გავლენა. რომანტიზმის შემდეგ არაბი მწერლები მოდერნისტული იდეებით ინტერესდებიან, მაგრამ 1940-იანი წლების ბოლოდან ეს ტენდენცია ქვეყანაში არსებული სოციალურ-პოლიტიკური გარემოებების გამო დროებით შეფერხდა. 1950-იან წლებში არაბულ ლიტერატურაში რეალიზმი და სოციალური რეალიზმი დომინირებს.

⁸ იხ.: დარბი 1986ა.

⁹ დარბი 1986ბ.

¹⁰ ალ-სიბან 1992; ალ-სიბან 2000.

ჩვენთვის საინტერესო იყო ეგვიპტური სიურრეალიზმის შესახებ სხვა კრიტიკოსთა სტატიების მისეული თარგმანებიც. იხ.: ბიჟუნინ 1999; ლუთი 1998.

ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა 1960-იან წლებში ეგვიპტის ლიტერატურაში გაჩენილ ახალ ტალღას ე.წ. „ახალ ხედვას“ და „სამოციანების თაობას“, რომელმაც ბევრი სიახლე დაამკვიდრა. ამ პერიოდის ლიტერატურული ნაწარმოებების უკეთ გასაგებად საჭიროდ მივიჩნიეთ შევხებოდით 1950-60-იან წლებში ეგვიპტეში არსებულ პოლიტიკურ სიტუაციას და იმ გარემოებებს, რომელთა წარმოშობას არსებულმა რეჟიმმა შეუწყო ხელი. 1960-იანი წლების სოციალურ-პოლიტიკურმა მოვლენებმა და მათი მიზეზით გაჩენილმა წინააღმდეგობებმა შესაბამისი ასახვა პპოვა ლიტერატურაშიც. სწორედ ამ პერიოდიდან იწყება ახლი ეტაპი არაბული ლიტერატურის განვითარების ისტორიაში, რომლის დროსაც ბევრი სიახლე დამკვიდრა, როგორც თემატური ისე, გამოხატვის ფორმის თვალსაზრისით. ამავე პერიოდს ეპუთვნის აუსუფ ჰადრესისა და ჰადუარ ალ-ხარრატის ბევრი ნაწარმოები, რომლებშიც ნათლად ჩანს სიურრეალიზმის გავლენა.

XX საუკუნის არაბული ლიტერატურის ზოგადი სურათის შესასწავლად მნიშვნელოვანი იყო მუჭამმად ბადაშის „თანამედროვე არაბული ლიტერატურა“ („Modern Arabic Literature“) შესული ნაშრომები: ჰაბრა ჰაფიზის „თანამედროვე არაბული ნოველა“ („The Modern Arabic Short Story“)¹¹ და ჰილარი კილპატრიკის „ეგვიპტური რომანი „ზეინაბიდან“ 1980 წლამდე“ („The Egyptian Novel from Zaynab to 1980“)¹². საინტერესო იყო მუჭამმად ბადაშის „თანამედროვე არაბული ლიტერატურის მოკლე ისტორია“ („A Short History of Modern Arabic Literature“)¹³. ასევე, გვინდა აღვნიშნოთ 2006 წელს გამოცემული პოლ სტარკეის ნაშრომი „თანამედროვე არაბული ლიტერატურა“ („Modern Arabic Literature“)¹⁴ და ჰაბრა ჰაფიზის სტატია „ეგვიპტური რომანი სამოციან წლებში“ („The Egyptian Novel in the Sixties“),¹⁵ რომელიც „არაბული ლიტერატურის ჟურნალში“ („Journal of Arabic Literature“) დაიბეჭდა. ამ შრომებში ავტორები მიმოიხილავენ ეგვიპტური პროზის, განსაკუთრებით, რომანისა და ნოველის განვითარებას XX საუკუნეში და ეხებიან თითქმის ყველა იმ არსებით

¹¹ იხ.: ჰაფიზი 1992.

¹² კილპატრიკი 1992.

¹³ ბადაში 1993.

¹⁴ სტარკე 2006.

¹⁵ ჰაფიზი 1976.

საკითხს, რომელიც ამ პერიოდის არაბულ პროზას უკავშირდება. 1960-იანი წლების ლიტერატურული აგანგარდის და „ახალი ხედვის“ შესასწავლად საჭირო ინფორმაცია მოგვაწოდა ელიზაბეტ კენდალის წიგნმა „ლიტერატურა, უურნალისტიკა და ავანგარდი“ („Literature, Journalism and the Avant-Garde“)¹⁶.

მეორე ნაწილის მეორე თავი ეთმობა ცნობილი ეგვიპტელი მწერლის ფუსუფ იდრისის შემოქმედების, კერძოდ კი, მისი ნოველების განხილვას. თავდაპირველად მოცემულია მნიშვნელოვანი ფაქტები მწერლის ბიოგრაფიიდან, რომლებმაც გარკვეულწილად გავლენა იქონია მის შემოქმედებაზე. ადრეულ ეტაპზე იდრისის ნაწარმოებები რეალისტური ხასიათისაა, ხოლო 1960-იანი წლებიდან მათში ცვლილება შეინიშნება, ნოველებში სიმბოლიზმი და სიურრეალიზმი იჩენს თავს. თხზულებებში თანდათან ჩნდება სიურრეალისტური ელემენტები: ფანტასტიკური და პარადოქსული ნიშნები, დარღვეული რეალური პროპორციები, ფსიქიკური შემლილობის, პარანოიის, კოლექტიური ფსიქოზის სცენები. სიზმარი – როგორც სიურრეალიზმისათვის დამახასიათებელი მედიუმი – მნიშვნელოვან ადგილს იკავებს იდრისის ნაწაროებებში. ხშირად შეუძლებელია სიზმრისა და რეალობის, ცნობიერი და არაცნობიერი მდგომარეობის ერთმანეთისაგან გამიჯვნა.

საკმაოდ ბევრი ნაშრომი ეძღვნება ფუსუფ იდრისის შემოქმედებას, განსაკუთრებით, მის რეალისტურ ნოველებს. ჩვენთვის საყურადღებო იყო დალია კოენის კვლევები: „ფუსუფ იდრისი: ცვალებადი ხედვა“ („Yusuf Idris: Changing visions“)¹⁷ და „ფუსუფ იდრისის „გასეირნება“ – ფსიქოანალიზი და ინტერპრეტაცია“ („The Journey by Y.Idris – Psychoanalysis and interpretation“)¹⁸. პირველ მათგანში განხილულია იდრისის ნოველების ძირითადი საკითხები რეალისტურ და სიურრეალისტურ პერიოდებში. ერთი და იგივე თემის ორ სხვადასხვა ეტაპზე გადმოცემის შეპირისპირების საშუალებით ავტორი ცდილობს მწერლის ხედვაში მომხდარი ცვლილებები გამოავლინოს. მეორე კვლევაში მოცემულია იდრისის ერთ-ერთი ნოველის „გასეირნების“ (الرحلة) საინტერესო ანალიზი. ავტორი ნოველის განხილვისას ფსიქოანალიზის პრინციპებს ეყრდნობა. ფუსუფ იდრისის

¹⁶ იხ.: კენდალი 2006.

¹⁷ კოენი 1992.

¹⁸ კოენი 1984.

ნოველების შესასწავლად კარგი ნაშრომი ეპუთვნის კურპერშოექს: „ფუსუფ იდრისის ნოველები“ („The Short Stories of Yusuf Idris“)¹⁹.

მეორე ნაწილის მესამე თაგში განხილულია ცნობილი უგიპტელი მწერლის იდგარ ალ-ხარრატის შემოქმედება. ბიოგრაფიული ცნობებისა და შემოქმედების ზოგადი მიმოხილვის შემდეგ წარმოდგენილია ალ-ხარრატის რომანის „მისი ქვიშა ზაფრანისფერია“ განხილვა. რომანში გამოვლინდა თითქმის ყველა ის ასპექტი, რომელიც დამახასიათებელია ალ-ხარრატის ნაწარმოებებისთვის. მასში ვხვდებით სიზმრისა და რეალობის შერწყმას, დროისა და სივრცის საზღვრების უგულვებელყოფას, კავშირს ერთმანეთისაგან დაშორებულ რეალობებს შორის. „მისი ქვიშა ზაფრანისფერიაში“ ხშირად თხრობა ორ ხაზს მიჰყვება, რეალურად მიმდინარე ამბებს და გმირის გონებაში მიმდინარე აზრებს. რომანში ვხვდებით ბაგშვის წარმოსახვაში შექმნილ რეალობას, რომელიც ამავდროულად ზრდასრული გმირის გონებაში მიმდინარე ფიქრის ნაკადია. ნაწარმოებში რამდენიმე ხმა ისმის, რომლებიც ერთი მთლიანი „მეს“ სხვადასხვა გამოხატულებაა. ფუსუფ იდრისთან შედარებით ალ-ხარრატთან სიურრეალიზმი უფრო მეტად არის წარმოდგენილი. ალ-ხარრატის თხზულებები გამოირჩევა სიურრეალისტურისა და რეალურის შერწყმით, რისგანაც წარმოიშვა მისთვის დამახასიათებელი თავისებური სტილი.

’იდურა ალ-ხარრატის რომანებს კრიტიკოსები დიდ უურადღებას უთმობენ. წვენთვის განსაკუთრებით საინტერესო იყო მაგდა ალ-ნოვაიპის „მოგონებები და წარმოსახვა იდურა ალ-ხარრატის მისი ქვიშა ზაფრანისფერიაში“ („Memory and Imagination in Edwar Al-Kharrat's Turābuḥā Za'farān“)²⁰, სადაც ავტორი საუბრობს ალ-ხარრატის რომანში რეალურისა და წარმოსახულის შერწყმაზე, სიზმრისა და ბაგშვის ფანტაზიებზე, მარადიულის წვდომის სურვილზე. მსგავსი საკითხებია განხილული მეგგი ავადალლას სტატიაში „წარმოსახვისა და რეალობის ქორწილი ალ-ხარრატის ალექსანდრიაში: ზაფრანისფერი ქალაქი“ (The Wedding of Imagination and Reality in Al-Kharrat's Alexandria: The city of Saffron“)²¹. ბევრ კითხვაზე პასუხის გაცემაში დაგვეხმარა თავად ალ-ხარრატის აგტობიოგრაფიული

¹⁹ იხ.: კურპერშოექი 1981.

²⁰ ალ-ნოვაიპი 1994.

²¹ ავადალლა 1991.

შრომები „ნაწყვეტები შემოქმედებითი ავტობის, ავტობიობის, ავტობიოგრაფიიდან“
(„مقاطع من سيرة ذاتية لكتابه“²²).

მეორე ნაწილის ბოლო თავში განხილულია ახალგაზრდა ავტორის, დადა
ალ-ჭალაშანის ნოველების კრებული „მსუბუქი ჩხვლეტა“ („وَخْرَةُ حَفِيْفَةٍ“). დადა ალ-
ჭალაშანი საინტერესო მწერალია. მართალია, ლიტერატურულ ასპარეზზე
მხოლოდ გასული საუკუნის მიწურულს გამოჩნდა, მაგრამ მან შეძლო
ეგვიპტური ლიტერატურული წრეების ყურადღების მიყვრობა. მწერლის პირველი
წიგნი განეკუთვნება XX საუკუნის ლიტერატურას და, შესაბამისად, ჩვენც
ყურადღება მასზე შევაჩერეთ. ახალგაზრდა მწერლის შესახებ მხოლოდ ერთი
შრომა მოვიძიეთ. ეს გახლავთ ’იდუარ ალ-ხარრატის კვლევა მისი პირველი
კრებულის „მსუბუქი ჩხვლეტის“ შესახებ, რომელიც ამავე სახელით არის
შესული ალ-ხარრატის კრიტიკული წერილების კრებულში „ახალი ნოველა“
(„القصة الحداثة“²³). ცნობილი მწერალი ახალგაზრდა კოლეგის ნოველებს მაღალ
შეფასებას აძლევს და მათ ნამდვილ სიურრეალისტურ თხზულებებს უწოდებს.
ჩვენთვის კვლევის ძირითად წყაროს თავად მწერალთან პირადი საუბარი და
მიმოწერაც წარმოადგენს.

ამდენად, ჩვენი მიზანი იყო, ეგვიპტეში სიურრეალიზმის წარმოშობის,
განვითარებისა და არაბულ ლიტერატურაზე ამ მიმდინარეობის გავლენის
შესწავლა. ვცადეთ, სადისერტაციო ნაშრომში წარმოგვეჩინა XX საუკუნის
არაბულ, კერძოდ ეგვიპტურ, პროზაში არსებული სიურრეალისტური ნაკადის
ზოგადი სახე და დაგვეღინა, რა ფორმით და შინაარსით გამოვლინდა
სიურრეალისტური ელემენტები ეგვიპტელ მწერალთა ნაწარმოებებში. ასევე,
შევეცადეთ, გამოგვეკვლია და წარმოგვეჩინა ის მიზეზები თუ ისტორიული
პირობები, რომლებმაც ხელი შეუწო ეგვიპტურ ლიტერატურაში
სიურრეალიზმის გამოვლენას. სადისერტაციო ნაშრომში ეგვიპტური
სიურრეალიზმის განვითარების გზის სრული სურათია გადმოცემული XX
საუკუნის 30-იანი წლებიდან მოყოლებული XXI საუკუნის დასაწყისამდე.

²² იხ.: ალ-ხარრატი 1996, ალ-ხარრატი 2005ა; ალ-ხარრატი 2005ბ.

²³ ალ-ხარრატი 2002.

I ნაწილი – სიურრეალიზმი

1. ოპიტ

სიურრეალიზმი – წარმოშობა და განვითარება

I. სიურრეალიზმის წარმოშობა: რა არის სიურრეალიზმი?

„ლიტერატურათმცოდნეობის ცნებებში“ კითხულობთ, რომ „სიურრეალიზმი არის მიმდინარეობა, რომელიც XX საუკუნის 20-იანი წლების ფრანგულ ლიტერატურაში ჩაისახა. გარკვეული გამოძახილი პპოვა ხელოვნების სხვა დარგებშიც (ფერწერა, ქანდაკება, თეატრი, კინო). სიურრეალისტთა აზრით, ხელოვანისთვის ფასეულია ინტუიციური ხილვები, „შინაგანი გაცისკროვნება“ (ე.ი. ზერეალური მოვლენები), ლოგიკური ანალიზი კი აუცილებელი არ არის. მათ იზიდავთ ბალდური უდარდელობა, პირველყოფილი თემი და მისი ხელოვნების გულუბრყვილობა“ (ჭილაძე ... 1984: 294).

სიურრეალიზმი პირველი მსოფლიო ომის შემდეგ პარიზში გამოჩნდა ანდრე ბრეტონის გარშემო შეკრებილი ახალგაზრდების ჯგუფის სახით. შემდეგ მიმდინარეობის ფარგლები გაფართოვდა, საერთაშორისო სახე მიიღო და ხელოვნების ყელა სფერო მოიცვა. მას შემდეგ, რაც 1920-იანი წლების დასაწყისში სიურრეალიზმი საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოჩნდა, მისი მრავალგვარი განმარტებაც გაჩნდა. როჯერ კარდინალსა და რობერტ შორთს რამდენიმე ასეთი განმარტება მოჰყავთ ნაშრომში „სიურრეალიზმი, მუდმივი აღმოჩენა“. სიურრეალიზმს ხშირად უწოდებდნენ რომანტიზმის კუდს, ფროიდიზმის ხელოვნებაში განხორციელებას; ფსიქიატრები მოზარდთა კრიზისად განიხილავდნენ, რომელსაც სისტემური სახე უფროსებმა მისცეს; სტალინისტები კი ბურჟუაზიული რეჟიმის დემორალიზაციის სიმპტომად მიჩნევდნენ; ლიტერატორები დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ, როგორც უაზრობის, აბსურდის პოეზიად გასაღების უბადრუკ მცდელობას; კათოლიკური ეკლესია ან უარყოფდა მას, ან კიდევ სიურრეალიზმში ახალ მისტიციზმს ხედავდა (კარდინალი... 1970: 9). თუმცა, არც ერთი ამ განსაზღვრებათაგანი არ არის ადეკვატური. სიურრეალიზმი უფრო რთული განსასაზღვრია, რადგანაც სისტემაში მისი მოქცევა ძნელია. თავად ანდრე ბრეტონი პირველ მანიფესტი სიურრეალიზმს ასე განმარტავდა: „წმინდა ფსიქიკური ავტომატიზმი, რომლის

მეშვეობითაც ვერბალურად, წერილობით ან ნებისმიერი სხვა ფორმით ფიქრის რეალური პროცესი უნდა გამოიხატოს. ფიქრის კარნახი ნებისმიერი ცნობიერი კონტროლის გარეშე“ (ბრეტონი 1924: 36). როგორც შორთი აღნიშნავს, რემბოს „მხილველის წერილი“ („Letter du Voyant“), პეგელის დიალექტიკური მეთოდისა და ფრონდის არაცნობიერის ანალიზის გაერთიანებით სიურრეალისტებმა პოეტური სახის რევოლუცია დაიწყეს. სჯეროდათ, რომ სხვადასხვა ავტომატური ტექნიკის გამოყენებით გამოვლენილი სახეები „ფიქრის რეალურ პროცესს“ გამოხატავდა (შორთი 2003: 19). უნდა აღვნიშნოთ, რომ სიურრეალისტები უფრო ხშირად საუბრობდნენ სიურრეალისტურ სულზე, ვიდრე იდეოლოგიაზე. სიურრეალიზმის არსი ხელოვნების სხვადასხვა დარგში თავისებური ნიშნით წარმოჩნდა, მაგრამ ყველას მაინც ასაზრდოებდა ერთი იდეა, რომელიც აისახა ბრეტონის მანიფესტი. ეს იყო ხელოვნება, რომლის გამოხატვის ხერხი ასახავდა წმინდა ფსიქიკურ ავტომატიზმს, აზროვნების რეალურ ფუნქციას, რომელსაც გარეთ გამოაქვს შინაგანი ესთეტიკური თუ მორალური კონცეფცია და უარყოფს მატერიალურ სამყაროს (მაჭარაშვილი 2008: 35).

გენიოსმა სიურრეალისტებმა თავი კვლევისა და აღმოჩენის სულს მიუძღვნეს. კარდინალი სიურრეალიზმს განსაკუთრებულ ძიებას ადარებს, რომელშიც თვითონ მოსალოდნელი მოგზაურობა, წმინდა გრაალის ძიების მსგავსად, როგორდაც უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე მიზანთან, ძიების ობიექტთან მისვლა. ის შთაგონებაა და იმ დიდებულ შეუცნობელს გვთავაზობს, რომელიც ამოძრავებს გონებას და აძლევს იმედს. იქვე მოჰყავს არაგონის მოსაზრება: „საუკეთესო ის წარმოსახვაა, რომელიც ისე სხლტება, როგორც პორიზონტი მოსიარულის წინ, რადგანაც პორიზონტის მსგავსად ის ურთიერთობაა სულსა და იმას შორის, რასაც ვერასდროს მისწვდები“ (კარდინალი ... 1970: 149). რემის მოსაზრებით კი, სიურრეალიზმი ახალი ხედვის დამკვიდრება იყო, რომელიც ადარ მიემართებოდა აბსოლუტიზმისკენ, არამედ ეძიებდა და ითვისებდა შედარებითობასა და სხვაგვარობას (რემი 1996: 158). თავად ანდრე ბრეტონს ეს ძიება რაღაც დიდ თავგადასავალს აგონებდა, ოქროს მოპოვების მსგავსს. ჯეპ ჯ. სპექტორს მოჰყავს 1924 წელს დაწერილი ბრეტონის ცნობილი ფრაზა: „მე დროის ოქროს ვეძებ“ („Je cherche l'(h)or(s) du temps“) (სპექტორი 1997: 1). სპექტორს ასევე მოჰყავს ბრეტონის სიტყვები „მედიუმთა შესასვლელიდან“ („Entrée des mediums“): „რასაც მე და ჩემი მეგობრები ვგულისხმობთ სიურრეალიზმში, გარკვეულწილად ცნობილია. ეს

სიტყვა არ არის ჩვენი მოგონილი და ჩვენ შეგვეძლო, ის დაგვეტოვებინა ყველაზე არაცხადი კრიტიკული ლექსიკისთვის, მაგრამ ჩვენ ვიყენებთ მას გარკვეული ზუსტი მნიშვნელობით: ჩვენ ვეთანხმებით, რომ ის აღნიშნავს მითოებას გარკვეულ ფსიქიკურ ავტომატიზმზე, სიზმრის მდგომარეობის ახლო ეკვივალენტზე, რომლის საზღვრები დღეს საკმაოდ მნელი განსასაზღვრია“ (საქართველო 1997: 42).

პირველმა მსოფლიო ომმა, რომელშიც სიურრეალისტთა პირველი თაობის უმრავლესობა მონაწილეობდა, დამამცირებელი შედეგები მოიტანა მეცხრამეტე საუკუნის ისტორიის ფილოსოფოსებისთვის, რომლებსაც სწამდათ პროგრესის და ევროპული ცივილიზაციის მომავალი განვითარების. როგორც ბრეტონი წერდა, „ომი სისხლით, ტალახითა და იდიოტიზმით სავსე სანაგვე ორმო იყო“ (პოლიზზოტტი 2003: 5). სამხედრო სამსახურიდან დაბრუნებული ახალგაზრდებისთვის: ანდრე ბრეტონის, ფილიპ სუპოს, ლუი არაგონის, პოლ ელუარის და ბენჟამენ პერესთვის მიუღებელი იყო, მშვიდად ედევნებინათ თვალური პოლიტიკოსთა მცდელობისთვის, აღვეგინათ ომამდელი ჩვეულებრივი მდგომრეობა ან პარიზული კულტურული წრეების მცდელობისთვის, გაეგრძელებინათ ბრწყინვალე, მაგრამ საკუთარი თავით გატაცებული, ლიტერატურული ცხოვრება ისე, თითქოს არაფერი მომხდარიყო. ომის შემდეგ ლიბერალი ინტელექტუალები, პოეტები და მხატვრები სიძულვილს გამოხატავდნენ მომხდარი მოვლენების მიმართ და წინააღმდეგობის განსაკუთრებული განცდა პქონდათ. სიურრიელისტური ამბოხი ლეგიტიმური პასუხი იყო სამყაროსა და ადამიანის მდგომარეობაზე, რომელიც სულ უფრო გაურკვეველი, არათანმიმდევრული და სასტიკი ხდება. დრო იყო, უპირატესობა მინიჭებოდა ადამიანის სუბიექტურ სურვილებს. შემთხვევით არ იყო, რომ სიურრეალიზმის დაბადება დაემთხვა 1917-1924 წლებს, როცა რევოლუციებმა და გაფიცევებმა ევროპა შეარყია.

სიურრეალისტების ინტელექტუალურ და კულტურულ ფორმირებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საფრანგეთის მესამე რესპუბლიკის სკოლებში მიღებულმა განათლებამ, რომელმაც შეინარჩუნა ფრანგული დისციპლინის ტრადიცია. სწორედ ამ სკოლების მიერ გადაცემული ლირებულებების წინააღმდეგ ილაშქრებდნენ ჯგუფის წევრები. სიურრეალისტები იყვნენ იმ თაობის წარმომადგენლები, რომელიც სიმწიფეში პირველი მსოფლიო ომის შემდეგ შევიდა. მათ სურდათ, თავი დაეღწიათ ან დაენგრიათ არსებული

ღირებულებები; და რადგანაც ბურჟუაზიული ღირებულებების კრიტიკა დაიწყეს, სცადეს, შევცვალათ ისინი საწინააღმდეგო ღირებულებებით, ხოლო ლოგიკა და გონება – არაცნობიერით და ალქიმიით. სპექტორი საუბრობს ანდრე ბრეტონის დამოკიდებულებაზე მესამე რესპუბლიკის სკოლების მიერ შემოთავაზებულ განათლებისადმი, კერძოდ კი, ხატვის სწავლების მეთოდებისადმი. მაგალითად, 1925 წელს ერთ-ერთ წერილში ბრეტონი წერდა, რომ მისთვის უფრო მისადგები იყო, ბავშვს თავისი ფანტაზიის მიხედვით ეხატა, ვიდრე ეიძულებინათ, გატაცებული ყოფილიყო სოუსიანი ქვაბის ან თაბაშირის მოდელის კოპირებით (სპექტორი 1997: 27). მაშინდელი განათლების სისტემისადმი სიურრეალისტების დამოკიდებულების გასაგებად საინტერესოა ევროპის „უნივერსიტეტების კანცლერებისადმი მიწერილი არტოდის წერილი, რომელიც 1925 წლის აპრილში „La Revolution Surrealiste“-ის III ნომერში დაიბეჭდა. არტოდი ევროპის „გაყინული სულის“ დამსხვრევასა და ევროპის მუმიფიცირებაში ბრალს უნივერსიტეტებს, მათ მიერ შემოთავაზებულ განათლების სისტემას და „სილოგიზმების ქსელში გახვეულ კანცლერებს“ სდებდა. „ოქვენ აწარმოებთ ინჟინრებს, მაგისტრებს, დოქტორებს, რომლებმაც არ იციან სხეულის ნამდვილი მისტერია ან არსებობის კოსმიური კანონები; ცრუ სწავლულებს, რომლებიც ბრმანი არიან სხვა სამყაროში, ფილოსოფოსებს, რომლებიც ვითომდა სულ აღადგენენ“ (ვალდებერგი 1978: 57).

II. სიურრეალისტთა წინამორბედები

რა თქმა უნდა, ბევრი პოეტი და მხატვარი უკვე ელოდა რადიკალურ ცვლილებას. წინა საუკუნის მანძილზე ისეთი პოეტები როგორიც იყვნენ რემბო, ლოტრეამონი და, უფრო მოგვიანებით, კუბისტი მხატვრები რეალობის პირობითობის საკითხს სვამდნენ. რეალობის აღქმის ცვლილებამ თანამედროვე ხელოვნებაში გამოიწვია წარმოშვა „რეალობის“ ასახვის ფორმების შესახებ, რაზეც განსაკუთრებულ ყურადღებას სიმბოლისტები ამახვილებდნენ. თუმცა მოდერნიზმი კიდევ უფრო შორს წავიდა. 1910-20 წლებში მოდერნისტული სკოლები (კუბიზმი, აბსტრაქციონიზმი) აქცენტს პირდაპირობაზე, უშუალობაზე, გონებამახვილურ გამოგონებაზე და ახალი ფორმების აღმოჩენაზე აკეთებდნენ. აქ ერთგვარი კავშირი იყო იმ საფუძვლებთან, რომელსაც ბრეტონი ეყრდნობოდა. სიურრეალისტები, წინამორბედი სიმბოლისტების ბუნდოვანების

საწინააღმდეგოდ, უფრო კონკრეტული სახეების მისაღწევად ექსპერიმენტებს ატარებდნენ. ცდილობდნენ, მაგალითად, სიმბოლისტების აბსტრაქტული და არამიწიერი ქალი შეეცვალათ გარკვეული ისტორიების მქონე კონკრეტული გმირებით: ფსიქიკურად შეშლილი ქალებით, მკვლელებით, ჯადოქრებით. უნდა აღინიშნოს, რომ სიურრეალისტებმა დიდი მასალა იპოვეს სიმბოლიზმში, მაგალითად: სიმბოლოს გააზრება, როგორც შინაგანი იდეის საფარისა, ინტერესი სიზმრის სამყაროსადმი. სიურრეალისტები ასევე გარკვეულ მსგავსებებს პოულობდნენ ფუტურიზმშიც. ერთმანეთისგან დაშორებული სახეების დასაკავშირებლად ფუტურისტებიც მიმართავდნენ კოლაჟის მეთოდს. ასევე გარკვეულწილად მსგავსი მიღგომა პქონდათ დროისა და სივრცის გადმოცემასთან დაკავშირებით. ამის ნათელსაყოფად სპექტორს მოჰყავს მარინეტის სიტყვები. 1909 წელს „თავისუფალ სიტყვებში“ („Les Mots en liberté“) ის წერდა: „ახლა ჩვენ ვდგავართ საუკუნეთა კონცხებ! [...] რატომ უნდა გავიხედოთ უკან, როცა ის, რაც ჩვენ გვინდა, არის შეუძლებლის მისტიური კარის დამტვრევა! დრო და სივრცე მოკვდა გუშინ. ჩვენ უკვე ვცხოვრობთ აბსოლუტში, რადგანაც ჩვენ შევქმნით მარადიული ყოვლისშემძლე სიჩქარე“ (სპექტორი 1997: 33). სიურრეალისტებისგან განსხვავებით კი, ისინი ცდილობდნენ, ხელოვნებაში იმ პარმონის, სინთეზისა და ანალოგებისთვის მიეღწიათ, რომლებსაც „რეალობაში“ უარყოფდნენ. მათი შეხედულებები ასევე განსხვავდებოდა ომთან დამოკიდებულებაშიც. შოვინისტი და აგრესიული ფუტურისტები დიდად აფასებდნენ ომის მანქანებს, მაგრამ სიურრეალისტები დადაისტებთან ერთად პაციფისტები და ანტიშოვინისტები იყვნენ.

პირველი მსოფლიო ომის დროს პარიზში ახალგაზრდა პოეტები, რომელთაც ბედად სიურრეალიზმის შექმნა ერგოთ, მოდერნიზმის გასაოცარმა ფორმობრივმა სიახლეებმა წაახალისა, მაგრამ მალე მათ ფორმის სიახლეზე მეტის ძებნა დაიწყეს. მეტიც, მალე იმედგაცრუებულნიც აღმოჩნდნენ, როცა კომერციული კავშირი იხილეს მოდერნისტ ხელოვანებსა და ბურჟუაზიულ საზოგადოებას შორის, რომელსაც ომისა და იმპერიალიზმის მანკიერებებში აღანაშაულებდნენ. მათთვის ბურჟუაზიულ საზოგადოებაში წარმატება გასაკიცხი იყო. მეამბოხე ახალგაზრდებმა ძალისხმევა მხატვრობასა და პოეზიაში ბურჟუაზიული ღირებულებების დანგრევისკენ მიმართეს. ერთი და იმავე ტიპის ლიტერატურისა და ხელოვნების უარყოფის საფუძველზე

ერთმანეთს დაუკავშირდნენ პოეტები, რომლებმაც ზერეალური და უცნობი სამყაროს კვლევა-ძიება დაიწყეს.

სიურრეალისტები საქმაოდ ბევრს მიიჩნევდნენ საკუთარ წინაპრებად. მათ მიერ აღიარებული ყველა „სპონსორი“ მეამბოხე იყო. ისინი აჯანყდნენ სამყაროს პიპერ-ლოგიკური ხედვის, ქრონოლოგიური აღწერის, ან პერსპექტივაში გამოხატული დროისა და სივრცის მექანიკური აღქმის წინააღმდეგ, იმ კლასიკური იდეის წინააღმდეგ, რომ ხელოვნებამ უნდა მიბაძოს ან ასახოს ხილული რეალობა. როგორც ანა ბალაკიანი აღნიშნავს, ხელოვნებაში ზებუნებრივის წარმოჩენა და მისი განვითარება ნგრევისა და შენების პროცესს მოიცავდა. ნგრევა ხელოვანის მიერ ბუნების აღქმისა და გააზრების შეცვლას გულისხმობდა, ხოლო შენება – გონების ახალი მდგომარეობის შექმნას უკავშირდებოდა. ახალი მდგომარეობა ირაციონალური იქნებოდა და დაეფუძნებოდა ახალ ლოგიკას, რომელიც საწინააღმდეგო ერთეულებს დააკავშირებდა. ეს ხედვა ხელოვნებასა და ლიტერატურაში დამკვიდრებული ბუნების მიბაძვის მეთოდის საწინააღმდეგო პასუხი იყო (ბალაკიანი 1967: 2). სიურრეალისტთა ყველა წინამორბედი წარმოსახვის გათავისუფლებასა და რეალობის საზოგადოდ მიღებული აღქმის შეცვლას ისახავდა მიზნად. ახალგაზრდა მწერლებს მეცხრამეტე საუკუნის პოეზია, საბედნიეროდ, სთავაზობდა რამდენიმე ექსცენტრიულ გენიოსს, რომლებსაც მათი ამბოხისთვის ხელის შეწყობა შეეძლოთ: ლოტრეამონს, ბოდლერს, რემბოს, მალარმეს, სენ-პოლ-რუს. მაგალითად, სიურრეალისტების მსგავსად ლოტრეამონს მტრული დამოკიდებულება ჰქონდა საკუთარი განათლებისადმი. როგორც სპექტორი აღნიშნავს, ლოტრეამონისთვის კლასი იყო ჯოჯოხეთი და ჯოჯოხეთი კი კლასი. ის წერდა: „როცა ლიცეუმში მერხებით გარშემორტყმულ სტუდენტს წლობით მართავენ, ეს საუკუნეებს ჰგავს. დილიდან საღამომდე და საღამოდან დილამდე ცივილიზაციის ნარჩენები გამუდმებით უთვალთვალებენ“ (სპექტორი 1997: 30). ლოტრეამონის „მალდორორის სიმღერები“ („Les Chants de Maldoror“) სიურრეალისტთა თვალში არა მარტო ამბოხის შედევრი იყო, არამედ ფანტასტიური მეტამორფოზებისა და სახეთა წარმოსახვის საოცარი შერწყმით ენის უსაზღვრო შესაძლებლობებს წარმოაჩნედა. მარკიზ დე სადეს, უერარ დე ნერვალს და კომტ დე ლოტრეამონს სიურრეალისტები არა მარტო ლიტერატორებად აღიარებდნენ, არამედ იმ პიროვნებებად, რომლებმაც ადამიანებისთვის მნიშვნელოვანი სიახლეები დამკვიდრეს და რომლებისთვისაც

სიცოცხლე და პოეზია განუყოფელი იყო. სადეს პატივს სცემდნენ, რადგანაც მან გამოიკვლია ადამიანის უბნელესი ინსტინქტები, ნამდვილი და შეუზღუდავი სურვილები, ეროტიკული წარმოსახვები. არტურ რემბო თავისი არარეალური ილუზორული პოეზიით სიურრეალისტთა მისაბაძი მაგალითი გახდა. კარდინალი წერს, რომ ის სთვაზობდა რეალობის „მეორე მხარეს“ გაჭრას და „სიურრეალურში“ შეღწევას, სადაც წარმოსახვები გიტყვებენ. „ზმნის ალქიმიის“ („Alchimie du Verbe“) საშუალებით რემბო „უცნობის მოვლენებს“ ვერბალურად თარგმნიდა. სიურრეალისტები საკუთარ თავებს რემბოს მიერ ნაწინასწარმეტყველებ „საშინელ მუშებს“ უწოდებდნენ (კარდინალი ... 1970: 12). სიურრეალისტებისთვის მისაბაძი ფიგურა იყო გიორგ აპოლინერიც, რომელსაც ანდრე ბრეტონი „ინტელექტუალური ძიების ხორცშესხმას“ უწოდებდა (კარდინალი ... 1970: 13). აპოლინერის მიღწევა იყო, რომ პოეზიამ ყურადღება თანამედროვე ცხოვრებაში დამალურ მითსა და მაგიაზე გაამახვილა. აპოლინერი თვლიდა, რომ მსოფლიო სულ უფრო დანაწევრებული და უკავშირო ხდებოდა, თუმცა ამავე დროს ის არასდროს ყოფილა ასეთი ხელმისაწვდომი ადამიანისთვის რადიოს, ტელევიზორისა და მანქანის წყალობით. რადგანაც ახლა ასეთი ადვილია დაშორებული ადგილების დაკავშირება, პოეტმაც უნდა იჩქაროს და შეაერთოს მისი წარმოსახვის სხვადასხვა ელემენტი. სწორედ აპოლინერის სახელს უკავშირდება სიტყვა „სიურრეალიზმის“ წარმოშობა. ეს სიტყვა პირველად მან იხმარა, როდესაც 1917 წელს თავის პიესას „ტირესიას მკერდი“ („Les Mamelles de Tirésias“) სიურრეალისტური დრამა უწოდა (ვალდებულები 1978: 11). აპოლინერი, პარიზული აგანგარდის ლიდერი, თავისი მაგალითით, როგორც მეოცე საუკუნის ბოდლერი, დაქმარა ბრეტონს, პარიზის ქუჩებში აღმოეჩინა „თანამედროვე ცხოვრების იდეა“. აპოლინერი სიურრეალისტთა მსგავსად დაინტერესებული იყო სიგიჟით, სულიერად ავადმყოფთა ნაწერებით და ნახატებით. ის სიურრეალისტებზე ადრე, უკვე 1914 წელს, მიმართავს ფსიქოანალიზს (სპექტორი 1997: 34).

ყველა ამ მიმდინარეობამ, მწერალმა და მათ მიერ დანერგილმა სიახლემ თავისი წვლილი შეიტანა, პოეზია უფრო მეტად ჩაკეტილი და ჩვეულებრივი მკითხველისთვის რთული გამხდარიყო. კარდინალისა და შორთის მიხედვით, მიუწვდომლის წვდომის მცდელობამ ენა გარკვეულ ზღვართან მიიყვანა და საბოლოოდ, პირველი მსოფლიო ომის შუა ხანებში, ერთგვარი ტრიუმფალური უაზრობის სახით დადაიზმი გამოჩნდა (კარდინალი ... 1970: 13). ანდრე ბრეტონი

და ლურ არაგონი ომის შემდეგ დამოუკიდებლად მივიდნენ დადაისტების მსგავს მოსაზრებებამდე და 1919 წელს შეუერთდნენ კიდეც მათ. თავდაპირველად 1920-22 წლებში დადა და სიურრეალიზმი არ განირჩეოდა. მომავალი სიურრეალისტებისთვის დადა ნეგატიური აზროვნების კარგი მასწავლებელი აღმოჩნდა. დადაისტები სიურრეალისტთა მეამბოხე მიმდინარეობისთვის ახალი იდეების მნიშვნელოვან წყაროდ და სტიმულად იქცნენ. დადა იყო პირველი აღმფოთება ომის ხანგრძლივ სისასტიკეში დასავლური ლირებულებების გაუფასურების გამო. დადაისტებს სჯეროდათ, რომ ახალი დასაწყისი მხოლოდ სრული განადგურების, სიყალბისა და პირფერობის უსარგებლო ნაშთების გაწმენდის შემდეგ იქნებოდა შესაძლებელი. სიმართლის ხელოვანი ვერ იქნებოდა შემწყნარებელი ომის გამჩადებელთა სამყაროსადმი, წესრიგისა და სილამაზის მათეული ცარიელი გააზრებისადმი. 1922 წელს ერთ-ერთ ლექციაზე ძარა ამბობდა, რომ დადაიზმის საწყისები სიძულვილის საწყისები იყო და არა ხელოვნების. ეს იყო დასაწყისი სიძულვილისა იმ ფილოსოფოსთა მიმართ, რომლებიც სამი ათასი წლის მანძილზე უხსნიდნენ კაცობრიობას ყველაფერს (ძარა 1977: 112). სიურრეალისტები ბევრ საკითხში ეთანხმებოდნენ დადაისტებს. თუმცა იყო განსხვავებებიც; ისინი ხელოვნებას საზოგადოებაში არსებული ბოროტებისა და შეზღუდვების საწინააღმდეგო იარაღად მიიჩნევდნენ; დადაიზმისგან განსხვავებით, სიურრეალიზმმა სცადა, ყოველდღიური ხილული რეალობისგან განსხვავებული, ახალი და უფრო ღრმა რეალობა გამოევლინა ისეთი ახალი ფორმებისა და სახეების შექმნით, რომლებიც გონების კარნახით კი არა, სიგიურის მიბაჭვით იქნებოდა შექმნილი (აპსენი 1992: 14). დადაისტებმა საკუთარი არსებობის არსად კულტურის განადგურება აქციები, სულ მცირე – ლიტერატურისა და მხატვრობის მაინც. ისინი უარყოფდნენ ლიტერატურულ ტრადიციებს, ფორმებსა და ნორმალური მეტყველების წესებსაც კი, მათი აზრით, ყოველივე ეს ზღუდავდა და ამახინჯებდა მენტალური რეალობის რთულ სინამდვილეს. გონების რეალური მოქმედება ზედმეტად ცვალებადი და სპონტანური იყო იმისთვის, რომ დაფიქსირებულიყო ან გაყინულიყო მუდმივ ფორმაში. ამასთან, გონების ყველა პროდუქტი, ყველაზე გაუგებარი ბოდვიდან და ოცნებიდან დაწყებული ამაღლებულ აზრებამდე, ერთი ლირებულების იყო (კარდინალი ... 1970: 16). აქედან გამომდინარე, ნამდვილი პოეტები, რაც უფრო ერთგულნი იყვნენ საკუთარი თავის, მით უფრო ნაკლებად აინტერესებდათ, რას

წერდნენ. ნამდვილობამ დაანგრია ხელოვნება. ნამდვილ დადაისტს ორი გულწრფელი არჩევანი პქონდა: თვითმკვლელობა ან სიჩუმე.

III. ექსპერიმენტები არაცნობიერზე – საფუძველი სიურრეალიზმისთვის

სიჩუმე დაარღვია ანდრე ბრეტონისა და ფილიპ სუპოს მიერ ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა, რომლებიც ამტკიცებდა, რომ გონების თავისუფალი მოქმედება აუცილებელად შემთხვევითი და აბსურდული როდი იყო. როგორც პაპანიკოლასი წერს, არაცნობიერის, როგორც გათავისულების საშუალების, კვლევით დადაისტებიც იყვნენ დაინტერესებული. თუმცა, მათთვის ინტერესის მთავარი საგანი ყველა არსებული და პოტენციური სისტემის დანგრევის შანსი იყო, სიურრეალისტებს კი ახლის შექმნისათვის კატალიზატორის აღმოჩნდა აინტერესებდათ (პაპანიკოლასი 2003: 47). მალე აზრთა სხვადასხვაობის გამო, სიურრეალისტები დადაიზმს საბოლოოდ გაემიჯნენ. ასე რომ, სიურრეალისტთა გზაზე დადაიზმი მოკლე მონაკვეთი იყო. ბრეტონი, არაგონი და ელუარი ბენჯამენ პერესთან და რობერტ დესნოსთან ერთად სიურრეალიზმის პირველი მანიფესტის გამოქვეყნებამდე ბევრად ადრე დაინტერესდნენ არაცნობიერიდან მენტალური სახეების გამოწვევით, რომელთა გამოვლენასაც ავტომატური წერის ტექნიკით ნახევრადცნობიერ მდგომარეობაში ცდილობდნენ. პაპანიკოლასი თვლის და მარგარეტ ბონეს მოსაზრებასაც იმოწმებს, რომ ავტომატიზმის გამოყენების ადრეული მაგალითები ამტკიცებს ბრეტონისა და მისი კოლეგების მიერ სიურრეალიზმის დადასთან თანამშრომლობის დაწყებამდე აღმოჩნდას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დადაიზმს სიურრეალიზმის გენეზისთან კავშირი არ პქონდა (პაპანიკოლასი 2003: 38).

ყველაფერი დოქტორ ჟან-მარტენ შარკოს მიერ ისტერიის კვლევით დაიწყო. სიურრეალისტების მეცხარამეტე საუკუნის პოეტური აღმოჩნდებით გატაცებას თან დაერთო შარკოს სამეცნიერო შრომა, რომელიც საოცრად პარმონიულად ეთვისებოდა მათ ახალ პოეტურ მიმართებებს. ბრეტონი დაინტერესდა ისტერიით შეპყრობილთა სურათებითა და შარკოს ლაბორატორიაში ჩატარებული კვლევებით. მისი აზრით, ეს დიდებული ფოტოები იძლეოდა კავშირს მედიცინას, ხელოვნებასა და მისტიციზმს შორის (აჭანი 1992: 4). შარკოს ნაშრომში „გაკვეთილები ნერვული სისტემის დავადებათა შესახებ“ („Lecons sur les maladies du systeme nerveux“) განხილულმა ისტერიის შემთხვევებმა

ისეთივე სახის უწესრიგობა გამოავლინა, რომლის მიღწევასაც სიურრეალისტები მოგვიანებით ცდილობდნენ. პოეტები ისტერიის შარკოსეუილ ხედვას ეთანხმებოდნენ და თვლიდნენ, რომ შეშლილობის ყველა ფორმა მიბაძვას იმსახურებდა და მათი სიმულაცია შეიძლება ახალ პოეტურ დოქტრინად ქცეულიყო. 1928 წელს შარკოს კვლევის მნიშვნელობის აღსანიშნავად სიურრეალისტებმა ისტერიის თხუთმეტი წლისთავი აღნიშნეს. „La Revolution Surrealiste“-ის XI ნომერში კი მისი შრომის შესახებ არაგონი და ბრეტონი წერდნენ, რომ ეს იყო XIX საუკუნის „უდიდესი პოეტური აღმოჩენა“ (ბალაკიანი 1967: 14).

ბრეტონი, სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტი და ამავე დროს ისტერიით დაინტერესებული ახალგაზრდა პოეტი, მოხალისედ მსახურობდა პირველ მსოფლიო ომში და შეშლილობაზე დაკვირვების საწარმოებლად შესაფერის გარემოში აღმოჩნდა. აქსენი თვლის, რომ ამან გამოიწვია დიდი სურვილი გამოეკვლია შეშლილობა და პოეზიისთვის ახალი ბრძოლის ახალ მოტივად აქცია (აქსენი 1992: 7). ჯერ კიდევ 1919 წლამდე ანდრე ბრეტონმა და ფილიპ სუპომ საკუთარ ექსპერიმენტებში ავტომატური წერის ფსიქიატრიული ტექნიკა გამოიყენეს. შედეგად მიღებულმა ტექსტებმა, რომლებსაც მოგვიანებით „მაგნიტური ველები“ („Champs magnétiques“) უწოდეს, აჩვენა, რომ ცნობიერი კრიტიკული კონტროლის უარყოფა უმიმართულებო უწესიგობას კი არ გვაძლევდა, არამედ შეეძლო, საკმაოდ შინაარსიანი სახეების დინამიკური დინება შეექმნა. არაცნობიერ ნაკადზე მინდობა აუცილებლად როდი გულისხმობდა ქაოსს და, შესაბამისად, ამ სფეროში ჩატარებული კვლევებიც არ გულისხმობდა ხელოვნებისადმი დამამცირებელ დამოკიდებულებას. კვლევები უფრო სამეცნიერო ექსპერიმენტის ხასიათს ატარებდა და ერთგვარი თვითაღმოჩენის ინსტრუმენტი იყო, მაგრამ სიურრეალისტები იმედგაცრუებულნი დარჩნენ მათ მიერ გაგზავნილ „მაგნიტურ ველებზე“ ფროიდის პასუხით და ლიტერატურულ წრებში ნაშრომისადმი გამოვლენილი არც თუ დიდი ყურადღებით (პოლიზოტტი 2003: 15). თუმცა, რაც გინდა ყოფილიყო, ეს აღმოჩენები პოეტებს მოსვენებას ადარ აძლევდა. სიურრეალისტები თვლიდნენ, რომ ეს გენიალური სული იყო. სიურრეალისტები არასდროს უარყოფდნენ, რომ ფროიდთან ვალში იყვნენ, რადგანაც სწორედ მან აღმოაჩინა არაცნობიერი, როგორც სფერო, სადაც ცნობიერი აზრების ნამდვილი მიზეზი შეიძლება მოძებნილიყო. ფროიდმა აჩვენა, რომ ცნობიერი გონება საუბრობდა კოდირებული ენით, რომელიც უფრო

ლრმა მნიშვნელობას ატარებდა. ცნობიერი ქმედებები შესაძლოა უცნობი და ხშირად შემაშფოთებელი მოტივაციების შედეგი ყოფილიყო. მან მიაგნო პირველადი ენის წყაროს, რომელიც არ იყო ამოწურული და გაუფასურებული და რომელსაც ჯერ არ განეცადა სიმბოლოსა და აღსანიშნს შორის ფატალური დაშორება (კარდინალი... 1970: 17). მაგრამ სიურრეალისტებს უფრო მეტად აინტერესებდათ სიზმრების შინაარსის გამოვლენა, ვიდრე მათი კლინიკური ინტერპრეტაცია.

IV. არაცნობიერი სურვილების გამოვლენა და ავტომატიზმზე დამყარებული სიურრეალისტური რევოლუცია

სიურრეალიზმი რეალობის მოუთმენელი დაკითხვა იყო და სამყაროს შესახებ ყველა მიღებული იდეისა და არასრული ცნობიერის მიერ შექმნილი ხილული რეალობის ეჭვქვეშ დაყენებით ცხოვრების შეცვლის მცდელობა იყო. სიურრეალიზმი გვაცნობს ფიქრისა და ქცევის ახალ ფორმას იმ იმედით, რომ მან შეიძლება ცნობიერების რევოლუციამდე მიგვიყვანოს, რომელიც გაათავისუფლებს ადამიანში დასავლური ცივილიზაციის მიერ ჩახშულ ძალებს. მისი ძირითადი მიზანი იყო სურვილის უნივერსალური აღიარება. სიურრეალიზმში სურვილი აღნიშნავს ადამიანში არსებულ ყველა ძალას, რომელთა განხორციელება აღკვეთილია ცნობიერი კონტროლითა და სოციალური გარემოებებით. სიურრეალიზმის მიზანი იყო შეგავებული სურვილის გამოვლენა. პირველ რიგში ის ინსტინქტების დონიდან ცნობიერების დონემდე სურვილის ამოყვანის საშუალებებს ეძებდა, ანუ სურვილი არაცნობიერი მდგომარეობიდან ცნობიერ მდგომარეობაში უნდა გადასულიყო. ეს არის არსებითი ეტაპი ადამიანის სურვილების გასაგებად. შემდეგ კი ხდება მათი რეალიზება, ობიექტურ პირობებში სუბიექტური სურვილის შესრულება. სიურრეალისტთა აზრით, ამ თრ ეტაპს შორის არ იყო დაშორება, როგორც ეს საზოგადოდ მიიჩნეოდა. სურვილის მოძრაობით სიურრეალისტთა დაინტერესება მათ ყურადღებას არაცნობიერი გონების მოქმედებაზე ამახვილებდა, როგორც სფეროზე, სადაც სურვილებზე დაკვირვება საწყის ფორმაში შეიძლებოდა. ამდენად, ისინი ყურადღებას აქცევდნენ არაცნობერი გონების ყოველ გამოვლინებას ყოველდღიურ ცხოვრებაში. ადამიანის ცნობიერ გონებას გამუდმებით უტავს სურვილები არაცნობიერიდან. შეცდომები საუბრისას,

დაუფიქრებელი საქციელი, ჟესტები, მოულოდნელი და აუხსნელი კაპრიზები, ექსპრომტად მიღებული გადაწყვეტილებები – გამოხატვის ის ფორმებია, რომელსაც არაცნობიერი მიმართავს. სიურრეალისტები დარწმუნებული იყვნენ, რომ უამრავი ინფორმაციის მიღება შეიძლებოდა არაცნობიერიდან და ამიტომ ყველაფერს აკეთებდნენ, არაცნობიერისთვის მეტი გამოვლინების საშუალება რომ მიეცათ. ერთგვარ გახსნილ მდგომარეობაში წერა და ხატვა შეზღუდვებს ანგრევდა და შინაგან გონებას თავისუფლად გამოვლინების საშუალებას აძლევდა.

სიურრეალიზმი განსაკუთრებულ ფუნქციას ანიჭებდა სურვილს. სურვილი იბადება ადამიანის ყველაზე ინტიმური მიღრეკილებებიდან და მისი ყველაზე პიროვნული მეს გამოხატულებაა. სურვილის თავისუფალ ბატონობას რომ მივაღწიოთ, ნამდვილობის შეგრძნება უნდა ჩაერთოს ცხოვრებაში. მხოლოდ იმ ადამიანს შეუძლია თქვას, რომ თავისუფლია, რომელსაც შეუძლია შეიცნოს საკუთარი სურვილები. თავისუფლება არის სურვილის სიურრეალისტური გააზრების ბუნებრივი შედეგი. სინამდვილეში სიურრეალიზმი თავისუფლების სრულ ფილოსოფიას გვთავაზობდა. მისი მიზანი სურვილის სრული ავტონომია იყო და გამუდმებით ეძებდა ასეთი თავისუფლების მიღწევის საშუალებებს. კარდინალი თვლის, რომ სიურრეალისტთა დამოკიდებულება სიყვარულისადმი, გონებაგაფანტულობის მომენტებში ენის ფუნქციისადმი, ავტომატური წერის გამოყენება, ინტერესი სიგიჟისადმი, ბავშვთა და პირველყოფილათა მენტალური მდგომარეობისა და ოკულტიზმისადმი მათ მთავარ მიზანს – ადამიანის დაკარგული ძალების აღდგენას უკავშირდებოდა (კარდინალი ... 1970: 35). სიურრეალისტთათვის ყველაზე სასურველი მდგომარეობა იყო, როცა ადამიანი ერთსა და იმავეს ხედავდა გონების თვალითაც და რეალურადაც. ეს მდგომარეობა სურვილის რეალიზებას უწყობდა ხელს, ხედვის ახალი ფორმა საშუალებას აძლევდა შინაგან ფორმებს, გატოლებოდნენ გარეგანს. ადამიანს შეეძლო სრულად და ნამდვილად აღექვა ის, რასაც აღიქვამდა.

სიურრეალისტებისთვის პიროვნების გათავისუფლების მიზანი თანდათან ადამიანთა გონების გათავისუფლებამდე გაიზარდა. პირად თავისუფლებას უნდა მოეცვა საზოგადოების თავისუფლებაც. თვლიდნენ, რომ არტურ რემბოს „ცხოვრების შეცვლის“ პრინციპი უნდა განვრცობილიყო მარქსის „სამყაროს ტრანსფორმაციით“. რატომ არ უნდა გამხდარიყო ხელოვნება გარემოებების შეცვლის საშუალება? სიურრეალისტური რევოლუცია შეეხებოდა სოციალურ

ლირებულებებს, რევოლუცია, რომელიც გახდიდა ცხოვრებას უფრო ლამაზსა და ნამდვილს. ბრეტონი ამტკიცებდა, რომ ადამიანში იყო პოტენციალი, რომელიც ასეთ ცვლილებას მოახდენდა, მას შეეძლო, მთლიანად თავის თავს მიკუთვნებოდა. სიურრეალიზმი უარს აცხადებდა იმ საზოგადოებასთან შერიგებაზე, რომელშიც საშინელი წინააღმდეგობა იყო სიზმრისა და სიფხიზლის რეალობას, სიყვარულსა და სიძულვილს, გონიერებასა და უგუნურებას, ჯანსაღ გონებასა და სიგიჟეს, რეალურსა და არარეალურს შორის. მედდოქსი აღნიშნავს, რომ სიურრეალიზმი ყოველთვის ცდილობდა, გადაელახა წინააღმდეგობი, გაეერთიანებინა დაშორებული რეალობები, რათა იმ ზეწოლიდან თავის დაღწევის საშუალება ეპოვა, რომელიც ცხოვრების დანაწევრებას ცდილობდა (მედდოქსი 1996: 12). ვალდებული მოჰყავს ციტატა სიურრეალიზმის მეორე მანიფესტიდან, სადაც ბრეტონი წერს: „ყველაფერს მივყავართ რწმენამდე, რომ გონებაში არსებობს წერტილი, რომლიდანაც სიცოცხლე და სიკვდილი, რეალური და წარმოსახული, წარსული და მომავალი, მაღალი და დაბალი, გადმოცემადი და გადმოუცემელი ერთმანეთის საწინააღმდეგოდ აღარ გვევლინება“²⁴ (ვალდებული 1978: 43).

შინაგანი იმპულსებისა და მითითებების ობიექტური ასახვის მიღწევის საუკეთესო გზად მხატვრული გამოხატვა რჩებოდა. ის ეხმარებოდა სიურრეალისტებს, საკუთარი თავი გამოეკვლიათ და საკუთარი საიდუმლო სურვილები შეესრულებინათ. ხშირად არაცნობიერი ელემენტების სიტყვებით ან სურათებით გამოხატვის პროცესი საკმაოდ თვითდამაკმაყოფილებელი იყო, რადგანაც სურვილები კმაყოფილდებოდა, როდესაც ისინი აუთენტურად იყო გამოხატული. სიურრეალიტური წარმოსახვის ახალი სამყარო ესკეიპისტური ფანტაზიები კი არ იყო, არამედ – რეალობის გამდიდრება. თუ კარდინალის შედარებას გამოვიყენებთ, ის წარმოსახვები ადამიანის ცნობიერების „შინაგან სამყაროში მოგზაურობის ჩანაწერებს გვთვაზობდნენ“ (კარდინალი ... 1970: 114). ავტომატიზმი ყველაზე კარგად ცნობილი მეთოდია, რომელსაც სიურრეალისტები არაცნობიერის რესურსების გამოვლენისთვის იყენებდნენ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბრეტონი პირველ მანიფესტში სიურრეალიზმს განმარტავდა როგორც „სუფთა ფსიქიკურ ავტომატიზმს [...] ნებისმიერი ცნობიერი კონტროლის გარეშე“ (ბრეტონი 1924: 36). თუმცა მოგვიანებით მიხვდა,

²⁴ ასევე იხ.: ბრეტონი 1962.

რომ განსაზღვრება სრულყოფილი არ იყო, როცა საქმე პოეტურ ქმნილებას ეხებოდა. ნამუშევრის დასასრულებლად ცნობიერი კონტროლის ელემენტი იყო საჭირო, აღმოჩენის რეალიზება რომ მომხდარიყო. მართალია, სიურრეალიზმში აღმოჩენის ძირითად მეთოდად სუფთა ავტომატიზმს თვლიდნენ, მაგრამ მოგვიანებით ცნობიერის ჩარევის საჭიროებაც აღიარეს. ნაწარმოებში რეალობის ასახვისთვის მხოლოდ ავტომატური მუშაობის გაგრძელება აღარ იყო საკმარისი. როგორც კონტრო მედდოქსი აღნიშნავს, როცა სახე ნაპოვნი იყო, მაშინ უკვე შესაძლებელი იყო მისი ნამუშევარში დატყვევება და უფრო მეტად ცნობიერი ფორმით განვითარება (მედდოქსი 1996: 13-14). გერმეინი თვლის, რომ „წმინდა ფსიქიკური ავტომატიზმი“ („Pure Psychic Automatism“) თითქმის შეუძლებელია, რადგანაც არაცნობიერი ელემენტების ცნობიერი ელემენტებისაგან სრული იზოლირება ვერ მოხერხდება. ამის დასტურად მოჰყავს ბრეტონის სიტყვები „სიურრეალიზმის მანიფესტიდან“, სადაც განმარტავს, როგორ მიმდინარეობს ავტომატური წერის პროცესი: „პირველი წინადადება სპონტანურად მოვა. [...] მაგრამ გარკვეულ პრობლემას ქმნის მეორე წინადადების ჩამოყალიბება. აქ უკვე უეჭველად ცნობიერი ქმედებაც მონაწილეობს“²⁵ (გერმეინი 1986: 76).

V. სიურრეალიზმი – კოლექტიური გამოცდილება

სიურრეალისტთა ჯგუფის აღსაწერად შესაბამისი სიტყვის შერჩევაც საკამათო იყო: „სექტა“, „პარტია“, „კლანი“. ერთ დროს ჯგუფი თავის თავს კრიმინალურ ბანდად ან დამნაშავეთა ჯგუფადაც აღიქვამდა. თუმცა „სკოლა“ უკეთესი იქნებოდა. ჯგუფის წევრობა არ იყო შეზღუდული, პოეტებისა და მხატვრების გარდა აქ იყვნენ ექიმები, იურისტები, ჟურნალისტები, მასწავლებლები და სტუდენტები. სიურრეალიზმში საკუთარი წვლილის შესატანად არ იყო სავალდებულო ყველას ფუნჯი და კალამი აედო ხელში. თითქოს სიურრეალიზმია ახალი სახის გაერთიანება შექმნა. ბრეტონი ხშირად საუბრობდა სიურრეალისტურ ციხესიმაგრეზე, რომელშიც დემორალიზაციის სული სახლობდა. სიურრეალისტური ჯგუფი „ჩაკუტილი“ ხასიათის გამო ერთგვარ ლაბორატორიად იქცა ყველა სახის კოლექტიური ექსპერიმენტისთვის (კარდინალი ... 1970: 115). პიპნოზური მონოლოგების კალება, იდეებისა და

²⁵ ასევე იხ.: ბრეტონი 1969, გვ. 30.

სიზმრების გაზიარება ნიშნავდა, რომ სიურრეალისტები ურთიერთობდნენ როგორც რაციონალურ, ისე არაცნობიერ დონეზე. თუმცა მცირე იყო ტელეპატიური კავშირის შემთხვევები.

მიუხედავად ზოგიერთი სიურრეალისტის პერსონალური დიდებისა, უნდა აღინიშნოს, რომ სიურრეალიზმი ყოველთვის კოლექტიური გამოცდილება იყო. სიურრეალისტური ცხოვრება ნიშნავდა საერთო ფსიქიკის, ეთიკური და ესთეტიკური მოსაზრებების გაზიარებას. ჯგუფში მიღწეული იყო ეფექტური თანამონაწილეობა, რაც ანგრევდა ბარიერებს პირად და საერთო ქმედებას შორის. თვითონ ჯგუფი კიდევ ერთი მაგალითი გახდა საერთო სიურრეალისტური მცდელობისა, მიეღწიათ საწინააღმდეგო ერთეულების სინთეზისთვის. საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ ავტომატური წერის ექსპერიმენტებსაც კოლექტიურად ატარებდნენ. სიურრეალისტები თავს დიდად არ იწუხებდნენ პირადი ქმედებების კოლექტიური მოქმედებისგან გამოყოფით და სიურრეალისტური ნაწერების მნიშვნელოვანი ნაწილი თანამშრომლობის ნაყოფი იყო.

სიურრეალისტები ძირითადად პარიზის კაფეებში (მაგ.: „სენტრა“, „სირანო“, „პლას ბლანში“) იკრიბებოდნენ. შეკრებები ხშირად დღეში ორჯერ ხდებოდა და განიხილებოდა სხვადასხვა საკითხი, აქვე იწერებოდა ბევრი ცნობილი წერილი. თუმცა ჯგუფური ცხოვრება მარტო კაფეებში შეხვედრებით არ შემოიფარგლებოდა. ადრეულ წლებში ისინი დიდი ქალაქის მისტერიების გამოსაკვლევად გარკვეულ ადგილებში სეირნობდნენ. ხშირად სტუმრობდნენ ლუნა პარკს პორტ მაიოში, რათა მისტერიების ლაბირინთები გადაეკვეთათ. სიურრეალისტები ძირითადად ერთმანეთთან ახლოს ცხოვრობდნენ (მაგ.: ფონტენის, ბლომეს და შატოს ქუჩებზე), ხშირად დასასვენებლადაც ერთად მიდიოდნენ ისეთი ადგილების საძებნელად, სადაც ზერეალურს მიაგნებდნენ.

მართალია, სიურრეალიზმი კოლექტიური გამოცდილება იყო, მაგრამ მაინც გვინდა ხაზი გავუსვათ ანდრე ბრეტონის როლს ჯგუფის ცხოვრებასა და, ზოგადად, მიმდინარეობის განვითარებაში. მას ხშირად სიურრეალიზმის პაპს, მოციქულს ან არბიტრს უწოდებდნენ. განსაკუთრებული უნარებით დაჯილდოვებულს ყველა ის თვისებაც ჰქონდა, რაც ლიდერს სჭირდებოდა. მას განსაკუთრებული გავლენა ჰქონდა ახალგაზრდა პოეტებზე; მასთან ურთიერთობისას ისინი რწმუნდებოდნენ, რომ სამყაროს ცვლილება სჭირდებოდა. ბრეტონი თვლიდა, რომ პოეზიის ფუნქცია ანუ „ცხოვრების

შეცვლა“ არა მარტო ცხოვრებისა და გარემოს ზოგადი პირობების, არამედ ადამიანის ცხოვრების წესის შეცვლას გულისხმობდა. ბრეტონის მიერ შექმნილი ნაწარმოებიც ამ მოსაზრებებს გამოხატავს, რადგანაც მისთვის არ იყო ბარიერი ცხოვრებასა და ნაწერებს შორის. „ცხოვრების შეცვლის“ მიზნის მისაღწევად საჭირო მიმართულებით წარმართავდა ის ჯგუფის ცხოვრებასაც. მან ჯგუფის ლიდერის როლი იკისრა სიურრეალისტური ძიების რთულ პროცესში.

VI. სიურრეალისტური ცხოვრების წესი

ზევით აღვნიშნეთ, სიურრეალიზმის მიზანი იყო ადამიანის გათავისუფლება არსებული შეზღუდვებისგან, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სიურრეალისტური ცხოვრება ამორალიზმს გულისხმობდა. ბრეტონი აცხადებდა, რომ არაფრით გატაცება არ იყო ისეთი საშიში როგორც თავისუფლებით. 1924 წელს პირველ მანიფესტში თავისუფლებას ასე განმარტავდა: „ყველანაირი ესთეტიკური და მორალური ცრურწმენების გარეთ“ ყოვნა (ბრეტონი 1924: 14). თუმცა მოგვიანებით ეს განმარტება შეცვალა და დააზუსტა, რომ მხოლოდ „ცნობიერ ესთეტიკას“ ან „საზოგადოდ მიღებულ“ მორალს გულისხმობდა (ბრეტონი 1924: 32). სინამდვილეში, სიურრეალიზმი მოითხოვდა თავისებურ მორალურ სისუფთავეს მისი მიმდევრისგან. სწორედ ამას მოწმობს ციტატა არაგონის ლექციიდან: „ერთმანეთს მიუგდეს საკუთარი თავი, ერთმანეთის სულის სიმდაბლისა თუ კეთილშობილების პირისპირ აღმოჩნდნენ. ახლა მათ იციან, რომ ისინი სუფთა არიან, რომ რაღაც აკავშირებთ, რაც ვერ დაიშლება“ (კარდინალი ... 1970: 121). სიურრეალისტთა თავისუფლებისა და მორალისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით საინტერესოა ლუ არაგონის წერილი „მორალური მეცნიერება: თქვენთვის უფასოდ“ („Ethical Science: Free to You!“), რომელიც 1925 წელს „სიურრეალისტურ რევოლუციაში“ დაიბეჭდა. არაგონი აკრიტიკებს „მმართველ ფილოსოფოსებს“ და საუბრობს თავისუფლებასა და მორალზე, რომლებიც მათ ლექსიკონებში არსებობს, თუმცა ამ სიტყვების განმარტება არც კი შეეძლოთ. ის წერდა: „არ არის მორალი, გარდა ტერორის მორალისა, თავისუფლება გარდა სასტიკი მმართველი თავისუფლებისა. [...] ადამიანი არის თავისუფალი, მაგრამ არა ადამიანები. არ არის საზღვრები ერთის თავისუფლებისთვის, მაგრამ არ არის თავისუფლება ყველასათვის. ყველა ცარიელი ცნებაა, უცნაური აბსტრაქცია; ერთი საბოლოოდ აღმოჩნდეს

დაკარგულ თავისუფლებას და აქ მთავრდება კაცობრიობის სოციალური ისტორია“ (ვალდებერგი 1978: 53).

სიურრეალისტებს უფრო დირსეულად მიაჩნდათ ეცხოვრათ მემკიდრეობით მიღებული ქონებით ან მათხოვრობით ან სულაც ცოლად მდიდარი ქალის შერთვით, ვიდრე რეგულარული სამსახური ჰქონდათ. ისინი იცავდნენ სიურრეალიზმის მთავარ დოგმებს: სურვილის აღიარება თავისუფლებას მოითხოვდა, მხოლოდ თავისუფალ ადამიანს შეეძლო ყოფილიყო შემთხვევის განკარგულებაში. მხატვრული შთაგონება და გამბედაობა ქრებოდა როგორც კი ხელოვანი ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილებას ეცდებოდა. სიურრეალისტები მკაცრები იყვნენ მათ მიმართ, ვინც მიმდინარეობის რესურსებს საიდუმლოდ გამოიყენებდა საკუთარი კარიერის მოსაწყობად (კარდინალი ... 1970: 122).

როგორც კონროი მედდოქსი აღნიშნავს, სიურრეალისტისთვის ყველაფერი გამომდინარეობდა იმ ადგილიდან, რომელსაც ხელოვნება იკავებდა მის ცხოვრებაში. ხელოვნება თავის ფუნქციას დაკარგავდა თუ მას ყოველდღიური ცხოვრების პრობლემებისაგან გააცალკევებდნენ. სიურრეალისტებმა რომის პაპსაც კი მისწერეს წერილი თხოვნით, „მამაო ჩვენოს“ ბოლო სტრიქონი შემდეგნაირად შეეცვალა: „მოგვეცი დღეს ჩვენი ყოველდღიური სიურრეალიზმი“ (მედდოქსი 1996: 11). სიურრეალისტებისთვის წარმოსახვაში ყველაზე მეტად ამაღლებული ზერეალური გამათავისუფლებელი ძალა იყო. ისინი გარშემორტყმული იყვნენ უხილავი ძალებით, რომლებიც გამოვლენას ითხოვდნენ ვიზუალურად თუ ვერბალურად. მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ სიურრეალურის დანახვა მრავალი კუთხიდან შეიძლებოდა. ასეთი ხედვის შედეგად რეალობის მრავალ ისეთ ასპექტს აღმოაჩენდნენ, რომლებიც ცალსახა ბანალური ხედვის გამო იმაღლებოდა. აღმოჩენილი ყველაზე მცირე ელემენტიც კი უამრავ შეკითხვას ძადებდა. ისინი თვლიდნენ, რომ სიურრეალიზმი ჩვენ გარშემოა და ყველაფერი, რაც ადამიანს მოულოდნელად ან წარმოუდგენლად მიაჩნია, ჩვეულებრივია სიურრეალიზმის პრინციპისთვის. სიურრეალიზმა წარმოშვა ქალაქის ცხოვრების ახალი აღქმაც, რომლის მაგალითიც პარიზი იყო. სამშენებლო მოედნები, მაღაზიის ვიტრინები, საგზაო ნიშნები, გაზეთების სათაურები, მაღაზიების აბრები და ა.შ. სიურრეალისტურ მნიშვნელობას იძენდა, თუ შესაბამისი კუთხიდან შეხედავდნენ. სიურრეალიზმა აჩვენა, რომ ზერეალური შეიძლება იყოს პოეზიასა და ნახატებში, მაგრამ ასევე ქუჩაც

თანასწორი მნიშვნელობის ადგილი იყო აღმოჩენებისთვის. შორთისა და კარდინალის მიხედვით, დილით მეტროთი მიმავალი ბრეტონისთვის მუშათა მატარებლები ნამდვილი ორგის სცენა იყო. არაგონის აზრით კი, თანამედროვე ცხოვრების ნებისმიერი ასპექტი პოტენციურად ზერეალური იყო, მაგალითად, ნაგორის ტუმბოები თანამედროვე მისტიკიზმის ნამდვილ ტოტემებს წარმოადგენდა (კარდინალი ... 1970: 55). პარიზის გარკვეულმა ადგილებმა (მაგ.: ბუტ-შომონის პარკმა, სენ-ჟაკის კოშკმა) „რჩეულის“ სტატუსი შეიძინეს როგორც ზერელურთან მიახლოვების განსაკუთრებული უნარის მქონე ადგილებმა.

VII. სიურრეალისტური კვლევა

ა. საკუთარი თავის ძიება

სიურრეალიზმი მუდმივი ძიება, ადამიანის არაცნობიერის კვლევა და ნამდვილი შეუზღუდავი აზრების პოვნა იყო. სიურრეალისტები ყველგან და ყველაფერში ეძებდნენ და იკვლევდნენ ზერეალურს. მათვის ნებისმიერი არაამაღლებული კონტექსტი შეიძლება ზერეალიურის წვდომის წყარო ყოფილიყო. პირველ რიგში, ეს სიურრეალისტური ძიება საკუთარის ნამდვილი მეს ძიებას გულისხმობდა. საკუთარი ტექსტებითა და ნახატებით სიურრეალისტები იკვლევდნენ პიროვნების გახდებას, ფრაგმენტული სახეებით ხატავდნენ წინააღმდეგობებს. აქედან გამომდინარე, საინტერესო იყო პირტოტეტების შექმნის მეთოდები. მათი ხედვით, პიროვნება არ იყო ერთი მთლიანი, ის შედგენილი იყო და მასში წინააღმდეგობები და კონფლიქტები ერთიანდებოდა. ადამოვიჩი ყურადღებას ამახვილებს ბრეტონის რომანზე „ნაძია“ („Nadja“). ნაწარმოების დასაწყისში ის სვამს კითხვას: „ვინ ვარ მე?“. ნაწარმოების ტექსტი ერთგვარი მონტაჟია მსჯელობის ნაკადის, რომელშიც საკუთარი პიროვნების შემადგენელ ნაწილებს გამოხატავს. საკუთარი თავის ძიებას მუდმივად ჩაენაცვლება სხვისი ძიება ანუ კითხვა – „ვის ვეძიებ?“. ამიტომ ბრეტონი საკუთარ თავს წარმოადგენდა რთული არსების სახით, რომელიც მოიცავდა თავის თავსაც და სხვასაც ანუ „საკუთარი თავი სხვაში და სხვა საკუთარ თავში“ (ადამოვიჩი 1996: 41-42). როგორც ფილიპ ოდუანი წერს: „ვინ არის „მე“, ვინ „ვარ“ სხვა?“ (ოდუანი 1971: 18).

ბ. ენა

სიურრეალიზმის კვლევის ერთ-ერთი მთავარი სფერო იყო ენა. ის იყო საშუალება, რომლითაც არაცნობიერი ვერბალურ გამოხატვას აღწევდა. „ენა მიეცა ადამიანს, რათა ის სიურრეალისტურად გამოეყენებინა,“ წერდა ბრეტონი სიურრეალიზმის პირველ მანიფესტი (ბრეტონი 1924: 18). ბრეტონს სჯეროდა, რომ სიტყვებსა და ენას შეეძლოთ სამყაროს შეცვლა; შეეძლოთ, უფრო მდიდარ და დამაკმაყოფილებელ სამყაროსთან დამაკავშირებელი გზების როლი ეთამაშათ ან სულაც ადამიანის შინაგანი რესურსებიდან ასეთი სამყაროს შექმნისათვის იარაღი ყოფილიყვნენ (პოლიზეობი 2003: 2). ენით ასეთი გატაცების კიდევ ერთი მიზეზი ალბათ ის აღგილი იყო, რომელსაც ენა ადამიანის ცხოვრებაში იკავებს. როგორც ვოლას ფოვლი აღნიშნავს, მთლიანად სიურრეალისტური მოძრაობა შეიძლება ენაზე ჩატარებულ ექსპრიმენტად გავიაზროთ. მას მოაქვს რობერტ დესნოს ფრაზა: „სიტყვებო, თქვენ მითები ხართ?“ („Mots, êtes-vous des mythes?“). თვლის, რომ ეს ფრაზა იმ საკრალურ დამოკიდებულებას გამოხატავს, რომელიც სიურრეალისტებს სიტყვების მიმართ ჰქონდათ (ფოვლი 1963: 51). იმ პოზიციიდან გამომდინარე, რომ სიტყვები არის მითი, ლექსის შექმნა სიტყვების ისე გამოყენებას ნიშნავდა, რომ მათ საკუთარი მითის ახალი, განსხვავებული ასპექტები ეჩვენებინათ. პოეტის სიურრეალისტური გაგება მაგიასაც გულისხმობდა. მაგიის წესები ძირითადად სიტყვების განსაკუთრებულ გამოყენებას ითვალისწინებს. შეიძლება ამ სიტყვებს ჩვენთვის გასაგები მნიშვნელობა არ ჰქონდეს, მაგრამ ისინი ზემოქმედებას ახდენენ. რაღაც ამის მსგავსი მოეთხოვებოდა პოეტსაც.

სიურრეალისტები ცდილობდნენ, არაცნობიერის გამოხატვის ნიმუშები შეეკრიბათ საკუთარ პოეზიაში, რომელიც, აქედან გამომდინარე, დიდი რაოდენობით არარაციონალურ მასალას მოიცავს. მათი პოეზია საგსეა გასაოცარი ზებუნებრივი მეტაფორებით. ჩვეულებრივ მდგომარეობაში მწერალი დაწერილ სიტყვას აკონტროლებს, რათა გამოხატოს ლოგიკური რაციონალური იდეა, მაგრამ სიურრეალისტი პოეტი განსხვავებულ მიღგომას იყენებს და ცნობიერ კონტროლს ადუნებს. თითქოს ენა თავისუფლდება კონტროლისაგან და იდეები ფურცელზე პირდაპირ არაცნობიერიდან მოედინება. არაცნობიერთან პოეზიის პირდაპირი კაგშირი ნიშნავდა პოეზიაში ადამიანის ყველაზე ღრმა სურვილების გამოვლენას. როგორც შერინგჰემი აღნიშნავს, სიურრეალისტთა პოეზიის ენა შეიძლება ყოფილიყო „სურვილის სარკე“ („l'ovale“) (შერინგჰემი

1986: 51). რადგანაც პოეზიაში ვლინდებოდა არაცნობიერში დამალული ინსტინქტები და სურვილები, ის წარმოადგენდა იმას, რისკენაც რეალობა უნდა განვითარებულიყო (შორთი 2003: 19).

სიურრეალისტურ ტექსტებში გვხვდება ისეთი სიტყვების წყვილები, რომლებიც იშვიათად იხმარება ერთად. ეს უცანაური და შემთხვევითი კავშირები რაციონალური გონების გაოცებას იწვევს. ბრეტონის შეფასებით, „სიტყვები სიყვარულს ეძლევიან“ და პოეტური სახე ნაყოფია. ის იქმნება ორი ელემენტის გაუთვალისწინებელი დაწყვილებისგან, კავშირისაგან რომელიც ქმნის ერთგვარ მესამე ელემენტს. ასეთი კავშირის ნათელსაყოფად კარდინალს მაგალითად ელუარის „შიშველი წვიმის თაიგული“ მოჰყავს (კარდინალი ... 1970: 33). მსგავსი გასაოცარი სახეები არა მარტო სიურრეალისტურ პოეზიაში გვხვდება, არამედ მხატვრობაშიც, სადაც ვიზუალური გამოხატულება ხშირად უფრო მეტად აოცებს ცნობიერ გონებას.

გ. ანალოგიური აზროვნება

შეუთავსებელი საგნების გაერთიანება ან საგნის გატანა ბუნებრივი გარემოდან და სრულიად უცხო კონტექსტში მოთავსება, მისთვის სრულიად განსხვავებული მნიშვნელობის მინიჭება ან უფრო ფართო კონტექსტში დანახვა ზოგადად სიურრეალისტური ხელოვნებისთვის არის დამახასიათებელი. ამის მისაღწევად კარგი საშუალება იყო ანალოგიური აზროვნება. თვლიდნენ, რომ ანალოგია იყო გიდი სამყაროს შეცნობისთვის. ანალოგია ფაქტიურად არის პოეტური მეტაფორის პრინციპის გაფართოება, ორ ცალკეულ ერთეულს შორის კავშირის არსებობის გაგება. შედეგად მიღებული პოეტური სახე კი სრულ თავისუფლებას გულისხმობს. სიურრეალისტები ამტკიცებდნენ, რომ ნებისმიერი პრობლემის გადაჭრა შეიძლებოდა ანალოგიური აზროვნებით. სადაც ციფი ლოგიკა არააღვატებულია, ანალოგიურ აზროვნებას შეუძლია გონებას კავშირების სრულიად ახალი ფორმა შესთავაზოს, რომელსაც ის ემოციური ან ინტიციური გზით გამოიკვლევს. ანალოგიაზე დაფუძნებული კავშირები და მიზეზები სიურრეალისტური აზროვნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველია. ასეთ მიდგომას მივყავართ სამყაროს პარმონიულ ხედვამდე, სადაც „ყველაფერი ყველაფერს ედრება“. სამყარო აღარ უნდა განიხილებოდეს ფრაგმენტების კონგლომერაციად, რომელიც აღიქვა ჩვეულებრივი ცნობიერი

გონების დანაწევრებულმა აზროვნებამ. სიურრეალისტები მყარ კავშირს ხედავდნენ მოვლენასა და შეგრძნებას შორის. ეს კავშირები იყო უნივერსალური პრინციპი, რომელიც არსებობს ჩვეულებრივი რეალობის ქაოსს მიღმა. კარდინალი მიუთითებს სიურრეალისტთა მიერ კაბალისტების მოსაზრების გაზიარებაზე. მათი აზრით, თუ სამყარო საიდუმლო ტექსტია, მაშინ მისი გაშიფრვის გასაღები ანალოგიის პრინციპშია (კარდინალი ... 1970: 34). აქედან გამომდინარეობს სიურრეალისტთა მიერ შემოთავაზებული ლოგიკის ალტერნატივა, რომელსაც სამყაროში წესრიგის დამყარების საშუალებად მიიჩნევდნენ.

დ. სინთეზი

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სიურრეალისტური აზროვნების ერთ-ერთი მთვარი პრინციპი იყო დაშორებულ რეალობათა გაერთიანება. კარგი პოეტური სახის რევერდისეული²⁶ გააზრება ეთანხმებოდა სიურრეალისტთა ხედვას. ის წერდა, რომ პოეტური სახე იყო „გონების წმინდა ქმნილება,“ რომელიც ვერ წარმოიშობოდა შედარებიდან, არამედ დაშორებული რეალობების დაკავშირებით. რაც უფრო დიდია მანძილი ამ რეალობებს შორის, მით უფრო ძლიერია სახე. მას ჰქონდა დირებულება არა თავისთავად, არამედ ემოციის გამოწვევის გამო (ვალდბერგი 1978: 22). შესაბამისად, მათ განსაკუთრებული მიდრეკილება ჰქონდათ სინთეზისადმი. ეს ბევრი ფორმით ცხადად გამოჩნდა მათ ცხოვრებასა და შემოქმედებაში. ერთად შექმნილ ნამუშევრებში ინდივიდუალურ სტილთა ბევრი შესანიშნავი სინთეზი წარმოიშვა.

მონაწილეობის ფორმების მრავალფეროვნებისთვის სიურრეალისტები ბევრ თამაშს იგონებდნენ. ზოგიერთი სიურრეალისტური თამაშის გასაოცარ შედეგებში ჩანს მონაწილეთა მიერ ერთმანეთის არაცნობიერ დონეზე გაგება. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ცნობილი თამაში „მშვენიერი გვამი“ („Cadaver Exquis“). ნახატი სრულდებოდა რამდენიმე ადამიანის მიერ, რომლებიც არ ითვალისწინებდნენ ერთმანეთის მიერ დახატულ ელემენტებს. არსებობდა ამ თამაშის გერბალური ვარიანტიც, როცა პოეტს უნდა გაეგრძელებინა წერა ისე, რომ არ იცოდა რა დაწერა მისმა კოლეგამ. არსებობდა ისეთი ვარიანტიც,

²⁶ პიერ რევერდი (1889-1960) – ფრანგი პოეტი, რომელსაც სიურრეალისტები საუკეთესო პოეტთა რიცხვს მიაკუთვნებდნენ.

როდესაც ერთი სვამდა შეკითხვას, ხოლო მეორე პასუხობდა ისე, რომ არ იცოდა შეკითხვის შინაარსი. როჯერ კარდინალს მაგალითად მოჰყავს ბრეტონის შეკითხვა, თუ რა იყო თავისუფლება, რომელზეც ასეთი პასუხი მიიღო: „ბევრი ფერის წერტილების გროვა ადამიანის ქუთუთოზე“ (კარდინალი ... 1970: 118).

სინთეზის კიდევ ერთი ფორმა იყო კოლაჟი, ჩვეულებრივ, სხვადასხვა ფრაგმენტების შეწებებით შექმნილი სურათი. მასში სიურრეალისტური წარმოსახვა კარგად ვლინდებოდა. მაქს ერნსტი თავის თავს ადარებდა კოლაჟს და საკუთარ პიროვნებას მსგავსი პრინციპით აწყობდა: „ვგავარ იმისა, რაც ხდება მაშინ, როცა ორი ერთმანეთისგან დაშორებული რეალობა ერთად ერთ ადგილას არის მოთავსებული, რომელიც მათ არ შეესაბამება...“ (ერნსტი 1970: 267). სიურრეალისტთა ბევრი ნამუშევარი ფოტოკოლაჟს წარმოადგენს, იყენებდნენ ფოტომონტაჟს. სწორედ ფოტომონტაჟი იყო პიროვნების სიურრეალისტური პორტრეტის შექმნის პრივილეგირებული მეთოდი. ადამოვიჩის მიხედვით, მონტაჟის პრინციპის გამოყენება ნებისმიერი ორგანული ერთობის საჭრე და მერყევი ხასიათის ჩვენებას ისახავდა მიზნად (ადამოვიჩი 1996: 33).

სინთეზის საინტერესო მაგალითია ბრეტონის „ლექსი-საგნები“ („Poème-Objet“). ავტომატური წერით ერთგვარი იმედგაცრუების შემდეგ, 1933 წელს, ბრეტონმა შექმნა პირველი „ლექსი საგანი“. საგანი მისთვის არაცნობიერი სურვილის გამოვლენის საშუალება იყო, ეს კ.წ. დაწერილი საგნები სურვილს გამოვლენის საშუალებას აძლევდნენ. როგორ უნდა წაკითხულიყო ლექსი-საგნები? ხშირად ფიქრობენ, რომ ვიზუალური ელემენტი ვერბალური ელემენტის ილუსტრაციაა. თუმცა ხშირად ვერბალური და ვიზუალური ელემენტები საკმაოდ დაშორებულია ერთმანეთისგან შინაარსობრივად. მეტი სიცხადისთვის ფილ პოვრის მოჰყავს ლექსი-საგანი არის „კომპოზიცია, რომელიც ესწრაფვის პოეტური და სახვითი ხელონების რესურსების კომბინაციას და მათი ორმხრივი ეგზალტაციის უნარის გააზრებას“. შესაბამისად, ორივე ელემენტი, ვიზუალურიც და ვერბალურიც, თანაბარი დატვირთვისაა. როგორც პოვრი განმარტავს, „ადამიანი კითხულობს საგნებს ნაწილობრივ სიტყვების საშუალებით ისევე, როგორც ის კითხულობს სიტყვებს ნაწილობრივ საგნების საშუალებით... სიტყვები იმდენადვე უნდა დაინახონ, რამდენადაც უნდა წაიკითხონ და საგნები იმდენადვე უნდა წაიკითხონ, რამდენადაც უნდა დაინახონ“ (პოვრი 1996: 58-59).

ე. უცნაური გატაცებები

ყველა სახის მცირე გატაცებას შეიძლება თავისი როლი ეთამაშა სიურრეალისტურ კვლევაში. მაგალითად, გაზეობიდან ამონაჭრები, ძველი საფოსტო ბარათები და ცნობილი კრიმინალების ფოტოები. ამის მაგალითია სიურრეალისტთა დიდი ინტერესი დები პაპინების გახმაურებული კრიმინალურ საქმის მიმართ. ისინი ცდილობდნენ, კავშირი ეპოვათ ამ შემთხვევასა და ლოტრეამონის „მალდორორის სიმღერებს“ შორის და მათ ეწ. „რევოლუციონერი“ გმირი ქალების სიურრეალისტურ პანთეონში სხვა კრიმინალი მუზების გვერდით განსაკუთრებული ადგილი მიანიჭეს (ებურნე 2003: 99). ეს ყველაფერი აკმაყოფილებდა ზერეალურის შეცნობის მთავარ სიურრეალისტურ წყურვილს.

სიურრეალისტები ასევე იყენებდნენ პოპულარულ ვიზუალურ მასალას, რომელიც მათ ადრეულ განათლებას უკავშირდებოდა, მაგალითად საბავშვო წიგნების ილუსტრაციებს და რებუსებს, ასევე პარიზულ ყოველკვირეულ გამოცემებში დაბეჭდილ თავსატეხებს.

გ. შემთხვევა

სიურრეალისტური კვლევისთვის ასევე განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა „შემთხვევას“ და „სასურველი საგნის“ პოვნას. სიურრეალისტი დაეხეტებოდა პარიზის ქუჩებში და ელოდა, რომ ამ ხილულ სამყაროში მისი არაცნობიერი სურვილის საპასუხოდ რადაც მოხდებოდა. „შემთხვევა“ ხდება, როცა მატერიალური სამყარო სიურრეალისტს საიდუმლო შინაგანი მოთხოვნის შესაბამის საგანს მისცემს. შესაბამისი საგნის ძიებისას სურვილი წარმოქმნის უცნაურ ძალას, რომელიც ეგოისტურად მხოლოდ ამ სურვილის დაკმაყოფილებისკენ იღტვის. ნაპოვნი საგანი განიხილება, როგორც სურვილის გამოხატვა, რომელიც ჩვეულებრივად დატყვევებულია ადამიანის შინაგან სამყაროში. სიურრეალისტური საგანი წარმოიქმნება მხატვრული პროცესიდან, როცა სიურრეალისტი ცდილობს, გამოიყენოს შემთხვევა და შექმას საგანი, რომელიც, მისი ვარაუდით, გამოხატავს რადაცას მისი არაცნობიერიდან. შედეგი გვაძლევს შეგრძნებებს, რომელიც უტოლდება ზერეალურის განცდას. სიცოცხლეში ყველაზე მნიშვნელოვანია სიურრეალისტის შეხვედრა იმ ქალთან, რომელიც შეუყვარდება. თითქოს შემთხვევა პრივილეგიას ანიჭებს და ახლა მას

არაცნობიერის კარნახით შეუძლია რეალური ქალი თითქმის მაგიურად აღიქვას. ამ საკითხშიც სიურრეალისტთა დამოკიდებულება შეესაბამება სიურრეალისტური ხელოვნების მოთხოვნებს: პრივილეგია ეძლევა მხოლოდ მას, ვინც მზადაა, მიატოვოს რაციონალური ხედვა. მხოლოდ ასეთ პირობებში შეიძლება დაიბადოს სიყვარული. კარდინალისა და შორთის ნაშრომში პერეის სიტყვების ციტირებას ვხვდებით. ის თვლის, თუ ადამიანი იქნება „გახსნილი“, სურვილი აუცილებლად ასრულდება (კარდინალი ... 1970: 58).

ზ. სიზმარი

როგორც ვიცით, სიზმარი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა სიურრეალიზმში. ფროიდის ნაშრომი „სიზმრების ინტერპრეტაცია“ („Die Traumdeutung“, 1899) სიურრეალისტების აღიარების საგნად იქცა. სიზმარი კარგი საშუალება იყო სიურრეალისტური ძიებისთვის, ძილში ცნობიერი კონტროლი სუსტდებოდა და არაცნობიერის სახეები უფრო ადვილად ვლინდებოდა. ბრეტონი კოლეგებს წაახალისებდა, ძილის დროს მოეხმოთ ზღაპრული, გასაოცარი სახეები და ეს ჯგუფის თანდასწრებით გაეკეთებინათ, შემდეგ კი მოეთხოვთ სიზმრები ისე, როგორც ნახეს. ამგვარად, მათ საკუთარი დღის სიზმრები ჯგუფურ სეანსებად აქციეს. სიზმრების სახეებმა დაარწმუნა სიურრეალისტები, რომ მიაგნეს ახალ უსაზღვრო წყაროს წარმოსახვისთვის. მთვლემარე პოეტების მიერ შექმნილი ტექსტები აუდიტორიას მყისიერ და ნამდვილ დოკუმენტებად მიაჩნდა, რომლებიც ერთდროულად რეალური და მაგიური იყო. ასეთი ტექსტების საშუალებით ცდილობდნენ, შეენარჩუნებინათ ნამდვილი ინდივიდუალური შეგრძნებები, რომლებსაც ბურჟუაზიული კლიშეები საფრთხეს უქმნიდა, და გამოვვლინათ არაცნობიერი სურვილები და სოციალური ურთიერთობებით ჩახშული იმპულსები. სიზმრები და ჰალუცინაციები სთავაზობდა მათ ადგილს, სადაც საზღვრები რეალურსა და წარმოსახულს შორის იშლებოდა. როგორც „La Revolution Surréaliste“-ის VIII ნომერში წერდნენ, „მხოლოდ სიზმარი ანიჭებდა ადამიანს თავისუფლებას. სიზმრის წყალობით სიკვდილი აღარ იყო მისტიკური და ცხოვრების არსი უმნიშვნელო ხდებოდა“ (ვალდებურგი 1978: 47). თუმცა, სეანსები სულ უფრო უმართავი ხდებოდა, სიგიჟისა და თვითმკვლელობის საფრთხეების ასაცილებლად გარკვეული შეზღუდვები გახდა საჭირო.

თ. კვლევის მეთოდები

კვლევისა და მიზნის მიღწევისთვის სიურრეალისტები სხვადასხვა მეთოდს იყენებდნენ. ერთ-ერთ ძირითად მეთოდს ავტომატური წერა ან ხატვა წარმოადგენდა, რის შედეგადაც შეიქმნა ცნობილი „მაგნიტური გელები“. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს ექსპერიმენტი, თავის მხრივ, უკავშირდებოდა ფრანგულ ფსიქიატრიასა და ოპულტური წერის ფსევდოსამეცნიერო ლიტერატურას. მათ სეანსებზე ერთი წევრი იძინებდა, შედიოდა კვაზიპიპოზურ ტრანსში და პასუხობდა მდგიმარე კოლეგების შეკითხვებს. ამ პერიოდში ჰალუცინაციების „მხილველები“ მხოლოდ სიტყვებით ვერ გადმოსცემდნენ მთელ შინაარსს, პოეტები ვიზუალურ სახეებსაც, მათი სიზმრის ენის ერთგვარ იეროგლიფებს, მიმართავდნენ (სპექტრი 1997: 43). „მაგნიტური გელების“ ტექსტებმა დაამკვიდრა ვერბალური ავტომატიზმის ტექნიკა, რომელიც არაცნობიერი გონების კარნახის კოპირებას გულისხმობდა. ამ ტექნიკით შექმნილი ტექსტები და ნახატები იბეჭდებოდა უურნალ „La Revolution Surrealiste“-ის ადრეულ ნომრებში, როგორც სამეცნიერო დოკუმენტები, მაგრამ სინამდვილეში ამ დოკუმენტებს არც თუ დიდი სამეცნიერო მნიშვნელობა ჰქონდა. ავტომატური ტექსტები შეიძლება ყოფილიყო თავისუფალი ასოციაციური ჩანაწერები, მაგრამ მეცნიერისთვის დიდი დირებულება არ ჰქონდა. ამასთან, კარდინალის აზრით, სიურრეალიტებს ერჩივნათ ავტომატური წერის შედეგები გასაოცარ მისტიკური შეტყობინებების სერიებად აღექვათ, ვიდრე დოკუმენტებად, რომელთა ახსნაც შეიძლებოდა (კარდინალი ... 1970: 86). სიურრეალისტთა ასეთი ხედვის ნათელსაყოფად დელ რენზიოს მოჰყავს ანდრე ბრეტონის სიტყვები: „ნაწარმოებში სიურრეალიზმი პირდაპირპორციულია მხატვრის მცდელობისა, მოიცვას ფსიქო-ფიზიკური სფერო, სადაც ცნობიერი მხოლოდ მცირე ნაწილია. ამ უძირო სიდრმეში, ფრონიდის მიხედვით, არ არის წინააღმდეგობები, აქ რეპრესით გამოწვეული ბორკილებისგან გათავისუფლება, დროებითობის ნაკლებობა და ხილული რეალობის შინაგანი რეალობით შეცვლა, რომელიც სიამოვნების პრინციპს ემორჩილება. ავტომატიზმს პირდაპირ ამ სფეროსკენ მივყავართ“ (დელ რენზიო 1996: 152-153).

სიურრეალისტებმა მხატვრობაში ბევრი ტექნიკა დანერგეს (მაგ.: ფროტაჟი, დეპალკომანია და ფიუმაჟი), მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ საშუალებები იყო, რადგანაც სიურრეალისტური ხელოვნება არა ტექნიკის, არამედ სულის საკითხია. მოცემულ ტექნიკას სიურრეალისტურად მისი გამომყენებელი

მხატვრის მიზნები აქცევდა. მაგალითად ერნსტი ქადალდს დებდა ქვაზე ან ხეზე და უსვამდა გრაფიტს, რაც საშუალებას აძლევდა, მიეღო დაუგეგმავი ფორმები. ის უფრო მეტად რწმუნდებოდა, რომ რაც გარედან შემთხვევითი ჩანდა, სწორედ ის პასუხობდა მის შინაგან პიროვნულობას (კარდინალი ... 1970: 91).

VIII. სიურრეალისტური ესთეტიკა

ა. კონვულსიური სილამაზე

სიურრეალიზმა თავისი საკუთარი ესთეტიკა დაამკვიდრა. აპსენს მოჰყავს პროფესორ პიერ ჯანეტის მოსაზრება, რომელიც აღნიშნავს, რომ სიურრეალისტების აზრით, რეალობა განსაზღვრებით არის მახინჯი. სილამაზე არსებობს მხოლოდ მასში, რაც არ არის რეალური. სამყაროში სილამაზე ადამიანმა შემოიტანა. სილამაზის შესაქმნელად ადამიანი უნდა დაშორდეს რეალობას რამდენადაც შესაძლებელია (აპსენი 1992: 14). სილამაზის სიურრეალისტების მსგავსად დასანახად და განსაცდელად ერთგვარი ფსიქიკური დისორიენტაციისა და აღელვების განცდაა საჭირო, რომელიც მოქმედებს გონებაზეც და გრძნობებზეც. შეგრძნებები, რომელსაც სიურრეალისტები განიცდიდნენ სილამაზის გარკვეული მისტიკური ტიპების არსებობისას თავბრუდახვევას და თითქოს სხვა სამყაროში გადასვლას პგავდა. არაგონი წერდა: „იმ წამებისთვის, როცა ყველაფერი მიცურავს ჩემგან, როცა დიდი ბზარები ჩნდება სამყაროს სასახლეში, გავწირავ მთელ ჩემს სიცოცხლეს“ (კარდინალი ... 1970:54). როდესაც სიურრეალისტი გადააბიჯებს მატერიალური სამყარის ზღურბლს, ის კმაყოფილია, რომ კონტროლს აღარ ექვემდებარება. გადასვლის ეს თავბრუდამსვევი შეგრძნება არსებითია სიურრეალიზმისთვის. ანდრე ბრეტონი კი სილამაზეზე, როგორც სპაზმურ მოვლენაზე, ისე საუბრობს (კარდინალი ... 1970: 55). სიურრეალისტები უფრო შორსაც წავიდნენ და სილამაზე ამბოხს, შოკს და ტერორსაც გაუტოლეს. სილამაზე საშიში იყო, რამდენადაც სიურრეალიზმში ის თითქმის განუყოფელი იყო შოკისგან. მაგალითად, შოკის მოგვრელი სახისგან შექმნილი საშინელი სილამაზე დამახასიათებელია ბონუელის ფილმებისთვის. ასეთ შოკს იწვევს ცნობილი კალრი ფილმიდან „ანდალუზიური ძაღლი“ („Un chien andalou“), სადაც გოგონას თვალი სამართებლით იჭრება.

კონცულსიური თუ სპაზმური განცდებით ტკბობა, შეუთავსებლობა, იდუმალება, ზერეალურობა, ეროტიზმი და გარევნილებაც კი აქმაყოფილებდა იმ გემოვნებას, რომელიც მალე ყველა სიურრეალისტმა გაიზიარა. დროთა განმავლობაში განცდილი ემოციები ასოცირდებოდა ანალოგიურ ემოციებთან. ანალოგიების გამოყენებით სიურრეალისტებმა შეძლეს ბევრი განცდა თუ გამოცდილება ექციათ ზერეალურად ან სიურრეალურად. აქედან გამომდინარე სიურრეალისტებს აინტერესებდათ ხელოვნების ყველა ისეთი ფორმა, რომელიც ჩვეულებრივ ვულგარულად ან სერიოზული ყურადღების ღირსად არ მიიჩნეოდა. სიურრეალისტებს მოსწყინდათ კლასიკა, მხატვრული ფილმები და ლუკრის ქანდაკებები. ესთეტიკის დადგენილი ნორმების უარყოფა მათ საშუალებას აძლევდა, შეეთვისებინათ ახალი ფორმები და შინაარსი. სიურრეალისტების დაინტერესებამ ბევრი ისეთი სფეროთი, რომელიც იმ დროისთვის „დაბალი გემოვნების“ მქონეთა მოწონებას იმსახურებდა, მოდურადაც კი აქცია ისინი. მაგალითად, დალიმ აღიარა ახალი ხელოვნების (*Art Nouveau*) სტილი არქიტექტურაში, რაც პლასტიკაზების გამოყენებასაც გულისხმობდა. ხელოვნების პრიმიტიული ნიმუშები სიურრეალისტებისთვის ნამდვილი გონების გამოხატულება იყო და იმ ინდივიდუალურობას ინარჩუნებდა, რომელიც დასავლელმა ადამიანმა დაკარგა. სიურრეალისტები სიგიჟის ხელოვნებასაც მიესალმებოდნენ, რადგანაც ის ადამიანის ფსიქიკის უფრო სუფთა გამოხატვა იყო, ვიდრე ჯანსაღი გონების ადამიანის შემოქმედება. ბრეტონი სიურრეალისტურ ნაწარმოებებს „მენტალური სიგიჟის რეზერვუარს“ უწოდებდა (კარდინალი ... 1970: 57).

ბ. ქალი, როგორც სიურრეალისტის მუზა

სიურრეალისტური ესთეტიკის გასაგებად აუცილებლად უნდა შევეხოთ ქალის სილამაზის მათეულ გააზრებას. სიურრეალისტებისთვის ქალის სილამაზე იგივდებოდა ზებუნებრივთან. არაგონი ამბობდა, რომ ყველა ქალის თვალებში იყო სიურრეალისტური სინათლე (კარდინალი... 1970: 59). სიურრეალისტების მდედრობით მუზას წარმოდგენდა „ქალი-ინფანტი“ („Femme-enfant“), რომელიც ბრაიონი ფერის განმარტებით, იყო ქალის მსგავსი ბაგშვი, რომელიც ბევრად უფრო ახლოს იყო არაცნობიერთან, ვიდრე კაცი (ფერი 1994: 237). სიურრეალიზმის მიერ შექმნილი ქალის სილამაზის კულტზე საუბრისას

ვიტნი ჩადგიკი წერს, რომ მათეული ხედვით ქალი იყო მუზა, კაცის შთაგონებისა და ხსნის წყარო; თუმცა, ამავე დროს, ეს სახე განუყოფელი იყო ტკივილისა და სიბრაზისგან. როგორც სტიმული კონკულსიური შეგრძნებებისა, ქალი შეიძლება ყოფილიყო ქალწული, ბავშვი ან ზეციური არსება და ასევე ეროტიკის ნაწილი, ჯადოქარი ან დამღუპელი ქალი (ჩადგიკი 1993: 13). მიუხედავად ზემოთ თქმულისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ სიურრეალისტებისთვის ქალს მაინც მეორეხარისხოვანი ფუნქცია ჰქონდა. ნებისმიერი როლის შემთხვევაში ქალი კაცის შემოქმედებითი არსებობის სრულყოფილების მისაღწევად საჭირო დამატება იყო. მას უყურებდნენ როგორ საყვარელ საგანს; ქალს უნდა შეექმნა თავსატეხი პოეტებისთვის. თუმცა ასეთი დამოკიდებულებაც ეთანხმებოდა მათ მიერ ქალის, როგორც მისტიური არსების, იდეალიზაციას. ისევე როგორც სილამაზე ზოგადად ქალის სილამაზეც კონკულსიურად აღიქმებოდა. ამ მხრივ, საინტერესოა მესონის ნახატი „გრადივა“ („Gradiva“), მასზე გამოსახული არსება ნახევრად ქალია და ნახევრად თევზი. „გრადივა“ ერთგვარ სიმბოლოდ იქცა სიურრეალისტებისთვის. „გრადივა“ დაარქვეს 1937 წელს გახსნილ გალერეას, რომლის გახსნის მაუწყებელ აბრაზე ეწერა „ხვალის სილამაზე“ (ადესი 1978: 324).

გ. ეროტიზმი და სიყვარული

სილამაზის სიურრეალისტური გაგება განუყოფელი იყო ეროტიკისაგან, ყველაზე კონკულსიური სიურრეალისტური თემისაგან. ბრეტონი ერთ-ერთ ესეში, რომელიც მოგვიანებით წიგნში „გიუ სიყვარული“ („L'Amour fou“) შევიდა, წერდა, რომ ესთეტიკა მისთვის მჭიდროდ იყო დაკავშირებული ეროტიკულ სიამოვნებასთან (ფერი 1994: 216). რა არის ეროტიკა თუ არა ყველაზე ძლიერი ფაქტორი, რომელიც ადამიანის ცხოვრებაში წესრიგს არღვევს და ძალა, რომელიც ყველაზე წამლებავია ცნობიერი გონებისთვის? ეროტიზმის ნაკადი თითქმის ყველა სიურრეალისტურ ნაწარმოებშია და იმ სურვილის გამოხატვას წარმოადგენს, რომელიც შეუპოვრად მოძრაობს რეალური სამყაროსკენ და ზერეალურად მოქმედებს დამკვიდრებულ შეხედულებებსა და ნორმებზე. 1959 წლის პარიზში სიურრეალისტთა საერთაშორისო გამოფენის კატალოგის შესავალში ბრეტონი წერდა, რომ თუ ვინმეს სურდა, ამოეხსნა დიუშანისა და დე ჩირიკოს ნახატების მომხიბგლელობის საიდუმლო, მისი

წარმოშობის მიზეზი ეროტიზმში უნდა მოეძებნა (დელ რენზიო 1996: 149). სიურრეალისტურ ხელოვნებაში ეროტიკული ელემენტი უამრავი გასაოცარი ფორმით განვითარდა, მაგალითად: ქალური ფორმების წარმოუდგენელი ტრანსფორმაციები, ზოგჯერ საზიზდარიც კი. სიურრეალიზმის ეროტიკული შინაარსი არ იყო მხოლოდ უარყოფითი მანიფესტაცია, ის ადამიანის ცხოვრების არსებითი ფაქტორის პოზიტიური გამოვლენაც გახლდათ. გარდა ამისა, ეს შეხედულება ეწინააღმდეგებოდა ეროტიკის ბანალიზაციას და მის შეზღუდვას მხოლოდ სკაბრეზული სცენების წარმოდგენაზე. სიურრეალისტებისთვის ეროტიზმი ორაზროვნებით იყო მოცული, რომელიც რთულ სიმბოლურ გააზრებებში წარმოიშვებოდა.

სიყვარული სიურრეალისტისთვის რწმენის საკითხი იყო და მხოლოდ „სუფთას“ შეეძლო მისი მისტერიების სრულად აღქმა. სიყვარულს ადარებდნენ პრიზმას, რომლიდანაც აღქმული სამყარო ჩვეულებრივ სახეს კარგავდა და ზერეალურ სფეროდ იქცეოდა. ყველაზე სრულყოფილი მაშინ იყო სიურრეალისტის ხედვა, როცა ის შეყვარებულის თვალებით იყურებოდა. მათვის ეს ერთგვარი აუხსენელი მისტიციზმი იყო. სექსი სიურრეალისტებისთვის ლიად განხილვის საგანი იყო. არსებობს საჭმაოდ გულწრფელი ჯგუფური განხილვების ჩანაწერები, გამოქვეყნებული უურნალ „La Revolution Surrealiste“-ში. ბრეტონის აზრით, ეროტიზმი უნდა დარჩენილიყო მისტერიად და თითქმის საკრალურად უნდა ქცეულიყო.

დ. კინო

სიურრეალისტთა დამოკიდებულებას კინოსადმი იგივე სიურრეალისტური ქსოვტიკა განსაზღვრავდა. მათ მოსწონდათ უფრო ემოციაზე და არა ინტელექტზე ორიენტირებული ფილმები. განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდნენ ლურ ფეიდის სერიალზე „ვანტომასი“, რომელიც პიერ სუვესტრის და მარსელ ალენის რომანების მიხედვით გადაიღეს. სიურრეალისტებს ეს ბნელი თავგადასავლები აღაფრთოვანებდათ. შორთი თვლის, რომ ფანტომასი ანუ „დანაშაულის გენიოსი“ შიშს ნერგავდა და ამაგდროულად საიდუმლოებაში ხვევდა პარიზს ისეთივე გზით, როგორც ამას სიურრეალისტები აკეთებდნენ, პროვოკაციებითა და შეურაცხმულელი კამპანიებით (შორთი 1996: 99). სიურრეალისტებისთვის მნიშვნელოვანი იყო,

ფილმში ერთ ნამდვილად ზერეალური სახე მაინც ყოფილიყო. კარდინალს თავის ნაშრომში „სიურრეალიზმი, მუდმივი აღმოჩენა“ („Surrealism, Permanent Revelation“) მოჰყავს ადო კირუს კატეგორიული განცხადება მისივე წიგნიდან „სიურრეალიზმი კინოში“ („Le Surrealisme au Cinema“), რომ „კინო სიურრეალისტურია“ (კარდინალი ... 1970: 57). რომანა ფოტიადე კი მიმართავს კრიტიკოს უან გუდალის მოსაზრებას კინოსთან დაკავშირებით. ის პარალელს ავლებდა სიურრეალიზმსა და კინოს შორის და ოვლიდა, რომ ვიზუალური ტექნიკის სიურრეალისტური და კინემატოგრაფიული გამოყენება შეესაბამებოდა სიზმრის მსგავს „სახეთა ნაკადს“ (ფოტიადე 1996: 109). კრიტიკოს პოლ რამენის აზრით, სიზმრისა და კინოს ხასიათის მსგავსება თეორიულ საფუძველს პოულობდა ფროიდის შენიშვნაში, რომ სიზმრების თარგმნა სიტყვიერად შეუძლებელია და მათი გამოხატვა მხოლოდ გამოსახულების საშუალებით შეიძლება (რამენი 1988: 362-363).

კინო, მართლაც, იყო ის ადგილი, სადაც რეალობისა და სიზმრის შეხედრა დიდ ემოციებს იწვევდა, რომელთა გავლენის ქვეშაც აღქმულისა და წარმოსახულის სიურრეალისტური სინთეზი საუკეთესოდ სრულდებოდა. კინოს შეეძლო, აზრის რეალური სახის ჩვენება შეზღუდვის გარეშე. მედდოქს მოჰყავს არტოდის მოსაზრება, რომ ფილმის საშუალებით ლოგიკის მექანიზმისთვის თავის დაღწევა შეიძლებოდა (მედდოქსი 1996: 8). სიურრეალისტებისთვის კინო თანამედროვე მისტერიის დღესასწაულად იქცა. მათ კინოში სიარულის ერთგვარი რიტუალიც კი ჰქონდათ. დადიოდნენ ერთი კინოთვატრიდან მეორეში ისე, რომ პროგრამასაც კი არ კითხულობდნენ. როგორც ლინდა ვილიამსი აღნიშნავს, სიურრეალისტურ ფილმებში იყო იმის განსაკუთრებული ხედგა, რაც რეალურად იქ არ არის (ვილიამსი 1992: 18-19). იმავე მოსაზრებას ვხვდებით შორთის მიერ ციტირებულ ნაწყვეტში 1964 წლის მაგრიტან ჰიჩკოკის ინტერვიუდან: „ყველაფერი, რასაც ჩვენ ვხედავთ, მალაგს სხვა რაღაცას. ჩვენ ყოველთვის გვინდა დაგინახოთ ის, რასაც მალაგს და ისიც, რასაც ჩვენ ვხედავთ. არსებობს ინტერესი დამალულის მიმართ, რომელსაც ხილული არ გვიჩვენებს. ამ ინტერესს შეუძლია მიიღოს საკმაოდ საინტერესო გრძნობის სახე, შეიძლება ითქვას ერთგვარი კონფლიქტის, რომელიც არსებობს დამალულ ხილულსა და ცხად ხილულს შორის“ (შორთი 1996: 102).

სიურრეალისტური ესთეტიკის მსგავსი პრინციპები და მიმართებები ჩანს ყველა სფეროში. ასეთი ხედვა ვლინდებოდა მათ მოსაზრებებში ხელოვნების

ნებისმიერი ნაწარმოების შესახებ და ასევე ყოველდღიური ცხოვრების მოვლენებთან კავშირშიც, რამდენადაც სიურრეალისტები ხელოვნებას ყოველდღიური ცხოვრებისაგან არ გამიჯნავდნენ.

IX. პოლიტიკური საქმიანობა

სიურრეალისტური ჯგუფის ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი იყო პოლიტიკური საქმიანობაც. 1920-იანი წლების შუა ხანებში სიურრეალისტებმა ჩათვალეს, რომ სიურრეალისტური პროტესტი რევოლუციის სასარგებლოდ უნდა გამოყენებულიყო და პოლიტიკურ ქსელში ჩაებნენ. სჯეროდათ, რომ ზერეალური არ იყო პასიური გამოცდილება. აქამდე გაუთვალისწინებელი შესაძლებლობების აღმოჩენამ სიურრეალისტები აიძულა, მათი გამოყენების საშუალებებიც მოეპოვებინათ. სიურრეალიზმი იქცა „აბსოლუტური პროტესტის დოგმად“. ბრეტონი ამბობდა, რომ „წარმოსახვის ძალით [...] შეიძლება მოხდეს რეალური რევოლუციები“ (კარდინალი ... 1970: 123). სერიოზული ნაბიჯი კონკრეტული პოლიტიკური საქმიანობისკენ 1925 წელს გადაიდგა. ბრეტონი კომუნიზმით ტროცკის მიერ დაწერილი ლენინის ბიოგრაფიის წაკითხვის შემდგა დაინტერესდა. მართალია, ლენინისა და ბრეტონის იდეები საკმაოდ შეუთავსებელი იყო, მაგრამ სიურრეალისტთა ლიდერმა ჩათვალა, რომ რეალობის რევოლუციის მითის დროებით მიტოვება შესაძლებელი იყო. კომუნიზმი შესაძლოა ყოფილიყო პროგრამა მინიმუმი, მაგრამ ის იყო ერთადერთი არსებული ძალა, რომელსაც შეეძლო მოეხდინა სოციალური რევოლუცია, რომელიც, თავის მხრივ, საჭირო პირობა იყო „სულიერი რევოლუციისთვის“ („une revolution dans les esprits“) (შორთი 2003: 22). პროლეტარული რევოლუციის მიერ მოტანილი გათავისუფლება აუცილებელი წინაპირობა იყო გონების გათავისუფლებისათვის. სიურრეალისტური ჯგუფის წევრები, პოლიტიკური აქტიურობის ზრდასთან ერთად, სულ უფრო მეტად გრძნობდნენ საჭიროებას, ეპოვათ მათი ხელოვნების სოციალისტურ რევოლუციურ მიზნებთან შესაბამისობა. დევიზად „სიურრეალიზმი რევოლუციის სამსახურში“ („Le Surrealisme au Service de la Revolution“) იქცა და ზოგიერთი სიურრეალისტი საფრანგეთის კომუნისტურ პარტიას შეუერთდა.

თუმცა პარმონიული ურთიერთობა სიურრეალიზმსა და კომუნიზმს შორის დიდხანს არ გაგრძელდა. როგორც ვალდებული აღნიშნავს, პარადოქსი იყო,

რაციონალიზმზე დამყარებული მარქსიზმი შეეთავსებინათ სიურრეალიზმთან, რომლისთვისაც პრიორიტეტს სიზმარი და ცოდნის არარაციონალური ფორმა წარმოადგენდა. მუშათა მიმდინარეობის კავშირი ძირითადად ბურჟუაზიული წარმოშობის პოეტებთან რთული იქნებოდა (ვალდებურგი 1978: 18). თუ ერთ დღეს სიურრეალისტები ტელეგრამას გზავნიდნენ მოსკოვში იმპერიალიზმთან ომის დაწყებისა და ინსტრუქციების შესრულებისთვის მზადყოფნის შესახებ, მეორე დღეს შეეძლოთ სიგიურისა და არარაციონალური ცოდნის შესახებ კვლევები ეწარმოებინათ. პარტიისთვის ამის გაგება შეუძლებელი აღმოჩნდა და არც სიურრეალისტებს გამოსდიოდათ პოეზიის პოლიტიკის სამსახურში ჩაყენება. კომუნისტებიც თვლიდნენ, რომ სიურრეალისტური მწერლობა და ხელოვნება არ იყო გამოსადეგი მასებისთვის და სიურრეალისტთა არტისტული ექსპერიმენტების გამო სოციალური საქმიანობა ზარალდებოდა. კომუნისტებისთვის ძნელი იყო, ყურადღება არ მიექციათ სიურრეალისტთა უმრავლესობის ბურჟუაზიული წარმოშობისთვის. გრილეის მიხედვით, 1926 წელს კომუნისტურ პარტიაში გადასულმა სიურრეალისტმა პიერ ნავილმა დაწერა პამყტელი „რევოლუცია და ინტელექტუალები“ („La Révolution et les intellectuels“) სადაც მარქსიზმისა და სიურრეალიზმის შეუთავსებლობაზე საუბრობდა. ბურჟუაზიული წარმოშობის სიურრეალისტები ზედმეტად ინდივიდუალისტები იყვნენ, რათა წვლილი შეეტანათ კოლექტიურ და დისციპლინირებულ ბრძოლაში კლასთა თანასწორობისთვის. ამასთან, კომუნისტურ პარტიას ადანაშაულებდა, რომ სიურრეალიზმს სერიოზულად არ აღიქვამდა (გრილეი 2003: 206).

1927-33 წლებში სიურრეალისტთა პოლიტიკური მოღვაწეობა დემონსტრაციებში მონაწილეობის გარდა ძირითადად უურნალში „Le Surrealisme au service de la Révolution“ პამყლებების წერას წარმოადგენდა. მალე სიურრეალისტები იმედგაცრუებულნი აღმოჩნდნენ იმ არაპუმანური საზოგადოებრივი წყობით, რომელიც სტალინის რუსეთში ყალიბდებოდა. სიურრეალისტებმა უურნალ „La Revolution Surrealiste“-ში შრომასთან და პროლეტარიატთან დაკავშირებით კრიტიკული სტატიები გამოაქვეყნეს. ერთ-ერთ ნომერში (25 ივლისი, №4) ბრეტონი აცხადებდა „ომს შრომის წინააღმდეგ“ (სპექტრი 1997: 86). შეუძლებელი გახდა „სულიერი რევოლუციის“ დაკავშირება კომუნიზმთან, რომელიც ერთადერთი საიმედი ძალა იყო სოციალური რევოლუციისთვის. სიურრეალისტებს უნდა შეეცვალათ იდეები, რათა ისინი მარქსისტებისთვის მისაღები გამხდარიყო. შესაბამისად, მალე სიურრეალისტთა

მთვარ მიზნად იქცა, დაეცვათ ხელოვნების თავისუფლება იმ ერთადერთი პოლიტიკური მოძრაობისაგან, რომლისაც მათ სჯეროდათ. როგორც რობერტ შორთი აღნიშნავს სიტყვა „რევოლუციის“ ორაზროვანი განმარტებების გამო აღმოჩნდნენ სიურრეალისტები გაუგებრობაში და დაიჯერეს, თითქოსდა საერთო საფუძველი არსებობდა მათი და მარქსისტების მიზნებისათვის (შორთი 2003: 34).

პოლიტიკურ ნიადაგზე სიურრეალისტებს შორის ბევრი განსხვავებული აზრი გაჩნდა, რაც ჯგუფის მთლიანობას საფრთხეს უქმნიდა. 1929 წელს „La Revolution Surrealiste“-ის ბოლო ნომერში დაიბეჭდა მეორე მანიფესტი, რომელშიც კიდევ უფრო მკაცრად გაიმიჯნა რაციონალური და ირაციონალური. სიურრეალიზმმა ახალი მხარდაჭერა იპოვა მაგრიტისა და დალის სახით. 1929 წლის კრიზისის შემდეგ მიმდინარეობის რესტრუქტურიზაციამ სირთულეები წარმოშვა.

1930-იან წლებში სიურრეალისტები უარყოფდნენ ყველა პოლიტიკურ ხელოვნებას, რომელსაც პროპაგანდის გემო ჰქონდა. ფილიპოვიჩი სიურრეალისტების ხელახალი აპოლიტიკურობის დასაწყისად 1938 წლის 17 იანვარს გამართულ საერთაშორის გამოფენას მიიჩნევს („Exposition Internationale du Surrealisme“) (ფილიპოვიჩი 2003: 179). ახლა ჯგუფის წევრები პალავ ინდივიდუალური თავისუფლების უმაღლესი ღირებულების შენარჩუნებისთვის იბრძოდნენ.

X. პერიოდული გამოცემები

განათლებული პუბლიკისთვის სიურრეალისტთა იდეების მიწოდების ძირითადი საშუალება გამოფენები იყო, მაგრამ წიგნებისა და პერიოდული გამოცემების ბეჭდვასაც შეეძლო, პარიზელების ყურადღება მიეპყრო. მომავალ სიურრეალისტთა უმრავლესობა 1919 წლიდან გამოცემასთან „Littérature“ თანამშრომლობდა. თავდაპირველად „Littérature“ საკმაოდ ტოლერანტული იყო, მაგრამ პარიზში ტრისტან დარას ჩამოსვლის შემდეგ ჟურნალის გარშემო შეკრებილი ჯგუფი მეამბოხე გახდა. „Littérature“ განსაკუთრებულ ადგილს უთმობდა დადაისტებს, XIII ნომერ („დადაიზმის ოცდასამი მანიფესტი“) საგანგებოდ დადაიზმს მიეძღვნა. 1922 წლის მარტიდან ბრეტონმა გადაწყვიტა „Littérature“-ის ახალი სერიის ცალკე გამოცემა, რის შედეგადაც საბოლოოდ გაწყდა ჟრთიერთობა ლიტერატურულ ავანგარდთან და დადაისტებთან

(ვალდებული 1978: 13-14). სწორედ „Littérature“-ში დაიბეჭდა სიზმრების ჩანაწერების პირველი სერიები, რომლებიც ხელოვნებას მოკლებული სიზმრის სტენოგრაფიული ჩანაწერები იყო. სიურრეალისტთა საინტერესო პერიოდული გამოცემა იყო ურნალი „La Revolution Surrealiste“. მისი პირველი ნომერი 1924 წლის დეკემბერში გამოვიდა, ბოლო კი 1929 წლის დეკემბერში. სწორედ ბოლო ნომერში დაიბეჭდა სიურრეალიზმის მეორე მანიფესტი. ასევე მნიშვნელოვანი იყო „Le Surrealisme au service de la Révolution“. ურნალის ბეჭდვა 1933 წლის მაისში შეწყდა და სიურრეალისტებმა დაკარგეს მათი ბოლო ძირითადი პერიოდული გამოცემა. ამის შემდეგ სიურრეალისტები ურნალ „Minotaure“-თან თანამშრომლობდნენ. აღსანიშნავია ასევე ურნალი „VVV“, რომელსაც ანდრე ბრეტონი, მაქს ერნსტი და დიუშანი გამოსცემდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრების დროს და რომელიც ერთგვარი ხელახლი გაერთიანების საშუალებად იქცა.

XI. სიურრეალიზმის, როგორც მიმდინარეობის, დასასრული

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სიურრეალისტური ცხოვრება შედარებით მინელდა, ჯგუფის სიცოცხლისუნარიანობა და შთაგონება შემცირდა. ნიუ-იორკიდან პარიზში დაბრუნებული ანდრე ბრეტონი მწვავე კრიტიკის ობიექტად იქცა. კრიტიკოსები თვლიდნენ, რომ იგი ახლა მხოლოდ ფანტასტიკური და მითოლოგიური თემებით იყო დაინტერესებული და აღარ შეეძლო ადამიანთა პროტესტის ორგანიზებული ფორმით წარმოჩენა. ადანაშაულებდნენ, რომ მისი შრომები არააქტუალური იყო და ინტერესს აღარ იწვევდა (ლა კოსსი 2003: 268).

სიურრეალიზმის, როგორც მიმდინარეობის, ბოლო წლებში ბრეტონი და მისი მეგობრები ცდილობდნენ დაებრუნებინათ დაკარგული მაგია. ამის გაკეთებას ოკულტიზმის, ალქიმიისა და ფსიქოანალიზის საშუალებით აპირებდნენ.

ცალკეული ნიჭიერი შემოქმედები, როგორებიც იყვნენ დალი, კრეველი, არტოდი, დესნო და ელუარი, კვლავ აქტიურად განაგრძნობდნენ შემოქმედებით მოღვაწეობას. თუმცა, მათში გაოცებისა და სიბრაზის გამოწვევის უნარი შემცირდა. მართალია, „ოფიციალური“ სიურრეალიზმი ისტორიას ბარდებოდა, მაგრამ სიურრეალისტური სული კვლავ აქტიურ ძალად იყო აღიარებული სტუდენტურ რადიკალიზმი. სიურრეალისტთა მეამბოხე ლექსიკა და რიტორიკა

კიდევ ერთხელ იქცა ნორმად 1968 წელს პარიზში სტუდენტთა საპროტესტო გამოსვლების შემდეგ. კავშირი პოეზიას, სიყვარულსა და რევოლუციას შორის ხელახლა გამყარდა. 1968 წლის მოვლენების დროს გამოჩნდა, რომ სტუდენტების ქცევაში სიურრეალიზმის გამოძახილი იყო. მეამბოხე სტუდენტთა მოსაზრებები აშკარად სიურრეალისტურ ხასიათს ატარებდა: „ყველა ძალა წარმოსახვას“, „წერეთ ყველგან“, „წერამდე ფიქრი ისწავლე“ (სპექტორი 1997: 3). ფაქტობრივად, სტუდენტთა ამ აჯანყებამ რაღაც პერიოდით ახალი სიცოცხლე შთაბერა პარიზულ სიურრეალიზმს. ბევრი ახალგაზრდა ინტელექტუალი, ანტი-სიურრეალისტებიც კი (მაგ.: ფილიპ სოლერი), ახლა წერას და პროტესტის გამოხატვას სიურრეალისტური მანერით ცდილობდა.

სტუდენტთა რევოლუციის ჩაწყნარებისა და ანდრე ბრეტონის სიკვდილის შემდეგ დატოვებული სიცარიელე სიურრეალიზმს თითქოს სამეცნიერო და სალიტერატურო კვლევის სფეროში გადასვლას უწინასწარმეტყველებდა, მაგრამ ზოგადი ინტერესი სიურრეალიზმის მიმართ 1968 წლის შემდეგ საკმაოდ გაიზარდა. სიურრეალიზმი აგრძელებდა ხელოვანთა შთაგონებას. ამან ხელი შეუწყო კრიტიკოსებს, თეორიები ჩამოეყალიბებინათ. თუმცა, როგორც სპექტორი აღნიშნავს, ხშირად ეს თეორიები მიმდინარეობას იმდენივე ჩრდილს ფენდა, რამდენსაც სინათლეს (სპექტორი 1997: 3). სიურრეალისტური ხედვა და ელემენტები განსაკუთრებით მიმზიდველი პოსტმოდერნიზმის პერიოდში გახდა.

მიუხედავად მკაცრი კრიტიკული თავდასხმებისა და პერიოდული გაუჩინარებისა, სიურრეალიზმა მაინც შეძლო გადარჩენა, რასაც ალბათ წარმოსახვის ექსტრაორდინალურ გაქანებას უნდა უმადლოდეს. მიზეზს მარტო დარღვეულ და არაბუნებრივ ფორმებში ვერ ვიპოვით. ზოგი კრიტიკოსი თვლის, რომ მისი მნიშვნელობა და შესაბამისობა ძირითადად იმ მორალური და პოლიტიკური საკითხებიდან გამომდინარეობდა, რომლებსაც სიურრეალიზმი ეხებოდა. სიურრეალისტებმა მოიცვეს გვიანი კაპიტალიზმის კულტურის ყველა ძირითადი საკითხი (სპექტორი 1997: 5-6). სიურრეალიზმის განსაკუთრებულობა კიდევ იმაში მდგომარეობდა, რომ სიურრეალისტებმა ერთგვარი აფეთქებით გადალახეს ზღვარი მხატვრობასა და მწერლობას, სპონტანურობასა და სიგიურს, ტექსტსა და ავტორს, ინდივიდუალურობასა და კოლექტიურობას შორის. სიურრეალიზმში საზღვრები დაირღვა ბევრ საინტერესო „დიალექტიკურ“ საკითხში: ვერბალური ოუ ვიზუალური „ტექსტის“ ჟანრებს, ვიზუალურ და ვერბალურ სახეებსა და რეალობის დონეებს შორის.

სიურრეალისტური ამბოხი ჩანს ზოგიერთ ახალ რადიკალიზმში. მისი გავლენა იგრძნობა ბევრ მწერალზე, პოეტსა თუ მხატვარზე. საფრანგეთის გარეთ ჩამოყალიბებულმა ჯგუფებმა სიურრეალიზმის გავლენა მსოფლიო მასშტაბის გახადეს. ამ მხრივ საინტერესოა ახტერ აქსების ნაშრომი „ახალი სიურრეალიზმი“ („New Surrealism“)²⁷, სადაც ის საუბრობს სიურრეალიზმის გავლენაზე პოეტური სახის თანამედროვე თეორიებზე და ასევე თანამედროვე ფსიქოლოგიაში შეტანილ მის წვლილზე (აქსენი 1992: 101-105). სიურრეალისტთა წყალობით თანამედროვე ცნობიერება გაფართოვდა აბსურდული პოეზიით, ეროტიკული ხელოვნებით და პორნოგრაფიით, სულიო ავადმყოფების შემოქმედებითა და ფანტასტიკური ხელოვნებით. როგორც მაურის ბლანშოტი აღნიშნავს: „სიურრეალიზმი დღეს არც აქაა და არც იქ: ის ყველგანაა. ის არის ფანტომი“ (კარდინალი ... 1970: 147). ხოლო სპექტორის აზრით, სიურრეალიზმი „დაუსრულებელი პროექტია“, თავგადასავალი მათთვის ვინც კვლავ ეძებს „დროის ოქროს“ (სპექტორი 1997: 6).

²⁷ იხ.: აქსენი 1992.

2. თავი

სიურრეალისტური ჯგუფი ეგვიპტეში

I. ეგვიპტეში სიურრეალისზმის გამოჩენა

ნაშრომის ეს თავი ეთმობა ეგვიპტეში 1930-იანი წლების მიწურულს არსებული სიურრეალისტური ჯგუფის მოდვაწეობას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სიურრეალიზმი საერთაშორისო ხასიათი შეიძინა და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გამოჩნდა. ასეთ ქვეყანათა რიცხვს მიეკუთვნება ეგვიპტეც, რომელშიც სიურრეალიზმი 1930-იანი წლების ბოლოს იჩინა თავი.

„ბევრი ფიქრობს, რომ სიურრეალიზმი იყო ღრუბელი, რომელმაც ეგვიპტის თავზე გადაიარა, მაგრამ ისინი ვერ ხვდებიან, რომ ამ ღრუბლიდან წვიმა წამოვიდა და მიწამ ახალი ნაყოფი გამოიდო. ჩვენ შევჭამეთ ეს ნაყოფი და ის შევიდა ჩვენს კულტურაში“, წერს სამირ დარიბი (დარიბი 1986: 63). ეს ხანმოკლე წვიმა ეგვიპტეში სიურრეალისტური ორგანიზაციის „ხელოვნებისა და თავისუფლების საზოგადოების“ („جامعة الفن والحرية“) სახით მოვიდა. მართალია, საზოგადოების არსებობა ხანმოკლე აღმოჩნდა, მაგრამ მისმა დამარსებლებმა შეძლეს, მნიშვნელოვანი როლი ეთამაშათ ახალი ეგვიპტური კულტურის განვითარებაში. ჯგუფის საქმინობის შედეგად ეგვიპტურ მწერლობასა და ხელოვნებაში ბევრი სიახლე გაჩნდა. ამ წვიმით მორწყელი მიწიდან ამოსულ ნაყოფად კი შეგვიძლია მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ მათ მიერ დამკვიდრებული ხედვა შემდეგ თაობებში კიდევ უფრო მკვეთრად გამოჩნდა. ამას მოწმობს ტენდენციები, რომლებიც 1960-იან წლებში გაჩნდა ეგვიპტურ ლიტერატურაში.

სიურრეალისტური ორგანიზაცია ეგვიპტეში ოფიციალურად 1939 წლის 9 იანვარს დაარსდა, როცა ჯურჯ ჭანიძე რამდენიმე მეგობართან ერთად „ხელოვნებისა და თავისუფლების საზოგადოება“ ჩამოაყალიბა. საზოგადოებამ ბინა კაიროში ალ-მადაბიდის ქუჩის 28 ნომერში დაიდო. ორგანიზაციის წესდების მიხედვით, მათი მიზანი ხელოვნების თავისუფლების დაცვა იყო. ისინი თანამედროვე ხელოვნების შესახებ ახალ წიგნებს გაავრცელებდნენ, ეგვიპტელ ახალგაზრდებს ლექციებს შესთავაზებდნენ და ინფორმაციას მიაწვდიდნენ მსოფლიოში არსებული ლიტერატურული, სოციალური თუ მხატვრული მიმდინარეობის შესახებ (დარიბი 1986: 18-19). ეგვიპტურმა სიურრეალიზმა დიდი

როლი ითამაშა ქვეყნის ხელოვნების, განსაკუთრებით კი სახვითი ხელოვნების, განვითარებაში. ამასთან, სიურრეალისტური საზოგადოება აქტიურად მონაწილეობდა სოციალურ და პოლიტიკურ მოვლენებში და, შესაბამისად, დიდ წინააღმდეგობებსაც აწყდებოდა. სიურრეალიზმი ერთგვარი კულტურული რევოლუცია იყო, რომელიც აკადემიურ ხელოვნებას ეწინააღმდეგებოდა და ცდილობდა, შეეცვალა მოსაწყენი რეალობა. ეგვიპტის საზოგადოების დიდ ნაწილს უჭირდა სიურრეალისტთა გაგება. მიზეზი, ალბათ, ის ინფორმაციული ვაკუუმი იყო, რომელიც ამ საკითხთან დაკავშირებით არაბულ სამყაროში არსებობდა. სამწუხაროდ, არაბულ ბიბლიოთეკებში ძნელად თუ მოიძებნებოდა ლიტერატურა სიურრეალიზმის შესახებ. როგორც სამარ დარიბი აღნიშნავს, სიურრეალიზმის შესახებ პირველი წიგნი სირიაში 1940-იან წლებში გამოვიდა, ხოლო სიურრეალიზმის მანიფესტები, რომლებიც არაბულად სალაჟ ბარმადამ თარგმნა, მხოლოდ 1978 წელს გამოქვეყნდა²⁸. საყურადღებოა ასევე ქამთლ კადარ დადირის წიგნი ანდრე ბრეტონის შესახებ, რომელიც 1979 წელს დაიბჭდა ბეირუტში²⁹. ძირითადი წყარო, საიდანაც ეგვიპტის საზოგადოებას შეეძლო, ინფორმაცია მიეღო ამ მიმდინარეობის შესახებ, ის სტატიები იყო, რომლებიც დრო და დრო იძებნებოდა უურნალ-გაზეთებში. სამარ დარიბი აღნიშნავს, რომ ეგვიპტელებს არც იმის საშუალება ჰქონდათ, გასცნობოდნენ სიურრეალისტ მხატვართა ნახატებს, არ შეეძლოთ, ენახათ ბონუელის ფილმები, რაღგანაც ისინი ეგვიპტეში არ ყოფილა ნაჩვენები (დარიბი 1986ა: 6-7).

მართალია, ბევრი არაფერი წაეკითხათ და გაეგოთ სიურრეალიზმის შესახებ, მაგრამ ეგვიპტეში ბევრი მაინც ეწინააღმდეგებოდა სიურრეალისტურ საზოგადოებას. მაგ.: ‘აბას მაჰმუდ ალ-აკადი სიურრეალიზმს ლიტერატურასა და ხელოვნებაში გემოვნების დამახინჯებად მიიჩნევდა. თვლიდა, რომ მათთვის ბოდვა ლოგიკა იყო და სიგიურ – ცოდნა. ეწინააღმდეგებოდნენ არა მარტო სიურრეალისტურ საზოგადოებას, არამედ ამ საზოგადოების მიერ დაარსებულ უურნალ-გაზეთებსაც. მაგალითად, მოწინააღმდეგებოდნენ ერთ-ერთმა ჯგუფმა მინისტრთა კაბინეტს მიმართა საჩივრით, რომ უურნალი „ალ-თატარური“ უზნეო, რელიგიის საწინააღმდეგო სტატიებს ბეჭდავდა (დარიბი 1986ა: 7).

²⁸ იხ.: ბრეტონი 1978.

²⁹ დადირი 1979.

მიუხედავად ყველაფრისა, „ხელოვნებისა და თავისუფლების საზოგადოება“ მაინც აგრძელებდა მოღვაწეობას.

II. „ხელოვნებისა და თავისუფლების საზოგადოების“ აქტიური წევრები „ხელოვნებისა და თავისუფლების საზოგადოების“ ჩამოყალიბებასა და მოღვაწეობაში განსაკუთრებული როლი ჯურჯ ჭანიშვილი და რამსის ჯუნანიმ ითამაშეს. ასევე აღსანიშნავია საზოგადოების ორი წევრის – ფუად ქამილისა და ქამილ ალ-თილმისანის წვლილიც. ეგვიპტეში არსებული უცხოური დიასპორებისა და საზოგადოებების, ასევე ეგვიპტელი ებრაელების დახმარებით სიურრეალისტებმა ნაყოფიერი ნიადაგი ნახეს თავიანთი მოღვაწეობისთვის. ეგვიპტელ ახალგაზრდებს რამდენიმე უცხოელიც შეუერთდა, მაგალითად: იტალიელი ანჯელო დე რიზი, რომელიც იტალიურ ფაშიზმს გამოექცა, ბულგარელი ერიკ დე ნემეს და სხვა.

ჯურჯი ჭანიშვილი

ჯურჯ ჭანიშვილი (1914-1973) კაიროში დაიბადა. მამამისი ელჩი იყო იტალიასა და ესპანეთში. ჯურჯმა მასთან ერთად მოინახულა ევროპის რამდენიმე ქვეყანა და სასწავლებლად საფრანგეთში, სორბონის უნივერსიტეტში გაემგზავრა. ის კარგად ფლობდა ფრანგულ, იტალიურ და ინგლისურ ენებს. საფრანგეთში გამგზავრებამდეც საკმაოდ აქტიურად მოღვაწეობდა კაიროს ახალგაზრდულ ორგანიზაციებში. სორბონის უნივერსიტეტის დამთავრებამდე ჯურჯ ჭანიშვილი შეუერთდა საზოგადოება „მუჭატუილინს“³⁰ და პირველი სტატიების წერაც ამ საზოგადოების ფრანგულენოვანი ჟურნალისთვის „En effort“ დაიწყო. 1933 წელს მისი ერთ-ერთი სტატია ჟურნალის პირველ გვერდზე მოათავსეს სათაურით „მსოფლიო სულის გარეშე“, სადაც ის ადამიანის შინაგან სამყაროზე საუბრობდა. ამავე წელს დაიბეჭდა მისი მოთხოვა „დამზადებულია შეერთებულ შტატებში“ („صنع في الولايات المتحدة“). 1935 წელს კი გამოქვეყნდა მისი მანიფესტი „არარეალურიდან“ („من اللاواقعية“), საიდანაც ცხადი ხედებოდა, რამდენად ახლოს იყო სიურრეალიზმთან. მალე ჯურჯმა დაწერა „ლექსიკონი ბურჟუაზიული

³⁰ محاولين – ისინი, ვინც ცდილობენ.

სამყაროს სარგებლობისთვის „قاموس لاستخدام العالم البرجوازي“), რომელიც ჟურნალმა „En effort“-მა დაბეჭდდა. აქ ზოგიერთი სიტყვა იყო განმარტებული. მოვიყვანო რამდენიმე მაგალითს: ანარქია – სულის გამარჯვება ჭეშმარიტებაზე, სილამაზე – აღმასრულებელი ხელისუფლება, მე – ყველაზე მნიშვნელოვანი რამ მსოფლიოში, მუზეუმი – უდიდესი ნაგავსაყრელი, რომლის სანახავადაც ოფიციალურად მიდიან და ა.შ. (ლარიბი 1986ა: 14). ამ პერიოდშივე იწყება მიწერ-მოწერა ანდრე ბრეტონთან. წერილებში ისინი მომავალ თანამშრომლობასა და გეგმებზე საუბრობენ. 1936 წელს ფრანგულენოვან გაზეთში „L'orient“ იძეჭდება ჯურჯ ჭანინის სტატიები სათაურით „სიურრეალიზმი სასწორზე“. ამავე წელს პარიზში ყოფნისას მას საშუალება ჰქონდა, გაეცნო და დამეგობრებოდა ფრანგული სიურრეალიზმის პიონერებს, განსაკუთრებით ანდრე ბრეტონს, „სიურრეალიზმის მამას“. ის დაუმეგობრდა ასევე პენრი კალეს. ჯურჯ ჭანინი მონაწილეობდა სიურრეალისტთა ფრანგული ჯგუფის საქმიანობასა და პარიზული ორგანიზაციის დონისძიებებში. ის პერიოდულად მაინც ჩადიოდა კაიროში და ცდილობდა საფრანგეთში მიღებული გამოცდილება თავისი ეგვიპტელი მეგობრებისთვის გაეზიარებინა. 1937 წელს ეგვიპტის საზოგადოებას ლექციებს სთავაზობდა სიურრეალიზმის შესახებ. სწორედ ამ პერიოდში იწყებს სიურრეალისტური ჯგუფის ჩამოყალიბებას ეგვიპტეში. თავდაპირველად მეგობრები შემოიკრიბა: პოეტი ’იდმუნ ჯაბის და მხატვრები: რამსას ფუნანი, ქამილ ალ-თილმისანი და ანჯელო დე რიზი. მართალია, ეგვიპტეში სიურრეალისტური მოძრაობა პარიზში პირველი სიურრეალისტური მანიფესტის გამოქვეყნებიდან თხუთმეტი წლის შემდეგ დაიწყო, კაიროში ჭანინის მოღვაწეობა შეესაბამებოდა სიურრეალისტურ მოძრაობას საფრანგეთსა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში.

ჯურჯ ჭანინი წერდა ბევრი ფრანგული, ბრიტანული და ამერიკული უურნალისთვის. 1938 წლის ნოემბერში გამოიცა ჭანინის ლექსების პირველი კრებული „اَرْسَىءُونَدَعْلَوْبَادَ“ („العقلية الوجود،“ „Deraisons d'être“). წიგნი ქამილ ალ-თილმისანის ნახატებით იყო ილუსტრირებული. ამავე წელს მან გაიცნო ანდრე გიდი, ასევე დაუმეგობრდა პარიზის სიურრეალისტური ჯგუფის ერთ-ერთ გამოჩენილ წევრს ბერძენ ნიკოლა კალასს. ჭანინმა 1939 წელს წარმატებით დაამთავრა სორბონის უნივერსიტეტი, აიდო იურისტის, ფილოლოგისა და ისტორიკოსის დიპლომები. ამავე წელს დაბრუნდა კაიროში,

სადაც ოფიციალურად დააარსა ეგვიპტელ სიურრეალისტთა საზოგადოება. მალე საზოგადოებამ ჟურნალ „ალ-თატაშურის“ გამოცემა დაიწყო. ჯურჯი აქტიურად მონაწილეობდა ყოველკვირეული ფრანგული ჟურნალის „Don Quichotte“-ის გომოცემაშიც, რომელშიც იბეჭდებოდა სტატიები სიურრეალიზმის შესახებ, ასევე სიურრეალისტთა ლექსები და ნახატები.

ჯურჯ ჭანინი აქტიურად იყო ჩართული ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. თუმცა 1952 წლის რევოლიციის შემდეგ საკმაოდ დაიძაბა მისი ურთიერთობა ხელისუფლებასთან.

ჯურჯ ჭანინი ერთი წელი იტანჯებოდა ფილტვის კიბოთი და 1973 წელს გარდაიცვალა.

რამსას ფუნანი

რამსას ფუნანი (1913-1966) ალ-მინდაში დარიბ ოჯახში დაიბადა. 1929 წელს შევიდა კაიროს სახვითი ხელოვნების სკოლაში. 1933 წელს იძულებული იყო, სწავლა შეეწყვიტა და ხატვის მასწავლებლად ემუშავა საშუალო სკოლაში. რამსასი მონაწილეობდა კაიროს ყოლველწლიურ ხელოვნების სალონში, რომელიც 1933-38 წლებში იმართებოდა და რომელსაც სახვითი ხელოვნების ასოციაციის მეგობრები აწყობდნენ. რამსას ფუნანი 1935 წელს დაუკავშირდა ასოციაციას „მხატვრული პროპაგანდა“, და მათ ჯგუფურ გამოფენებში მონაწილეობდა. ამავე დროს გამოვიდა მისი პირველი წიგნი სათაურით „ეგვიპტელი მხატვრის მიზანი“, (الرسام المصري), რომელშიც ის სიურრეალიზმს აღიარებდა. ჯერ კიდევ კაიროს „სახვითი ხელოვნების სკოლაში“ სწავლისას საზოგადოება „მუჭატილინში“ მან გაიცნო ჯურჯ ჭანინი. ამ პერიოდში ის აქტიურად კიოხულობდა ანდრე ბრეტონის ნაშრომებს, ასევე არაგონის, ელუარისა და სხვათა ნაწარმოებებს. რამსას ფუნანი გამოირჩეოდა თავისი ნიჭითა და განათლებით, განსაკუთრებით კარგად იცოდა თანამედროვე ხელოვნების ისტორია. ეს ცოდნა ცხადად ჩანს მისი, როგორც კრიტიკოსის, შრომებში.

რამსასი აქტიურად იყო ჩართული ეგვიპტური სიურრეალისტური საზოგადოების მოდვაწეობაში 1947 წლამდე. 1947 წლის აპრილის ბოლოს რამსას ფუნანიმ დატოვა ეგვიპტე და ცხრა წლით პარიზში გადავიდა საცხოვრებლად. პარიზში მუშაობდა ფრანგული სამაუწყებლო სამსახურის

არაბულ განყოფილებაში და ამასთანავე ეპროპაში გამართულ სიურრეალისტთა საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობდა. რამსის ფუნქციი ეგვიპტეში 1957 წელს დაბრუნდა, ფრანგულმა სამაუწყებლო სამსახურმა დაითხოვა, რადგანაც მან უარი თქვა, გადაეცა განცხადებები ეგვიპტის ხელისუფლების წინააღმდეგ (დარბი 1986: 36). ეგვიპტეში დაბრუნების შემდეგ რამსის ფუნქციი უფრო აბსტრაქციით დაინტერესდა.

რამსის ფუნქციის ნახატებისთვის დამახასიათებელი იყო ადამიანის სხეულის ცოცხალი გრძნობა, ტკივილი თუ ძლიერი სურვილი, მომაკვდავი თუ კლდედ ქცეული სხეული. ხშირად ადამიანის ტრანსფორმირებული სხეული ექცევდა მისი ყურადღების ცენტრში. კრიტიკოსები ამბობენ, რომ მისი ნახატები გამოხატავენ შიმშილს, სექსსა და დაძაბულობას (დარბი 1986: 32). სუბჰა ალ-შარუნ წერს, რომ ეს ნახატები სექსისა და წადილის გარშემო ტრიალებენ. მაგალითად, მის ერთ ტილოზე ვხედავთ თეფშს მასზე მოთავსებული ქალის მკერდით, მეორეზე – ხეს, რომელსაც აქვს თვალები, მკერდი და თეძოები (ალ-შარუნ 1967: 10). მუჭამმად შაფიკი წერს: „ჩვენ ვხედავთ ხელოვნებას, რომელშიც სიზმარი და რეალობა შერწყმულია. წარმოსახვა ებრძვის რეალურ სახეს“ (შაფიკი 1971: 86).

1948 წელს რამსის ფუნქციის გამოფენა მოეწყო პარიზში. ეს გამოფენა სიურრეალიზმიდან აბსტრაქციისკენ გადასვლის დასაწყისზე მიანიშნებდა. 1959 წელს პამიდ ნადას გამოფენისთვის გამოსულ კატალოგში „კვლავ უცნობი“ („المجهول لا يزال“) ფუნქციი ხსნის ამ ცვლილების მთავრ მიზეზს. აღნიშნავს, რომ მიზეზი დამალულია ე.წ. „სამყაროს მისტერიებში“, რომლის წინაშეც მხატვარი დაბნეული დგას. ის არ ცდილობს, დაამციროს სიურრეალიზმი, არამედ მას მოიხსენიებს, როგორც საკუთარი ცხოვრების მნიშვნელოვან ეტაპს. რამსის ფუნქციი ამბობს: „სიურრეალისტური მოძრაობის დამსახურებაა პირველი სერიოზული მცდელობა, შექმნილიყო ახალი მითი, რომელშიც რეალობა და ზებუნებრივი, გამოხატული და შინაგანი, სიბრძნე და სიგიჟე, აპოგეა და პერიგეა, სიკვდილი და სიცოცხლე ერთმანეთს ხვდება და სინათლისა და შთაგონების წყაროდ იქცევა გზააბნეული და სურვილით შეპყრობილი სულებისთვის, რომლებიც შებოჭილნი არიან უჭირო, დელევით, ნერევით. ამ ოცნებებს, სიზმრებსა და სურვილებს არ შეუძლიათ გაუძლონ იმ სიცრუეს, სიყალბეს, რომელიც უტოლდება თანამედროვე ცნობიერებასა და მის

ყოველდღიურ ძალას. [...] ამ საუკუნეში ხელოვანს აღარ შესწევეს ძალა, აიშენოს სახლი ბუნებაში, რომელმაც მის თვალში გამჭვირვალობა დაკარგა. აღარ შეუძლია, კმაყოფილი იყოს ცხოვრებით ჰარმონიული გეომეტრიული ფორმებისა და ასევე ნასესხები მეტაფორების ხელოვნურ ჩარჩოში. ახლა ჩვენ ვხედავთ, როგორ ანგრევს ის ამ ფორმებს და იმედოვნებს, რომ იპოვის არსებობის პირველად არსესა და ნანგრევების უკან დამალულ თვისებებს“ (დარიალი 1986: 37). ამ განმარტებიდან ვხედავთ, რომ ფუნქნის შემოქმედებაში ცვლილების მიზეზი არსებობის ძირითადი არსის პოვნა იყო. მას ახლა აბსტრაქციისთვის დამახასიათებელი ანალიზი და სინთეზი მეტად აინტერესებდა, ვიდრე რეალობა და მითი.

Φუნქციური ქამილი

ყურადღებას შევაჩერებთ საზოგადოების კიდევ ერთ წევრზეც - **Φუნქციური ქამილი** (1919-1973). **Φუნქციური ქამილი** დაიბადა ბანი სუშავეში 1919 წელს. **Φუნქციური** მხატვარ ფუნქციური ალ-აფის სტუდენტი იყო, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა მასზე და მის შემოქმედებაზე. ქამილმა წარმატებით დაამთავრა სახვითი ხელოვნების სკოლა და ხელოვნების ინსტიტუტი. რამსაც ფუნქნის მსგავსად ისიც ხატვის მასწავლებლად მუშაობდა რამდენიმე სკოლაში. **Φუნქციური ქამილი** მონაწილეობდა „ნეო-ორიენტალისტთა“ („الشرقيين الجدد“, „الشريقيون“) საზოგადოებისა და საზოგადოება „ქვიშის ფრთების“ („جناح الرمال“, „الرمال الشريقيون“). 1947 წელს „ქვიშის ფრთებმა“ მოაწყო გამოფენა „ავტომატური ნამუშევრები“ („الأعمال الأوتوماتية“). ამავე წელს მხატვარმა მონაწილეობა მიიღო პარიზში გამართულ სიურრეალისტთა საერთაშორისო გამოფენაში. მან პირველი პრიზი მოიპოვა შოუზე „არაბი მხატვრები“ („الفنانين العرب“, „الفنانين العرب“), რომელიც 1958 წელს შეერთებულ შტატებში მოეწყო. ასევე პირველი პრიზი აიღო 1968 წელს ალექსანდრიის ბიენალეზე.

Φუნქციური ქამილი იყო „ხელოვნებისა და თავისუფლების საზოგადოების“ ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა წევრი. 1940 წელს, როდესაც საზოგადოების პირველ გამოფენაში მიიღო მონაწილეობა, მხოლოდ ოცდაერთი წლის იყო. განსაკუთრებულ ინტერესს მისი პორტრეტები იპყრობდა. ამ ნახატებში კარგად ჩანდა ავტორის აკადემიური ცოდნა. კრიტიკოსი დიმიტრი დიაკომილესი ფიქრობს, რომ **Φუნქციური ქამილი** პიკასოს გავლენას განიცდიდა (დიაკომილესი 1968: 44). საინტერესოა, რომ ქამილი ცდილობდა, შეექმნა კავშირი ადამიანურ

განცდებსა და უსიცოცხლო მატერიას შორის. მხატვარი ამბობდა, რომ სურდა „გამოქატა სკამის განცდა, როდესაც ჩვენ მასზე ვზივარო“ (დარბი 1986: 40).

ქამილი „დამოუკიდებელი ხელოვნების“ („الفن المستقل“) მეორე შოუს კატალოგში თავის თავს ასე აღწერს: „პოეტი, როცა მე არ შემიძლია ხატვა; ყოველთვის ჩუმი; [...] ერთ დღეს ჩემმა სიღრმეებმა გამოიდგინა. [...] არსებობის ერთი კანონი წამლეკავი იყო და მე ვიგრძენი თავისებური სიმეტრია, რომელიც იმორჩილებს ყველა არსებას სასწაულებრივ წესრიგში. მე არ ვღელავ, როცა განსხვავებას ვერ ვხედავ წყალში კამების ზურგსა და მოძრავ მთას შორის, ან როცა ერთმანეთისგან ვერ ვარჩევ ცხენის ფაფარსა და ქალის თმას, ან სკამსა და ადამიანის სხეულს. სიკვდილსა და მარადიულ სიცოცხლეს შორის არის სასტიკი ბრძოლა, რომელიც იწვევს ყველაზე საშინელ დასახირებას, რომელსაც მე ჩემს ნახატებში ვხედავ. რა თქმა უნდა, ყველაფრის სიღრმეში არის სული, უსიცოცხლო საგნებშიც კი“ (დარბი 1986: 42). კრიტიკოსი დალი შუქრი აღნიშნავს: „ფუად ქამილმა დაიწყო ხატვა როგორც სიურრეალისტმა, რომელიც ეძიებდა შთაგონებას მის სიღრმეებში ჩამალულ რომანტიზმში“. მისი თქმით, 1950-იანი წლების დასაწყისისთვის ფუად ქამილმა საბოლოოდ მიატოვა რომანტიკული ოცნებები და მთელი ძალისხმევით მიეცა სიურრეალისტურ წარმოსახვას. დალი შუქრი აღწერს მის ნახატებს, სადაც „ცხენის თავებს ფროიდისეული მნიშვნელობა აქვს, ადამიანთა თვალები კი არაცნობიერისკენ იყურებიან. ქარიშხლები მწველ ენებს ატრიალებენ, რათა გააღიზიანონ სიზმრები საშიში კოშმარებით“ (შუქრი 1969).

ქამილ ალ-თილმისანი

ჯგუფის მოთხე აქტიური წევრი, ქამილ ალ-თილმისანი (1917-1972), „ხელოვნებისა და თავისუფლების“ საზოგადოების ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული პიროვნება იყო. ის სოფელ შაბინ ალ-კანატირში დარიბ ოჯახში დაიბადა. დაწყებითი განათლება სოფელში მიიღო. შემდეგ 1925 წელს ოჯახი კაიროში გადავიდა. ქამილი ალ-სადას საშუალო სკოლაში შევიდა და 1930 წელს წარმატებით დაამთავრა. მისი ხატვის მასწავლებლიც ფუსუფ ალ-აფიფი იყო. თუმცა შემდეგ სწავლა კეტერინარიის ფაკულტეტზე გააგრძელდა, სადაც ხეთი წელი ისწავლა. ხატვით იყო დაინტერესებული და სწავლას დიდი ყურადღებით არ ეკიდეოდა, ამიტომ ვერ შეძლო ბაკალავრის ხარისხის

მოპოვება. ქამილი მუშაობდა და ოჯახს ეხმარებოდა, ყიდდა ნახატებს, წერდა გაზეოვებისთვის. მისი ნიჭი სწვდებოდა ლიტერატურას, კინოს, თეატრსა და სახვით ხელოვნებას. ეგვიპტურ მხატვრობაზე მან დაწერა რამდენიმე სტატია, რომლებიც ფრანგულად იძეჭდებოდა ჟურნალში „*Don Quichotte*“. ქამილ ალ-თილმისანი ლიტერატურულ სტატიებსაც წერდა სხვადასხვა ჟურნალში. ზოგი მათგანი, სათაურით „*ცხოვრებიდან და ხელოვნებიდან*“ (،،من الفن والحياة،“)، დაიბეჭდა „*ალ-მაჯალლა ალ-ჯადიდაში*“³¹. ალ-თილმისანი იყო რეჟისორი არაბული კინოს ისტორიაში ერთ-ერთი წარმატებული ფილმისა „*შავი ბაზარი*“ (،،السوق السوداء،“). გარდა ამისა, ალ-თილმისანი აქტიურად მონაწილეობდა იმ დროისთვის მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებში, წერდა პოლიტიკურ სტატიებს და ბოლოს, რა თქმა უნდა, აღსანიშნავია მისი მოღვაწეობა მხატვრობასა და ქანდაკებაში. მართალია, მან ერთ-ერთმა პირველმა შეწყვიტა ხატვა 1945 წელს და კინემატოგრაფიაში გადავიდა, მაგრამ ამ მოკლე პერიოდის განმავლობაში გავლენა მოახდინა ბევრ ახალგაზრდა სკულპტორზე.

ქამილ ალ-თილმისანის სიურრეალისტური პერიოდი ათი წელი გაგრძელდა, 1940-იანი წლების შუახანებამდე. ამ პერიოდში ის და რამსაც ფუნანი იყვნენ სიურრეალიზმის არაბი ორატორები ეგვიპტეში მაშინ, როცა ჯურჯ ჭანინი არაბული სიურრეალიზმის დელეგატი იყო ევროპაში. როდესაც ქამილი მიხვდა, რომ ამ მიმდინარეობას დიდიხნის სიცოცხლე არ ეწერა ეგვიპტეში, სიურრეალისტური საზოგადოება მიატოვა. ქამილ ალ-თილმისანი ოცნებობდა, საკუთარი იდეები ბევრ ადამიანამდე მიეტანა და სწორედ ამიტომ ჯერ ჟურნალისტიაში, შემდეგ კი კინოში დაიწყო მოღვაწეობა. გარკვეული პერიოდის განმავლობაში ალ-თილმისანი სიურრეალისტი იყო, ცდილობდა ეხატა სიურრეალიზმის წესების მიხედვით. თუმცა, ის მოუწოდებდა ხელოვნებას საზოგადოების სამსახურისკენ, მაშინ, როცა სიურრეალიზმის მიხედვით, ხელოვნება არავის და არაფრის სამსახურში არ არის. საბოლოოდ ქამილმა შეწყვიტა კიდევ სიურრეალისტური მოღვაწეობა და შექმნა რეალისტური ხასიათის ფილმები.

³¹ المجلة الجديدة – اხალი ჟურნალი.

1960 წელს ქამილ ალ-თილმისანი ბეირუთში გაემგზავრა და იქ დარჩა სიკვდილამდე. ბეირუთში წერდა სცენარებს ფილმებისა და სპექტაკლებისთვის, ასევე რადიო სპექტაკლებისთვის.

III. „ხელოვნებისა და თავისუფლების საზოგადოება“ და ახალი იდეები

პირველი ხუთი წელი გვიპტეში სიურრეალისტური მოძრაობის აღმავლობის პერიოდი იყო. როგორც აღვნიშნეთ, ჯურჯ ჭანიშვილი ამ მოძრაობისთვის გზის მომზადება 1930-იანი წლების შუასანებიდან ლექციებითა და სტატიებით დაიწყო. 1940-იანი წლების დასაწყისი მოძრაობის გამოცოცხლებით ხასიათდებოდა, ხოლო უკვე 1940-იანების შუა ხანებიდან თანდათან შესუსტება დაიწყო. მალე ამ მოძრაობის დამაარსებლებმა ახალი მხატვრული სტილი და ინტელექტუალური მოსაზრებები შეითვისეს. შედეგად, მოძრაობამ თითქმის შეწყვიტა არსებობა. სიურრეალისტური მოძრაობა ოფიციალურად არც თუ დიდი ხანი არსებობდა ეგვიპტეში, მაგრამ ეგვიპტის კულტურაზე დიდი კვალი დატოვა.

ეგვიპტელ სიურრეალისტთა ჯგუფი „ხელოვნებისა და თავისუფლების საზოგადოება“ გამოსცემდა ყოველთვიურ ჟურნალს „ალ-თატაშურ“, რაც არაბულად „განვითარებას“ ნიშნავს. ჟურნალი არაბულად იბეჭდებოდა და მისი რედაქტორი ანგარ ქამილი იყო. პირველი ნომერი 1940 წლის იანვარში დაიბეჭდა, მაგრამ მისი გამოცემა შვიდი ნომრის შემდეგ შეწყდა. სიურრეალისტები მონაწილეობდნენ აგრეთვე ყოველკვირეული ჟურნალის „Don Quichotte“-ის დაარსებასა და გამოცემაში, რამელიც ფრანგულად იბეჭდებოდა. მისი პირველი ნომერი 1939 წლის დეკემბერში გამოვიდა. სიურრეალისტურ ჯგუფს უკავშირდებოდა ასევე ჟურნალი „ალ-მაჯალლა ალ-ჯადიდა“, რომელიც სალამა მუსას და რამსას ფუნანის რედაქტორობით გამოდიოდა. ამ გამოცემებში, ასევე ჯგუფური თუ პერსონალური გამოფენების კატაკლოგებში ჯგუფი საკუთარ შემოქმედებას წარმოადგენდა, ასევე სხვადასხვა საკითხზე საკუთარ შეხედულებას გამოხატავდა. გამოფენების დამთვალიერებლები და კატალოგების მკითხველები ახალი იდეების, კონცეფციებისა და ქმნილებების პირისპირ აღმოჩნდნენ.

ქმილ ალ-თილმისანი თავის სტატიას „თავისუფალი ხელოვნებისკენ“ („تحف فن حرف“) შემდეგი ფრაზებით იწყებს: „ახალ ცხოვრებაში ყოველი კომფორტი, გაუმჯობესება, ბედნიერება, ნეტარება იმ ადამიანის გონებაში დაიბადა, ვინც ტრადიციისგან და დამკვიდრებული ნორმებისგან შორს იდგა. მან, მიუხედავად დევნისა, საგნების ახალი უკათესი წყობა შექმნა. მსოფლიო ივიწყებს მემკვიდრეობით მიღებული ტრადიციების მონებს. [...] მაგრამ უდგამს უკვდავების მონუმენტებს ტრადიციების წარმატებულ დამანგრევლებს“ (ალ-თილმისანი 1940: 34).

ალ-თილმისანი სხვა სტატიებში უკმაყოფილებას გამოთქვამს საზოგადოების არსებული მდგომარეობით. ის მოუწოდებს „სრულყოფილი, დრმა თავისუფალი ხელოვნებისკენ“: „თავისუფალი ხელოვნება გამოხატავს ჩვენს სურვილებს, ჩვენს სიზმრებსა და წარმოსახვას შეუზღუდავს დროისა და სივრცის ბორკილებით“. ქმილ ალ-თილმისანი, სხვების მსგავსად, სიურრეალიზმთან მიმართებაში აქტიურად იყენებს გამოთქმას „თავისუფალი ხელოვნება“ და სხის, განმარტავს კაგშირს თავისუფალ ხელოვნებასა და ფრონდის ფსიქოანალიზის თეორიას შორის. ის მიიჩნევს, რომ ხელოვნება არის ხელოვანის „შესაძლებლობებისა და ინსტინქტების გამოხატვა, მისი წარმოსახვითი შესაძლებლობებისა და მათი განხორციელების უნარის ანალიზი. ალ-თილმისანი თვლის, რომ თავისუფალი ხელოვნება სრულიად გაემიჯნა ხელოვნების იმ ფორმებს, რომლებსაც წარსულში ვიცნობდით. ზოგადი ახსნის შემდეგ ის კონკრეტულად ეგვიპტურ ხელოვნებაზე საუბრობს და აკრიტიკებს ეგვიპტელ მხატვართა ძველ თაობას, რომლებიც ევროპაში წავიდნენ მხატვრობის შესასწავლად, მაგრამ მუზეუმების, ეკლესიებისა და აკადემიების ტყვეებად იქცნენ (ალ-თილმისანი 1940: 10).

წარსულთან დაბრუნება, ჯურჯ ჭანინის აზრით, რეგრესია. „სამულველი ისტორიის მომენტში“ ყოფნა, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, თითოეულ ჩვენგანში იწვევს ფრენის, გაქცევის სურვილს. გვინდა, თავი დავალწიოთ იმედგაცრუებას. „უიმედობა არ არის მდგრადი მედიუმი. [...] ის ანგრევს ჭიშკრებს და იმორჩილებს ქალაქებს. იმედგაცრუება შტორმია.“ ჯურჯ ჭანინი სიურრეალიზმს ადარებს სახლს ნგრევის პროცესში. მისი თქმით, სიურრეალისტური ერთობა აგრძელებს ბრძოლას რეპრესიისა და რეგრესიის ყველა ფორმის, გონების დამშვიდების, დაწყნარების წინააღმდეგ (ლარები 1986: 11).

„ხელოვნებისა და თავისუფლების საზოგადოების“ წევრები ცდილობდნენ, ეგვიპტელებისთვის გაეცნოთ ახალი იდეები, რეალობის სიურრეალისტური გააზრება, ხედვა. ამ საზოგადოების პიონერები მოგვიანებით ეგვიპტეში თანამედროვე აბსტრაქტული ხელოვნების პიონერები გახდნენ. ეგვიპტური სიურრეალისტური მოძრაობა აქტიურად მონაწილეობდა იმ დროის ეგვიპტის გამოცოცხლებულ კულტურულ ცხოვრებაში გამოფენებისა და დისკუსიების მოწყობით, ეს მოძრაობა მისი ნაწილი იყო.

IV. „დამოუკიდებელი ხელოვნების“ გამოფენები და მათი მნიშვნელობა

ეგვიპტელი სიურრეალისტები ცდილობდნენ, საკუთარი კონცეფციები საზოგადოებისთვის ჯგუფური თუ პერსონალური გამოფენების მეშვეობით გადაეცათ. პირველი ჯგუფური გამოფენა 1940 წლის თებერვალში გალერეა „ნილოსში“ გაიმართა, რომელიც კაიროში სულამან ფაშას მოედანზე (ახალანდელი ტალა‘ათ ჭარბის მოედანი) მდებარეობდა. გამოფენას „დამოუკიდებელი ხელოვნება“ (الفن المستقل,) უწოდეს. აქ სახელის თვალსაზრისით გარკვეულ მსგავსებას ვხედავთ ბრეტონ-ტროცის 1938 წლის მანიფესტთან „დამოუკიდებელი რევოლუციური ხელოვნებისკენ“. პირველი გამოფენა მოულოდნელი იყო. მხატვრების ჩანაფიქრით, უნდა გამოფენილიყო „დიდებული ზღაპრული ნაშრომები, რომლის საიდუმლოს შექმნაც მხოლოდ თავისუფალ ხელოვანს შეეძლო. [...] რადგანაც დაუბრუნდა თავისუფლება დატყვევებულ წარმოსახვას, სურვილს და სიგიჟეს“ (ჭანინი 1940: 40).

ჯურჯ ჭანინის კომპოზიცია „მოკლული პოეტი“ (الشاعر القتيل,), გამოკიდეს, როგორც მთავარი ნამუშევარი. ეს იყო პირველი და უკანასკნელი შემთხვევა, როცა ჯურჯ ჭანინმა თავისი ნახატი გამოფინა. ბადრ ალ-დინ Ḥabīb დაწინაურებული ამ გამოფენას: „ეს გამოფენა იყო უხეში, ძალადობრივი რევოლუცია წესრიგის, სილამაზისა და ლოგიკის წინააღმდეგ“. ის საუბრობს რამსაც ფუნანის ნახატებზე, სადაც ტრანსფორმირებული და დამახინჯებული იყო ძველი მხატვრების ნამუშევრების ელემნტები. ნახატებში უცნაური სამყაროა, სადაც დარგულია ქალის მსგავსი გამოფიტული, ცარიელი ხეები და სახეები, მათში ჩანს ადამიანის ნგრევა. ქამილ ალ-თილმისანისთან ვხვდებით ნილოსის პატარძლის თემას, რომელსაც ძველი მხატვრები ცოცხალი ეგვიპტური

სილამაზის შესაქმნელად იყენებდა, მან კი უძირო სირდმეში ჩაძირულ ჩონჩხებად აქცია. **Φუნდ** ქამილის ნახატებში რევოლუციური პროტესტი ჩანს (’აბუ დაზე 1963: 60). ეს შოუ იყო ეგვიპტელი სიურრეალისტების მიერ გაკეთებული პირველი განცხადება, რომელიც მიმართული იყო ხელოვნებაში არსებული მეთოდების წინააღმდეგ. გამოფენაში მონაწილე ყველა მხატვარი საკმაოდ ახალგაზრდა იყო³².

მეორე გამოფენა 1941 წელს უცნაური ფორმით მოეწყო. მონაწილეებმა დიდი შენობა სალებავებით მოხატეს. კედლებზე დამაგრებული ხელის სილუეტები დიდ კარზე მიანიშნებდნენ, საიდანაც ხმაური გამოდიოდა, შიგნით კი წყვილები ცეკვავდნენ. დამთვალიერებლები გაოცებულნი იყვნენ, ნუთუ ეს შეიძლება ყოფილიყო გამოფენა? უან ბასტია ამ გამოფენას აღწერს, როგორც „ლაბირინთს, რომლის გასასვლელის პოვნაც ძალიან გვინდა. ნახატები კედლებზე კომპლექსურად ეკიდა. აქა-იქ შავი ლენტით გაკეთებული ორნამენტები იყო, ზოგი სურათი სარეცხის სამაგრით ეკიდა...“ (ბასტია 1941).

სიურრეალისტების წინააღმდეგ არა მარტო ეგვიპტელები ილაშქრებდნენ, არამედ ის უცხოელებიც, რომელთა ქვეყნებშიც ეს მიმდინარეობა უკვე არსებობდა. მაგალითად, უან ბასტია საყვედურებს არ იშურებდა მეორე შოუს მონაწილეებისთვის. საყვედურობდა, რომ ისინი, ორგანიზატორების მდელვარებისა და თავდაუზოგავობის მიუხედავად, გამოფენას სარიოზულად არ აღიქვამდნენ. თუმცა, საზოგადოების ნაწილი ყველაფერს სხვაგვარად აღიქვმდა და გამოფენას წარმატებულად მიიჩნევდა. მუჭამმად საკიდი წერდა, რომ ჩვენების გახსნა ნამდვილად წარმატებული იყო (ლარიბი 1986ბ: 16). კაიროს საზოგადოებამ, რომელიც მიჩვეული იყო აკადემიურ ხელოვნებას, ამ გამოფენით დიდი დაინტერესება გამოხატა.

მეორე შოუში გაცილებით მეტი მხატვარი მონაწილეობდა, მათ შორის უცხოელებიც. ჩვენებაზე პირველად იყო გამოფენილი ფოტოებიც. გამოფენის კატალოგში მოცემული იყო ის სამი პუნქტი, რითიც თავისუფალი ხელოვნება წარმოადგენდა თავის თავს ეგვიპტეში: ძველი, კონსერვატული, კლასიკური მიმდინარეობების მიმართ სიძულვილი; მასების გონებაში გაოცების გამოწვევა, ხშირად სწორედ ეს გაოცებაა დასაწყისი განათლებისა; ეგვიპტელი

³² ამ გამოფენის შესახებ არსებობს ალ-თიღმისანის საინტერესო ხტატია.

იხ.: ალ-თიღმისანი 1992.

ახალგაზრდა მხატვრების დაკავშირება თანამედროვე ხელოვნებასთან (დარჩბი 1986ბ: 18).

ამ მიზნების მისაღწევად სიურრეალისტური საზოგადოება „დამოუკიდებელი ხელოვნების“ ჯგუფური გამოფენების მოწყობას აგრძელებდა. მესამე გამოფენა კაიროში სასტუმრო „კონტინენტალში“ 1942 წელს 21-30 მაისს მოეწყო. ამ შემთხვევისთვის ჯურჯ ჭანიშვილი დაწერა სტატია „თავისუფალი ხელოვნების წერილი“ („رسالة الفن الحر“ (ჭანიშვილი 1942: 11). მესამე გამოფენას განსაკუთრებული ღირებულება ჰქონდა, რადგანაც მასში პირველად მონაწილეობდნენ სირიელი და ლიბანელი მხატვრები. ეს ეგვიპტური ჯგუფის მოდგაწეობაში სხვა არაბი მხატვრების მონაწილეობის პირველი შემთხვევა იყო. ისინი ცდილობდნენ, ჩამოეყალიბებინათ ჯგუფი, რომელიც გააერთიანებდა ეგვიპტელებს, სხვა არაბული ქვეყნის წარმომადგენლებს და უცხოელებს.

1944 წლის 12 მაისს „ხელოვნებისა და თავისუფლების საზოგადოებაში“ „დამოუკიდებელი ხელოვნებისთვის“ მეოთხე ჯგუფური შოუ მოაწყო კაიროში ალ-ჭაშადთან ქუჩაზე მდებარე ფრანგული სკოლის სასადილო დარბაზში. 150 ექსპონატი იყო გამოფენილი, მათ შორის ნახატები, ქანდაკებები და ფოტოები. რიჩარდ მოსსერი გაზეო „Le Progres Egyptien“-ში გამოფენის შესახებ წერდა: „უნდა ნახოთ ეს ახალგაზრდები, რომლებმაც უამრავი სირთულე გადალახეს და გამოფენა მაინც მოაწყვეს. მშვენიერი გაკვეთილია, მათ შეძლეს წარმოედგინათ გამოფენა მხოლოდ საკუთარი სურვილის ძალის საშუალებით“ (მოსსერი 1944). გამოფენაში ეგვიპტელთა გარდა უცხოელებიც მონაწილეობდნენ, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა მონაწილე სიურრეალისტი არ ყოფილა.

შეხუთე გამოფენა „დამოუკიდებელი ხელოვნებისთვის“ გაიხსნა 1945 წლის 30 მაისს და 9 ივნისამდე გაგრძელდა. ეს გამოფენა ეგვიპტური სიურრეალისტური ჯგუფის „ხელოვნებისა და თავისუფლების საზოგადორების“ „ოქროს ხანის“ დასასრულის ნიშანი იყო. ჯგუფის წევრებმა ბოლო გამოფენის მოწყობაც ძლივს შეძლეს, არ ჰქონდათ საგამოფენო დარბაზი და პვლავ ფრანგული სკოლის სასადილო დარბაზი აირჩიეს. გამოფენაში 30 მხატვარმა მიიღო მონაწილეობა. მათ ნამუშევრებს მოსსერი აღწერს, როგორც „პარმონიულს და პომოგენურს. მათში ავანგარდი ბატონობს და უარყოფს ყველა სახის აკადემიზმს“ (მოსსერი 1945). ყველა გამოფენაში ახალი მხატვრები მონაწილეობდნენ, რაც იმას მიგვანიშნებს, რომ „ხელოვნებისა და თავისუფლების“ შოუები პოპულარობის მოსაპოვებლად კარგი საშუალება უნდა

յოցուղուց. շնდա ալինութեան, րոմ չգշտու վաշրեծմա և ապահովացնու հայպարք ապահովացնու գանցուարեցան.

Թոցուանցեան ասկարեթի ծառը սեցա աեալցաթրդցու սանցագուցեան ու չգշտու գամունքան, րոմլուց մու գալույնան գանուցուցնեն, մագալուտագ: „ქանու զրուցեան“ („الرمل الحار“) և „տանամեժրուց ելուցնեցան“ („الفن المعاصر“). „գամուցուցեան ելուցնեցան տանամեժրուց ելուցնեցան“ չգշտու մանուցեան գամուցուցեան մանուցուցեան շեմցան յրտ-յրտա մոնախուց էլու էլու ամանա 1946 վալս համուապալուա սանցագուցեան „տանամեժրուց ելուցնեցան“. րոցորց կանքն ալ-Շարջն աւեացյան, մատ ծառը աօցյա վոնա մամբույս չգշտու գամուցուցեան, րոմլուց սուրբալութմու եան մուզցուցնեն (լարան 1986: 66). ամ աեալմա չգշտու արցուց գամուց անու ապարակը („فخار الخوف“) 1946 վալս մոնախու. յս սաեցու օմուրու անուիյս, րոմ գամուց սուրբալութմու մասնաւու շնդա գասիւնու, գրմեան, տոտքու ու սաւեռցրց պատճան գանցիյս մոյր վարմուսաեցու չոչուեցան գամուցուց. դոյքթոր ‘ափու ձանասան „տանամեժրուց ելուցնեցան սանցագուցեան“ ալ-Շարջ րոցորց աեալ սուրբալութմու, րոմլու կլումաթսաց ապահու յմնու և մասնու եալեցու վարմուսաեցան մասնու գամուցուցեան դամուցուցեան դասացուց կոնցցուուսացան. մագ: ալ-Շանհարուտան հանս եալեմո գամաթուցեան շուն և էլու մամբույս, մամբույս մեմկուցուցրուց մուցյան գրացուցեան վոնա ալման վարմուսաեցան, մուսու տյմու, ալ-Շանհարու մուշերջն ասուրբալութմու նամուցու վարմուսաեցան մասնու գույնուցու տյուրուցան (ձանասան տ.գ.: 69). մուսու նաեալու „միջանց կացու“ („الرجل الأخضر“) շեսաեց կրութուցու ձանարու վարմա: „այ հանս արաւունուցրու մոնդուն և նաեցրա ցնուցու տալույս, շնդա դասնաեւ մոնացան տալու և արա գարյանու. սումրու, րոմլուց ալուցնեցան մաս լրմա մուլուսաւ և եոլուցան, րոմլուց յտամաշեցան մաս նաեցրա գույնույն մարմարունան ու դուսու սամպարու սաեցեցան, րոմլուց գույնու կացու մուլմա սաելուց (ձանարու 1980). ամ չգշտու վարմու ձամու նաճա աեալցաթրդունան դասնուրյան գրուցու մրուցու. 1951 վալս գարկացան սուրբալութմու սակցուց հաօգուն. աեալցաթրդունան չգշտու մոմուրլուց, մուսուցու և չշաշեցան տանելուց եմայրունան մուսու հարացան արուցու շամարունան ու դուսու սամպարու սաեցեցան, րոմլուց գույնու կացու մուլմա սաելուց (ձանարու 1980). ամ չգշտու վարմու ձամու նաճա աեալցաթրդունան դասնուրյան գրուցու մրուցու. 1951 վալս գարկացան սուրբալութմու սակցուց հաօգուն. աեալցաթրդունան չգշտու մոմուրլուց, մուսուցու և չշաշեցան տանելուց եմայրունան մուսու հարացան արուցու շամարունան ու դուսու սամպարու սաեցեցան, րոմլուց գույնու կացու մուլմա սաելուց (ձանարու 1980).

პამიდ ნადა გაზეთ „შატანიში“³³ წერდა: „ნებისმიერი ხელოვნების ნიმუში, რომელსაც აკლია სიურრეალიზმი, არ არის ხელოვნება“ (ღარიბი 1986ბ: 70).

V. ეგვიპტური და ფრანგული სიურრეალისტური ჯგუფების ურთიერთობა სიურრეალისტური მოძრაობა ეგვიპტეში იმ მსოფლიო მიმდინარეობის ნაწილი იყო, რომელიც ევროპაში პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო. ეგვიპტელი სიურრეალისტების მოღვაწეობა შეესაბამებოდა ევროპული სიურრეალიზმის ტენდენციებს. 1938 წელს ჯგუფის წევრებმა ხელი მოაწერეს მანიფესტს „გაუმარჯოს ცუდ ხელოვნებას“ («يحيى الفن المنحط»). ისინი ეწინააღმდეგებოდნენ ფაშისტურ იდეებს თანამედროვე ხელოვნებასთან მიმართებაში და აპროტესტებდნენ თანამედროვე ხელოვანთა ნამუშევრების განადგურების ფაქტებს. ეგვიპტელი სიურრეალისტები მონაწილეობდნენ სიურრეალისტთა საერთაშორისო გამოფენებში. 1947 წელს ბრეტონთან აქტიური მიმოწერის შემდეგ ეგვიპტელი სიურრეალისტები პარიზში სიურრეალისტთა გამოფენაზე მიიწვიეს. ამ ვიზიტის დროს საერთო შეკრებაზე ბრეტონმა გადაწყვიტა, შექმნათ საერთაშორისო სამდივნო, რომელიც უცხოურ ჯგუფებთან ურთიერთობის საკითხებს მოაგვარებდა. სამდივნოს სამი წევრი უხელმძღვანელებდა, რომელთაგან ერთ-ერთი იყო ჯურჯ ჭანინი, რომელიც აღმოსავლეთისა და დასავლეთის შემაკავშირებელი უნდა ყოფილიყო.

თუმცა მოგვიანებით გარკვეული უთანხმოებები გაჩნდა ეგვიპტელ სიურრეალისტებსა და ფრანგულ ჯგუფს შორის. პირველი შემთხვევა იყო, როდესაც ეგვიპტელებმა უარი განაცხადეს, მონაწილეობა მიეღოთ ისრაელის სახელმწიფოს დაარსებისთვის დასახმარებლად ნახატების გაყიდვაში. მეორედ კი რამსის ფუნანიმ უარი განცხადა, ხელი მოეწერა მანიფესტზე სათაურით „დმერთის ძაღლები ილუმინატორში“ («في الكوة كلاب الله»). ის თვლიდა, რომ რელიგიისადმი ასეთი დამოკიდებულება რეგრესის ნიშანი იყო.

³³ وطنی – ჩემი სამშობლო.

VI. ეგვიპტელ სიურრეალისტთა ლიტერატურული მოღვაწეობა

„თავისუფლებისა და ხელოვნების საზოგადოება“ შედარებით ნაკლებად აქტიური იყო ლიტერატურაში. მისმა წევრებმა ვერ შეძლეს, სიურრეალისტური მიმდინარეობა ისე აქტიურად განვითარებინათ ლიტერატურაში, როგორც ეს მხატვრობაში მოხდა. ამის მთავარი მიზეზი ენა იყო. ყველაზე მნიშვნელოვან კრიტიკულ სტატიებსა და მხატვრულ თხზულებებს ისინი ძირითადად უცხო ენაზე, ფრანგულად, წერდნენ. ამ სტატიების უმეტესობა დღემდე არ თარგმნილა არაბულად. ჯურჯ ჭანიც ლიტერატურულ ნაწარმოებებს ფრანგულად წერდა. ეგვიპტელ ინტელექტუალთა და მწერალთა ერთ ნაწილს შეეძლო გასცნობოდა ფარანგულ ენაზე შექმნილ ლიტერატურას ან არაბულ თარგმანებს, მაგრამ საზოგადოების დიდი ნაწილისთვის ეგვიპტელ სიურრეალისტთა ნაწარმოები არ იყო ხელმისაწვდომი. მიუხედავად ამისა, „თავისუფლებისა და ხელოვნების საზოგადოებამ“ გავლენა იქონია შემოქმედთა ერთ ნაწილზე და ნიადაგი მოამზადა არაბულ ლიტერატურაში ახალი ხედვის გაჩენისთვის, რომელზეც სიურრეალიზმის გავლენა იგრძნობოდა.

ლიტერატურული თვალსაზრისით, აუცილებელია, გავითვალისწინოთ ის კრიტიკული წერილები, რომლებსაც ჯგუფის წევრები წერდნენ. მაგალითად, ქმილ ალ-თილმისანი და ჯურჯ ჭანი ბევრი საინტერესო სტატიის ავტორები არიან. ეს სტატიები შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს: არაბულ და ფრანგულ სტატიებად. არაბული ნაწილი მოიცავს მხატვარ რათიბ სადიკის შესახებ ალ-თილმისანი წერილებს³⁴. დანარჩები სტატიები ფრანგულ ნაწილს მიეკუთვნება, მათ შორის ალ-თილმისანი წერილების ციკლი „ხელოვნება ეგვიპტეში“, რომელიც უურნალში „Don Quichotte“ დაიბეჭდა³⁵, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ ამ სტატიებს არაბული თარგმანის საშუალებით გავეცანით. ეს სტატიები ერთგვარად სიურრეალისტური ნოველის თუ მოთხოვნის დაწერის მცდელობას გვაგონებს. მწერალი თარგმნის ნახატს ვერბალურად. შესაძლოა, ნააზრევის გადმოცემის ეს ორი ფორმა თანასწორი ღირებულებისაა, ან შესაძლოა, ერთი მეორეს აღემატება განსხვავებული სტრუქტურის გამო, მაგრამ სიურრეალისტური აზროვნება მოწოდებული იყო, მოეშალა საზღვრები

³⁴ იხ.: ალ-თილმისანი 1941.

³⁵ ამ სტატიების ჩამონათვალი შეგიძლიათ იხილოთ სამირ დარბის ნაშრომის ბიბლიოგრაფიაში. იხ.: დარბი 1986ა, გვ. 232.

ხელოვნების სხვადასხვა ფორმას შორის. ქამილ ალ-თილმისანი თვლიდა, რომ კრიტიკოსისთვის ხელოვნების ნიმუში უბრალოდ საწყისი წერტილია, საიდანაც ის უნდა ამოვიდეს. მისთვის ასეთი ამოსავლი წერტილი იყო ფუნდ ქამილის ნახატი, რომლის შესახებაც ის წერს:

„სიბრუნვის უფსკრული. სამყარო დღე და დღე უმზეოდ რჩება და ასე იქნება სიცოცხლის დასასრულამდე. სამყარომ, რომელიც მზემ მიატოვა, ვერ აიტანა მისი დამთრგუნავი სინათლე. [...] ეშინოდა ტკიფილის და ტანჯვის დანახვის“ (დარბი 1986: 125);

„لَحْجَ مِنْ ظُلْمَاتٍ. عَالَمٌ، يَوْمًا بَعْدِ يَوْمٍ يَبْقَى بِلَا شَمْسٍ، وَسَيِّطِلُ حَتَّى نَهَايَةِ الْحَيَاةِ. عَالَمٌ هَجَرَهُ هَذَا الشَّمْسُ لَمْ يَسْتَطِعْ تَحْمِلُ صُوْرَهَا الْقَابِضِ ... مَخْفِيًّا مِنْظُورَاتِ أَلْمٍ وَتَعَاسَةٍ.“

ხოლო ანჯელო და რიზის მიერ დახატული გოგონას შესახებ ამბობს:

„ام გოგოს ქუთუთოები დამძიმებულია ხილვით, რომელიც ჩნდება შორეულ ჰორიზონტზე ყოველ საღამოს და ქრება განთიადისას. [...] ام გოგოს ქუთუთოებზე დრო აღიბეჭდა ნაზად, მისი წამწამები ქარმა მარადიული ფერებით დახატა.“ (დარბი 1986: 123);

„هَذِهِ الْفَتَاهُ ذَاتُ الْجَفْونِ الْمُتَقْلَّةُ بِالرُّؤْيِ, الَّتِي تَبْدُو كُلَّ مَسَاءٍ فِي الْأَفْقِ الْبَعِيدِ, وَالَّتِي تَنْتَلِشِي عَنْدَمَا يَلْهُو الْفَجْرُ... هَذِهِ الْفَتَاهُ الَّتِي تَقْشِي الْزَّمْنَ عَلَى جَفْوَهَا بِحَنَانٍ, وَالَّتِي رَسَّمَتِ الْرِّيحَ أَهْدَابَهَا بِالْلَّوْاْنَهَا الْخَالِدَةِ.“

ქამილ ალ-თილმისანი ხშირად დიალოგი აქვს ნახატის პერსონაჟთან, ასევე მხატვართან ან მნახველთან. ჰაჯადიდას ნახატების შესახებ მწერალი ეკითხება ნახატზე გამოსახულ არსებას:

„رَأْيَهُمْ أَرَى مَوْقِعَهُ تَأْوِيسَ, شَجَرَةُ سَعْدَةِ دَمْ مِنْكَ ظَلَّ؟... أَيْتَهَا الْمَلْخُوقَةُ الْحَزِينَةُ, الَّتِي عَجَنَتْ كُلَّ قَطْرَةٍ دَمٍ مِنْكَ ظَلَّ؟... مَنْجَلِيَّهُمْ مَنْجَلِيَّهُ؟ [...] مَوْقِعُهُنَّ لِلِّدُلُّ أَرْسَأَهُمْ دَمَّ, رَأْيَهُمْ مَوْقِعَهُ شَجَرَةُ سَعْدَةِ دَمٍ مِنْكَ ظَلَّ؟... فَغَرَّهُمُ الْمَوْقِعُ شَجَرَةُ سَعْدَةِ دَمٍ مِنْكَ ظَلَّ؟ [...] رَأْيَهُمْ أَرَى مَوْقِعَهُ تَأْوِيسَ؟ شَجَرَةُ سَعْدَةِ دَمٍ مِنْكَ ظَلَّ؟“ (დარბი 1986: 130-131);

„لَمَذَا لَا تَنْحَرِينَ أَيْتَهَا الْكَابَةُ، الَّتِي نَسْجَتْ كُلَّ قَطْرَةٍ دَمٍ مِنْكَ ظَلَّ؟... أَيْتَهَا الْمَلْخُوقَةُ الْحَزِينَةُ، الَّتِي عَجَنَتْ كُلَّ قَطْرَةٍ دَمٍ مِنْكَ ظَلَّ... لَمَذَا لَا تَنْحَرِينَ؟ فَسَانِكُ الْأَسْوَدُ الطَّوِيلُ يَغْطِي جَسْدَكَ كَلَّهُ لَكَنَّهُ لَا يَغْطِي جَرْحَكَ.“

ალ-თილმისანი აჯელო და რიზის ნახატის მნახველს მიმართავს:

„مَوْقِعِيَّهُمْ گَلَّهُ ტِيَّارِهِمْ, دَأْمَرْتِيَّهُمْ ჩَارِهِمْ და იَسَرَّهِمْ ფَاجَنْجَرِهِمْ შَوَّرَسَ, شَجَرَهُمْ შَجَرِهِمْ იَقَبَوْزَرِهِمْ აم ძَوِرَფَاهِمْ არსებებთან ერთად, რომლებიც ეჭვიანებება მოიტაცეს, რომლებსაც არ ესმით არც ადამიანის და არც ცხოვრების“ (დარბი 1986: 124);

„انزع اللوحة. حطم الاطار والقه بعيدا من النافذة. حتى تستطيع ان تعيش مع هذه الكائنات العزيزة التي خطفها الغيورون الذين لا يفهمون الحياة والانسان.“

მისი ენა თითქოს პოეზიას უახლოვდება, ზოგან გარკვეულ სალექსო საზომებსაც იყენებს. აღსანიშნავია, აბზაცებს შორის წინადადებებისა და სიტყვების გამეორებაც:

„ქალი, გაწოლილი მიწაში მარადიულობისთვის, რომელშიც თიხა შრება, მომისმინე: ხეობაში და ყველა გორაზე თიხა უდაბნოს ქვიშით იყო დაფარული. მოხეტიალემ გააღო მიტოვებული საფლავის კარი და იქიდან დავიწყებული სულები გამოიყვანა, რომლებიც დახეტიალობდნენ ქვიშის გორებზე, რომლებიც ახალგაზრდებს მარხავენ რათა დიპიან კაცებად დაბრუნდნენ. [...] ხეობაში და ყველა გორაზე თიხა უდაბნოს ქვიშით იყო დაფარული“ (ლარიბი 1986: 126);

”امرأة ممتدة في أرض من أجل الخلود، يجف فيها الطين، اسمعوني: كان الطين في الوادي وعلى كل التلال محاطا بالصحراء.“

فتح متشرد بباب الغير المهجور، أخرج منه الأرواح المنسية التي ذهبت تتبع على الكثيب يدفن الشباب لكي يعود الرجال المكرشين... كان الطين في الوادي وعلى كل التلال محاطا بالصحراء.“

ეგვიპტელი სიურრეალისტები ხელს უწყობდნენ ლიტერატურაში ახალი სტილის დამკვიდრებას. მათ მიერ გამოცემულ ჟურნალ-გაზეთებში საინტერესო მწერალთა თხზულებები იძეჭდებოდა. მათ შორის აღსანიშნავია ’ალბირ კუსადრი. მისი რამდენიმე ნოველა „ალ-თაბაშუურში“ გამოქვეყნდა, მათ შორის „დმერთისგან დავიწყებულები“ („Les hommes oubliés de Dieu“, „المنسيون من الله“). როგორც თავად ჟურნალის შესავალში აღნიშნავდნენ, ეს ნაწარმოებები ახალი ეგვიპტური ნოველის ნიმუშები იყო. ბევრი მკვლევარი ხაზს უსვამს მისი ნაწარმოებების გავლენას მოგვიანებით, 1960-იან წლებში, შექმნილ საინტერესო თხზულებებზე. ცნობილი მწერალი ’იდუსარ ალ-ხარრატიც საუბრობს კუსადრის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე და ასევე ამ მწერლით საუკთარ დაინტერესებაზე (ალ-ხარრატი 2000: 8).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჯურჯ ჭანინი შესანიშნავი მწერალი იყო. მისი ლექსების პირველი კრებული „არსებობის აბსურდულობა“ („Deraisons d'être“; „لامقولة الوجود“) 1938 წელს გამოვიდა პარიზში. ამ ლექსებში სიურრეალისტის თვალით დანახული ადამიანური განცდები და სურვილები იყო. დაახლოებით ათი წლის შემდეგ მეორე კრებული გამოვიდა „შეუთავსებელი“ („L'incompatible“; „متناقض“). როგორც ანდრე ბრეტონი აფასებდა მის ლექსებს, ისინი ცხადად ჟღერდნენ საშიშ ნისლში. რაც შეეხება მის პროზაულ ნაწარმოებს, ჯურჯი ბევრი საინტერესო ნოველის ავტორია. 1935 წელს მის სიურრეალისტური ნოველა „ორი ძილი“ („النومين هارب ومنبعث“) დაიბეჭდა. ნოველა სავსეა წინააღმდეგობებით და საკმაოდ რთული გასაგებია. გმირი გაურკვეველი

არსებაა, რომლის მხოლოდ გონიერა ჩანს. ეს გონიერა ხვდება არარეალურ ამბებში და ამ გზით გადმოგვცემს მწერალი თავის სათქმელს (დარბი 1986ა: 77). ჯურჯ ჭანინი ყველა ნოველაში ახალ სამყაროს ქსოვს, რომელშიც ჩვეული და უჩვეულო ურთიერთობები ირევა ერთმანეთში. ეს თხზულებები საგსეა მოულოდნელობით, თითქოს ისინი გარდაუგალი აუცილებლობა იყოს. თითქოს ყველაფერი სრულიად ჩვეულებრივია, მაგრამ ჩვენ ვგრძნობთ შეუძლებელს, არარეალურს. მწერალი დაინტერესებულია საკუთარი გმირების შინაგანი სამყაროს მოძრაობით. ჯურჯ ჭანინთან რეალური და ზერეალური, ადამიანი და მიღმიერი სამყაროს მკვიდრი ერწყმის ერთმანეთს. 1956 წელს გამოვიდა ნოველებისა და პროზად დაწერილი ლექსების კრებული „აკრძალული ზღურბლი“ („Le seuil Interdit“; „العقبة الممنوعة“). მწერალმა თავის გმირებში აკრძალული ზღურბლის არსებობა იპოვა. ეს ზღვარი იცავდა რეალურ სამყაროს სხვა სამყაროში გადასვლისაგან. მწერალმა და მისმა გმირებმა შეძლეს გადაეხედათ ამ ზღურბლს მიღმა, რაც ჩვენთვის ძნელი წარმოსადგენია. მსგავსი რამ შეიძლება ითქვას მის ნაწარმოებზე „პატარა გოგოს დრო“ („Un Temps de petite fille“), რომელიც უფრო ადრე 1947 წელს გამოქვეყნდა პარიზში (დარბი 1986ა: 78). როგორც აღვნიშნეთ, ჯურჯ ჭანინი უმეტესად ფრანგულად წერდა. მისი თხზულებები არაბულად დიდხანს არ ჟთარგმნიათ. 1996 წელს გამოიცა მწერლის რჩეული თხზულებების ბაშრ ალ-სიბა‘ს მიერ შესრულებული არაბული თარგმანი³⁶. ჯურჯ ჭანინს კიდევ ბევრი საინტერესო წიგნი ეკუთვნის: „დაბინძურებული ცნობიერებისთვის“ („For a Polluted Consciousness“; „مكانة الرعب“, „من أجل وعي مdns“, „من أنت يا سيد أراجون“, „مکانة الرعب“, „من أنت يا سید اراجون“³⁷). მან მოგვიანებით გამოსცა, „მინიშნება კაფკაზე“ („Allusion to Kafka“, „اشارة الى كافكا“) და „აკრძალული“ („The Forbiden“). 1967 წელს ჭანინმა დაწერა შესავალი „თანამედროვე არაბული ლიტერატურის ანთოლოგიისთვის“ („An Anthology of contemporary Arabic Literature“, „الأدب العربي المعاصر“, „أسطولوجيا الأدب العربي المعاصر“), ასევე

³⁶ იხ.: ჭანინი 1996.

³⁷ აქ მოხსენიებული სამი ნაწარმოების არაბული თარგმანი დაიბეჭდა უურნალში „ალ-ჯარად“. იხ.: ჭანინი 1994ა; ჭანინი 1994ბ; ჭანინი 1994გ.

*სათაურების ზემოთ გამოყენებული არაბული ვერსიები აღებულია სამშრ დარბის ნაშრომიდან „სიურრეალიზმი ეგვიპტეში“ (დარბი 1986ა).

მონაწილეობდა „პატარა პოლიტიკური ენციკლოპედიის“ („The Small Political Encyclopedia“; „الإنسکلوبیدیا السياسية الصغیرة“, გამოცემაში, რომელიც 1969 წელს გამოვიდა. მწერლის სიკვდილის შემდეგ მისმა ცოლმა ’იქბალ ალ-‘ულაზილიმ, რომელიც უფრო ცნობილი იყო როგორც პოლა, გამოაქვეყნა მისი რამდენიმე შრომა: „ცნობები უსარგებლო ქაეყანაზე“ („Notes on a Useless Country“; „ملاحظات على بلد لا جدوى منه“), „უბნელესი ურთიერთობა“ („The Gloomiest Relation“; „العلاقة الأشد اظلاماً“) და „გელური სული“ („Savage Spirit“; „الروح الضارية“).

ეგვიპტური სიურრეალიზმის ლიტერატურულ მიღწევებზე საუბრისას უნდა აღვნიშნოთ მარტ ქაფადის ლიტერატურული სალონი. ამ ქალბატონმა ეგვიპტელ სიურრეალისტთა ცხოვრებაში ძალიან დიდი როლი ითამაშა. მისი ბინა ლიტერატორთა და ხელოვანთა თავშეეყრის ადგილი იყო. მარტ თავადაც გატაცებული იყო სიურრეალიზმით და აქტიურად მონაწილეობდა მათ საქმიანობაში. მას ეცუთვნის ლექსების კრებული „გაზაფხული“ („ربيع“) და ნოველების კრებული „მესაკუთრის კანი“ („بشرة ملاك“). ამ ნაწარმოებებში ის ირეალურ სცენებს, უცნაურ მინიშნებებსა და ორიგინალურ შედარებებს იყენებს (ლარიბი 1986: 26).

ასევე ყურადღება უნდა შევაჩეროთ სიურრეალისტ პოეტ ქალზე ჯუდს მანსურზე. ის წარმოშობით ეგვიპტელი იყო და საფრანგეთში ცხოვრობდა. 1953 წელს საფრანგეთში გამოიცა მისი ლექსების პირველი კრებული, რომელმაც პარიზის სიურრეალისტური საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურა. ’იდუსარ ალ-ხარრატს მოჰყავს ბრეტონის მოსაზრება ჯუდს მანსურის ლექსების შესახებ. „სიურრეალიზმის მამა“ თვლიდა, რომ ჯუდს მანსურის პოეზია, ერთი შეხედვით, თითქოს ტიპიურ ფრანგულ სიურრეალისტულ ლექსებს წარმოადგენდა, მაგრამ მასში ნათლად ჩანდა უგიპტური ხედვა, სახეები უგიპტური, კოპტური ტრადიციიდან და ასევე ისლამური კულტურიდან (ალ-ხარრატი 2000: 13-14). ჯუდსს ლექსების გარდა რამდენიმე მოთხოვნაც აქვს დაწერილი. ის 1986 წელს პარიზში გარდაიცვალა. მისი ყველა ლექსი და მოთხოვნა ფრანგულად არის დაწერილი. მისი ლექსები არაბულად ცნობილმა მთარგმნელმა ბაშირ ალ-სიბაზიმ თარგმანა და 1998 წელს გამოსცა სათაურით „გადაღე დამის კარები“ („افتح أبواب الليل“)³⁸.

³⁸ იხ.: მანსური ჯ. 1998.

ასევე საინტერესოა ეგვიპტელი ებრაელი პოეტი ’იდმუნ ჯაბისი, რომელიც 1912 წელს კაიროში დაიბადა, მაგრამ ცხოვრების დიდი ნაწილი პარიზში გაატარა და 1991 წელს იქვე გარდაიცვალა. პოეტი თავად აღიარებდა საკუთარი ლექსების სიურრეალისტურობას. ალ-ხარრატს მოჰყავს მისი სიტყვები პოლ თსტერისთვის მიცემული ინტერვიუდან³⁹. ჯაბისი ამბობს: „გვრძნობ, რომ პარიზში არ არის ჩემი ადგილი. [...] ნამდვილ სამყოფელად „წიგნი“ მექცა. დავიბადე და დავოჯახდი ეგვიპტეში, ჩემი კაჭიდები ეგვიპტეში დავწერე. [...] მაგრამ ყოველთვის განაპირას ვცხოვრობდი. ჩემი პირველი ლექსები ძალიან ახლოა სიურრეალიზმთან, ბევრი სიურრეალისტი მეგობარი მყავს, მაგალითად პოლ ელუარი. აქტიურად ვმონაწილეობდი სიურრეალისტური ჯგუფის შეკრებებში, მაგრამ არ გავმხდარვარ რომელიმე კონკრეტული ჯგუფის წევრი“ (ალ-ხარრატი 2000: 20).

საინტერესოა ალექსანდრიაში მოღვაწე პოეტთა გაერთიანებაც, რომელსაც ალ-ხარრატი „1940-იანი წლების ალექსანდრიის სკოლას“ („مدرسة الإسكندرية في الأربعينيات“) უწოდებს. აქ შედიოდნენ პოეტები: მუნირ რამზა, აჭმად მურსა და თავად ’იდმუნ ალ-ხარრატი.

VII. დასკვნა

ეგვიპტეში სიურრეალიზმი 1930-იანი წლების ბოლოს გამოჩნდა, თუმცა არაბულ ენაზე ნაკლებად გამოავლინა თავი. ეგვიპტურ ხელოვნებასა და ლიტერატურაში ბევრი სიახლის დამკვიდრება ეგვიპტელ სიურრეალისტთა ჯგუფის „ხელოვნებისა და თავისუფლების საზოგადოების“ სახელს უკავშირდება. ჯგუფის წევრებმა განსაკუთრებული წვლილი სახვითი ხელოვნების განვითარებაში შეიტანეს. განსხვავებული სიტუაცია იყო ლიტერატურაში. ეგვიპტელი სიურრეალისტები, როგორც ვნახეთ, არაბულად ძირითადად სტატიებს წერდნენ. არაბულ ენას იყენებდა ასევე ზოგიერთი პოეტიც, მაგრამ მათი პროზაული ნაწარმოებების უმრავლესობა ფრანგულად იწერებოდა. მართალია, ისინი უცხო ენაზე წერდნენ, მაგრამ ნაწერებში ეგვიპტური ხასიათი და თემატიკა ჩანს. ალ-ხარრატი თვლის, რომ ეს არ არის ფრანგოფონული ლიტერატურის ნიმუშები, საქმე გვაქვს ეგვიპტური სულით

³⁹ იხ.: ოსტერი 1985.

გაუდებთილ თხზულებებთან (ალ-ხარრატი 2000: 10-10). მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ნაწარმოებები არ გახდა ცნობილი ფართო საზოგადოებისთვის, 1930-40-იან წლებში მოდვაწე არაბმა სიურრეალისტებმა გავლენა იქონიეს შემოქმედთა გარკვეულ წრეზე და ნიადაგი მოამზადეს არაბულ ლიტერატურაში სიურრეალიზმის ახალი ტალღის გაჩენისთვის. ეს ტენდენციები მოგვიანებით, 1960-იან წლებში გამოჩნდა.

1960-იანი წლებისთვის სიურრეალიზმის გავლენა შესამჩნევი გახდა ბევრი ცნობილი ეგვიპტელი მწერლის ნაწარმოებებზე. ამ პერიოდში არაბული პროზა განვითარების ახალ საფეხურზე ავიდა, მასში ბევრი სიახლე გაჩნდა. რომანებსა და ნოველებში ვხვდებით სიურრეალისტურ ხედვას, მისთვის დამახასიათებელ ნიშნებს, რეალურისა და ირეალურის შერწყმას, ადამიანის შინაგანი სამყაროს, მისი არაცნობიერის წვდომის სურვილს და ა.შ. „სამოციანების თაობის“ მწერლების ნაწარმოებებში გაჩნდა სიურრეალისტური სახეები, გამოხატვის ფორმები და თემები. მოგვიანებით, 1970-იან წლებში კი სიურრეალიზმი ახალი და თამამი სახით გამოვლინდა ახალგაზრდა პოეტების ლექსებში.

ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის მეორე ნაწილი ეთმობა იმ სიურრეალისტური ნაკადის შესწავლას, რომელმაც XX საუკუნის 60-იანი წლებიდან თავი იჩინა არაბულ პროზაში.

II ნაწილი

სიუროეალიზმის გავლენა XX საუკუნის არაბულ პროზაში

1. თავი

არაბული ნოველა და რომანი XX საუკუნეში

I. ერთიანი არაბული ლიტერატურის პრობლემა

როდესაც ვსაუბრობთ არაბულ ლიტერატურაზე, ვგულისხმობთ სხვადასხვა არაბული ქვეყნის ლიტერატურას. ეგვიპტის ლიტერატურა არაბული ლიტერატურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. ბევრი მკვლევარი არაბულ ლიტერატურას ერთ მთლიანობად განიხილავს და უარყოფს მის დაყოფას ცალკეული არაბული ქვეყნების ლიტერატურად. თუმცა, როდესაც ათეულობით არაბული სახელმწიფო არსებობს განსხვავებული ისტორიითა და განვითარების განსხვავებული დონით, თითქოს ძნელი წარმოსადგენია არაბული ერთობისა და მით უმეტეს ერთიანი არაბული ლიტერატურის არსებობა. ჩნდება კითხვა, რამდენად შესაძლებელია ასეთი ერთობა? თუ ის მხოლოდ რომანტიკული, უტოპიური და იდეალისტური ოცნებაა? თუმცა არსებობს რიგი ფაქტორებისა, რომლებიც ამ ერთობის არსებობას უწევობს ხელს. ბარაქთის მიხედვით, მეცნიერებს ერთიანი არაბი ერის არსებობაზე დარწმუნებით საუბრის საფუძველს რამდენიმე ფარქტორი აძლევს: საერთო ისტორიული გამოცდილება, არაბული ენა და საერთო კულტურული მემკვიდრეობა (ბარაქთი 1993: 5). განსაკუთრებული მნიშვნელობა კი ყოველთვის არაბულ ენას ენიჭებოდა. ბევრი მეცნიერი ამახვილებს ყურადღებას იმ გავლენაზე, რომელიც არაბულ ენასა და არაბულ ლიტერატურას აქვს არაბ ხალხზე. ფილიპ ჰიტტი თვლის, რომ მსოფლიოში არც ერთი ხალხი არ ამჟღავნებს დაწერილი თუ წარმოთქმული სიტყვით და ლიტერატურული ფორმებით ისეთ ადგიროვანებას, როგორსაც არაბები (ბარაქთი 1993: 206). ლიტერატურა არა მხოლოდ ასახავს რეალობასა და საზოგადოების აზრს, მას ასევე შეუძლია, გავლენა იქონიოს ადამიანებზე და შეცვალოს მათი ცნობიერება. ამდენად, საერთო ლიტერატურული ტენდენციების არსებობა მნიშვნელოვანია არაბული ერთობის შესანარჩუნებლად. დოლინინას აზრითაც, სწორედ ეს ფაქტორები განაპირობებს იმას, რომ თავად არაბები უფრო ხშირად საუბრობენ საერთო არაბულ ლიტერატურაზე, ვიდრე

ეგვიპტურზე, ლიბანურსა თუ ერაყულზე (დოლინინა 1961: 3). ბევრი ცნობილი არაბი მწერალი (მაგ: ნაჯიბ მაჰფუზი და ვაჰავა ჰაკები) თვლიდა, რომ ლიტერატურას შეეძლო, მიეღწია იმ არაბული ერთობისთვის, რომლის შექმნაც ვერ შეძლო პოლიტიკამ (კენდალი 2006: 93). სტატიაში „არაბული რომანი“ („The Arabic Novel“) პილარი კილპატრიკი ცდილობს უპასუხოს შეკითხვებს: არსებობს თუ არა არაბული რომანი? თუ ცალკეული არაბული ქვეყნების რომანზე უნდა ვისაუბროთ? რამდენად შეიძლება ეგვიპტური რომანისათვის დამახასიათებელი ელემენტების გათვალისწინებით ვიმსჯელოთ სირიულ ან ლიბანურ რომანზე? მისი აზრით, არაბული რომანი, ფართო გაგებით, არსებობს, რამდენადაც ყველა ქვეყნის წარმომადგენელი მწერლები ერთ ენას იყენებენ და საერთო კულტურული საფუძველი, ლიტერატურული ტრადიცია და ასევე მსგავსი ისტორიული გამოცდილება აქვთ. თუმცა, არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ სხვადასხვა არაბული ქვეყნის ლიტერატურულ ნაწარმოებებში არსებობს განსხვავებები. ეს შეიძლება ეხებოდეს სტილს, თემას ან ფილოსოფიურ ხედვას. თუ სხვადასხვა ქმარანაში ამ განსხვავებული ელემენტების დამოუკიდებელი განვითარება გაგრძელდება, მაშინ ერთიანი არაბული ლიტერატურის არსებობა უკეთ საჭირო გახდება (კილპატრიკი 1974: 107).

ერთიანი არაბული ლიტერატურის შენარჩუნებისკენ ასეთი სწრაფვის მიუხედავად, ყველა არაბულმა ქვეყანამ როდი შეძლო, ერთნაირი წვლილი შეეტანა არაბული ლიტერატურის განვითარებაში. ისტორიული პირობებისა და საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების სხვადასხვაგარობის შედეგად შეა საუკუნეების ლიტერატურიდან თანამედროვეზე გადასვლა არაბული სამყაროს სხვადასხვა რეგიონში არაერთფეროვნად და სხვადასხვა დროს მოხდა. თანამედროვე არაბული ლიტერატურის განვითარებაში განსაკუთრებული წვლილი ეგვიპტემ, ლიბანმა და სირიამ შეიტანეს. 1920-იანი წლებიდან მათ ერაყიც შეუერთდა (კრაჩკოვსკი 1956: 87). ჯვაროსანთა პერიოდიდან მოყოლებული არაბული სამყაროს ამ ნაწილს დასავლეთთან მჭიდრო ურთერთობა პქონდა და, შესაბამისად, არაბულ კულტურაში დასავლური ელემენტების შემოტანაშიც დიდი როლი ითამაშა. დასავლურ კულტურასთან დიალოგი ახალ ფაზაში შევიდა ეგვიპტეში ნაპოლეონის ლაშქრობის შემდეგ, მუჰამედ ალის მმართველობისას. მის მიერ დაწყებული მნიშვნელოვანი რეფორმები მისი შვილიშვილის, ისმაილის, მმართველობის დროსაც გაგრძელდა (ჰაფიზი 1992: 271). შესაბამისად, ლიტერატურაში პირველი ცვლილებებიც

ეგვიპტეში გახდა შესამჩნევი. უანრობრივი მრავალფეროვნების თვალსაზრისითაც, ეგვიპტური ლიტერატურა დღესაც განვითარების ყველაზე მაღალ საფეხურზე დგას, ის მრავალმხრივი მიმართულებებით გამოირჩევა.

II. ეგვიპტური ლიტერატურის განვითარების პერიოდები

თანამედროვე არაბული პროზის განვითარების ზუსტი პერიოდების გამოყოფა საკმაოდ რთულია. ამ საკითხზე კრიტიკოსთა მოსაზრებებიც განსხვავდება, თუმცა არა მნიშვნელოვნად. ძირითადად სამ პერიოდს მოისაზრებენ: ახალი ჟანრების აღმოცენებისა და განვითარების ადრეული ეტაპი, რომელიც ძირითადად XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისს მოიცავს; არაბული პროზის ე.წ. დახვეწა-განვითარების პერიოდი, რომელიც ძირითადად 1930-50-იან წლებს გულისხმობს და, მესამე, განახლების ე.წ. ახალი ხედვის პერიოდი, რომელიც 1960-იანი წლებიდან იწყება. ჩვეულებრივ, ახალი ეტაპის თუ პერიოდის დაწყებას რაიმე განსაკუთრებული მნიშვნელოვანი სიახლის გაჩენა განაპირობებს. მაგალითისთვის მოვიყვანთ რამდენიმე მეცნიერის მოსაზრებას თანამედროვე არაბული ლიტერატურის განვითარების მნიშვნელოვანი პერიოდების გამოყოფასთან დაკავშირებით. მაგალითად, კრაჩკოვსკი მიიჩნევს, რომ მეორე მსოფლიო ომის დაწყებასთან ერთად ახალი მნიშვნელოვანი ეტაპი დაიწყო არაბულ ლიტერატურაში (კრაჩკოვსკი 1946: 53). ტაქ შადა ეგვიპტური ნოველის პერიოდიზაციას ასეთი სახით გვაძლევს: 1920-30-იანი წლები, რომელსაც რომანტიზმის ხანად მოიაზრებს; მეორე ეტაპი მეორე მსოფლიო ომის შემდგომ იწყება და 1967 წელს ისრაელთან ომით სრულდება. ამ პერიოდს „مَوْهِيَّةُ النَّصْرِ وَالتَّخَصُّصِ“ („مرحلة النصر والتخصص“) ეტაპს უწოდებს და იგი ძირითადად რეალიზმით ხასიათდება. 1967 წლიდან კი ცვლილებებისა და ახალი სტილის პერიოდი იწყება, რომელსაც შადა „اხალი მიმდინარეობის“ („تَيَارٌ جَدِيدٌ“) პერიოდს უწოდებს (შადა 2001: 77-80). მსგავს დაჯგუფებას ვხვდებით პოლ სტარკის ნაშრომშიც „თანამედროვე არაბული ლიტერატურა“ („Modern Arabic Literature“)⁴⁰: 1. პროზის ადრეული განვითარების პერიოდი, 2. ე.წ. სიმწიფის პერიოდი 1930-1967 და 3. სამოციანების თაობა. რაც შეეხება საბრი ჰაფიზს,

⁴⁰ ማብ.: ህ/ፌ/ቤት ፲፻፰六年。

არაბული ნოველის განვითარების შესახებ 2007 წელს გამოცემულ ნაშრომში⁴¹, განვითარების ეტაპების გამოყოფისას ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას არ ანიჭებს გადამწყვეტ მნიშვნელობას. ის გამოყოფს რეალისტურ ნოველას (1930-70 წლები), რომანტიკულ-სენტიმენტალურს (1930-40 წლები) და ექსპერიმენტულს (1940-70 წლები).

XX საუკუნეში არაბული, კერძოდ ეგვიპტური, პროზის განვითარების გზის საჩვენებლად და მასში ჩვენთვის საინტერესო მიმდინარეობისა და ელემენტების არსებობის უკეთ წარმოსაჩენად გადავწყვიტეთ, გამოგვეყო შემდეგი პერიოდები: საუკუნის დასაწყისი ანუ ახალი პროზაული ჟანრების აღმოცენების პერიოდი, 1930-40 წლების მონაკვეთი ანუ პროზის განვითარების, მოდერნისტული ტენდენციების დამკვიდრებისა და სიურრეალიზმის პირველად გამოჩენის პერიოდი, 1950-იანი წლების რეალიზმის დომინანტობის პერიოდი და 1960-იანი წლებიდან საუკუნის მიწურულამდე, რომელიც ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთს წარმოადგენს, რამდენადაც სწორედ ამ პერიოდში იჩინა თავი სიურრეალიზმის გავლენამ რიგი ეგვიპტელი მწერლების ნაწარმოებებზე და ერთგვარი ძლიერი ტენდენციის სახე მიიღო.

ა. საუკუნის დასაწყისი და ახალი ჟანრების გაჩენა

ახალი ლიტერატურული ჟანრის წარმოშობა ხანგრძლივი და რთული პროცესის ნაწილია, რომელიც ცვლის ადამიანთა მიერ მათივე საზოგადოების გაგებას, საკუთარი თავის ადქმასა და გააზრებას. ეს პროცესი ეგვიპტეში XIX საუკუნეში დაიწყო და ცვლილებებიც ნელ-ნელა იკიდებდა ფეხს კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში (პატიში 1992: 271). ახალი ლიტერატურული ფორმების წარმოშობისა და განვითარების პროცესი ბეჭდური პრესისა და განათლებული საშუალო კლასის გაჩენამ კიდევ უფრო დააჩქარა. ევროპული ლიტერატურისათვის დამახასიათებელი ჟანრების არაბულ ლიტერატურაში დამკვიდრებაში განსაკუთრებული წვლილი ევროპაში განათლების მისაღებად წასულმა ახალგაზრდებმა შეიტანეს. როგორც ლაროი აღნიშნავს, ვესტერნიზაცია ყოველთვის უცხოურ სკოლებში იწყება (ლაროი 1976: 94). ევროპაში გაგზავნილი სტუდენტები ეზიარებოდნენ დასაგლურ ლიტერატურასა და კულტურას და შედეგად ყალიბდებოდა ე.წ. არაევროპული ინტელიგენცია,

⁴¹ იხ.: პატიში 2007.

რომელსაც შეძენილი ცოდნა და ახალი კულტურა საკუთარი საზოგადოებისთვის უნდა გადაეცა. ბევრმა ეგვიპტელმა ახალგაზრდამ დაიწყო დასავლური ლიტერატურის თარგმნა, რამაც ეგვიპტური და საერთოდ არაბული საზოგადოებისთვის შესაძლებელი გახდა, გასცნობოდა საკუთარი ტრადიციისაგან განსხვავებულ ლიტერატურას. კვლავ ლაროის ნაშრომზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეგვიპტის კულტურულ წრეებში ჩამოყალიბდა ორი ჯგუფი: ისინი, პირადად რომ შეეძლოთ, გასცნობოდნენ ევროპულ კულტურას და ისინი, რომლებიც მხოლოდ თარგმანებს ეყრდნობოდნენ. მეორე ჯგუფის წევრები ხშირად უფრო ახლოს რჩებოდნენ ტრადიციებთან, საკუთარ საზოგადოებასთან და სოციალურადაც მეტად აქტიურები იყვნენ (ლაროი 1976: 117). აღნიშნულმა გარემოებებმა ხელი შეუწყო არაბულ ლიტერატურაში სიახლეების გაჩენასა და ცვლილებების დაჩქარებას.

ისეთი ახალი ლიტერატურული ჟანრების გაჩენამ, როგორიცაა რომანი და ნოველა, განსაკუთრებული როლი ითამაშა ახალი ხედვის დამკვიდრებაში, რაც ძველსა და ახალს შორის ბრძოლის ხასიათის შეცვლაში გამოიხატა. მალე არაბულ ლიტერატურაში განსხვავებული მიმართულებები გაჩნდა. ხდებოდა რიგი ტრადიციული ფორმების უარყოფა, მაგრამ, ამასთანავე, ნაყოფიერი ძველი ტრადიციები თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისად ვითარდებოდა და ევროპული ლიტერატურის ამა თუ იმ მიმდინარეობის გავლენას ეთანხმებოდა. ამ ტენდენციებზე საუბრისას დოლინინა აღნიშნავს, რომ მკითხველს არ უნდა გაუკვირდეს, თუ ერთ თხზულებაში „ათას ერთი დამის“ ზღაპრის მსგავს მოტივებს, ხალხურ გმირთა ხასიათებს, ასევე უარყოფით გმირთა რეალურ სახეებსა და სიმბოლისტურ ფიგურებს შეხვდება (დოლინინა 1961: 5).

მეოცე საუკუნე საკმაოდ ნაყოფიერი იყო არაბული და, კერძოდ, ეგვიპტური პროზის განვითარებისთვის. საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული არაბული პროზის განვითარების გზაზე ბევრი სიახლე გაჩნდა. 1914 წელს დაიბეჭდა მუშამმად ჭუსან ჭაჭალის რომანი „ზანაბი“ („زنانبی“) და ეს თარიღი ხშირად ეგვიპტურ ლიტერატურაში განახლების ეპოქის დასაწყისად მიიჩნევა. მალე მოხდა უცხო წარმოშობის ჟანრის, რომანის ასიმილაცია ეგვიპტურ გარემოსთან. შემდგომში მან სპეციფიკური ეგვიპტური თვისებები შეიძინა. თემათა არეალი გაფართოვდა, ენა განვითარდა და ახალი ელემენტებით შეიგსო, სასაუბრო და სალიტერატურო ენას შორის ბარიერი შესუსტდა. აღიარებული იქნა ენის გამდიდრების ის შესაძლებლობები, რომლებსაც არაბული ზეპირი თუ

წერილობითი ლიტერატურული ტრადიცია სთავაზობდა. მწერალთა განკარგულებაში იყო როგორც ლიტერატურული ენის, ასევე დიალექტის მდიდარი არსენალი. ევროპული რეალიზმის მყარად შეთვისების შემდეგ, არაბული რომანი სულ უფრო ხშირად მიმართავდა მითიურ, ფანტასტიკურ და არარეალისტურ მემკვიდრეობას ძველი არაბული ლიტერატურიდან. ეგვიპტელ მწერალთა ნაწარმოებებში, სოციალური თუ კულტურული თვალსაზრისით, ჩანს ტრადიციულიდან თანამედროვეზე გადასვლის მცდელობა; ისინი თითქოს ახალ დირებულებებს ეძებენ, რითიც ჩაანაცვლებენ ძველ რელიგიურ ღირებულებებს და ამ ძიებას ხშირად სუფი ფილიურის, როგორც იდეალის, საშუალებით წარმოგვიდგენენ (კილპატრიკი 1992: 269).

ნოველაც, რომელიც XX საუკუნის დასაწყისში გამოჩნდა, ახალი ჟანრი იყო თანამედროვე არაბულ ლიტერატურაში. პირველი არაბული ნოველების შექმნა ძმების მაჰმედ და მუჰამმად თადმურების სახელს უკავშირდება. ტაჰა შადი პირველ არაბულ ნოველად მიიჩნევს მაჰმედ თადმურის თხზულებას „მატარებელში“ (القطار, „ჭი“), რომელიც 1917 წელს გაზეოთ „ალ-სუფურის“⁴² 107-ე ნომერში დაიბეჭდა (შადი 2001: 64).

პირველ არაბულ ნოველებზე რომანტიზმის ცხადი გავლენა შეინიშნება, მაგრამ რომანტიზმი მაღა რეალიზმა ჩაანაცვლა. იმ დროისათვის არაბულ სამყაროში მიმდინარე დიდი სოციალური და პოლიტიკური ძრების გავლენის ფონზე ნოველამ მაღა დაიმკვიდრა ადგილი არაბულ ლიტერატურაში. ძველ მიმართულებებში ახალი რეალისტური ნოველა წარმოიშვა, რომელიც უკვე მეორე მსოფლიო ომის დასასრულისათვის ეგვიპტეში ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ჟანრად იქცა. ნაგიბინი თვლის, რომ არაბული ნოველა, მისი არც თუ ხანგრძლივი განვითარების გზის მიუხედავად, მკითხველზე დიდ ემოციურ ზეგავლენას ახდენდა. ამის მიზეზი კი მასში ასახული ადამიანისა და საკუთარი ქვეყნის სიყვარული იყო (ნაგიბინი 1963: 6). სიუჟეტის წყობის, კომპოზიციის, პორტრეტისა და პეიზაჟის აღწერის ხელოვნებას ეგვიპტელი ნოველისტები ევროპელი მწერლებისაგან სწავლობდნენ, მაგრამ ასახვით კი ეგვიპტურს ასახავდნენ. მათ აღწერეს ქალაქისა და სოფლის ცხოვრება, ტრადიციები, ხასიათი, ფსიქოლოგიური თუ სოციალური ტიპები, გლეხები, გაჭრები,

⁴² السفور – 1. სახის გამოჩენა; 2. ნათება (განთიადის)

ჩინოვნიკები, არისტოკრატები. მათ უყურადღებოდ არ დატოვეს ეგვიპტური ცხოვრების თითქმის არც ერთი მხარე.

როგორც ზემოთ აღნიშნულიდან ჩანს, ნოველამ ისევე, როგორც რომანმა, მალე გაიარა აკლიმატიზაცია. ევროპიდან შემოსული ჟანრები ეგვიპტურ ნიადაგზე განვითარდა და მალე დიდი პოპულარობა მოიპოვა. არაბულ სამყაროში, როგორც სხვა განვითარებად ან ნახევრად განვითარებულ ქვეყნებში, სხვადასხვა მიზეზების გამო ნოველა ყველაზე პოპულარული და მნიშვნელოვანი ჟანრი გახდა (ჭაფიში 1992: 270).

კლასიკური და შუა საუკუნეების არაბული ლიტერატურა მდიდარია არქეტიკული პროზაული თხზულებებით, თხრობის მოკლე ფორმებით. ამ ფაქტმა ბევრი მეცნიერის ყურადღება არაბული ნოველის გენეალოგიისკენ მიმართა. ზოგი მათგანი ცდილობდა, კავშირი მოექმენა თანამედროვე არაბულ ნოველასა და შუა საუკუნეების თხრობის ფორმებს შორის. იგი ახლოს იდგა ძველ არაბულ ჟანრებთან: მაკა (مقامة) და ნადირა (نادر). შესაბამისად, ზოგი მკგლევარი მის წინამორბედად კლასიკურ არაბულ ლიტერატურაში რაინდულ ისტორიებს, „ათას ერთ ლამესა“ და ურთულესი ენით დაწერილ მაკამებს მიიჩნევს (ბორისოვი 1961: 15). მეცნიერთა დიდმა ნაწილმა კი მაკა არა მარტო ნოველის, არამედ რომანისა და პიესის წინაპრადაც კი აღიარა (ჭაფიში 1992: 270). ამ გასართობი და დიდაქტიკური ამბების გ.წ. შუა საუკუნეების „ნოველების“ გმირები უჩვეულო სიტუაციებში ხვდებიან და დაუკერებელი და მოულოდნელი თავგადასავლები აქვთ. ხშირად ეს გმირები ცნობილი ისტორიული პირები არიან, რომლებსაც ტრადიცია ამა თუ იმ გავრცელებულ ამბავს მიაწერს (ფიშმანი 1963: 6).

თუმცა, არაბული პროზის ახალი ჟანრების განვითარებაში, როგორც უკვე ითქვა, ყველაზე დიდი როლი ევროპულმა ლიტერატურამ ითამაშა. მკგლევართა ერთი ჯგუფი წარსულთან ყველანაირ კავშირს უარყოფს და აღიარებს, რომ ნოველა და რომანი უბრალოდ დასავლეთიდან იყო ნასესხები. წლების განმავლობაში ეგვიპტელი მწერლებისთვის ესთეტიკურ მაგალითს ევროპელი ავტორების ნაწარმოებები წარმოადგენდა. ბევრი მათგანი საკუთარი თხზულების შექმნამდე თარგმნიდა ევროპელი და რუსი მწერლების ნაწარმოებებს. როგორც ცნობილი მწერალი მაჰმად ჭავჭავაძე განმარტავს, რომ ახალგაზრდა არაბი მწერლები ჯერ ინგლისელი, გერმანელი, ფრანგი და იტალიელი მწერლების გავლენის ქვეშ

მოექცნენ, რომელთა ნაწარმოებებსაც უმეტესად ორიგინალში კითხულობდნენ. მოგვიანებით კი თარგმანების საშუალებით რუსი მწერლები გაიცნეს (ჰაკე 1960: 80-81). სალმა ალ-ხაფრა⁴³ ჯაფრა⁴⁴ აღნიშნავს, რომ ახალი უანრების გაჩენისთვის აუცილებელი იყო ამისთვის ლიტერატურისა და ასევე მკითხველის ერთგვარი შეამზადება. ასეთი მზადყოფნის მიღწევა კი შეუძლებელი იქნებოდა ავტორთა მცირე ჯგუფის შთაგონებული და შეუპოვარი მცდელობის გარეშე (ჯაფრა 2005: 14-15). სწორედ ასეთი წინაპირობა და საფუძველი მოამზადეს XX საუკუნის დასაწყისში მოდვაწე მწერლებმა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჯერ თარგმანებით და შემდეგ უკვე საკუთარი თხზულებების შექმნით.

XX საუკუნის დასაწყისში ეგვიპტელ ინტელექტუალთა რიგებში ნაციონალიზმი ძლიერდებოდა, რამაც გამოხატულება 1919 წლის რევოლუციაში პპოვა. ახალგაზრდა მწერლებისთვის ნაციონალური დამოუკიდებლობა თანამედროვე მოდერნისტული ლიტერატურის შექმნასთან ასოცირდებოდა, რაც, თავის მხრივ, ძველი ლიტერატურული ტრადიციებისაგან განთავისუფლებას გულისხმობდა. 1920-იანი წლების შუა ხანებში ლიტერატურულ ასაარეზზე მწერალთა, ძირითადად ნოველისტთა, ჯგუფი ე.წ. „ახალი სკოლა“ („المدرسة الحديثة“) გამოჩნდა. 1925-27 წლებში ჯგუფი საკუთარ ლიტერატურულ ჟურნალს „ალ-ფაჯრ“⁴⁵ გამოსცემდა. ჟურნალი თავდაპირველად მხოლოდ თარგმანებს ბეჭდავდა, მაგრამ მალე გაჩნდა ორიგინალური ეგვიპტური თხზულებებიც. მნელი სათქმელია, რამდენად მჭიდრო იყო მათი თანამშრომლობა, მაგრამ მათ საერთო მიზანი ჰქონდათ, ევროპული ლიტერატურული ტრადიციების მიბაძვით შეექმნათ ახალი ეგვიპტური ლიტერატურა (კილპატრიკი 1973: 49). თუმცა მწერალთა და ინტელექტუალთა ნაწილის პოზიცია სხვაგვარი იყო. ბრიტანეთისგან ნაციონალური დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად ეგვიპტის ბრძოლა მათ საფუძველს აძლევდა, ეჭვის თვალით შეეხდათ დასაგლური კულტურისთვის, რომელიც დამპყრობელთან ასოცირდებოდა. ინტელექტუალთა ერთი ნაწილი ვარაუდობდა, რომ ბრიტანელები ცდილობდნენ, მათი „ვესტერნიზაცია“ მოქადინათ და ამით ისლამური კულტურული მემკვიდრეობა გაენადგურებინათ.

აზრთა ასეთი სხვადასხვაობის მიუხედავად, XX საუკუნის დასაწყისი და მისი პირველი ათწლეულები არაბული ლიტერატურის ისტორიაში, შესაძლოა,

⁴³ الفجر – განთიადი.

გარდატეხის პერიოდად მივიჩნიოთ. ამ დროს დანერგილმა სიახლეებმა არაბული ლიტერატურა განვითარების ახალი გზით წაიყვანა.

პ. 1930-იანი წლები და განვითარების ახალი ეტაპი

1930-იანი წლების ბოლოსთვის ეგვიპტურმა პროზამ ახალ სიმაღლეებს მიაღწია. მასში გაჩნდა რიგი ახალი მიმართულებებისა. ამ ეტაპისთვის უკვე ცნობილი მწერლები: თაუფიკ ალ-ჭაქიმი, ტაჰა ჭუსავნ, ‘აბბას ალ-აკბადი და იბრაჰიმ ალ-მაზინი და სხვები ზოგიერთ საკითხში განსხვავებული შეხედულებების მიუხედავად, გარკვეულ საერთო დამოკიდებულებებსა და ტენდენციებს იზიარებდნენ. ამის საფუძვლად პოლ სტარკეი ეროვნულ მისწრაფებებსა და ასევე ნაციონალისტურ მოძრაობაში მათ აქტიურ მონაწილეობას მიიჩნევს⁴⁴ (სტარკეი 2006ა: 117). როგორც როჯერ ალენი აღნიშავს, 1930-იან წლებში არაბულ სამყაროში მწერალთა გარკვეულმა ჯგუფმა თითქოს მიიღო გამოწვევა, შექმნათ და განვითარებინათ არაბული რომანი; ექციათ ძლიერ ლიტერატურულ ფორმად, რომელიც მაშინდელი პერიოდისთვის აქტუალურ საკითხებს განიხილავდა და ამასთან ტექნიკური ექსპერიმენტებისთვის მზად იქნებოდა. ლიტერატურაში ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ თემად დასავლური კულტურის გავლენა რჩებოდა. მაგალითისთვის მოჰყავს ცნობილი ნაწარმოები: დაჭავ ჭაკბის „უმმ ჰაშიმის ლამპარი“, (قدیل أم حاشم، 1944) (ალენი 2000: 185).

მალე ახალმა თაობამ ყურადღება ორ მსოფლიო ომს შორის არსებული პერიოდის ეგვიპტის პოლიტიკური სისტემის კორუფციულ ხასიათზე გადაიტანა. მათ ნაწარმოებებში წინა თაობისათვის დამახასიათებელი ოპტიმიზმი აღარ შეინიშნება. ეგვიპტურ ლიტერატურაში გაჩენილ ახალ ნაკადს ასევე ისტორიული თემატიკით განსაკუთრებული დაინტერესებაც ახასიათებდა. ბარაქთი წერს, რომ 1930-იანი წლებიდან ბევრმა მწერალმა, რომელიც ყოველთვის დასავლური ორიენტაციით გამოირჩეოდა, ყურადღება არაბულ და ისლამურ თემატიკაზე გაამახვილა. მაგალითად ჰავქალმა ჯერ ძველი ეგვიპტის ისტორიაზე და მოგვიანებით ისლამურ თემატიკაზე დაიწყო წერა. თაუფიკ ალ-

⁴⁴ ავტორი გულისხმობს 1881-82 წლების ‘ურაბის ამბოხებასა და 1919 წლის აჯანყებას სადაღლულის თაოსნობით.

ჭაჭმის ნაწარმოებების უმრავლესობაც „ეგვიპტის სულხ“ („روح مصر“) ეძღვნებოდა, თუმცა ნაციონალური იდენტობის საკითხთან ერთად მისთვის ასევე მნიშვნელოვნად რჩებოდა ეგვიპტის დაკავშირება თანამედროვე სამყაროსთან (ბარაქი 2008: 184-186).

1930-იან წლებში არაბ მწერლებზე რომანტიზმის ძლიერი გავლენა ჩანს. არაბულ ლიტერატურაში რომანტიზმზე ოდნავ ადრე, ან მის პარალელურად, სენტიმენტალიზმიც გაჩნდა, მაგრამ მისი დამოუკიდებელ მიმდინარეობად ჩამოყალიბება, სავარაუდოდ, მნიშვნელოვანწილად შეზღუდა რომანტიზმის სწრაფმა და ძლიერმა განვითარებამ (ქუთელია 2009: 63). თუმცა ეგვიპტური რომანტიზმი დიდხანს არ გაგრძელებულა. რომანტიკულ და სენტიმენტალურ ხედვას მალე რეალიზმიც შეერია. უკვე 1940-იანი წლებიდან თავს იჩენს ე.წ. კრიტიკული რეალიზმი, რომელიც ცდილობდა საზოგადოებისა და არსებული რეალობის უარყოფითი მხარეები, ადამიანთა სისასტიკ და რთული ყოფა აღეწერა. **შადას** თანახმად, ადგილობრივ რეალობაზე (الواقع المحيي) ორიენტირებული ნაწარმოებები იქმნებოდა. მწერლებმა კიდევ ერთხელ მიმართეს სოფელსა და ქალაქის გარეუბნებს; შესაბამისად, ლიტერატურაში გაჩნდნენ გმირები ე.წ. განაპირა ზონებიდან. ადგილობრივი რეალობის აღწერასთან ერთად ეხებოდნენ პოლიტიკურ და სოციალურ საკითხებს. თუმცა მათი ხედვა ჯერ კიდევ სუბიექტური იყო და მირითადად იმ საკითხებს განიხილავდნენ, რომლებიც თავად აწუხებდათ. მწერალთა დიდი ნაწილი ჯერ კიდევ რომანტიზმის საფუძველზე იდგა (შადა 2001: 66). რეალიზმის დამკვიდრებამ წამოჭრა რიგი ახალი საკითხებისა, მაგალითად: მხატვრულ ნაწარმოებში დიალექტის ან დიალექტური ფორმების გამოყენების საკითხი. რეალური გმირის შესაქმნელად საჭირო ხდებოდა მისთვის დამახასიათებელი მეტყველების რეალურად ასახვაც. ბევრმა ცნობილმა მწერალმა (მაგ.: მაჟმუდ თამარამა)⁴⁵ საკუთარ ნაწარმოებებში, მირითადად კი დიალოგებში, ეგვიპტური დიალექტის გამოყენება დაიწყო.

არაბული, კერძოდ ეგვიპტური, ლიტერატურისთვის მეოცე საუკუნის პირველი ნახევარი დასავლური ლიტერატურის ესთეტიკური მიღწევების შეთვისების პერიოდად იქცა. ეს მონაკვეთი ხასიათდებოდა სხვადასხვა

⁴⁵ იხ.: ფურცელაძე 1960.

ლიტერატურული მიმდინარეობის თანაარსებობით: სენტიმენტალიზმი, რომანტიზმი და რეალიზმი (კირპიჩენკო 1999: 265). 1940-იანი წლების დასაწყისისთვის ეგვიპტურ ლიტერატურულ ასპარეზზე სიმბოლისტური და სიურრეალისტური ტენდენციებიც გამოჩნდა.

არაბულ ლიტერატურაში ბევრი სიახლის დამკვიდრება ფრანგული განათლების მქონე მწერალთა ჯგუფს უკავშირდება. მათი ნაწარმოებები ექსპერიმენტალურ ჟურნალებში იბეჭდებოდა. ისინი ფრანგულ თხზულებებს არაბულად თარგმნიდნენ, ზოგი მათგანი კი საერთოდ ფრანგულად წერდა, მაგალითად: 'ალბირ კუსარი'. მათ ნაწარმოებებში თხრობის ბევრი ახლი ტექნიკა განვითარდა; ევროპული ავანგარდის სხვადასხვა მიმართულების გავლენა არაბულ თხზულებებზეც აისახა. მაგალითად, 1942 წელს ბიშრ ფარისმა გამოაქვეყნა ნოველების კრებული სახელწოდებით „გაუგებრობა“ („سوء تفاهم“), რომელშიც სიმბოლისტური ხასიათის თხზულებები შედიოდა. საინტერესოა ასევე ‘ადილ ქმილის ნაწარმოებებიც, სადაც ავტორის მდიდარი წარმოსახვა განვითარების ახალ საფეხურს აღწევს. ქმილის ზოგი თხზულება ძალიან მნიშვნელოვანია თანამედროვე არაბულ ნოველაში სხიზმისა და ერესის შესასწავლად. მისი ნოველა „ნისლი და ფერფლი“ („ضباب ورماد“), რომელიც 1943 წლის იანვარში „ალ-მუკთარაფში“⁴⁶ დაიბეჭდა, მნიშვნელოვანია სიმბოლისტური ხასიათის გამო. ამ ნოველაში არარეალური გმირის შეუსრულებელი ოცნების სიმბოლისტური ძიებაა, რომლის სამყაროც ნისლითა და ფერფლით არის მოცული. თხრობის პროგრესია განსაზღვრულია არა არსებული რეალობის მიზეზობრიობით, არამედ სიმბოლისტური ასოციაციების შინაგანი ლოგიკით. აგრეთვე აღსანიშნავია ფათჰი დანიმი, რომელიც 1948 წელს ჟურნალ „ალ-ბაშტის“⁴⁷ დამაარსებელი ლიტერატურული ჯგუფის აქტიური წევრი იყო. დანიმის ნაწარმოებები უფრო ექსპერიმენტულია. მთავარი თემის – ცხოვრების და მოვლენების ფარდობითობის – პარალელურად ავითარებს სხვა მნიშვნელოვან თემებს. დრო და ადგილი კარგავს ტრადიციულ, განსაზღვრულ ბუნებას და მოქმედება სამყაროში გეოგრაფიული საზღვრებისა და დროთი შეზღუდვების გარეშე ხდება. საბრი ჰაფიზი თვლის, რომ 1940-იანი წლების მოდერნისტთა ნაწარმოებები ერთგვარ შესავალს წარმოადგენდა ’იდუქარ ალ-

⁴⁶ المقطف – კრებული, ანთოლოგია.

⁴⁷ البشير – მახარობელი, კარგი ამბის მაცნე.

სარრატის და ფუსუფ ალ-შარუნის ნაწარმოებებისთვის ეგვიპტეში, ფუნდ ალ-ტაკარლის ერაყში და ზაქარია თამირის სირიაში (ჭავიშვილი 1992: 318). მათ თხზულებებში ახალი ხედვისა და სტილის ჩამოყალიბება ძველთან კავშირში მიმდინარეობდა, თუმცა ამავე დროს დადგენილ ძველ წესებს ეწინააღმდეგებოდა. ისინი ახალ ნიადაგს ეძებდნენ და იმ დროისთვის თხრობის რადიკალურად განსხვავებულ ტიპს ქმნიდნენ.

ჩვენთვის ეს პერიოდი საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ სწორედ ამ დროს გამოჩნდა სიურრეალიზმი ეგვიპტეში. ეგვიპტეში მიმდინარეობის შემოტანა ჯურჯ ჭანინის და „თავისუფლებისა და ხელოვნების საზოგადოებას“ უკავშირდება, რომელთა შესახებაც ვრცლად ვისაუბრეთ ნაშრომის წინა თავში. ასევე უკვე მოვიხსენიეთ ის მწერლები და პოეტები, რომელთა ნაწარმოებებიც ამ მიმდინარეობას განეცუთვნება ან მათზე სიურრეალიზმის გავლენა იგრძნობა: ჯურჯ ჭანინი, ქმილ ათ-თილმისსანი, ’ალბარ კუსავრა, ჯუს მანსური და ’იდმუნ ჯაბასი. 1930-იანი წლების ბოლოსა და 1940-იან წლებში არსებულმა სიურრეალიზმმა თავი არაბულ ენაზე ნაკლებად გამოავლინა. გავიმეორებთ, რომ არაბი სიურრეალისტები ძირითადად ფრანგულად წერდნენ, არაბულად მხოლოდ მათ მიერვე გამოცემული უურნალებისთვის წერდნენ სტატიებს. ფრანგულენოვან არაბ სიურრეალისტებთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს ’იდუარ ალ-ხარრატი. აღნიშნავს, რომ მართალია, ისინი ფრანგულ ენაზე წერდნენ, მაგრამ მათი ნაწარმოებები არ არის ფრანკოფონული, მათში ნათლად იგრძნობა ეგვიპტური სული. იქვე, ’ალბარ კუსავრაზე საუბრისას, სვამს კითხვას: უნდა ჩაითვალოს თუ არა მისი და სხვა მსგავსი აგტორების ნაწარმოებები ეგვიპტურ ლიტერატურად? (ალ-ხარრატი 2000: 10-11).

არაბულენოვანი სიურრეალისტური ნაკადი შედარებით უფრო ძლიერად პოეზიაში გამოჩნდა (მაგ.: ზემოთ აღნიშნული 1940-იანი წლებში არსებულული ე.წ. ალექსანდრიული ჯგუფები). რაც შეეხება პროზას, არაბულ ენაზე შექმნილ პროზაულ ნაწარმოებებში სიურრეალისტური ელემენტები მოგვიანებით 1960-იან წლებში უფრო თამამად და მკვეთრად გამოჩნდა.

გ. 1950-იანი წლები და რეალიზმი

XX საუკუნის 1950-იან წლები ლიტერატურული თვალსაზრისით საკმაოდ აქტიური იყო. ასპარეზზე გამოჩნდა მწერალთა ახალი ჯგუფი და ნოველისტთა

პირველი ასოციაცია „ახალი სკოლა“ სრულიად ახალმა თაობამ შეცვალა. სურდათ რა, ეჩვენებინათ წინამორბედებისაგან საკუთარი განსხვავება, თავიანთ თავს „ახალი რეალისტები“ უწოდეს. მათი ლოზუნგი იყო: „წერა ხალხისთვის და ხალხზე“ (ალ-ნასაჰი თ.გ.: 283). ჯერ კიდევ 1940-იანი წლებში ეგვიპტეში დაწყებულმა სოციალისტურმა მოძრაობამ ხელი შეუწყო ლიტერატურაში რეალიზმისა და სოციალური რეალიზმის განვითარებას. მწერალთა უმრავლესობა იზიარებდა ქან-პოლ სარტრის შეხედულებას, რომ მწერალი პოლიტიკურად და სოციალურად აქტიური უნდა ყოფილიყო. მხატვრული ნაწარმოები მხოლოდ წარმოსახვის ნაყოფი არ უნდა ყოფილიყო, მასში მწერლის პოზიცია და ე.წ. მესიჯი უნდა ასახულიყო (ბადაუ 1985: 2-3). ამ პერიოდის მწერლებში საზოგადოებრივად და პოლიტიკურად აქტუალური ლიტერატურისკენ მოწოდება, საგარაუდოდ, იმ პოლიტიკურმა სიტუაციამ განაპირობა, რომელშიც ეგვიპტე და, ზოგადად, არაბული სამყარო მეორე მსოფლიო ომის შემდგომ აღმოჩნდა. როგორც სტარკეი აღნიშნავს, 1948 წლის პალესტინის ომა, რომელსაც შედეგად ისრაელის სახელმწიფოს დაარსება მოჰყვა, არაბულ კულტურულ ცხოვრებას ჩრდილი მოჰყვინა, მაგრამ ეს განწყობა გარკვეულწილად შეცვალა იმ ახალმა ოპტიმისტურმა სულმა, რომელიც 1952 წლის რევოლუციას უკავშირდებოდა (სტარკეი 2006ა: 126). ახალმა ლიტერატურულმა ხედვამ არსებითი ცვლილებები მოიტანა ძველ კულტურულ ცენტრებში. ამავე დროს ლიტერატურული სიახლეები მკვიდრდებოდა პერიფერიებში. მომხდარმა სოციალურმა ცვლილებებმა დასაბამი მისცა ახალ რეალობას. წინააღმდეგობებით სავსე სოციალური ცხოვრების ყველა ასპექტმა, ომის შედეგებმა და სწრაფად მზარდმა ქალაქებმა შეცვალეს მწერლების მიერ როგორც საკუთარი თავის, ისე მათ გარშემო არსებული რეალობის აღქმა და გააზრება. ყურადღერბას ამახვილებდნენ სოციალური დირექტულებების სწრაფ ცვლილებაზე, ახალი რეალობის პერსპექტივებზე, ქალაქება და სოფელს შორის დაპირისპირებაზე, ცხოვრების თანამედროვე და ტრადიციულ წესზე. ამ პერიოდში ლიტერატურულ ასპარეზზე გამოსული ახალგაზრდა მწერლები ცდილობდნენ, საკუთარ თხზულებებში „ახალი ეპოქის სული“ აქსახათ. ახალი თაობის მწერლებს შორის განსაკუთრებული აღიარება ღუსუფ იდრესს ხვდა წილად. მისი ადრეული ნაწარმოებები კარგად გამოხატავს ამ პერიოდში არსებულ განწყობას. არსებული ტენდენციების გამო 1950-იან წლებში რეალიზმი

ერთგვარ დომინანტ მიმართულებად იქცა, რომელმაც აქამდე არსებული სხვა ყველა მიმდინარეობის გავლენა დაჩრდილა.

მალე საზოგადოებრივად აქტიურობა მოთხოვნად და ვალდებულებად იქცა. როგორც კრიტიკოსები აღნიშნავენ ე.წ. „მოვალეობის ლიტერატურა“ („الاداب الملتمز“) ნორმად დამკვიდრდა. ამან შედეგად მოიტანა ის, რომ ნაწარმოების შინაარსს უფრო მეტი ყურადღება ექცეოდა, ვიდრე ფორმას. მთავარი იყო, მწერალს აქტუალურ თემატიკაზე ეწერა. 1950-იანი წლების დასაწყისში ეგვიპტის გაზეთებში დიდი პოლემიკა გაიმართა ამ საკითხებთან დაკავშირებით, რამდენად შეიძლებოდა ფორმისა და შინაარსის გათიშვა და რამდენად უნდა ქცეულიყო საზოგადოებრივი აქტიურობა მწერლისთვის ვალდებულებად. მუჭამმად ბადაჟის თავის ნაშრომში „მოვალეობა თანამედროვე არაბულ ლიტერატურაში“ („Commitment in Contemporary Arabic Literature“) მოჰყავს რამდენიმე მნიშვნელოვანი წერილი ამ პოლემიკიდან. 1954 წელს „ალ-ჰადაბში“⁴⁸ ტაჰა ჰუსანი თვლიდა, რომ ავტორი არ წერს გარკვეული მიზნის მისაღწევად, ის წერს, რადგანაც არ შეუძლია, რომ არ წეროს. „არასდროს უნდა გავიზიაროთ ის მოსაზრება, რომ ლიტერატურა უნდა იქცეს რეფორმის იარაღად ან ადამიანთა ცხოვრების შეცვლის საშუალებად. ეს არ ნიშნავს, რომ ლიტერატურა უნაყოფოა და მწერლები ეგოისტები არიან. რეფორმა, ცვლილება და გაუმჯობესება მისგან ისე ბუნებრივად უნდა გამომდინარეობდეს, როგორც ნათელი მზისგან,“ – აღნიშნავს ცნობილი მწერალი. ბადაჟის ასევე მოჰყავს ლუჟის ‘აჟადის მოსაზრებები, რომელიც თვლიდა, რომ მწერალი პოლიტიკურად და სოციალურად აქტიური უნდა ყოფილიყო, მაგრამ ეს იძულებით არ უნდა მომხდარიყო. ის საუბრობს მოვალეობასა (التقاصم), და იძულებას (الازم), შორის განსხვავებაზე. ასევე აღნიშნავს, რომ ე.წ. „მიზანმიმართული ლიტერატურა“ (الاداب الهداف), რომელზეც ასე ხშირად საუბრობდნენ კრიტიკოსები და მწერლები, არ უნდა ქცეულიყო „პოლიტიკური სლოგანების მყვირალა ლიტერატურად“ (الهافت), ანუ ლიტერატურად, რომელიც რომელიმე პოლიტიკური პოზიციისკენ მოწოდება და მისი ინტერესების ქადაგება იქნებოდა (ბადაჟი 1985: 14-15).

1950-იან წლების რეალიზმსა და მის ძირითად ელემენტებზე საუბრობს ჰაფიზიც. მეორე მსოფლიო ომის შემდგომი რეალისტური რომანისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებიდან ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ

⁴⁸ 48 *الاداب* – ლიტერატურა (მრ.რ.).

ნაწარმოები ორიენტირებულია კონკრეტულ დროსა და ადგილზე, კონკრეტულ პრობლემასა და საკითხეზე. მწერლები ძირითადად კონკრეტული ეგვიპტური ყოფისთვის დამახასიათებელი სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური თუ ინტელექტუალური საკითხების განხილვით არიან დაკავებული. პატრიოტული თემატიკა ქმნის საფუძველს ამ პერიოდში შექმნილი ნაწარმოებისთვის. უურადღება მიმართულია იმ პრობლემების მიმართ, რომლებიც ხელს უშლის ეგვიპტის პროგრესს. ამ ტიპის ნაწარმოებების გმირი აქტიურად არის ჩართული ინტელექტუალურ თუ ფიზიკურ საქმიანობაში, რომელიც რეალობის უკეთესისკენ გარდაქმნას ისახავს მიზნად. ეს საქციელი განპირობებულია სურვილით, თავი დაიმკვიდროს იმ საზოგადოებაში, რომლის განვითარების პოტენციალის რწმენა ჯერ არ დაუკარგავს. თუმცა მოგვიანებით გმირის ეს სახე სრულიად განსხვავებულმა, ერთგვარად მისმა საპირისპირო ტიპმა შეცვალა (ჰაფიზი 1976: 70-71). რეალიზმის დომინირების პერიოდში თხრობის ტექნიკაც შედარებით მარტივი იყო, მწერალი ტრადიციული რეალური ამბის თხრობის ხაზზე მიჰყვება. ჰამარნე აღნიშნავს, რომ ამ პერიოდის რომანების უმრავლესობა მოთხოვნილია ავტორისეულ ყოვლისმხილველ მესამე პირში ან პროტაგონისტისეულ პირველ პირში. მოგვიანებით კი ე.წ. ექსპერიმენტული ფაზის დაწყების შემდეგ გაჩნდა თხრობის სტილისა და ტექნიკის ბევრი საინტერესო შემთხვევა (ჰამარნე 1992: 210).

თუმცა, სოციალისტური და რევოლულიცური განწყობა, რამაც ძირითადად განაპირობა რეალიზმისა და სოციალური რეალიზმის ასეთი განვითარება, დიდხანს არ გაგრძელებულა. რეალისტურ ნოველებში ასახული 1950-იანი წლების დასაწყისის სოციალური და პოლიტიკური ცვლილებების ეპოქისთვის დამახასიათებელი სულისკვეთება თანდათან შესუსტდა. როგორც ალენი მიუთითიებს, 1950-იანი წლების ბოლოს ასეთი განწყობა უკვე ახალი რეჟიმის მიერ შექმნილ რეალობას ეწინააღმდეგებოდა. შესაბამისად, ნოველებიც და ზოგადად პროზაული ნაწარმოებებიც გაუცხოებისა და აზრის ძიების აღეგორიად იქცა (ალენი 2000: 182).

შესაბამისად, ეგვიპტურ პროზაში თანდათან ახალი ტენდენციების გაჩენა დაიწყო, რაც ერთგვარი რეაქცია იყო აღწერითი რეალისტური ლიტერატურის წინააღმდეგ. ამას ემატებოდა 1950-იანი წლების დასაწყისში არსებული რევოლუციური მუხლის შენელება, საზოგადოებაში გარკვეული იმედგაცრუებისა და წინააღმდეგობების გაჩენა.

დ. 1960-იანი წლები და „ახალი ხედვა“

1960-იანი წლებისთვის ცხადი გახდა, რომ პოსტრევოლუციური ეგვიპტის ოპტიმისტური განწყობა ნელ-ნელა ქრებოდა და პოლიტიკური და საზოგადოებრივი აქტივობისკენ მოწოდება, რომელსაც დიდი რეზონანსი ჰქონდა 1950-იან წლებში, ნაკლებად აქტუალური გახდა. იმედგაცრუება და პესიმისტური განწყობა ბევრი მწერლის ნაწარმოებში ჯერ კიდევ 1960-იანი წლების დასაწყისში ჩნდება, მაგალითად, 1961-67 წლებში დაწერილი ნაჯაბ მაჭფუჭის რომანები. სტარკეი წერს, რომ თანდათან ძლიერდებოდა პესიმიზმის ახალი ტალღა, რომლის დასაბამადაც ხშირად 1967 წლის ექვსდღიან ომში არაბების დამარცხებას მიიჩნევენ, თუმცა ეს პროცესი სინამდვილეში ბევრად ადრე დაიწყო. მაგრამ ახალმა განწყობამ ლიტერატურის განვითარების მოსალოდნელი შეფერხების ნაცვლად, დასაბამი მისცა ახალ ექსპერიმენტულ ტენდენციებს, რომლებშიც დასავლური ავანგარდული ლიტერატურის გავლენასათან ერთად კლასიკური არაბული ლიტერატურის გავლენაც იგრძნობოდა (სტარკეი 2006: 136).

ამგვარად, 1960-იანი წლებიდან ახალი მნიშვნელოვანი პერიოდი დაიწყო თანამედროვე არაბული ლიტერატურის ისტორიაში. ეგვიპტურ პროზაში გაჩნდა ახალი ტალღა, რომელიც უკვე პირდაპირ შეესაბამებოდა იმ წლებში ევროპასა და ამერიკაში არსებულ ლიტერატურულ ტენდენციებს. საყოველთაო ლიტერატურულ მოძრაობაში ჩართვასთან ერთად ეგვიპტური ლიტერატურა სულ უფრო მეტად განუმეორებელ და თავისთავად სახეს იღებდა. ის არსებითი და თვალშისაცემი ცვლილება, რომელიც ეგვიპტურ ლიტერატურაში მოხდა 1960-იან წლებში, განპირობებული იყო ლიტერატურული და საზოგადოებრივი მიზეზებით. როგორც კირპიჩენკო აღნიშნავს, ახალი ლიტერატურა ძველი სოციალური სტრუქტურის მსხვრების, 1952 წლის რეგოლუციის შემდეგ საზოგადოებრივი განვითარების ახალი გზების მიებაში მყოფი ინტელიგენციის შეხედულებებს გამოხატავდა (კირპიჩენკო 1988: 6).

1960-80-იანი წლების პერიოდი რადიკალურად განსხვავდებოდა წინა პერიოდისაგან. ის სწრაფად ცვალებადი პოლიტიკური და კულტურული რეალობით ხასიათდებოდა. თავდაპირველად დაიწყო კოლონიური მმართველობიდან გათავისუფლების ეიფორია და საერთო არაბული ოცნების ექსტაზი, რაც რამდენიმე სამოქალაქო ომით და არაბებს შორის მტრობით დასრულდა. დამოუკიდებლობის, ინდუსტრიალიზაციისა და ეკონომიკური

განვითარების ოცნება მწარე დამარცხებად იქცა. დროის ეს მონაკვეთი იემუნში არაბებს შორის ომით დაიწყო და დამთვარდა ხანგრძლივი და სისხლიანი ირან-ერაყის ომით სპარსეთის უურეში. ეს პერიოდი მოწმე იყო არაბულ-ებრაული ომისა, ორი ხანგრძლივი სამოქალაქო ომისა ლიბანსა და სუდანში და რამდენიმე მწვავე რეგიონალური კონფლიქტისა სპარსეთის უურიდან მოყოლებული მაროკოს უდაბნომდე (ჰაფიზი 1992: 315). 1967 წლის შემდგომი პერიოდის ასაღწერად როჯერ ალენი იყენებს ალბერტ ჰაურანის შედარებას და ახასიათებს მას როგორც „სულთა შფოთვის“⁴⁹ პერიოდს (ალენი 2006: 2). მიუხედავად ამისა, სწორედ ამ პერიოდში შეიქმნა ბევრი საინტერესო ლიტერატურული ნაწარმოები, რომლებიც ცხადად გამოხატავდნენ ამ ოცნებებსა და მისწრაფებებს, უურადღებას ამახვილებდნენ არსებულ წინააღმდეგობებსა და დაპირისპირებებზე. ამის მნიშვნელოვანი შედეგი იყო პროზაული ჟანრების განვითარება არაბული სამყაროს იმ ნაწილებში, რომლებსაც აქამდე მნიშვნელოვანი წვლილი არ შეეტანათ არაბული ლიტერატურის განვითარებაში. ამავე პერიოდში გაჩნდა ახალი ურთიერთობები ძველ კულტურულ ცენტრებსა და პერიფერიებს შორის. ლაროი ამ პერიოდს „მეორე ნაჰას“ უწოდებს (ლაროი 1976: 92).

ძველ კულტურულ ცენტრებში ეგვიპტესა და ლევანტში ახალი ლიტერატურული ხედვა ჩამოყალიბდა, რაც ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დროს ჩაისახა და 1960-იან წლებში კიდევ უფრო განვითარდა. საბრძ ჰაფიზი მიიჩნევს, რომ არაფერი არ ავლენს ადამიანთა ბუნებას, მათ ურთიერთობებს ისე ცხადად და სწრაფად როგორც ომი, რადგანაც ის ცვლის არსებულ წესრიგს და შობს სოციალურ პროცესებს, უკმაყოფილებას, იწვევს დაკარგვის გრძნობას და გაუცხოებას. ახალ სიტუაციაში გადასვლას ახალი რეალობა მოაქვს, წამოჭრის შეკითხვებს, რასაც ხშირად ლირებულებების გადაფასება მოსდევს (ჰაფიზი 1992: 316). 1967 წლის დამარცხებამ საზოგადოდ აჩვენა რევოლუციის წარუმატებლობა. ეს მოვლენა ცვლილებებისთვის ერთგვარ სათავედ იქცა. ეგვიპტეში იმედგაცრუების, თვითშესწავლისა და ლირებულებათა გადაფასების პერიოდი დადგა. ეს განწყობა ასევე იგრძნობოდა თითქმის მთელ არაბულ სამყაროში. ბადაურს მოჰყავს ციტატა ჰაფიზის სტატიიდან, რომელიც 1970 წელს „ალ-

⁴⁹ იხ.: ჰაურანი 1991.

მაჯალლაში“⁵⁰ დაიბეჭდა და რომელშიც ავტორი მწერლობაზე 1967 წლის დამარცხების გავლენის შესახებ საუბრობს. ის წერს, რომ მწერალთა რეაქცია იცვლებოდა ხმამაღალი უარყოფიდან ჩუმ თვითკონტროლამდე. გაჩნდა ახალი თვისებები, რომლებიც ძალადობისკენ, სისხლისკენ, შეურაცხეყოფისა და თვითგანადგურებისკენ ამჟღავნებდა მიღრეკილებას. ზოგჯერ ჰდერდა რიტორიკული ტონიც, რაც უფრო დამარცხების სირცხვილის შენიღბვას ჰგავდა ან მცდელობას, უარესოთ ამ მოვლენებზე საკუთარი პასუხისმგებლობა (ბადაუ 1985: 22). ‘აბდ ალ-რაჰმან ’აბუ-’აშფი მწერალთა განწყობასა და დამკვიდრებულ სიახლეებს 1967 წლის დამარცხებაზე ახალგაზრდა მწერალთა სპონტანურ რეაქციად განიხილავს. თუმცა, ის კონკრეტულად არ მიუთითებს, თუ რას მიიჩნევს ახალი სტილისა და ხედვის წარმოშობის მიზეზად. სტატიაში ის აღნიშნავს, რომ „ეგვიპტური ნოველა თავიდან დაიბადა და ამას ცხადყოფს ახალი ლიტერატურული პერსპექტივის გაჩენა, რაც თავის თავში რეალობისადმი ახალ დამოკიდებულებას გულისხმობს [...] პირველად გაჩნდა მრავალმხრივი ხედვა. ესაა ხედვა ბუნებისა და ადამიანის, არსებული მატერიალური სამყაროსი და ადამიანის შინაგანი სამყაროსი; ეს არის თავისუფლების ხედვა; მომავლის ხედვა, რომელმაც მომავალი უნდა გააგრძელოს“ (’აბუ-’აშფი 1969: 89).

არაბულ სამყაროში ომების გარდა, კიდევ ორი ძირითადი ფაქტორი არსებობდა, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ლიტერატურული ცვლილების განვითარებაში: პირველი – პოლიტიკური ძალადობა და შიში, რომელიც ჯერ კიდევ 1940-იან წლებში დაიწყო და მწვერვალს 1960-70-იან წლებში მიაღწია და მეორე – ახალი ევროპული იდეების გაცნობა. საბრი ჰაფიზი სტატიაში „თავისუფლების კრიზისი თანამედროვე არაბულ რომანში“⁵¹, რომელიც 1964 წელს ჟურნალ „ჰიუარში“⁵² დაიბეჭდა, მიანიშნებს იმ გარემოებებზე, რომლებმაც ჯამალ ‘აბდ ალ-ნასირის რეჟიმის დროს იჩინა თავის. ის აღნიშნავს, რომ თავისუფლების საკითხი აქტუალური გახდა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ნაცვლად იმისა, რომ ეს პრობლემა დამოუკიდებლობას გადაეჭრა (კენდალი 2006: 91). სტატიაში „არაბული მხატვრული ლიტერატურა და თავისუფლებისაკენ სწრაფვა“ („Arabic Fiction and

⁵⁰ المجلة – ჟურნალი, პერიოდული გამოცემა.

⁵¹ ۱۹۶۴ ﺍٰزْمَةُ الْحَرَيَّةُ فِي الْرِّوَايَةِ الْعَارِفَةِ الْمُعاَصِرَةِ، ۲۰۰۶: ۹۱.

⁵² حوار – დიალოგი.

the Quest for Freedom“) როჯერ ალენი განიხილავს შემთხვევებს, როდესაც ცნობილი არაბი მწერლები დააპატიმრეს, მათი წიგნები აკრძალეს, ზოგ მათგანს კი საკუთარი ქვეყნის დატოვებაც მოუხდა. ამის მიზეზი განსხვავებული კრიტიკული აზრის გამოთქმა ხდებოდა. მაგრამ მიუხედავად ამისა, ბევრი მათგანი განაგრძობდა წერას და საკუთარ ნაწარმოებებში ასახავდა პატიმრობის, გადასახლების თუ სხვა მძიმე გამოცდილებას, რომლის მიზეზიც არსებული სასტიკი რეალობა იყო. ალენი ამ საკითხების შესწავლას მნიშვნელოვნად თვლის, რადგანაც აზრის თავისუფლებისთვის ბრძოლას თანამედროვე არაბული ლიტერატურის განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორად მიიჩნევს (ალენი 1995: 38).

ჟაბრი ჭავჭავაძე „ალ-ჯადიდში“⁵³ წერს, რომ არაბული ლიტერატურა, სავრაუდოდ, იმ ლიტერატურული ტრადიციების მცირე ჯგუფს განეკუთვნება, სადაც არსებობს განსაკუთრებული ლიტერატურული ჟანრი კ.წ. „ციხის რომანი“. ამის მიზეზი არა მარტო ის ფაქტია, რომ მწერალთა უმრავლესობამ თავად გამოსცადა პატიმრობა და წამებაც კი, არამედ ის რეალობა, რომ იმ დროს არაბი ინტელექტუალის ცხოვრება ხელისუფლებასთან და ძალაუფლების მქონე პირებთან ბრძოლად იქცა (ჭავჭავაძე 2002: 16). ახალი თაობის მცდელობამ, შექმნილიყო სივრცე, რომელშიც, პოლიტიკური ავტორიტეტების იძულებისა თუ საზოგადოების მხრიდან რეპრესიული დამოკიდებულების მიუხედავად, ადამიანი თავისუფლად განვითარდებოდა, ხელი შეუწყო ლიტერატურაში ახალი ხედვის დამკვიდრებას.

მეორე ფაქტორმა, ანუ დასავლური ლიტერატურული ტენდენციების გაცნობამ და ახალი იდეების შეთვისებამ, შექმნა ახალი რეალობა, რომელშიც სამყარო ცვალებადი და პირობითი ხდებოდა. ახალი ხედვა აღრმავებდა მწერლების მიერ რეალობის გააზრებასა და უზრუნველყოფდა მათ როგორც თეორიული საფუძვლით, რაც შეესაბამებოდა ადამიანის გამოცდილებაში მომხდარ ტრანსფორმაციებს, ასევე ტექნიკით, რომელიც შეძლებდა ახალი აღქმის გამოხატვას. თანდათან არაბულ პროზაში გაჩნდა გარეგანი რეალობიდან მწერლის შინაგან სამყაროში გადასვლის ტენდენცია. ავტორები ახლა მოვლენათა რეალისტური აღწერის ნაცვლად ეგზისტენციალურ საკითხებს განიხილავდნენ. ასეთი ცვლილების ზუსტი მიზეზის განსაზღვრა მნელია,

⁵³ الجديد – اخراج.

რამდენად წარმოადგენდა ის მკაცრი რეალობიდან თავის დაღწევის მცდელობას თუ უბრალოდ არაბ მწერლებზე თანამედროვე მოდერნისტული ეპროპული ლიტერატურის გავლენის შედეგი იყო. ბადაში აღნიშნავს, რომ ეგვიპტელი მწერლებისთვის, ისეთებისთვის, როგორებიც იყვნენ ’იდუარ ალ-ხარრატი და ნაში ’ატიდა, კარგად იყო ცნობილი ფრანც კაფკას, სემიუელ ბექეტის, ალენ რობ-გრიესა და ნატალი საროტის ნაწარმოებები და ახალი რომანი ანუ „ნუვო რომანი“ (nouveau roman). სავარაუდოდ, მათ თხზულებებში გაჩენილი ახალი ტენდენციები სწორედ დასავლური მოდერნიზმის გავლენის შედეგი იყო. ასევე ბადაშის ცნობით 1969 წელს ნაში ’ატიდამ დაწერა რომანი „სარკე და ლამპა“ (المرأة والمصبا), რომელიც არაბულ ენაზე დაწერილ თხზულებებს შორის ყველაზე ახლოს იდგა სიურრეალისტურ რომანთან. ნაწარმოებში უხვადაბ ძალადობის სცენები, სისხლი და გვამები. შესავალში კი ავტორი აკრიტიკებს რეალიზმს და აღნიშნავს, რომ ვინც წარმოსახვას არ მიიჩნევს ლიტერატურის შესაქმნელად არსებით ელემენტად, მის წიგნს ნუ წაიკითხავს (ბადაში 1985: 23).

მარათალია, 1960-იანი წლების ახალგაზრდა მწერლები იცნობდნენ მოდერნიზმთან და პოსტმოდერნიზმთან ასოცირებულ ინოვაციებს, ისინი მაინც ეპლექტურნი იყვნენ დასავლეთიდან სესხებაში. მათ უფრო ცხადად გააცნობიერეს ის შესაძლებლობა, რასაც კლასიკური არაბული ლიტერატურა და ზეპირმეტყველების ნიმუშები სთავაზობდა და ხშირად აქტიურად იყენებდნენ კიდეც. თითქოს დასავლეთთან ერთგვარი დაწევის პროცესი დასრულდა. ახლა ეგვიპტელი რომანისტები და ნოველისტები იმ საერთო კავშირების ჩარჩოში მუშაობდნენ, რომელშიც მათი კოლეგები მთელს მსოფლიოში. ამავე დროს მათი წიგნები სავსე იყო ეგვიპტური სულიერებით. ალ-ხარრატი აღნიშნავს, რომ ახალი მიმდინარეობები არა მხოლოდ აფართოვებდა არსებული რეალობის ჩარჩოებს, არამედ თავიდან განსაზღვრავდა მას და ქმნიდა „საკუთარ პოეტურ რეალობას“. მისი აზრით, თანამედროვეობას უფრო მეტი ნათესაობა ჰქონდა არაბული კულტურის მემკვიდრეობასთან. ახალი თაობის არაბი მწერლები ახლა უკვე მყარად იდგნენ არაბულ საფუძველზე, მის მდიდარ მემკვიდრეობას ეყრდნობოდნენ და გაუაზრებლად არ გადმოჰქონდათ დასავლური მიღწევები (ალ-ხარრატი 1991: 187-189). თითქოს არაბული კულტურისა და ლიტერატურის ერთგვარი გადამოწმებისა და ხელახლი შეფასების მომენტი დადგა. ახალგაზრდა მწერლებს სურდათ, ეპოვათ ახალი ლიტერატურული ორიენტაცია,

ხელახლა განესაზღვრათ მწერლის როლი არაბულ საზოგადოებაში და გამოეხატათ ახალი თაობის შეხედულებები. სტარკეი მიიჩნევს, რომ ბევრ შემთხვევაში ეს პროცესი კლასიკური არაბული ლიტერატურული მექანიდრეობის, ასევე ფოლკლორის სხვადასხვა ასპექტის ხელახლა აღმოჩენასაც გულისხმობდა. ძველი ტრადიციის დასავლურ მოდერნისტულ ტექნიკასთან შერწყმამ ნაყოფიერი საფუძველი მოამზადა მდიდარი მხატვრული ლიტერატურის გაჩენისთვის მთელ არაბულ სამყაროში (სტარკეი 2006ა: 140). ამ პერიოდში იყო მცდელობა, შექმნილიყო განსაკუთრებული „არაბული ფორმის“ რომანი. ეს მცდელობა განსხვავდებოდა საუკუნის პირველ ნახევარში არსებული მცდელობისგან, შექმნილიყო არაბული რომანი. 1960-იანი წლების ექსპერიმენტულობამ დაარღვია ნორმად და მისაბაძ მაგალითად ქცეული ესთეტიკური კრიტერიუმები. თუმცა, მიუხედავად ასეთი სურვილებისა, მოდერნისტული იდეებისა და პროგრესის მომხრე მწერლები კრიტიკის ობიექტად იქცნენ. კირპიჩენკო აღნიშნავს, რომ ამავე ტალღის საპირისპიროდ გაისმა მოწოდებები „არაბიზაციისკენ“ და არაბული რომანის განვითარების ევროპული გზით წარმართვის ბრალდებები (კირპიჩენკო 1999: 265-266).

ამ გარდამავალ პერიოდში, რომელიც სავსე იყო წინააღმდეგობებითა და ცვალებადი ლირებულებებით, ასპარეზზე მწერალთა ახალი თაობა გამოჩნდა. ლიტერატურული ავანგარდის წარმომადგენლები პროტესტის, აღშფოთებისა და ტკიფილის გამოსახატავად გაერთიანების საჭიროებას გრძნობდნენ. სოციალიზმით, რევოლუციითა და რეალიზმით იმედგაცრულებული ახალი თაობა ლიტერატურულ-კულტურული ჟურნალ „გალერეა 68“-ის („جاليري 68“) გარშემო შეიკრიბა, რომლის ერთ-ერთი რედაქტორი 'იდუტ' ალ-ხარრატი იყო. ეს თაობა ცნობილი გახდა „სამოციანების თაობის“ („جيل الستينيات“) სახელით. მწერალთა ჯგუფი, რომელიც თავის თავს ხშირად „უმამო თაობადაც“ მოიხსენიებდა, მზად იყო, შეეცვალა სოციალური რეალიზმის მიმბაძველობითი და აღწერილობითი მეთოდი. მათ სურდათ, შეექმნათ საკუთარი ახალი სტილი და ლირებულებები. როგორც დრაზი აღნიშნავს, მათ ნაწარმოებებში ჩანდა ირონია, მაგრამ ეროვნულ მემკვიდრეობასთან და საზოგადოებაში პოპულარულ კულტურასთან სიახლოვე, არაშაბდონურობა და პროფესიონალიზმი იყო ის მიზეზები, რომელთა გამოც „სამოციანების თაობა“ იმ ენერგიულ და მნიშვნელოვან ნაკადად იქცა, რომელმაც ახალი სული შეიტანა თანამედროვე არაბულ ლიტერატურაში (დრაზი 1981: 158). „სამოციანების თაობის“ მიერ

შექმნილი ე.წ. „ახალი ხედვა“ („الحساسية الجديدة“) სხვადასხვა, ზოგჯერ საწინააღმდეგო ნაკადებს მოიცავდა. აღ-ხარრატის მიხედვით, ოთხი ძირითადი ნაკადი არსებობდა, თუმცა საზღვრები მათ შორის საკმაოდ ბუნდოვანი იყო და ხშირად ზოგი მწერალი შეიძლებ ერთზე მეტ ნაკადს მიკუთვნებოდა (აღ-ხარრატი 1984: 9-11)⁵⁴. „ახალი ხედვა“ არ იყო მკაცრი მოდელი, ან ფორმა და განსაზღვრული სტილი. „გალერეა 68“ ემსახურებოდა „ახალი ხედვის“ განვითარებას და ხელს უწყობდა სხვადასხვა მიმდინარეობისა თუ სკოლის აღმოცენებას არაბულ ნიადაგზე. „გალერეა 68“-ის ერთ-ერთი დამაარსებელი ჭახან სულამიშვილი აღნიშნავდა უურნალის პირველ ნომერში, რომ ის, რაც აკავშირებდა თაობას, როგორც ინტელექტუალურ ნაკადს, არ იყო სპეციფიკური ფილოსოფია ან იდეოლოგია. ეს უფრო ემოციური ინიციატივა იყო აწმუნსათან მიმართებაში (კენდალი 2006: 106).

ახალგაზრდა მწერლები, რომლებმაც მოღვაწეობა 1960-იან წლებში დაიწყეს, როგორც სიტუაციაში აღმოჩნდნენ. მართალია, ისინი იზიარებდნენ უკვე აღიარებული ავტორების ოპოზიციურ დამოკიდებულებას სოციალური და პოლიტიკური რეალობის მიმართ, მაგრამ აუცილებლად იდენტური ხედვა როდი ჰქონდათ. კონფლიქტი ახალგაზრდა და ძველ მწერლებს შორის, ცხადად ასოცირდებოდა ლიტერატურული გამოხატვის ფორმის, ობიექტური სამყაროსადმი დამოკიდებულების მნიშვნელოვან ცვლილებასთან. ცენზურამ აიძულა ახალგაზრდა მწერლები, კრიტიკული შეხედულების გამოსახატავად სათქმელის კოდირების გარკვეული მეთოდები განევითარებინათ, რათა დამღვრებელი შედეგები აეცილებინათ თავიდან. ახალი თაობა იძულებული იყო, თავად ეკისრა ერთგვარი დამატებითი ცენზურის ფუნქცია. ცენზურამ შემოქმედების პროცესის შიგნით გადაინაცვლა და მის ერთ-ერთ კომპონენტად იქცა. ამ თვითცენზურის გარეშე თითქმის შეუძლებელი იყო თხზულების გამოქვეყნება. ახალი კოდისა და ტექნიკის განვითარება ნაწარმოებებს მიუწვდომელს ხდიდა მკითხველთა ფართო მასისთვის, რომელიც მიუჩვეველი იყო ასეთ ტექნიკას, რაც, შესაბამისად, ამცირებდა მათ უფექტურობას; ამავე დროს, ის გამორიცხავდა დიდაქტიკასა და სენტიმენტალურობას. ახალგაზრდა მწერლებს უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდათ გავრცელებული და საყოველთაოდ მიღებული სენტიმენტალური აზროვნების მიმართ. ისინი

⁵⁴ ოთხ ძირითად ნაკადზე საუბრობს ასევე ნაშრომში „მაშრიკი“: აღ-ხარრატი 1991.

ცდილობდნენ, დაქხატათ ინდივიდუალური ადამიანის ნგრევა, რაც არსებული რეალობის ნგრევას უტოლდებოდა. მათ თხზულებებში ხშირად სამყარო ციხედ აღიქმებოდა.

შაფიკ მაკარი განმარტავს იმ დილემას, რომელშიც არაბული ავანგარდის მწერლები აღმოჩნდნენ 1960-იანი წლების ბოლოს. წერს, რომ მწერალს „სწყურია სიმართლის წარმოჩენა, მაგრამ შებოჭილია იმ ჩამორჩენილობით, რომლის დანგრევაც არ შეუძილია. ის ისეთ სიტუაციაში ჩააგდეს, რომ დათმობაზე ვერ წავა. მას არც ზედაპირზე ამოტივტივება და მზეზე გავლა და არც სიბრუნვების ჩაშვება სურს. ის ყვირილით გამოთქვამს საკუთარ სურვილსა და ტკივილს, გამოწვეულს იმ გარემოებებით, რომელსაც ის ვერ აკონტროლებს“ (მაკარი 1969: 96). 1960-იანი წლების ახალგაზრდა მწერლათა უმრავლესობა არსებული წესრიგისადმი წინააღმდეგობის გამო იტანჯებოდა. ისინი ცხოვრობდნენ პოლიტიკური ზეწოლის, შიშისა და შეზღუდვის ქვეშ. ისინიც კი, რომლებსაც რეჟიმი უშუალოდ არ შეხებოდა, მიხვდნენ, რომ თანამედროვე ადამიანმა აღმოაჩინა მუდმივი ციხის უცნაური საიდუმლოებანი: მართალია კარი ღიაა, არასდროს იკეტება, მაგრამ არც ერთ პატიმარს არ სურს გაქცევა; გაქცევის ყველა ქუჩა თუ გზა ისევ იმავე საკანში ბრუნდება; არაფერს შეუძლია მართლა იარსებოს ციხის კედლების ქვეშ (პატიში 1992: 326). გარშემო არსებული მატერიალური რეალობა აბსურდულად სასტიკი იყო და მისი შეცვლის ნებისმიერი მცდელობა ამაო და წარუმატებლობისთვის განწირული. ამდენად, ახალ თხზულებებში გმირს არ პქონდა არჩევანი გარდა იმისა, რომ გამხდარიყო ანტი-გმირი. ტანჯვის, დამცირების იდეას ერთვოდა გაუცხოების გრძნობა და დაფარული გამოუხატავი პროტესტი, ხან კი ამბოხი, რომელიც სიძულვილის გრძნობას იწვევდა ისტორიის მიმართ. ამ შევიწროვებული უადგილო ადამიანის მდგომარეობა და მისი მარტოობა იქცა პროტესტის ფორმად. 1971 წელს „გალერეა 68“-ის VIII ნომერში, რომლის რედაქტორიც თვითონ იყო, ალ-სარრატი წერდა, რომ „მას და სხვა ახალგაზრდა მწერლებს მობეზრდათ რაციონალიზმი. წერის მიზანი კომუნიკაცია კი არა, ილუმინაცია იყო, რომელიც აქცენტს გამოცდილებაზე აკეთებდა და არა მის გამოხატვის ფორმებზე“ (კენდალი 2006: 100). „რაციონალიზმით დაღლილ“ მწერლებში კი სიურრეალიზმით გატაცებამ იმძლავრა. მათ თხზულებებში გაჩნდა სიურრეალიზმისთვის დამახასიათებელ ელემენტები: ადამიანის არაცნობიერი სამყაროს წვდომის სურვილი და გონების კონტროლით შეკავებული ნამდვილი

აზრებისა და სახეების გამოხატვის მცდელობა. არსებული ფიზიკური რეალობა მათვის ცხოვრების მცდარ სახეს წარმოადგენდა, ამიტომ ბევრი მათგანი შეეცადა საკუთარ ნაწარმოებებში ეჩვენებინა ის ნამდვილი სამყარო, რომელშიც ისინი და მათი გმირები ცხოვრობდნენ. კირპიჩენკო წერს, რომ სულ უფრო მეტად ერთვებოდა არაბული ლიტერატურა მსოფლიო ლიტერატურის ტრადიციებში და, შესაბამისად, უფრო აქტიურად ჩნდებოდა სხვადასხვა მიმდინარეობის გავლენაც. 1960-იან წლები სიურრეალიზმითა და ეგზისტენციალური პრობლემატიკით გატაცებით ხასიათდებოდა. მალე კი სხვა დასავლურ და აღმოსავლურ ლიტერატურებთან ერთად პოსტმოდერნიზმის ტალღაში ჩაეშვა (კირპიჩენკო 1999: 265).

1960-იანი წლების თაობა დიდ ყურადღებას აქცევდა ტექნიკას. ზოგმა მწერალმა თანდათან უფრო სპეციფიკური მიდგომა გამოავლინა ენისა და ფორმისადმი, განსაკუთრებულ ყურადღებას მხატვრულ ფორმებს უთმობდნენ. კენდალის მიხედვით, მსგავსი ელემეტები შესამჩნევი იყო 1960-იან წლებამდეც, კერძოდ კი „აპოლო“ („أبولو“) ჯგუფის ზოგ პოეტთან ადრეულ 1930-იან წლებში და უურნალ „ალ-თატარურის“ მწერლებთან 1940-იან წლებში. 1960-იანი წლების „გალერეა 68“-ის თაობის შემდეგ კი 1970-იანი წლების ბოლოსკენ ახალი უფრო უკომპრომისო რადიკალიზმით გამოჩნდა ჯგუფი „იდა“ 77⁵⁵ და მისი პოეტიკა (კენდალი 2006: 88).

„სამოციანების თაობის“ მწერლებმა ახალი ფორმების გამოყენებით შეძლეს, თავიანთ თხზულებებში შეექმნათ ახალი რეალობა, რომელიც არ იყო არც არსებული მატერიალური რეალობის იდენტური და არც მისგან სრულიად დაშორებული. მათ მიერ შექმნილ ნაწარმოებებში ხშირად საზღვრები ბუნდოვანი ხდებოდა შინაგანსა და გარეგანს, რეალობასა და ფანტაზიას შორის. დრო განთავისუფლდა გარეგანი ქრონოლოგიური საზღვრებისგან, რათა თავისუფალი გამხდარიყო სიზმარში. იყენებდნენ ტექნიკას, რომელიც ეჭვს იწვევდა რეალისტური ინფორმაციის მიმართ და აბსურდულად, არარეალურად წარმოაჩენდა. თხზულებებში სუბიექტური დრო იმარჯვებს ქრონოლოგიურ დროზე. 1960-იანი წლების მწერლებს აინტერესებდათ დროის გამოკვლევა და მისი ლოგიკური თანმიმდევრობის შეცვლა. ფიქციურ დროს აჭვს განსაკუთრებული ხანგრძლივობა, რომელშიც დასაშვებია დროთა შერევა. ეს კი

⁵⁵ اضاعت – ილუმინაცია.

გახსენებულ, სასურველ თუ საშიშ მოვლენათა და საგანთა დაკავშირების, მუდმივი ცვლილებისა და მთელი ამ ნაზავის ხელახალი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ჰამარნე თვლის, რომ სწორედ ახალი ფორმებისა და ტექნიკის განვითარებამ შეუწყო ხელი არაბულ რომანს, გასულიყო საერთაშორისო ლიტერატურულ სცენაზე (ჰამარნე 1992: 210).

1960-იანი წლებში ლიტერატურულ ასპარეზზე ამ ახალი თაობის გამოჩენას თან გარკვეული სირთულეები და დაძაბულობა ახლდა. როგორც პილარი კილპატრიკი აღნიშნავს, ისინი ერთგვარი წინასწარმეტყველის როლში აღმოჩნდნენ და როდესაც მათი წინასწარმეტყველება ახდა, პირველნი თავად დაზარალდნენ (კილპატრიკი 1992: 269). 1970-იან წლებში, მათთვის წინსვლისა და აღიარების პერიოდი რომ უნდა ყოფილიყო, მათი შევიწროვება დაიწყეს. დაიკვიტა უამარავი ქურნალ-გაზეთი. დაპირისპირება მწერლებსა და რეჟიმს შორის კიდევ უფრო გამძაფრდა პრეზიდენტ ანტარ ალ-სადათის ეპოქაშიც. მართალია, 1974 წელს ცენზურა ოფიციალურად გაუქმდა, მაგრამ მთავრობამ კრიტიკიზმის გასანადგურებლად სხვა გზებს მიაგნო. გამომცემლობები ახლა მხოლოდ მათ სწყალობდნენ, ვინც რეჟიმისთვის იყო მისაღები. არაფორმალური ცენზურა, რომლის ზეწოლის მსხვერპლნიც მემარცხენე და ლიბერალური იდეაბის მხარდამჭერები იყვნენ, უფრო ეფექტური აღმოჩნდა, ვიდრე ოფიციალური ცენზურა (კენდალი 2006: 95). მიუხედავად ყველაფრისა, მწერლები არ წყვეტდნენ საქმიანობას. მართალია, ხშირად პრობლემები ექმნებოდათ ნაწარმოებების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით, მაგრამ ბევრმა მათგანმა შემოქმედებით სრულყოფილებას სწორედ ამ პერიოდში მიაღწია. ალ-სადათის მმართველობის დროს ბევრმა ინტელექტუალმა დატოვა ეგვიპტე, ზოგი უბრალოდ ნაწარმოებებს საზღვარგარეთ აქვეყნებდა, ხშირად საქმაოდ შეზღუდული ტირაჟით.

მწერლებზე ცენზურისა და რეჟიმის მიერ ზეწოლის გარდა არსებობდა რიგი სხვა პრობლემებიც. მუჭამმად შაჰინი განიხილავს XX საუკუნის 1960-70-იან წლებში ნოველასთან დაკავშირებულ დილემას და მოჰყავს ცნობილ მწერალთა შეხედულებები ამასთან დაკავშირებით. ნაჯაბ მაჰფუზის აზრით, ეს დილემა გარკვეულ სოციალურ გარემოებებს უკავშირდებოდა, რომლებიც თითქოს მიზნად ისახავდა, ხელი შეემალა მწერლისთვის, გამოეხატა საკუთარი ხედვა და პოზიცია (შაჰინი 2002: 21). მწერალთა პრობლემის განხილვისას ფუსუფ იდრისი ერთ-ერთ მთავარ მიზეზად მწერალსა და მკითხვევლს შორის კომუნიკაციის

ნაკლებობას მიიჩნევდა. მისი აზრით, საზოგადოებას არ სურდა, ეხილა მწერლის მიერ დახატული საკუთარი თავი, რადგანაც ეს პორტრეტი გვიჩვენებდა სახეს და არა ნიღაბს. მწერალი უარყოფდა კრიტიკოსთა განცხადებებს, რომ 1967 წლის ივნისის დამარცხებამდე და მის შემდეგ მწერლები პასიურობდნენ; ’იდრისი ყურადღებას ამახვილებდა იმ პერიოდში გავრცელებულ ტერმინოლოგიაზე, რაც ერთგვარი დამცავი ფარდის როლს თამაშობდა. ცენზურას ნებისმიერი კულტურული, ინდივიდუალური, ისტორიული თუ სოციალური განცხადება შესაძლოა პოლიტიკასთან და ხელისუფლებასთან დაეკავშირებინა. ამიტომ ყველაფერი შეფარული ფორმით უნდა წარმოდგენილიყო, განსაკუთრებით კი ის, რაც რეჟიმის ტირანულ ხასიათზე და მის ზეწოლაზე მიუთითებდა. ფუსუფ ’იდრისი თქმით, იმ დროს ახალგაზრდა მწერალთა თაობას გამბედავი კრიტიკოსი სჭირდებოდა, რომელიც გაიგებდა მათ ნოველებს და საინტერესო პერსპექტივას მისცემდა მათ. საჭირო იყო კრიტიკა, რომელიც აჩვენებდა, როგორ ჩამოყალიბდა ახალი სტილი მათ ნაწარმოებებში (შაპინი 2002: 22-23). მუჭამმად შაპინს ასევე მოჰყავს უურნალ „ალ-ჰილალის“⁵⁶ მთავარი რედაქტორის და ცნობილი მწერლის დაჭარა ჰაკებს მოსაზრებაც საკითხთან დაკავშირებით. „ალ-ჰილალში“ გამოქვეყნებული სტატიიდან გვაცნობს ციტატას, სადაც ჰაკები ახალგაზრდა თაობას ადანაშაულებს საზოგადოებასთან არაპარმონიულ დამოკიდებულებაში; ჰაკები წერდა, რომ ახალგაზრდებს ახალი ცხოვრების მოთხოვნებისთვის რეალიზმის ახალი ფორმით უნდა ეპასუხათ ნაცვლად სიურრეალიზმისა და აბსურდისა, რასაც ისინი აქტიურად მიმართავდნენ. მუჭამმად შაპინი აღნიშნავს, რომ დაჭარა ჰაკები, სავარაუდოდ, იძულებული იყო, მსგავსი განცხადებები გაეკეთებინა უურნალის ცენზურისგან დასაცავად (შაპინი 2002: 24).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ახალი ლიტერატურული თაობის გამოჩენასთან ერთად გაჩნდა თხრობის ახალი სტილი, რეალობასა და ხელოვნებას შორის არსებული რთული კავშირის ახალი გაგება. მიუხედავად ამ პერიოდისთვის დამახასიათებელი წინააღმდეგობებისა და პოლიტიკური თავისუფლების ნაკლებობისა, მწერლები და ლიტერატორები საკუთარი აზრის გამოხატვას მაინც ახერხებდნენ, მაშინაც კი, როცა მათი ნაწარმოებები ცხად თუ შეფარულ სოციალურ და პოლიტიკურ კრიტიკას შეიცავდა. ზოგი მათგანი იმ რეჟიმმა

⁵⁶ الـهـلـلـاـلـ – ნახევარმოვარე.

აღიარა კიდევ, რომელსაც ეწინააღმდეგებოდნენ. ეგვიპტური პროზა განვითარების ახალ საფეხურზე ავიდა. 1988 წელს ნაჯიბ მაჰფუზისთვის ნობელის პრემიის მინიჭება არა მარტო მწერლის მოღვაწეობის, არამედ ზოგადად ეგვიპტური რომანის საერთაშორისო აღიარების გამოხატულება იყო. დასავლეთში არაბული თხზულებების სტატუსის შეცვლის კიდევ ერთი გამოხატულება იყო ის ფაქტი, რომ ბოლო პერიოდის ნაწარმოებები გამოქვეყნებიდან საკმაოდ მაღალ ითარგმნებოდა. ამას მოწმობს ასევე ალთომას ნაშრომი არაბული ლიტერატურის თარგმნის შესახებ. ავტორი წერს, რომ 1960-იან წლებამდე თანამედროვე არაბული ლიტერატურის მიმართ ყურადღების ნაკლებობა იგრძნობოდა არა მარტო მთარგმენელების მხრიდან, არამედ ორიენტალისტებიც ნაკლებად აქტიურები იყვნენ. მაგალითად მოჰყავს გიბბის მოსაზრება, რომელიც 1963 წელს წერდა: „მართალია, არაბმა მწერლებმა წარმატებას მიაღწიეს რომანისა და ნოველის ჟანრში, მაგრამ მათი ნაწარმოებები მაინც შეზღუდული რჩება არაბული სამყაროს ტრადიციებითა და პორიზონტით. ამიტომ, როდესაც მათ თარგმნიან უცხო ენაზე, ინტერესს იწვევენ სოციალური ინფორმაციის და არა ლიტერატურული მიღწევის გამო.“ მოგვიანებით, 1960-იანი წლების მეორე ნახევრიდან არაბული ლიტერატურის მიმართ აკადემიური ინტერესი გაიზარდა. ამავე პერიოდიდან გახშირდა არაბული მხატვრული პროზის თაგმნაც (ალთომა 2005: 54-55).

1980-იანი წლების ბოლოსთვის ცხადი გახდა, რომ ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში დაწერილ ნაწარმოებთაგან ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი თხზულებები იმ მწერალთა მიერ იყო შექმნილი, რომლებიც „სამოციანების თაობას“ მიეუთვენებოდნენ. ამის კარგი მაგალითია, 1970-80-იან წლაბში დაწერილი ალ-ხარრატის ცნობილი რომანები. 1960-იან წლებში მოღვაწე ერთ-ერთი პოეტი და კრიტიკოსი ალ-რავისი საუკუნის ბოლოს წერს, რომ „1960-იანი წელი იყო ლიტერატურული ოქროს ხანა იმ სიბეჭდესთან შედარებით, რომელსაც ახლა განვიცდით; [...] 1960-იანი წლები იყო თავისუფლების, გამბედაობის, ენთუზიაზმის, წიგნისა და კალმის ხანა“ (ალ-რავისი 1992: 14).

მართალია, ამ თაობის მწერლებს ხშირად ეწინააღმდეგებოდნენ, მაგრამ მათი გავლენა საგრძნობი იყო ბარეინიდან მაროკომდე. თითქმის შეუძლებელი იყო დამწყები მწერლისთვის, მათი გავლენის ქვეშ არ მოქცეულიყო. „ახალი ხედვის“ დამკვიდრების შედეგად ბევრი ახალი ტენდენცია გაჩნდა ახალგაზრდა მწერლებში. ამ მხრივ საინტერესო მაგალითად შეიძლება დასახელდეს 1970-იანი

წლებში სხვადასხვა არაბულ ქაუკანაში გამოქვეყნებული ნოველები. **ფატიმა** მუსა-მაჰმუდი განიხილავს ამ პერიოდის ნოველებს და საუბრობს იმ ზოგად ტენდენციებზე, რომელიც დასტურდება როგორც ეგვიპტურ, ისე სირიულ და ასევე საუდიურ ნოველებში. ბევრი ახალგაზრდა მწერალი მიმართავს „ცნობიერების ნაკადის“ ტექნიკის გამოყენებას. ამ ნოველათა გმირები გაუცხოებული და საზოგადოებისაგან გამდგარი ადამიანები არიან, რომლებიც საკუთარი შინაგანი სამყაროს რეალობას შეკვეთებიან. თხზულებებში უხვადაა სიზმრები ან აბსურდული, კოშმარული სცენები, რომლებიც, სავარაუდოდ, გმირის არაცნობიერიდან მომდინარეობს და ადამიანის არსებობის ერთგვარ სიურრეალისტურ ხედვას გვთავაზობს. ავტორი თვლის, რომ „სამოციანების“ მწერალთა უმრავლესობა, რომლებიც 1940-იანი წლების მეორე ნახევარში დაიბადა, გაიზარდა რევოლუციის დროს სოციალისტური სლოგანებითა და არაბული დიდების ეიფორიით გაუდენოს გარემოში. მალე 1967 წელს ეს შექმნილი დიდების ილუზია დაიმსხვრა და ახალგაზრდობა მათ საშინელი იმედგაცრუებისა და წინააღმდეგობების სანაში გაატარეს (მუსა-მაჰმუდი 1983: 105). შესაძლოა, ამ ყველაფერს მოემზადებინა შემდგომი თაობების ცნობიერებაში რეალობის ახლებური აღქმის საფუძველი. „სამოციანების თაობის“ მიერ დამკვიდრებულმა ახალმა ხედვამ გავლენა იქნია შემდგომი თაობების მწერლებზე, რომელთა ნაწარმოებები სიახლოვეს ამჟღავნებს ალბარრატის და ფუსუფ ალ-შარუნის თხზულებებთან.

III. დასტაცია

ამრიგად, 1960-იანი წლებიდან ბევრი ახალი ტალღა გაჩნდა არაბულ ლიტერატურაში. ზემოთ განხილული საკითხებიდან ცხადი ხდება, რომ ამ თაობის მწერალთა ნაწარმოებებში სხვა დასავლურ მიმდინარეობებთან ერთად სიურრეალიზმის გავლენაც იგრძნობოდა. ამ პერიოდში დამკვიდრებული ახალი ტენდენციები შემდგომ ათწლეულებში კიდევ უფრო განვითარდა. მსგავსი ხედვა და ინტერესები გვხვდება მომდევნო თაობების ახალგაზრდა მწერლებთანაც. ბევრი მწერლის თხზულებებში სიურრეალისტური ელემენტები და სამყაროს სიურრეალისტური ხედვა ჩანს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სიურრეალისტური ელემენტების და გადმოცემის სიურრეალისტური მანერის დამკვიდრების მიზეზი მოდერნისტული იდეების გაცნობასა და დასავლური ლიტერატურის

გავლენასთან ერთად, შესაძლოა, არსებული რეჟიმი და ჯერ კიდევ 1930-40-იან წლებში მომზადებული ლიტერატურული საფუძველი ყოფილიყო. ეგვიპტურ ლიტერატურაში არსებული სიურრეალისტური გავლენის უფრო ნათლად წარმოჩენის მიზნით სადისერტაციო ნაშრომში განვიხილავთ სამი მწერლის ფუნქციებს, 'იდრისის, 'იდუს' ალ-ხარრატის და დადა ალ-ჭალატანის ნაწარმოებებს. ამ ავტორთა თხზულებების შესწავლის საფუძველზე ვეცადეთ გამოგვევლინა ის ძირითადი ნიშან-თვისებები, რომლებიც XX საუკუნის ეგვიპტურ პროზაში შემოჭრილი სიურრეალისტური ნაკადისთვის იყო დამახასიათებელი.

2. თავი

ფუსუფ 'იდრისის ნოველები და მათში შექმნილი სიურრეალისტური სამყარო

I. ფუსუფ 'იდრისის ცხოვრების გზა

ცნობილი ეგვიპტელი ნოველისტი ფუსუფ 'იდრისი (علی یوسف سید یوسف إدريس) 1927 წელს ალ-შარკიდას გუბერნიის პატარა სოფელ ალ-ბადრუში დაიბადა. ბავშვობის დიდი ნაწილი ბებიასთან გაატარა. ბავშვობის წლებში ფუსუფი საშინელ მარტოობას განიცდიდა. ამის მიზეზი მამისგან შორს ყოფნა უნდა ყოფილიყო, რომელიც ბიჭს განსაკუთრებით უყვარდა. 'იდრისს დედასთან დიდი სიყვარული როდი აკავშირებდა. დედის ავადმყოფობის გამო პატარა ფუსუფი ქრისტიან მეზობელთან გააძიძევს, რის შემდეგაც დედა ნაკლებად აქცევდა უერადღებას (ფაუზი 1991: 9). გამზრდელ ბებიასაც საკმაოდ მკაცრი ხასიათი ჰქონდა, მაგრამ ამას ერთგვარად ანაზღაურებდა ზღაპრებისა და საინტერესო ამბების თხრობის ნიჭი. მწერალი იხსენებს, რომ სწორედ ბებიის ნაამბობმა ზღაპრებმა აანთო პირველად მასში ცეცხლი და გამოიწვია ინტერესი, შეეთხოა რამე. დღესასწაულები თუ ბაზრობები, რომლებიც თან ახლდა ადგილობრივ დღეობებს, კიდევ უფრო აძლიერებდა მის წარმოსახვას. ასეთ დღეებში ფუსუფი ცეკვის საყურებლად ხშირად იპარებოდა სახლიდან (კურპერშოეკი 1981: 21).

დაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ ფუსუფი სხვადასხვა საშუალო სკოლაში სწავლობდა: დუმარტში, შემდეგ ალ-ზაკაზისა და ალ-მანსურაში, სადაც უფრო ახლოს იქნებოდა თავის მშობლებთან. სწავლის ყველა საფეხურზე სიბეჯითოთა და ნიჭიერებით გამოირჩეოდა. იუსუფი 12 წლის იყო, როდესაც დუმარტში ძია ‘აბდ ალ-სალიმს მიაბარეს, რომელმაც განსაკუთრებული როლი ითამაშა მწერლის ცხოვრებაში. რევმატიზმით დავადებულ, ერთი შეხედვით, შესაბრალის სამოცი წლის კაცში ენერგიული და ძლიერი სული იმაღლება. ‘აბდ ალ-სალიმს ჰქონდა „ათას ერთი დამის“ ზღაპრებისა და პოპულარული ლეგენდების ამოუწურავი მარაგი, რამაც წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ’იდრისზე. მწერლის ცხოვრებაში ღრმა კვალი დატოვა ამ ძლიერმა კაცმა, რომელმაც ადამიანის გონების უსაზღვრო შესაძლებლობებში დაარწმუნა (კურპერშოეკი 1981: 22).

1945 წელს საშუალო სკოლის საუკეთესო შედეგებით დამთავრების შემდეგ სწავლა კაიროს უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე გააგრძელა. იმ დროისათვის უნივერსიტეტი პოლიტიკური მდელვარების ცენტრად იქცა და მნიშვნელოვან როლს ასრულებდა რევოლუციურ მოძრაობაში, რომელიც მიზნად ისახავდა, ეგვიპტის მოჩვენებითი დამოუკიდებლობა რეალურად ექცია და დაემხო ძველი პოლიტიკური სისტემა. ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა, ფუსუფ იდრისის მსგავსად, შეუერთდა დემონსტრაციებს. იდრისი ახალგაზრდული ენთუზიაზმით გადაეშვა შეთქმულებების, საიდუმლო ოპერაციებისა და ძალისმიერი მოქმედებების სამყაროში. მემარცხენე ჯგუფებმა მის ეროვნულ გრძნობებს გამოხატვის საშუალება მისცა და მალე იგი სამედიცინო ფაკულტეტზე ერთ-ერთ მთავარ აგიტატორად იქცა. 1946 წლის ოქტომბერში სტუდენტების დემონსტრაციისა და ‘აბბასის ხიდზე⁵⁷ მომხდარი შეტაკების შესახებ’ იდრისი იგონებს, რომ თავში ძლიერად მოხვდა ხელკეტი, დემონსტრაციის შემდეგ კი მან და მისმა მეგობრებმა ბრძოლის დროს მოკლული სტუდენტის გვამი ფაკულტეტის შენობაში დამალეს, რათა იგი „„მამებულისათვის“ საკადრისად დაეკრძალათ (კურპერშოეკი 1981: 23). ’იდრისი სიმამაცის გამო ფაკულტეტის სტუდენტთა გაერთიანების მდივნად აირჩიეს და დაუშვეს საიდუმლო ორგანიზაციაში „اللجنة التنفيذية للكفاح المسلح“ (اللجنة التنفيذية للكفاح المسلح). თუმცა ’იდრისის მოღვაწეობა კომიტეტში პარტიზანებისთვის ფულის შეგროვებით შემოიფარგლებოდა. მსგავსი პოლიტიკური აქტიურობისთვის ორჯერ მოხვდა ციხეში: 1949 წელს ორი თვით და 1952 წელს, „შავი შაბათის“⁵⁸ შემდეგ, სამი თვით დააპატიმრეს.

1950 წელს ’იდრისმა დაიწყო პერიოდული გამოცემის ბეჭდვა. უურნალს „მაჯალლა ალ-ჯამა‘ი“⁵⁹ ერქვა, მაგრამ პოლიციამ გამოსვლისთანავე აკრძალა. იდრისი ერთი წლით დაითხოვეს უნივერსიტეტიდან. უურნალის მომზადებითა და „ალმასრულებელი კომიტეტის“ წევრობით მან საბოლოოდ მოიპოვა კომუნისტების ნდობა და ამის შემდეგ მათ შორის ერთგვარი თანამშრომლობა

⁵⁷ ახლანდელი გიზის ხიდი.

⁵⁸ 1952 წლის 26 იანვარი, როდესაც კაიროში ბრიტანეთის წინააღმდეგ საპროტესტო გამოსვლებს დიდი არეულობა მოჰყვა.

⁵⁹ مملة الجميع – ყველას უურნალი.

დაიწყო. **ფუსუფ** 'იდრისი წერდა უკრნალ „ალ-ქათიბისა“⁶⁰ და „ალ-მალაქინისთვის“⁶¹. ამ რედაქციებში ბევრი ეპუთგნოდა კომუნისტურ პარტიას ან „ეროვნული გათავისუფლების დემოკრატიულ მოძრაობას“ (الحركة الديمقراطية للتحرير الوطني), რომელსაც შემოკლებით „ჰადითუ“ ეწოდებოდა და შეელაზე დიდი და გავლენიანი მარქსისტული დაჯგუფება იყო ეგვიპტეში. შესაბამისად, 'იდრისის პირველი კონტაქტები „ჰადითუსთან“ ამ პერიოდიდან უნდა დაწყებულიყო. მოძრაობის პერიფერიაში იგი 1952 წლის ივლისის რევოლუციამდე რჩებოდა, თუმცა არც ამ თარიღის შემდეგ ყოფილა მთავარ წრებში. 1952 წლიდან განხეთქილება მოხდა რევოლუციურ საბჭოსა და კომუნისტებს შორის; მოგვიანებით კი, ბზარი გაჩნდა პრეზიდენტ მუჰამმად ნაჯაბსა და რევოლუციურ საბჭოს სხვა წევრებს შორის ალ-ნაჰირის მეთაურობით. 1954 წლიდან ეს კონფლიქტი სასტიკ რევოლუციურ ბრძოლაში გადაიზარდა, რასაც უამრავი ადამიანის დაპატიმრება მოჰყვა. 'იდრისის ჯერ 1954 წლის აგვისტოში დადგა.

ყველაფერთან ერთად **ფუსუფ** 'იდრისი არც სამედიცინო მოღვაწეობას ივიწყებდა. სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების შემდეგ 'იდრისი სამედიცინო პრაქტიკას გადიოდა „კასრ ალ-‘ადნას“ საავადმყოფოში. 1952 წლის 23 ივლისს იგი პირველი ქირურგიულ ოპერაციის გასაკეთებლად ემზადებოდა, როდესაც ანესთეზიოლოგმა უჩურჩულა მეფის გადაგდებისა და აჯანყებულების გამარჯვების შესახებ. გახარებულმა და აღელვებულმა 'იდრისმა ოპერაცია კოლეგას მიანდო, თავად კი სავადმყოფოდან გარეთ გაიჭრა (კურპერშოეკი 1981: 25). მოგვიანებით მან გახსნა კლინიკა ბულაკში – კაიროს ლარიბ რაიონში. შემდეგ 'იდრისი სხვადასხვა სოციალურ თანამდებობაზე მუშაობდა: იყო სამედიცინო მრჩეველი მუნიციპალურ დეპარტამენტში, კაიროს გუბერნიის სამედიცინო ოფიცერი, მუშაობდა სოციალურ საქმეთა სამინისტროში, ასევე იყო სანიტარული ინსპექტორი კაიროს სხვადასხვა უბანში: სადიდა ზადნაბში, ჰელიოპოლისსა და ქალაქის ინდუსტრიულ რაიონში - ჰილჟანში.

⁶⁰ ألكاتب – مწერალი.

⁶¹ الملايين – მილიონები.

’იდრისის სამწერლობო კარიერა 1950-იანი წლებიდან დაიწყო. 1952 წელს შეუერთდა ჟურნალ „ათ-თაჭრის“⁶² პერსონალს, თუმცა მისი ლიტერატურული მოღვაწეობა უფრო ნაყოფიერი გახდა, როდესაც მუშაობა დაიწყო პოპულარულ ყოველდღიურ გამოცემაში „ალ-მისრ“⁶³. პირველი ნოველა „მზერა“ („النظرة“, ამ გაზეთში დაიბეჭდა, რომელიც მაშინვე აღიარეს. ნაწარმოების ავტორს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. მოგვიანებით, 1953 წელს ’იდრისი გახდა „რუზ ალ-ფუსუფის“ ლიტერატურული განყოფილების რედაქტორი. ამ თანამდებობაზე ყოფნისას საშუალება მიეცა, დაებეჭდა ბევრი ჯერ კიდევ უცნობი ახალგაზრდა მწერლის ნაწარმოებები.

ფუსუფ ’იდრისის პირველი კრებული „عواد عيسى وأمراه“ („أرخص ليالي“,) 1954 წელს დაიბეჭდა და მწერალს ეგვიპტის ერთ-ერთი წამყვანი ნოველისტის სახელი მოუპოვა. იგი არ შემოიფარგლა ნოველებით, მალე რომანებიც გამოჩნდა. 1957 წელს კი შედგა ’იდრისის, როგორც დრამატურგის, დებიუტი ორი ერთმოქმედებიანი პიესით: „باديمون مهلا“ („ملك القطن“,) და „فراشة“ („فراشة الحمراء“,) რომლებსაც მალე მესამეც მოჰყვა – „كروبيكا“ („اللحظة الحمراء“,). პიესა სუეცის კრიზისით იყო შთაგონებული, თუმცა, პროდუსერთა განსხვავებული შეხედულებების გამო, 1960 წლამდე სცენაზე არ დადგმულა (კურპერშოეკი 1981: 30). 1956-57 წლებში ’იდრისი წერდა ყოველდღიური გაზეთისთვის „الآن-آن ماتش“. სწორედ აქ დაიბეჭდა ნაწარმოებები: „شاعر مصرى“ („مستحيل“,), „كامل جمال“ („قاعة المدينة“,), „ساعل بنى سلطان“ („قبير السلطان“,) და ა.შ. ამ გაზეთში მუშაობისას ’იდრისმა გაიცნო ’ანგარ ალ-სადათი, რომელმაც 1957 წლიდან „نادى نادى“ („نادى نادى“,) გაერთიანების“ გენერალური მდივნის თანამდებობა დაიკავა და ფუსუფ ’იდრისი თავის მრჩევლად დანიშნა. ’იდრისი კვლავ დაბრუნდა პოლიტიკაში. მალე უთანხმოება გაჩნდა მასსა და ალ-ნასირს შორის. შედეგად, ფუსუფი დაითხოვეს ჯანდაცვის სამინისტროდან და გაზეთ „الآن-آن ماتش“⁶⁴. ’იდრისი ახლა წერდა

⁶² 1. განთავისუფლება, 2. რედაქტირება.

⁶³ ეგვიპტელი, ეგვიპტური.

⁶⁴ ალა�არამიდები.

გაზეთ „ალ-შაბისთვის“⁶⁵, ხოლო 1960-69 წლებში მისი დღიურები „დაშმინა“ („یومیات“) იძეჭდებოდა „ალ-ჯუმჰარიიდაში“. დღიურები ასახავდა ავტორის შეხედულებებს სხვადასხვა საკითხებსა თუ მოვლენაზე.

1960-იან წლებში ფუსუფ ’იდრისი აგრძელებს ნოველების წერას და ამავე დროს აქტიურად მონაწილეობს ეგვიპტის თეატრის აღორძინების საქმეში. მისმა პიესამ „ალ-ფარაფირი“ („ألفافير“, 1964) მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ეგვიპტის დრამატურგიაში. ამ ნაწარმოებში ’იდრისმა წამოჭრა რთული და სერიოზული საკითხი: რატომ უნდა ბატონობდეს ერთი ადამიანი მეორეზე. „ალ-ფარაფირმა“ დიდი წარმატება მოიპოვა კაიროში. ’იდრისის შემდეგი პიესა „მიწიერი კომედია“ („المهرلة الارضية“, 1966) იმდენად იყო დატვირთული სიმბოლიზმითა და აბსტრაქტული იდეებით, რომ მაყურებლის ყურადღების მოპოვება ვერ შეძლო. პიესა „ზოლიანები“ („المخطفين“, 1969) კი პოლიტიკური შინაარსის გამო სცენაზე არ დაიდგა.

1965 წელს ლიბანურმა უურნალმა „პიუარმა“ ეგვიპტელი ნოველისტი ათი ათასი ლიბანური ფუნტით დააჯილდოვა (‘უსტური 2003გ: 79). 1961 წელს მიენიჭა ალჟირის ორდენი. 1963 და 1966 წლებში ფუსუფ ’იდრისს გადასცეს რესპუბლიკის ორდენი. მწერლისთვის ასევე დიდი პატივი იყო, როდესაც ეგვიპტის წამყვანმა გაზეთმა „ალ-აკრამმა“ გამოაცხადა, რომ ფუსუფ ’იდრისი შეემატა გაზეთის წარჩინებულ პირთა გალერეას.

მიუხედავად ასეთი წინსვლისა და წარმატებისა, 1960-70-იანი წლები მწერლისათვის შემოქმედებითი და ფიზიკური კრიზისის პერიოდი იყო. ახალი ნოველების რაოდენობამ იკლო. მიზეზი ნაწილობრივ იმედგაცრუება და დეპრესია იყო, რომელსაც თან ახლდა შემოქმედებითი უნაყოფობის ხანგრძლივი პერიოდი. შრომისუნარიანობის გაძლიერების მიზნით დაიწყო ნარკოტიკების საკმაოდ დიდი დოზით მიღება, რაც მალე ჩვევად ექცა. მწერალი გამოჯანმრთელებისა თუ მდგომარეობის გაუარესების წრეში აღმოჩნდა. ’იდრისი სამკურნალოდ იმყოფებოდა მოსკოვსა და ლონდონში, მაგრამ ნარკოტიკებს თავი მხოლოდ 1975 წელს ჯანმრთელობის გაუარესების გამო დაანება.

⁶⁵ الشعب – ხალხი.

პრობლემების მიზეზი, სავარაუდოდ, მწერლის ცხოვრებაში მომხდარი უსიამოვნებები იყო. 1967 წლიდან ’იდრისს პერიოდულად უხდებოდა დაპირისპირება ხელისუფლებასთან. როგორც აღვნიშნეთ, პიესა „ზოლიანები“ აკრძალეს, მისი ნოველა „სიცრუე“ (الخدعه, 1969) კი „ალ-აჰრამიდან“ გათავისუფლების მიზეზი გახდა. მალე ’იდრისი „არაბ სოციალისტთა კაგშირიდან“ და ურნალისტთა გაერთიანებიდანაც გარიცხეს.

სიცოცხლის ბოლო წლებში მწერალი ბევრს მოგზაურობდა. ’იდრისის სტატიები არასდროს კარგავდა მკითხველები ინტერესის გამოწვევის უნარს. თუმცა, ნაწარმოებების რიცხვმა იკლო.

მწერლის ჯანმრთელობა სულ უფრო უარესდებოდა, განსაკუთრებით კი გამწვავდა ვაჟის ქავეითში სამსედრო სამსახურის დროს. ლონდონში მას გაუკეთდა ოპერაცია ტვინსა და ნერვულ სისტემაზე (ფაუზი 1991: 32-33). დიდი ეგვიპტელი ნოველისტი 1991 წლის 1 აგვისტოს ლონდონის საავადმყოფოში სამოცდაოთხი წლის ასაკში გარდაიცვალა. ასე დასრულდა ფუსუფ ’იდრისის მშფოთვარე ცხოვრება, რომელსაც მაჭმუდ ფაუზი ვულკანს ადარებს თავის წიგნში „ფუსუფ ’იდრისი ვულკანის კრატერზე“⁶⁶.

II. ნოველების თემატური ანალიზი

ა. თემატიკის ზოგადი მიმოხილვა

ფუსუფ ’იდრისი ლიტერატურულ ასპარეზზე 1950-იან წლებში გამოჩნდა და საზოგადოების ყურადღება და სიყვარული სწრაფად დაიმსახურა. მწერლის კალამს ნოველების, რომანებისა და პიესების გარდა ბევრი სტატია და ესეები ეკუთვნის. ’იდრისმა განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია როგორც ნოველისტმა, ამ უანრის ლიდერად იქნა აღიარებული მეორე მსოფლიო ომის შემდგომ თაობაში. ეგვიპტელი კრიტიკოსები თვლიან, რომ ’იდრისამდე ეგვიპტეს არ ჰყოლია მსგავსი ნოველისტი. ის მცირე ზომის მოთხოვნებისა და ნოველის ოსტატად ითვლება. „იცის, როგორ დაიწყოს და როგორ დაასრულოს, მის თვალს არაფერი გამოეპარება. მოძრაობა მის მოთხოვნებში ჰგავს ექიმის ხელის მოძრაობას. ის წერს რეცეპტს“, – წერს პროფესორი ’ანტ მანსური (მანსური თ.გ:

⁶⁶ იხ.: ფაუზი 1991.

.135). პოლ სტარკეი ’იდრისის წარამტების მიზეზად მწერლის მახვილ თვალს მიიჩნევს, რომელსაც არ გამოჰქმარვია ადამიანის სისუსტე სხვადასხვა სოციალურ სპექტრში (სტარკეი 2006ა: 127). საკუთარ სტატიაში რახა იმოწმებს ჭაბრი ჭაფიზის სიტყვებს: „’იდრისი იმისათვის დაიბადა, რომ ნოველა ექცია არაბული ლიტერატურის ძირითად უანრად“. სწორედ ამ უანრის განვითარებაში უდიდესი წვლილი შეიტანა და ამით დაიმკვიდრა განსაკუთრებული ადგილი არაბულ ლიტერატურაში (რახა 2001: 1). მან პატარა იუმორისტული საყოფაცხოვრებო ისტორიები სრულყოფილ მხატვრულ ნაწარმოებებად აქცია. ’იდრისის მოთხოვობები ცალ-ცალკე შესწავლას საჭიროებს. მათში ასახულია საზოგადოებრივი ცვლილებების მთელი ეტაპი. მისი შემოქმედება მჭიდროდაა დაკავშირებული დროის ცვალებადობასთან, საზოგადოების განვითარების ტენდენციებთან (ალ-ნასაჰა თ.გ.: 284). ’იდრისის ნაწარმოებებში განსაკუთრებული თანაგრძობა ჩანს უბრალო ეგვიპტელი ხალხისადმი. მწერალი ამბობს: „ჩვეულებრივი ეგვიპტელი ადამიანის სახის შთაბეჭდილების ქვეშ ვარ ყოველთვის, ყველა ჩემი აზრი მის გარშემო ტრიალებს. მოხიბლული ვარ მისი გმირობითა და ფილოსოფიით, ვაჟკაცობითა და ჯაბნობით. ეს ეგვიპტერი სახე ავიღე ნიმუშად და მის შესახებ ვწერ, რასაც მინდა. „ფარაჟათის რესპუბლიკაშიც“ და „უიაფეს დამეებშიც“ ეს სახე ავიღე მაგალითად“ (კურპერშოეკი 1991: 48). ’იდრისმა სცადა თავის მოთხოვობებში დაეხატა ეგვიპტელი ადამიანის ნამდვილი სახე. იცოდა, რომ ეს სახე ცხადად ჩანს უბრალო სოფლებს ხალხში, ასევე კარგად ჩანს კაიროს დარიბი რაიონების მოსახლეობაში. მას სჯეროდა, რომ ეს ძიება შეაძლებინებდა ჩასჭიდებოდა იმ ძაფს, რომელიც დაეხმარებოდა თხრობის დროს ეგვიპტელის ნამდვილი სახის წარმოჩენაში, როგორც ეს წარმოდგენილია ზეპირ თქმულებებსა და ხალხურ არაკებებში. დარწმუნებული იყო, რომ თხრობის ნიჭი ეგვიპტელი ხალხის ერთ-ერთი საუკეთესო თვისებაა. ცნობილი მწერალი ბაძავდა თხრობის ხალხურ სტილს და მისი გამოყენებით შეძლო, ერთი ხელის მოსმით, შეექმნა სახეთა გალერეა, რომელსაც ხალხის სახე ჰქვია. საკუთარი გამოცდილების საფუძველზე წარმოგვიდგინა ეგვიპტერი სოფელი, კაიროს დარიბი უბნები და დაგვიხატა შთაბეჭდავი სურათები მათ მკვიდრთა ცხოვრებიდან (კურპერშოეკი 1991: 49). იმ ხალხის ცხოვრებიდან, რომელიც მიუხედავად დამამცირებელი სიღარიბისა, მანც კეთილია.

დასავლური ლიტერატურის დიდი ზეგავლენის მიუხედავად, ფუსუფ 'იდრისის შემოქმედება მყარად იდგა არაბულ საფუძველზე. იგი შეეცადა სახეების, თემებისა და ენის „ეგვიპტიზაცია“ მოეხდინა. მოწოდებად აქცია, ეგვიპტელი ხალხი გამოეყენებინა თავისი შთაგონების წყაროდ, აღეწერა ყველაფერი ნამდგილი ეგვიპტური. ამას მოწმობს ისეთ გმირთა სიმრავლე მის მოთხოვნებში, როგორიცაა: ეგვიპტურ სოფელში დამით მოხეტიალე ‘აბდ ალ-ქარმი („უიაფესი დამეები“, „أرخص ليالي“)’ (იდრისი თ.გ. ა: 5-11), პურის ფულისთვის სამსახურის ძებნით გატანჯული ‘აბდუ („ხელობის ძიებაში“,⁶⁷ „شغلانة“)’ (იდრისი თ.გ. ა: 175-182), თუ მეოცენებე პოლიციელი ალ-სულ ფარაჰათი („ფარაჰათის რესპუბლიკა“, „جمهورية فرحت“) (იდრისი თ.გ. ბ: 8-29), ან ძონძებში გახვეული პატარა გოგონა, რომელიც ტკბილეულით სავსე დიდ თასს მიათრევს („მზერა“, „نظرة“) (იდრისი თ.გ. ა: 12-13). ჯაბირ ‘უსფურიც წერს, რომ უბრალო ეგვიპტელი მოქალაქის სახე იყო ის მოდელი, რომლის მიხედვითაც იქმნებოდა მისი გმირები (‘უსფური 2003: 76-77).

ფუსუფ 'იდრისის ნაწარმოებები თემატურად საკმაოდ მრვალფეროვანია, მათში ასახულია ეგვიპტური ცხოვრების თითქმის ყველა მხარე. შევეცადეთ, ყურადღება გაგემახვილებინა იმ ძირითად საკითხებზე, რომლებიც მნიშვნელოვან ადგილს იკავებს მის ნოველებში. 1950-იანი წლების განმავლობაში 'იდრისის ნაწარმოებები რეალისტური ხასიათისაა. მის ნოველებში ზედმიწევნითაა აღწერილი ეგვიპტის საზოგადოების მდგომარეობა სოფლად თუ ქალაქად. საზოგადოების დაბალი ფენების მკაცრი, დაუნდობელი ბრძოლა გადარჩენისათვის. როგორც ვიცით, მწერალი თავადაც სოფლად გაიზარდა და კარგად იცნობდა გლეხების ცხოვრებას. 'იდრისი ნათლად გადმოგვცემს ქალაქისა და სოფლის ცხოვრების ძირითადად უცვლელ, თუმცა საწინააღმდეგო ხასიათის დირებულებებს. ადრეულ მოთხოვნებში ჩანს ავტორი, რომელსაც უყვარს ადამიანები, განიცდის მათ ტკივილს და ცდილობს იპოვოს გამოსავალი (აბუ 'აუფი 1991: 107). მას სურდა, ადამიანებისთვის ეჩვენებინა მათივე ცხოვრების სურათები. 'იდრისმა გადაწყვიტა, აღეწერა ადამიანთა სატკივარი, მათი გაჭირვება და დახმარებოდა მათ, გამკლავებოდნენ ყოველივე

⁶⁷ ქართული სათაური აღებულია რუსუდან კვიუინაძის მიერ შესრულებული თარგმანიდან, იხ.: 'იდრისი 1988ბ.

ამას (ალ-კიტბი 1980: 137). ამ პერიოდის რეალისტურ ნაწარმოებებში ჩანს ერთგვარი თანაგრძნობა და სიბრალული, რასაც თან ახლავს ოპტიმიზმი და იუმორი.

1960-იანი წლების დასაწყისისთვის მის ნაწარმოებებში ცვლილება შეინიშნება, იცვლება მისი მხატვრული სტილი. სიმბოლიზმი, რომელიც ადრეც გვხვდებოდა, თუმცა შეზღუდულ ფარგლებში, ახლა უფრო შესამჩნევი ხდება და ამასთანავე, შეინიშნება სიურრეალიზმის გავლენაც. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ცვილილება მკვეთრი ხაზით არ არის გამოყოფილი რეალისტური მოთხოვნებიდან, ახალი ელემენტები თანდათან ჩნდება. მწერალი ფართოდ იყენებს სიზმრებსა და ფანტაზიებს გვიანი პერიოდის ნოველებში. თუმცა თავდაპირველად სიზმარი და რეალობა მკვეთრად არის გამიჯნული, სხვაობა რაციონალურსა და ირაციონალურს შორის ნათელია. საბორ ჭავჭავაძის მიხედვით, მხატვრულ სტილში არსებული დუალიზმი ავტორის მიერ რეალობის აღქმაში გაჩენილი დუალიზმიდან უნდა მომდინარეობდეს. აქ ორი გამიჯნული მიდგობაა: ერთი რაციონალური ან ინტელექტუალური და მეორე ინტუიციური (ჭავჭავაძი 2007: 154). მოგვიანებით მის ნაწარმოებებში ილუზია და რეალობა, სიზმარი და ფაქტები მეტად ირევა ერთმანეთში. გმირებისთვის სულ უფრო რთული ხდება რეალობასთან დაბრუნება. სიზმარი აღმოჩენების საშუალებად იქცევა. ავტორი აღარ გვაწვდის ფაქტების აღწერას, ის ახლა ქმნის რეალური სამყაროს პარალელურ ახალ მხატვრულ სამყაროს, რომელიც მდიდარია შინაგანი ლოგიკითა და ორიგინალობით.

შესაძლოა, ასეთი ცვლილება მისი შემოქმედების განვითარების ბუნებრივ პროგრესს წარმოადგენს. კრიტიკოსთა აზრით, ’იდრესის ცხოვრებაში ჩანს ბევრი ისეთი ფაქტი, რასაც შეეძლო სიურრეალიზმისკენ მისი გადასვლა განეპირობებინა. პირველ რიგში, უნდა გავითვალისწინოთ ამ პერიოდის ისტორიული და პოლიტიკური გარემო. ეგვიპტის 1952 წლის რევოლუციით გამოწვეული ეიფორია 1950-იანი წლების მიწურულს დასრულდა. ბევრი მწერალი და ყოფილი რევოლუციონერი აქტივისტი დააპატიმრეს. წინააღმდეგობებისა და კრიზისის ახალი დეკადა დაიწყო. 1960-იანი წლები მასობრივი დაპატიმრებების პერიოდი იყო, რაც დანაკარგის, ჩაგვრის გრძნობასა და შიშს იწვევდა. როგორც ჭავჭავაძი განმარტავს, „ყველა გარემოებამ ხელი შეუწყო აპათეასა და აბსურდულობას. ადრეული 1960-იანი წლების ცვლილებებმა და მკვეთრმა და

ხშირად წარმოუდგენელმა დაპირისპირებებმა კატალიზატორის როლი ითამაშა მხატვრული ხედვისა და სტილის დახვეწა-განვითარებაში” (ჭაფიშვილი 2007: 160).

გარდა ამისა, არსებობდა რიგი ფაქტორებისა, რასაც შესაძლოა ხელი შეეწყო მწერლის სტილის ასეთი ცვლილებისთვის. დავიწყოთ იმით, რომ, როგორც ექიმი, კარგად იყო ინფორმირებული თანამედროვე ფსიქოანალიზის თეორიების შესახებ; როგორც სოციალისტი, იმედგაცრუებული იყო კომუნიზმითა და გვიპტის რევოლუციით. ამას ემატებოდა 1967 წელს ისრაელთან ომის მიერ მოტანილი უბედურება, რამაც ღრმა დეპრესიაში ჩააგდო ’იდრისი (კოენი 1992: 38-39). ეს ყველაფერი ადასტურებს, რომ მას ჰქონდა შესაბამისი საფუძველი მიეღო, ეცნო სიურრეალიზმი. ამ მიმართულებით მისი შემოქმედების ცვლილება განპირობებული იყო გონების კრიტიკული მდგომარეობით, მისი პიროვნულობითა და ისტორიული მომენტით. ადსანიშნავია, რომ სიურრეალიზმი არ არის მხოლოდ ენა სრული თავისუფლებისა, ამასთანავე, იდეალური ენაა კრიზისში მყოფი ინტელექტუალისთვის. სიურრეალიზმი სთაგაზობდა რეალობის აღქმის, ატანის ახალ გზას, დამყარებულს სხვა ლოგიკაზე. წარმოდგენების საშუალებით აძლევდა ძველი სამყაროს დანგრევისა და ახლის შექმნის საშუალებას. თუმცა, ცნობილი არ არის, ’იდრისმა ცნობიერად აღიარა სიურრეალიზმი, თუ უბრალოდ, მის შემოქმედებაში ამ მიმდინარეობის გავლენა აღინიშნება.

’იდრისის შემოქმედების ცვლილების კიდევ ერთი მიზეზი შეიძლება იყოს ნააზრევის გადმოცემის სიურრეალისტური მანერა. ახალი სტილი უზრუნველყოფდა მას იმ გზით, რომლითაც თავს დააღწევდა ცენზურის მაკონტროლებელ თვალს და აუდიტორიას თავის ნააზრევს პოლიტიკური ჩარევის გარეშე წარუდგენდა. იმ დიქტატორულმა რეჟიმმა, რომელშიც ცხოვრობდა ’იდრისი, ხელი შეუწყო ახალი მხატვრული სტილის განვითარებას. მწერლის გადასვლა სიურრეალიზმისა და სიმბოლიზმისაკენ არ იყო განმარტოებული ფენომენი. ეს იყო 1960-იან წლების ეგვიპტეში არსებული იმ მნიშვნელოვანი ტენდენციის ნაწილი, რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ. ბევრი სხვა მწერლის მსგავსად ღუსუფ ʼიდრისიც მიმართავდა უფრო მეტად ბუნდოვან, წარმოსახვით და სიურრეალისტურ სტილს, როგორც ამ პერიოდისთვის დამახასიათებელი გაურკვევლობების და წინააღმდეგობების ახსნის საშუალებას. როჯერ ალენი თვლის, რომ ნოველები იქცა გაუცხოებისა და აზრის ძიების

ალეგორიად. ალეგორიულ სამყაროში კი გმირები შვებას სექსსა და ნარკოტიკებში პოულობენ (ალენი 1998: 300). სწორედ ამ ტენდენციებს მიჰყვება 1960-იან წლებიდან ’იდრისის ნოველები. საბრო ჭაფიზი თვლის, რომ 1960-იან წლებში მისმა ნაწარმოებებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რეალობის ახალი აღქმისა და თხრობის ახალი სტილის გ.წ. „ახალი ხედვის“ ჩამოყალიბებასა და დახვეწაში (ჭაფიზი 2007: 161).

თურქი ’იდრისი, სხვა მწერლების მსგავსად, იწყებს თხრობაში არარეალური, სიზმრის მსგავსი ნაკადის გამოყენებას, რასაც თან ახლავს სიმბოლისტური და სიურრეალისტური სახეები. სიურრეალიზმში უკეთესი მხატვრული საშუალებები არსებობს მწერლისათვის, რათა კონტაქტი დაამყაროს აუდიტორიასთან. სიურრეალისტური სცენები მაშინვე იაყრობს ყურადღებას იმით, რომ იწვევს გაოცებას, განსაკუთრებით მაშინ, როცა ის ეწინააღმდეგება სოციალურ ნორმებს და ცვლის, სხვაგვარად წარმოაჩენს ურთიერთობების მიღებულ ფორმებს. მაგალითად: ექიმმა, რომელიც სექსუალურ კონტაქტს ამყარებს მედდასთან მომაკვდავი პაციენტის წინ, მისი გვამის გატანისათვის განკუთვნილ საზიდარზე („მთავარი ოპერაცია“, „العملية الكبرى“) (’იდრისი თ.გ. გ: 111-137), ან კაცმა, რომელიც ჩამოკიდებულია ხორცის საკიდზე დაკლული ცხვრების გვერდით („აორტა“, „الأورطي“) (’იდრისი თ.გ. გ: 113-120), არ შეიძლება, არ გამოიწვიოს მკითხველში რეაქცია. დალია კოენი თვლის, რომ ეს ერთგვარი შოკი მკითხველის ცნობიერებაში ამზადებს გზას მწერლის გასაგებად. მკითხველი დაბნეულია არარეალურ მოვლენებთან შეხვედრისას და თითქოს რადაც საიდუმლოს ახსნასთან მიჰყავს იგი მწერალს (კოენი 1992: 42).

’იდრისის შემოქმედების ამ სტილისტურ ცვლილებას თან ახლავს ერთგვარი თემატური ცვლილებაც. „მწერალმა მიატოვა ბავშვების, ახალგაზრდებისა და მოხუცების სამყარო და გადავიდა სხვა სამყაროში. ეს სიკვდილის სამყაროა. მწერალი ბოლოს შევიდა იმ სამყაროში, სადაც უხვადაა პრობლემები და მიზეზები ფიქრისათვის, სავსეა დაპირისპირებებით“ – წერს ‘ალ- ალ-რა‘ (ალ-რა‘ თ.გ.: 88). ადრეულ მოთხრობებში ძირითად საკითხს ეგვიპტის საზოგადოების მდგომარეობა წარმოადგენს, გვიანდელ ნაწარმოებებში კი აღწერილია პიროვნული კონფლიქტები და წინააღმდეგობები. ახლა ძირითადად ყურადღება გამახვილებულია ადამიანის განცდებზე, მის შინაგან კრიზისზე. მწერალი განიხილავს ისეთ ფილოსოფიურ საკითხს, როგორიცაა

ადამიანისა და სამყაროს კავშირი. ‘აბდ ალ-ჭამიდ ალ-კიტტი თავის ნაშრომში თავად მწერლის სიტყვების ციტირებას ახდენს. ’იდრისი აღნიშნავს: „დიდი ხელოვანი ვერ მოექცევა ჩარჩოებში. მან უნდა განიხილოს ადამიანის ბედის ფილოსოფიური პრობლემა, ადამიანისა და სამყაროს ურთიერთობის პრობლემა. ასევე სხვა ძირითადი საკითხები, რის წინაშეც ადამიანი საუკუნეების მანძილზე აღმოჩნდა“ (ალ-კიტტი 1980: 147-148). ბადაშის მოჰყავს ციტატა 1971 წლის იანვარში ქურნალ „ალ-მაჯალლაში“ დაბეჭდილი ინტერვიუდან, სადაც ’იდრისი აცხადებს, რომ იმ ეპოქის ადამიანისთვის უდიდესი გამბედობა იყო, გამოეთქვა თავისი ნამდვილი აზრი საკუთარ პრობლემებზე. იმ პრობლემათაგან, რომლის პირისპირაც ადამიანი აღმოჩნდა, სოციალური პრობლემები ყველაზე ცხადი, გასაგები და პირდაპირია, მაგრამ თანამედროვე ადამიანის პრობლემები იმდენად ღრმაა, რომ ისინი მეტაფიზიკურ დონეს აღწევენ (ბადაში 1985: 24). ამდენად თავად მწერალიც ყურადღებას ისეთ საკითხებზე ამახვილებს, როგორიცაა ცხოვრების სიცარიელე და აბსურდულობა, მარტოობა და იზოლაცია, უსაფრთხოების განცდის დაკარგვა, წინააღმდეგობა საზოგადოებასა და პიროვნებას შორის. ამ თემების განხილვისას ის ცდილობს, ჩასწვდეს და დაგვანახოს ადამიანის ფსიქიკა, მისი ღრმა სულიერი სამყარო.

გვიანდელი პერიოდის ნაწარმოებებში აღინიშნება აგრეთვე ოპტიმიზმის პერიოდი, ადამიანის რწმენის უნდობლობით შეცვლა. ახალი გააზრებაა სიცოცხლის გაგრძელებისაც; სექსი, რომელიც 1950-იანი წლების რეალისტურ ნოველებში განიხილებოდა ბიოლოგიურ მომენტად, სოციალური სცენის ბუნებრივ ნაწილად, ახლა ცენტრალურ ნაწილს იკავებს, რაც ხშირად უჩვეულო, მიუღებელი ფორმითაა გამოხატული. ასევე სიკვდილი, რომელიც დაკარგვისა და გლოვის ფორმით აღიქმებოდა, ახლა ხსნის, შვების სახითაა წარმოდგენილი. როდესაც გმირის გონებაში რაღაც იცვლება და ირევა მისი შინაგანი სამყარო, მისთვის ძნელი ხდება რეალობის აღქმა და მასთან გამკლავება. ასეთ შემთხვევაში ცხადია, რომ ამ ტანჯვასთან შედარებით სიკვდილი მისთვის შვებად იქცევა (’აბუ ’აშფი 1991: 128). ეს ნაწარმოებები წარმოგვიდგენენ რევოლუციური იდეებით აღსავსე იდეალისტის შეცვლას იმედგაცრუებული ადამიანით. მიუხედავად ამისა, ’იდრისის შემოქმედების მთავარი თემატური ხაზი ძირითადად ერთია და ორივე ეტაპს მოიცავს.

ბ. პოლიტიკური საკითხები

ფუსუფ ’იდრისის ნაწარმოებებში საკმაოდ დიდი ადგილი ეთმობა პოლიტიკურ საკითხებს, ბევრი ნოველა ასახავს ეგვიპტის პოლიტიკური სისტემის კრიტიკასა და ამ სისტემისადამი ხალხის მორჩილებას. ხშირად მოსახლეობა შიშით ითმებს მთავრობის არასამართლიან დამოკიდებულებას, რადგანაც არ სჯერა ოპოზიციის წარმატების, ეშინია ქაოსის პირისპირ აღმოჩენის. პოლიტიკური პრობლემატიკით მწერლის ასეთი დაინტერესება შემთხვევითი როდია. ’იდრისი, მისი თაობის ბევრი სხვა მწერლის მსგავსად, აქტიურად იყო ჩართული პოლიტიკურ და რევოლუციურ მოვლენებში, როგორც უკვე აღვნიშნეთ მისი ბიოგრაფიის შესახებ საუბრისას. ამასთანავე, უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ ფუსუფ ’იდრისი ლიტერატურულ ასპარეზზე იმ პერიოდში გამოჩნდა, როცა ეგვიპტის ცხოვრების ყველა ასპექტი პოლიტიზირებული იყო და სოციალურ-პოლიტიკური აქტივობა დომინანტ თემად იქცა არაბულ ლიტერატურაში. როგორც მუჭამმად ბადაში აღნიშნავს: „1950-იანი წლების შუა ხანებიდან მოყოლებული საზოგადოებრივ პრობლემატიკაში ჩართულობა, ზომიერი თუ უკიდურესი, ერთგვარ წესად იქცა“ (ბადაში 1985: 16). ამდენად ბუნებრივია, რომ ’იდრისის თხზულებები გამოხატავს ავტორის პოლიტიკურ პოზიციას და ეგვიპტის მაშინდელი პოლიტიკური სისტემისადმი კრიტიკულ დამოკიდებულებას. ის ნოველებიც კი, რომლებშიც არ არის პოლიტიკური პრობლემების პირდაპირი განხილვა, ალეგორიულად მიუთითებენ მათზე. გმირები ან მოვლენები სიმბოლურად წარმოადგენენ ეგვიპტეს, პოლიტიკურ ლიდერებს, მთავრობას ან ცნობილ ისტორიულ მოვლენას.

ნოველაში „რადგან განკითხვის დღე არასდროს დგება“ („لأن القيمة لا تقوم ،،،“) (’იდრისი თ.გ. ქ: 101-112), ეგვიპტე შედარებულია დაქვრივებულ დედასთან. შვილების გამოსაკვებად დედა მემავად იქცა. ერთ პატარა ოთახში, სადაც ყველა ცხოვრობს, ბავშვები დედის სექსუალური კონტაქტების მომსწრენი ხდებიან; საწოლის ქვეშ მათთვის მიჩნილი ადგილიდან ადევნებენ თვალს ყველაფერს. ნაწარმოებში ანალოგიაა გატარებული მატერიალური დახმარების მიღების იმედით სხვა ერებისადმი ეგვიპტის მორჩილებასთან. საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს კურპერშოეკი, რომელიც ამ ნოველას აკავშირებს 1964 წელს ეგვიპტესა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციას შორის ურთიერთობაში არსებულ კრიზისთან. ამ კრიზისის მიზეზი კი პრეზიდენტ ჯამალ ‘აბდ ალ-

ნაცირის მიერ ლუმუმბისტების მხარდაჭერა იყო კონგოს პრემიერ მინისტრის ტშომბეს წინააღმდეგ, რომელსაც აფრიკელი ნაციონალისტები ყოფილი პრემიერ მინისტრის ლუმუმბას მკვლელობაში ადანაშაულებდნენ. მკვლევარს ამ განცხადების გასაკეთებლად საფუძველს აძლევს ნაწარმოების გმირების სახელები. თშემბასთან 'იბრაჰიმს, ნაწარმოების მთავარ გმირს, კონფლიქტი აქვს და ის მისივე ძმის ლუმუმბას საპირისპირო ხასიათის მქონე პერსონაჟია (კურპერშოეკი 1981: 144).

მსგავს თემას უკავშირდება ნოველა „ნახევრად რევოლუციონერები“ („أنصاف الثنرين“, 'اًنْصَافُ الْثَّانِيْنَ')⁶⁸ ('იდრისი თ.გ. ი: 53-67). ეგვიპტე ბაღის სახითაა წარმოჩენილი, რომელსაც ჰაჯაჯი უვლის. როდესაც ფრანგი მიწათმფლობელი მიდის და ეგვიპტელი ხდება ახალი მესაკუთრე, ჰაჯაჯი ხედავს განადგურებულ ბაღს. იგი დამწუხებული ასკვნის:

„عَزَّرَوْكَمَلَى عَزَّزَتْهُسِيْنَ! عَزَّرَبَهُسِيْنَ، مَا غَرَّا مِنِّي أَرَى
أَنْجَعَهُدَوَّدَ، أَرَى مِنْدِيَوَدَدَ ჰَاجَّهُ بِهِ مَهْكَمَهِ دَوَّدَ دَوَّدَ دَوَّدَ
بَهُسِيْنَ، مَاهَنَجَّهُ بَهُسِيْنَ بَهُسِيْنَ بَهُسِيْنَ بَهُسِيْنَ...“ ('იდრისი თ.გ. ი: 58.).

"الخواجة كان أحسن. ألف مرة أحسن! خواجة على غير الدين والملة لا يكذب ولا يغش ولم يذهب ليحج ومعه حقيبة ضخمة فارغة وعد بملاءة عربية بضائع للتجارة..."

არ არის გასაკვირი, რომ ამ ტიპის მოთხოვებები უთანხმოება გამოიწვია ავტორსა და ხელისუფლებას შორის.

'იდრისი თავის თხზულებებში განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ეგვიპტის 1952 წლის რევოლუციაზე. რეალისტურ მოთხოვებებში რევოლუცია უკეთესი მომავლის იმედია, რომელიც სოციალურ რეფორმაზე და სამართლიანობაზე იქნება დაფუძნებული, მაგრამ გვიანი პერიოდის ნაწარმოებებში მხოლოდ მისგან მოტანილი იმედგაცრუება ჩანს და გააზრებულია, როგორც თვითგანადგურება.

„سِيَقْرَبُونَ“ („الْخَدْعَةُ“) ('იდრისი თ.გ. ზ: 87-93) გვიანდელი პერიოდის ნოველაა. აქ 'იდრისი ხატავს რევოლუციისა და მისი ლიდერის ირგვლივ არსებული ეიფორიიდან უეცარი გამოღვიძების მტკიცნებულ სურათს. რაღაც დიადის მოლოდინი გაცრუვდა და მხოლოდ აქლემის თვალშისაცემი თავი დარჩა, რომელიც უთვალთვალებს ადამიანებს, მათ ყოველ მოქმედებას. მართალია, ამ აქლემს აქვს უნარი, გააუმჯობესოს რამე, მაგრამ ის არაფერს აკეთებს

⁶⁸ გავეცანით ასევე ინგლისურ თარგმანს. იხ.: 'იდრისი 1991.

ადამიანთა დასახმარებლად. პირიქით, უხეშად არღვევს მათ პირად თავისუფლებას, ერევა პირად საიდუმლოებებში:

„ავტობუსში ავედი. ისეთი სავსე იყო, რომ ადამიანი გაიგუდებოდა... უეცრად უძრავი და უტყვი თავი გამოჩნდა. მისი შეხედვაც საკმარისი იყო, რომ შიში გეგრძნო.“ (’იდრისი თ.გ. ზ: 89);

”ركبت الأتوبيس والازدحام واصل حد الاختناق ... وفجأة وجدت الرأس الصامت الصائم أو عن الحركة يطل، كان مشهده كفيلاً باثاره الذعر.“

„გაზეთი წაკითხად გადავშალე და ალარ გამკვირვებია, როცა მოძრაობა ვიგრძენი, სტრიქონები შეირხა, აირია და ისე, რომ გაზეთი არ გახეულა, თავი გამოჩნდა, თითქოს გაზეთიდან დაიბადა. სხვა ვერაფერს ვხედავდი მისი სამი ტუჩის გარდა, სახესთან ახლოს მათ შევიგრძნობდი“ (’იდრისი თ.გ. ზ: 89);

”فتحت الجريدة أقرؤها، ولم أدهش حين شعرت بحركة، ولا حين اهتزت السطور ثم تباعدت، وبلا صوت تمزيق اخترق الرأس الجريءة، وأصبحت لا أري سوى شفاهه الثلاث، بشع منظرها قريب جدا من وجهي.“

„სადამოს ჩაკეტილ საძინებელ ოთახში არაფერი იყო სიყვარულისა და სურვილის გარდა, როდესაც ვიგრძენი, რომ რაღაც უხეშად იჭრებოდა ჩვენ შორის...“ (’იდრისი თ.გ. ზ: 90);

”وفي المساء داخل غرفة النوم المغلقة، ولا شيء هناك سوى الحب والرغبة، اذا بي اكتشف أن شيئاً يتسلل بغلظة بيننا...“

აქლემის მოჭრილი თავი ნოველის გმირს ყველგან დაჰყვება. ეს არარეალური არსება იჭრება გმირის ყოველდღიურ ყოფაში და არღვევს მის მყუდროებას. მას შეუძლია, გაჩნდეს აბაზანაში დაკიდული ფარდებიდან, ავტობუსში, საწოლში საყვარლებს შორის, კაბინეტის კედლებზე, დირექტორის ოთახის კარის თავზე. შესაძლოა, აქლემის თავი მხოლოდ გმირის წარმოსახვის ნაყოფია, მაგრამ მას ცხადად ხედავს; ის არსებობს, იჭრება ადამიანთა ცხოვრებაში და სტანჯავს მათ. აქლემის თავი ფართო დიმილით ალეგორიულად გამოხატავს ჯამდლ ‘აბდ ალ-ნაჰირს. უნდა აღინიშნოს, რომ არაბული სიტყვა „აქლემი“ (جمل) მოდის იმავე ძირიდან, რომლიდანაც ნასერის პირველი სახელი. დალია კოენის აზრით, ყოველივე ეს მოწმობს, რომ მოთხოვნაში სწორედ არსებული ხელისუფლების კრიტიკას ვხვდებით (კოენი 1992: 47). საინტერესოა, რომ აქლემის თავი ხშირად ჩნდება გაზეთში, კედლებზე და კაბინეტებში. სავარაუდოდ, მწერალი მიუთითებს პრეზიდენტის პორტრეტებზე, რომლებიც განთავსებული იყო ყველგან.

საინტერესო სიურრეალისტურ სახეს ქმნის აქლემის თავი. ერთი შეხედვით ის უბრალოდ აქლემის მოჭრილი თავია, მაგრამ ამ თავს არარეალური უნარები აქვს, შეუძლია იმოძრაოს, გაჩნდეს უკელგან და დაიბადოს გაზეთის სტრიქონებიდან. ეს უცნაური თავი უფრო ღრმა მნიშვნელობის მატარებელი სახეა. ის გმირის არაცნობიერში არსებული ნამდვილი აზრებიდან შეიქმნა და არსებული პოლიტიკური სისტემის მიმართ გმირის დამოკიდებულების გამოხატულება.

„მთავარ ოპერაციაში“ (العملية الكبرى, ,) (’იდრისი თ.გ. ვ: 111-137) ’იდრისი გვიხატავს საინტერესო გმირებს: აღიარებულ ექიმ ’ადჰამს, რომელიც საუკეთესო ექიმისა და პროფესორის რეპუტაციით სარგებლობს და სამედიცინო ფარმაციულის სტუდენტს ‘აბდ ალ-რა’უფს, რომლისთვისაც ექიმი ’ადჰამი კერპია და მისი დახმარებით კარიერის მოწყობის იმედი აქვს. რეალობაში ექიმისთვის ქირურგია მხოლოდ საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილების საშუალებად იქცა, მთავარი მიზანი ადამიანების დახმარება აღარ იყო. საოპერაციო პალატა თითქოს არენად იქცა, სადაც საკუთარ შესაძლებლობებში დასარწმუნებლად პროფესორი ექსპერიმენტებს ატარებდა. მის დაუფიქრებელ და სარისკო გადაწყვეტილებებს კი ვერავინ შეეკამათებოდა. მისი ინტერესის ახალ საგნად ავადმყოფი ქალი მოგვევლინა, რომელსაც, ექიმ ’ადჰამის ვარაუდით, კიბო ჰქონდა. ექიმი თავის მოსაზრებაში დასარწმუნებლად და დიაგნოზის დასასმელად პირდაპირ პაციენტის გაჭრას გადაწყვეტს. როდესაც ოპერაციას დაიწყებენ და ქალის სხეულში სიმსივნეს ნახავენ, პროფესორი ჩათვლის, რომ უმჯობესი იქნებოდა, თუ სიმსივნეს მაშინვე ამოკვეთდნენ, პაციენტი ხომ უკვე გაჭრილი იყო. ახალი ოპერაციისთვის მზადებას ნაჩეარევად იწყებენ. თავიდან თითქოს ყველაფერი კარგად არის, მაგრამ ექიმი ხვდება, რომ სიტუაციას ვეღარ აკონტროლებს. სიმსივნის ამოკვეთისას სკალპელი გაუსხლტება და აორტას გაჭრის. ცდილობს, ნერვიულობა არ შეეტყოს და აორტიდან მოთქრიალე სისხლი შეაკავოს, მაგრამ აორტა სკდება და არარეალურად დიდი რაოდნობის სისხლი ფარავს ყველაფერს. სიტუაცია იმდენად უმართავი ხდება, რომ ათობით ხელი ფათურობს პაციენტის გაჭრილ სხეულში; ყველა ცდილობს, რამენაირად შეაჩეროს სისხლი. ბოლოს გაგლეჯილ აორტას ბარძაყიდან ამოჭრილი სისხლძარღვით აღადგენენ, სისხლდენას შეაჩერებენ და პაციენტს ჭრილობებს დაუხურავენ. თუმცა ცხადია, რომ ის სასიკვდილოდ არის განწირული. ექიმი ’ადჰამი არ აღიარებს დამარცხებას. ამბობს, რომ ქალის სიკვდილი მაინც

გარდაუგალი იყო, ამდენად, მისი გადარჩენა არც ყოფილა არსებითი. მთავარია, რომ საოცარი სირთულის ოპერაცია ჩატარდა, რომლის მსგავსი ეგვიპტეში არასოდეს გაკეთებულა. ეს კი მეცნიერების განვითარებისთვის იყო მნიშვნელოვანი. იმედგაცრუებული ‘აბდ ალ-რა’უფი წყევლის იმ დღეს, როცა ექიმი ’ადჰამი მისთვის მისაბაძ მაგალითად იქცა. მისი აზრით, ყველაფერი მას შემდეგ აირია, როდესაც პროფესორმა ოპერაციების კეთება საკუთარი გატაცების გამო დაიწყო. მძიმე განცდებისგან შეწუხებული ‘აბდ ალ-რა’უფი შეებას მომაკვდავი პაციენტის წინ მედდასთან სექსუალურ კავშირში პოულობს.

შესაძლოა, ექიმი ’ადჰამი ალეგორიულად განასახიერებდეს ჯამშლ ‘აბდ ალ-ნასირს და სტუდენტი კი თავად მწერლის პოზიციის გამოხატულება იყოს. კურპერშოეკი თვლის, რომ ეს ნოველა, რომელიც 1969 წელს დაიწერა, 1967 წლის დამარცხების შემდგომ მწერლის ცხოვრებაში არსებული მძიმე პერიოდის დასასრულს უკავშირდება. უკიდურესი პესიმიზმისა და განსჯის მონაკვეთი დასრულდა და შესაძლოა, ნოველა დამარცხების მიზეზების გაანალიზების მცდელობა იყო. კრიტიკოსი თვლის, რომ ‘აბდ ალ-რა’უფს ბევრი აქვს საერთო ახალგაზრდა ’იდრისთან. ამდენად, მის მიერ ყველაფერში ექიმის დადანაშაულება გულისხმობს მწერლის მიერ ‘აბდ ალ-ნასირის დადანაშაულებას და საკუთარი პასუხისმგებლობის გრძნობის შესუსტებას (კურპერშოეკი 1981: 153).

პოსტრევოლუციური მმართველობით იმედგაცრუება და უკმაყოფილებაა გამოხატული „აორტაშიც“ („اُورطی،“) (’იდრისი თ.გ. ქ: 113-120), სადაც აღწერილია დამის პატრული, რომელიც ქალაქის ქუჩებს ავადმყოფი ხალხისგან ასუფთავებს და შემდეგ სასტიკად ეპყრობა მათ. აქ მწერალი საიდუმლო პოლიციას გულისხმობს, რომელიც სასტიკად უსწორდებოდა ე.წ. „პოლიტიკურად საშიშ ადამიანებს“.

რევოლუციით იმედგაცრუება კულმინაციას აღწევს მოთხოვნაში „195⁰²“ (’იდრისი თ.გ. ი: 44-51). ეს რიცხვი თითქოს პოლიციის დოსიეს ნომერია, რომელშიც თვითმკვლელობის შესახებ არის ინფორმაცია. სინამდვილეში, რიცხვი ეგვიპტის რევოლუციის თარიღს აღნიშნავს, რომელმაც მწერლის აზრით, თვითგანადგურების გარდა ვერაფერს მიაღწია.

გ. ადამიანი და საზოგადოება

ადამიანთა მძიმე მდგომარეობა ქმნის 'იდრისის ნაწარმოებების დიდი ნაწილის მთავარ შინაარსს. რეალისტური ნოველებისათვის სოციალური პრობლემების მთელი თავისი სისახტიკითა და უმსგავსობით წარმოჩენა იყო დამახასიათებელი, მოგვიანებით კი მწერლის ყურადღებამ ადამიანის ხასიათზე, მის შინაგან სამყაროში დამალურ პრობლემებზე გადაინაცვლა. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ადრეული პერიოდის თხზულებებში სასტიკ რეალობასთან და გარემოსთან ჭიდილში სასწაულით მაინც შეიძლება გადარჩენა, მოგვიანებით კი საერთოდ აღარ ჩანს ხსნის გზა, მხოლოდ გარდაუვალი ტანჯვა და დაღუპვაა მოსალოდნელი. რეალისტურ მოთხოვნებებში 'იდრისი ავლენს ნდობას ადამიანისადმი, სწამს მისი სიკეთის. სიურრეალისტურ ნოველებში იცვლება ასეთი შეხედულება, 'იდრისი ახლა ადამიანებს სასტიკ და მოძალადე არსებებად ხატავს.

სიურრეალისტურ ნოველაში „აორტა“ ავტორი აღწერს საწყალ აგადმყოფ ინდივიდს ‚აბდუს, რომელსაც აორტა გადაუჭრეს სავადმყოფოში და შემდეგ მხოლოდ სქელი სახვევით მიუერთეს სხეულთან. აღწერილია ქაოსური სცენა. მას მისდევს ხალხის ბრძო, რომელიც ეჭვობს, რომ მოპარული ფული ტანისამოსში აქვს დამალული. ადრეული ნოველებისაგან განსხვავებით, აქ ვერ გხედავთ ადამიანთა კეთილგანწყობას, მხოლოდ სისასტიკე ჩანს. იმ მიზნით, რომ გააძრონ გალაბია, ‚აბდუს ყასბის მაღაზიაში ხორცის საკიდზე გატყავებული ცხვრების გვერდით დაკიდებენ:

„...ერთი გზა იყო გაგვეძრო მისთვის გალაბია ისე, როგორც კურდდელს ატყავებენ. კარგად რომ გაგვეტყავებინა, სასურველი იყო, ჩამოგვეკიდა, მაგრამ სად და როგორ დავკიდებდით მას. [...] ახლოს იყო ყასბის მაღაზია და მთელი ბრძო იქით გაემართა, ‚აბდუ შეაში მოექცა. [...] ახალგაზრდა მსუქანმა ყასაბმა იკისრა ტანსაცმლის საყელოთი მისი დაკიდება ხორცის საკიდზე. ჩამოკიდებული აბდუ სრულიად უდონო იყო და თავადაც წააგავდა მის გვერდით დაკიდებულ გატყავებულ ცხვრებს. უამრავმა ხელმა გაიწია მისკენ გალაბიას გასაძრობად...“ (იდრისი ო.გ. ე: 118);

”ولم تكن هناك طريقة لخلع الجلباب عن إلا بسلخه كما يسلخ جلد الأرنب عنه، ولكن نسلخ الجلباب لا بد أن يكون معلقا ... وأصبحت المشكلة أين وكيف نعلقه؟ ... والتقطنا فوجتنا الجزار قريبا، وتحركت المجموعة وعده في وسطها ... أخذ الجزار الشاب البدين على عاتقه مهمة تعليقه في الخطاف الذي تعلق عليه الذبائح من قبة صديرية و ملابسه الداخلية ... لا حول له ولا قوة، مثله مثل الذبائح والخرفان المسلوحة المعلقة على بقية الخطاطيف... وامتدت أكثر من يد ترفع ذيل الجلباب إلى أعلى ...“

ბრძომ არ შეისმინა ‘აბდუს თხოვნა, არ გაეხსნათ სახვევი, რაც მის სიკვდილს ნიშნავდა, რადგან მხოლოდ ის ამაგრებდა გადაჭრილ აორტას. ბოლოს, როდესაც სახვევი გახსნეს, აორტა სისხლისაგან დაიცალა და ქანქარასავით გადმოეკიდა.

ნოველა საყურადღებოა იმ მხრივ, რომ მასში თითქოს ერთმანეთს უკავშირდება რეალური და ირეალური, ჩვეულებრივი და არაჩვეულებრივი. ბუნებრივი ამბის თხრობისას მოულოდნელად ვხვდებით სრულიად უჩვეულო მოვლენას. ადამიანი ეძებს დაკარგულ ფულს, ფულის მოპარვას ვიღაცას აბრალებენ და უნდათ დარწმუნდნენ, მან მოიპარა თუ არა, მაგრამ აქ უცებ ხდება რაღაც სრულიად წარმოუდგენელი, ჩნდება აორტაგადაჭრილი კაცი (ალ-ალიმი თ.გ.: 240). ამ ნოველაში კარგად ჩანს ის მეთოდი, რომლითაც მწერალი ორ საწინააღმდეგო სამყაროს აკავშირებს. ‘აბდუ ერთდროულად რეალურიც არის და ირეალურიც. განსაკუთრებით საყურადღებოა ბოლო ეპიზოდი, რომელიც ნამდვილ სიურრეალისტურ სურათს ჰგავს. ვხედავთ დაკლულ ცხვრებთან ერთად ხორცის საკიდზე ჩამოკიდებულ აორტაგადაჭრილ ადამიანს. რეალურისა და ირეალურის შეწყმით ’იდრისი ადამიანის სისასტიკის შთამბჯჭდავ სახეს ქმნის.

ადამიანზე, მის ბუნებაზე ფუსუფ ’იდრისის შეხედულების გასაგებად, საინტერესოა ნოველა „შადე-შადეა“ („الشيخ شيخة“) (’იდრისი თ.გ. დ: 16-30). ნაწარმოებში ადამიანები წარმოჩნდებიან როგორც ცოდვილი, ბოროტი და მოძალადე არსებები. დახატულია ფიზიკურად დეფორმირებული, გონებრივად ჩამორჩენილი ინდივიდი. იგი ასეთი სახითაა მიღებული ხალხში.

„მას შეეძლო დაენახა და მოესმინა ის, რასაც სხვა ვერ გაიგებდა და დაინახავდა, რადგან ის არაფრად ითვლებოდა“ (’იდრისი თ.გ. დ: 24);

”رأى ما لم يره أحد وسمع ما لم يسمعه أحد بحكم أنه لم يكن أحدا.“

„შედიოდა ნებისმიერ სახლში და რომელ კუთხეშიც მოისურვებდა, იქ იჯდა რამდენი ხანიც უნდოდა. მისი ყოფნა სახლის მკვიდრთ არ აწუხებდა, ვერც კი გრძნობდნენ მის არსებობას. [...] მის წინ შიშვლდებოდნენ ქალები და არც კაცებს ერიდებოდათ გახდა. მისი თანდასწრებით განიხილავდნენ ოჯახურ საქმეებს, კაცებს ეძინათ თავიანთ თუ სხვის ცოდებთან“ (’იდრისი თ.გ. დ: 19);

"يدخل أى بيت ويطل قابعاً في أى ركن فيه ما شاء من الوقت، دون أن يضيق وجوده أهل البيت أو حتى يحسوا به وجوداً... تتعري النساء أمامه و كذلك يفعل الرجال، وتتحدث العائلات عن أخص شأنها في حضرته، وينام الرجل مع زوجته أو غير زوجته".

როდესაც გაგრცელდება ჭორი, რომ ის ჩვეულებრივი გონიერი ადამიანია, ადამიანების მისდამი დამოკიდებულება იცვლება. ეს კი შიშით, დანაშაულის გრძნობით არის გამოწვეული. რა იქნებოდა, მართალი რომ იყოს? ნუთუ შეეძლო დაენახა, მოესმინა და მიმხვდარიყო? ეს შემაძრწუნებელი ფიქრი იყო. მთელი ამ წლების მანძილზე მას უყურებდნენ, როგორც არარეალურ არსებას, ან რაღაც შინაური ცხოველის მსგავსს, ძაღლის ან კატის.

„შინაურ ცხოველებს, ძაღლებს და კატებს, ლაპარაკი რომ შეეძლოთ, ადამიანთაგან ძალიან ცოტა თუ შეძლებდა ცხოვრების გაგრძელებას“ (’იდრისი თ.გ. დ: 24-25);

"واه لو تكلمت قطط البيوت و كلابها! ربما استطاع أحد العيش."

ეს საშინელი ფიქრი მოიცავს მათ და ყველაფერი იმით მთავრდება, რომ შავე-შახესას სასტიკად კლავენ. როგორც დავინახეთ, ადამიანი ცოდვილ და შეუბრალებელ არსებად გამოჩენდა. თუ კი ადრეულ ნაწარმოებებში სიკეთის ნიშანი ჯერ კიდევ შეინიშნებოდა, „შავე-შახესაში“ მხოლოდ ადამიანის საშიში ბუნება ჩანს.

’იდრისი ბევრ ნაწარმოებში ყურადღებას ამახვილებს დადგენილ ნორმებსა და სოციალურ აკრძალვებზე. ხშირად ასეთ აკრძალვას საწინააღმდეგო შედეგი მოაქვს; რასაც აკრიტიკებენ, მისი თავიდან აცილების ნაცვლად, სწორედ მისკენ ისწრაფვიან. აკრძალვა იწვევს ინტერესსა და სურვილს, იმოქმედონ აკრძალულ ზონაში. მოთხოვთ ადანაშაულის ადგილზე“ („حالات نبض“) აღწერილია უნივერსიტეტის დეკანისა და სტუდენტი გოგონას შეხვერდა (’იდრისი თ.გ. ’იდრისი თ.გ. ქ: 5-14). დეკანი ფანჯრიდან ხედავს სტუდენტების გოგონას, რომელიც სიგარეტს ეწევა, ანუ იმ მოქმედების დროს, რომელიც ქალისათვის აკრძალულად მიიჩნევა. დეკანი დიდხანს უყურებს, როგორ ეწევა ის სიგარეტს და აკვირდება მის თითოეულ მცირე მოძრაობას. ეს აკრძალული მოქმედება დეკანში სექსუალურ ფანტაზიებს იწვევს. სოციალური აკრძალვების გამო ადამიანთა არაცნობიერი სურვილები მხოლოდ მათ ფანტაზიებსა და სიზმრებში ვლინდება. ’იდრისის აზრით, სოციალური ნორმები ეწინააღმდეგება ადამიანის ბუნებას და ხშირად იმის სურვილს იწვევს, რაც უარყოფილია, მიუღებელია, თუმცა წარმოდგენილია პიროვნების არაცნობიერში (კონი 1992: 28). ზოგადად,

არაცნობიერში არსებული ინსტინქტები და სურვილები ’იდროსი ბევრ ნაწარმოებში ვლინდება.

’იდროსი თავის თხზულებებში ხშირად აკრიტიკებს და ირონიულად გვიხატავს საზოგადოებაში არსებულ ადათებსა და ტრადიციებს. მაგალითად, ნოველაში „რაღაც, რაც გაგიჟებს“ („شئي عي جنن“) (’იდროსი თ.გ. დ: 66-73) დამცინავადაა გაშუქებული მაჭანკლობის ტრადიცია. თავის მოსაზრებას განსაკუთრებული მაგალითის მოყვანით გადმგვცემს. ციხეში ორი ძალლის შეჯვარების მცდელობა ხდება. ოფიცერს პყავს დედალი ძალლი, ხოლო ერთ-ერთ პატიმარს – მამალი ძალლი. მცდელობა უშედეგოდ მთავრდება, მამალი ძალლი გარბის. მას კვლავ იჭერენ და გალიაში სვამენ მდედრობა. ამის შემდეგ საკმაოდ უჩვეულო რამ ხდება, ძალლი უკვალოდ ქრება. ნაწარმოებში არ არის მინიშნება, რომ ძალლი გაიპარა, ის უბრალოდ გაქრა. ეს ეპიზოდი არც სიზმარია, არც გმირის ფანტაზია, ავტორი ამბავს რეალურად აგვიწერს. ასეთი უჩვეულო ამბის მოყოლით მწერალი კრიტიკულად აღწერს ძალადობაზე დამყარებულ ტრადიციას.

დ. სექსი

’იდროსის მხატვრული ნაწარმოებების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია სექსი. ბევრ ნოველაში ეს თემა მჭიდროდ უკავშირდება სხვა თემებს. ხშირად სექსუალური ურთიერთობების შესახებ ისტორიები პოლიტიკური, რელიგიური და სოციალური საკითხების განსახილველად გამოიყენება და ამ პრობლემების სიმბოლურ სახეს წარმოადგენს. როგორც კობკამი აღნიშნავს, ’იდროსი ამჟღავნებს ეგვიპტის საზოგადოებისა და მათი ცვალებადი ლირებულებების სიღრმისეულ ცოდნას. ეს კარგად ჩანს მისი ნოველებიდან სექსუალური ურთიერთობების შესახებ (კობკამი 1975: 78). სექსთან საზოგადოების მიმართებაში კარგად ჩანს მისი კულტურა. შესაბამისად, მწერალი იკვლევს სიყვარულის, სურვილის და საჭიროების ხასიათს. სოფლად ურთიერთობები თითქოს უფრო მოწესრიგებულია. აქ საზოგადოება საკუთარ წევრებს აიძულებს, მოიქცენენ მიღებული ნორმების მიხედვით. ეს ურთიერთობები ძირითადად ქორწინების ჩარჩოშია მოქცეული. ქალაქში საკითხი უფრო რთულადაა და მისი შეზღუდულ ჩარჩოებში მოქცევა ძნელია.

თუ შევადარებოთ ამ თემის განხილვას რეალისტურ და სიურრეალისტურ ნოველებში, მის გააზრებაში დისტინქტურ ცვლილებას შევნიშნავთ. ადრეული პერიოდის ნაწარმოებებში სექსი განიხილებოდა როგორც ნორმალური ბიოლოგიური მოვლენა („ზაფხულის დამე“, „ليلة صيف“, (’იდრისი თ.გ. გ: 79-110), ზოგჯერ სიყვარულით გაჯანსაღებული („اعياد قرنيدة“⁶⁹, „جىوكندا مصرية“, „جيوكندا مصرية“) (’იდრისი თ.გ. თ: 32-54), სხვა შემთხვევაში კი მხოლოდ საჭიროებითა და სურვილით გამოწვეული („عيادة سعيدة“). ხშირად მწერლის მიერ დახატული სექსუალური ურთიერთობები ამორალურია და ძალადობის ელემენტებსაც შეიცავს. ადრეული პერიოდის ნაწარმოებებში სექსი ყოველთვის ცოდვასთან და სირცხვილთან („حرام“, „عيب“, ⁷⁰ ასოცირდება, მაგრამ გვიანდელი პერიოდის ნაწარმოებებში დაკმაყოფილების ან თვითგამოვლენის ქმედებად იქცევა.

სიურრეალისტური პერიოდის ნოველებში მიღებული ნორმების ყველა ზღვარი უგულებელყოფილია და სექსი ყველაზე უჩვეულო, არანორმალური და კულტურული ხდება. ნორმალური ადამიანური სექსუალური სცენები შეიცვალა უჩვეულო ანომალიური სცენებით. ნოველა „ის“ (هـ، ”هي“) (’იდრისი თ.გ. ზ: 130-137) ილუზიით შექმნილ ლამაზმანთან სექსუალურ ურთიერთობაზე ოცნებას წარმოადგენს. ბოლოს აღმოჩნდება, რომ „ის“ მონსტრია ადამიანური და ცხოველური ნიშნებით; ხოლო ნოველაში „კაცი და ჭიანჭველა“ (عن الرجل والنملة,) (’იდრისი თ.გ. თ: 99-118) პატიმარი იძულებულია სექსუალური აქტი პქონდეს მწერთან – ჭიანჭველასთან; „გასეირნებაში“ (الرحلة,) (’იდრისი თ.გ. ზ: 69-76) ახალგაზრდა კაცი უცნაურ, თითქოს ეროტიკული სიყვარულის მსგავს გრძნობას განიცდის გარდაცვლილი მამის გვამისადმი.

ბევრ თხზულებაში ვხვდებით გმირებს, რომლებიც სექსუალური დაუკმაყოფილებისაგან და ფლუსტრაციისგან იტანჯებიან. ეს საკითხები უფრო აქტუალურია ნოველებში, რომლებიც ციხისა და პატიმრობის თემებს უკავშირდება. იმედგაცრუების თვალსაზრისით ასევე საინტერესოა ნოველა „ის“. გმირის იმედგაცრუება გამოწვეულია ოცნების ლამაზმანსა და რეალურ მონსტრს შორის არსებული სხვაობით. როდესაც გმირი საკუთარი ოცნების

⁶⁹ ქართული სათაური აღებულია დ. გარდავაძის მიერ შესრულებული თარგმანიდან, იხ.: ’იდრისი 2002ა.

⁷⁰ საინტერესოა, გავიხსენოთ ’იდრისის ორი რომანის სათაური (1959), „الحرام“, „العيب“ (1962).

ქალს ეალერსება, შეიგრძნობს თხის ბალნიან ფეხს, რომელიც ვირის ჩლიქით მთავრდება (’იდრისი თ.გ. ზ: 137).

სექსუალური გრძნობებისა და იმედგაცრუების თანხვედრაა ზემოთ უკვე მოხსენიებულ ნოველაში „რადგან განკითხვის დღე არასდროს დგება“. პატარა ’იბრაჟიმს და მის უმცროს და-ძმას მშობლების სარეცელის ქვეშ სძინავთ. მამის სიკვდილის შემდეგ ის ხვდება, რომ საწოლზე რაღაც მისთვის გაუგებარი, მაგრამ არასწორი ხდება. ბავშვი დედისა და აბუ ალ-სიბა‘ის სექსუალური კავშირის მოწმეა. ’იბრაჟიმი უცნაური განცდებით იტანჯება, საწოლის ქვეშ ყოფნა აუტანელი ხდება. ისეთ სიმძიმეს გრძნობს, თითქოს მთელი მსოფლიოს ტვირთი ამ საწოლს დააწვა. საბრი ჭავიში საუბრობს ოიდიპოსის კომპლექსზე და ამ კომპლექსით ნაკარნახევ გმირის დედასთან დამოკიდებულებაზე. დედის ცოდვის სარეცელის ქვეშ ძილი მათ შორის ერთგვარ სიყვარულ-სიძულვილის ურთიერთობას აძლიერებს (ჭავიში 2007: 167). მოგვიანებით ’იბრაჟიმს უჩნდება სურვილი, მოკლას დედა, მაგრამ ხვდება, რომ მას უფრო სჭირდება დედა, ვიდრე დედას ის (’იდრისი თ.გ. ქ: 111). ნოველაში ყურადღებას იპყრობს ერთი ფაქტი, რომელიც საინტერესო სახით გვიჩვენებს გმირის ასოციაციებსა და ბავშვის მიერ აღქმულ რეალობას. თავდაპირველად საწოლის ქვეშ მყოფს ესმის რაღაც გაურკვეველი ხმები, მაგრამ ვერ ხვდება რა ხდება. მოგვიანებით დედაში ცვლილებას ამჩნევს, რაც მასში პროტესტს იწვევს და ცდილობს, თავი ბავშვებთან თამაშით გაირთოს. თუმცა, მალე თამაშის სურვილსაც კარგავს. ახსენდება ფრაზა საბავშვო ლექსიდან, რომ დედალი დათვი ჩავარდა ჭაში, რომლის პატრონიც არის ლორი („البئر الهني سقطت فيها دبة ذلك الخنزير.“) (’იდრისი თ.გ. ქ: 106). ეს ფრაზა გამუდმებით უტრიალებს თავში. მალე ’იბრაჟიმი ხვდება, რომ მისთვის ბავშვების სამყარო აღარ არის საინტერესო, მაგრამ დიდების სამყარო ჯერ ბნელით არის მოცული. დროთა განმავლობაში აცნობიერებს ყველაფერს, რაც საწოლზე და დედის ცხოვრებაში ხდება. შემდეგ აჩემებული ფრაზაც, რომელიც ამდენი ხნის მანძილზე არ ასვენებდა, აზრს იძენს. ხვდება მის ნამდვილ მნიშვნელობას: დედა არის დედალი დათვი და ლორი კი აბუ ალ-სიბა‘ი (’იდრისი თ.გ. ქ: 111).

სექსის თემასთან დაკავშირებით საინტერესოა ნოველა „გასეირნება“⁷¹. როგორც უკვე ითქვა, ამ თხზულებაში ვაჟი გრძნობს ეროტიკულ სიყვარულს მამის ცხედრისადმი. გმირი მამის გვამთან ერთად სეირნობს მანქანით და ესაუბრება მას. ნოველა მონოლოგს წარმოადგენს. თავდაპირველად ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ქალი მიმართავს თავის საყვარელს:

„მე დაგეხმარები თმის დავარცხნაში. შენ არც კი იცი, რომ მე მიყვარს შენი თმა. [...] თუმცა სულ თეთრია, მაგრამ ადვილად ივარცხნება. [...] შემდეგ ულვაშებსაც იმავე ჯაგრისით გაგისწორებ. მე მომწონს ასეთი ულვაშები. მე ასჯერ მაინც მინახავს, როგორ აკეთებ შენ ამას. მე შემიყვარდა ყველაფერი, რასაც შენ აკეთებ, რაც შენ ჩვევად გეძცა“ (იდროსი თ.გ. №: 69);

„سأساعدك في تصفيف شعرك، أنت لا تعرف أنني أحب شعرك... لكنه أبيض كله سهل التمشيط ... بعدها وبالفرشاة نفسها أسوى شاربك. حتى هذا النوع من الشوارب أحبه. هكذا رأيتك مئات المرات تقنعل، وهكذا أحببت كل ما نافع لك عادة.“.

მაგრამ შემდეგ ირკვევა, რომ ვაჟი მიმართავს მამას. მას მანქანით მიჰყავს მამის ცხედარი და უხარია, რომ როგორც იქნა, მარტო დარჩა მასთან ერთად. არავისი ეშინია არც პოლიციის, არც ხალხის, რომლებიც გაოცებული უყურებენ მათ. ერთადერთი ადამიანი, ვისიც ოდესმე ეშინოდა, მამა იყო, მკაცრი, სასტიკი. ახლა ის მის გვერდითად და აღარც მისი ეშინია. ისინი ხომ ახლა ერთნი არიან. ბოლოს თავადაც გრძნობს საშინელ სუნს, ხვდება, რომ ის მამის ცხედრიდან მოდის, სუნთქვა უჭირს, გვამს მანქანაში ტოვებს და გარბის.

გარდა იმისა, რომ ნოველაში ვხვდებით ადამიანის უჩვეულო სექსუალურ სურვილებს, მასში თაობათა შორის დაპირისპირების საკითხიც ჩანს. შვილის საუბრიდან ჩანს, რომ ისინი ვერასდროს უგებდნენ ერთმანეთს. მამა მკაცრი იყო მის მიმართ, აიძულებდა ეცხოვრა ისე, როგორც თვითონ მიიჩნევდა სწორად, მას კი თავისუფლება სურდა. მამა უნდა მოკვდეს, რომ ის გათავისუფლდეს. მან უნდა დატოვოს მამის გვამი და თვითონ იცხოვროს, მარტო განაგრძოს მოგზაურობა. მამა მატარებლის ეპოქის შვილია, შვილი კი მანქანის ეპოქისა, თავისუფლებისა. ერთ ეპოქოდში შვილი ამბობს:

„შენ მატარებლის ხანიდან ხარ... მე კი მანქანის ხანიდან, თავისუფლებისა, იდეებისა“ (იდროსი თ.გ. №: 71);

„أنت من جيل القطار ... أنا من جيل عربة، الحرية عربة، الرأي عربة.“

⁷¹ ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო რ. ალენის მიერ შესრულებული ნოველის ინგლისური თარგმანი. იხ.: იდროსი 1972.

ნოველა „გასეირნება“ ისრაელთან ექვსდღიან ომში დამარცხებიდან სამი წლის თავზე დაიწერა. კრიტიკოსთა აზრით, ამ ნოველაში პოლიტიკური საკითხიც იჩენს თავს. მამის სახეში ალ-ნასირი იგულისხმება, შვილი კი ეგვიპტელი ხალხის სახეა (კოენი 1987: 137).

ჯუსუფ ’იდრისი თავის ნაწარმოებებში შეეხო ისეთ საკითხებს, რომლებზეც არაბულ საზოგადოებაში ხმამაღლა საუბარს გამბედაობა სჭირდებოდა. საინტერესოა მისი გვიანდელი ნოველა „პაცოა ლიდერი“⁷² („أبو الرجال“,), რომელიც პირველად 1987 წელს ეგვიპტურ ჟურნალ „ოქტომბერში“ დაიძებდა და მოგვიანებით 1988 წელს ცალკე წიგნად გამოიცა. ნაწარმოებში აღწერილია სულტანის ანუ მთავარი გმირის მიერ საკუთარ თავში განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის აღმოჩენის ისტორია. ორმოცდაათი წლის ასაკში სულტანი დიდი ხნის განმავლობაში ჩახშული სურვილების პირისპირ აღმოჩნდება. მისი ხასიათი და ცხოვრების წესი არანაირად არ შეესატყვისება იმ სტერეოტიპს, რომელიც პომოსექსუალებთან მიმართებაში არსებობს საზოგადოებაში. სულტანი ძლიერი და გავლენიანი კაცია; მას ყველა პატივს სცემს და ეშინიათ მისი. ის უპირისპირდება საკუთარ გრძნობებს, რომლებსაც დიდი ხანია ებრძვის. თავადაც არ სურს, გაიგოს ამ გრძნობების რეალური რაობა. მაგრამ ვედარ ერევა განცდებს და საკუთარ პომოსექსუალობას აცნობიერებს. უკვე ასაკში შესული საბოლოდ გადაწყვეტს, საზოგადოებასთან თუ არა, საკუთარ თავთან მაინც, აღიაროს, რომ ის პომოსექსუალია. ამ აღიარებას თავისთავად მოჰყვება მისი სოციალური სტატუსის დაცემა. შემდეგ ნაწარმოებში ვხედავთ თუ როგორ ცდილობს, საკუთარი თავი ასეთად მიიღოს. ნაწარმოების დასაწყისში ერთ-ერთ საინტერესო ეპიზოდში ის ხვდება, რომ რაღაც ძალამ დაიმორჩილა, სარკეში აკვირდება საკუთარ სხეულს და ცდილობს, ახალი თვალით შეხედოს მას. ავტორი ხაზს უსვამს ერთ ფაქტს: სულტანი ხედავს, რომ მის სხეულს ასაკი დაეტყო. ერთ დროს კუნთიანი და თმიანი სხეული შეიცვალა, თმა დასცვივდა და კუნთებიც დაუსუსტდა (’იდრისი 1988: 1-2). რამზი სალტი თვლის, რომ თმის დაცვენას სიმბოლური მნიშვნელობა აქვს და ის პირდაპირ კავშირშია სულტანის მიერ საკუთარი ახალი მეს აღმოჩენასთან. სულტანის საზოგადოებაში თმა სახესა და

⁷² არაბული სათაურის პირდაპირი თარგმანი იქნებოდა „პაცოა მამა“, სათაურის ქართული კერძია ნაწარმოების ინგლისური თარგმანიდან ავიდეთ: „The Leader of Men“. იხ.: ’იდრისი 1988ა.

სხეულზე კაცურობის ნიშანია. ახლა ის საკუთარ სხეულზე თმიანი მკერდის ნაცვლად შემაშინებელ ქალურ სინაზეს ხედავს. ინსტინქტურად ხელს გადაისვამს ულვაშზე, რომელიც ცოტა ხნის წინ მოიპარსა. შემინებულს პანიკა მოიცავს და საკუთარ თავზე ბრაზდება. განრისხებული ეძახის ერთ-ერთ ერთგულ ახალგაზრდას მეტსახელად ხარს (*الشور*). მკითხველი კიდევ ერთ ცვლილებას ხედავს, სულტანის ხმა, რომელიც ადრე სახლს აზანზარებდა, ახლა სუსტად გაისმა (სალტი 2001: 248-249). შემდეგ გმირი იხსენებს საკუთარ წარსულს და ცდილობს, ცვლილების მიზეზი იპოვოს. კიდევ ერთ საინტერესო მოსაზრებას გვთვაზობს სალტი, როდესაც ნაწარმოებში ჰომოსექსუალიზმის ფრონდისეულ ხედვასთან პოულობს კავშირს. ამის საფუძვლად მწერლის მიერ დედისა და ვაჟის ურთიერთობაზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებას ასახელებს. სულტანის დედა აღწერილია როგორც ადამიანი, „რომელსაც განსაკუთრებული სიყვარული აქვს და რომლის მიზანიც ბიჭისგან კაცის გაზრდაა“ (სალტი 2001: 249). ნოველაში ვხვდებით მეორე ჰომოსექსუალ გმირს შპპნ ალ-ტაჰანს, რომლის განსხვავებული ორიენტაცია ყველასთვის ცნობილია და საზოგადოებაში დამკვიდრებული ხედვის ტიპიური განსახიერებაა: ყოველთვის კარგად გაპარსული პირისახით, ნაზი და ქალური მანერებით (’იდრისი 1988: 10). ’იდრისი ასევე ხაზს უსვამს იმ კონტრასტს, რომელიც ამ ორ გმირს შორის არსებობს.

ნაწარმოებმა გამოქვეყნებისთანავე დიდი ყურადღება დაიმსახურა. ელხადიმი წერს, რომ არაბულ ლიტერატურაში ჯერ არავის გადმოუცია ჰომოსექსუალის მდგომარეობის ფსიქოლოგიური ანალიზი. ’იდრისი ღრმად ჩასწვდა ჰომოსექსუალთა სულიერ მდგომარეობას და წარმოაჩინა მათ გონებაში არსებული მტანჯველი ფიქრები (ელხადიმი 1988: 1) ბევრმა კრიტიკოსმა შეაქო ავტორი გამბედაობისთვის, შეხებოდა ასეთ საკითხებს, მათ შორის იხსა ბულატამ და როჯერ ალენმა⁷³.

„პაცო ლიდერში“ ’იდრისმა წამოჭრა ბევრი საინტერესო საკითხი: საზოგადოების დამოკიდებულება ჰომოსექსუალების მიმართ, მათი საკუთარი განცდები, აღიარება თუ ტყუილში ცხოვრება, სხვა მსგავსი ადამიანების მიმართ

⁷³ სალტის მოჰყავს ცნობილ კრიტიკოსთა მოსაზრებები საკუთარ ნაშრომში: 'A Different Leader of Men: Yusuf Idris against Arab Concepts of Male Homosexuality', იხ.: სალტი 2001.

ასევე იხ.: ალენი 1989; ბულატი 1989.

სისასტიკის გამოჩენით საკუთარი რეალური სახის დამალვის მცდელობა და სხვა. თუმცა, მწერალი ცდილობს, არ გამოხატოს საკუთარი აზრი, ის მხოლოდ ლია შეკითხვებს ტოვებს: რატომ არის სამარცხვინო პომოსექსუალობა, არის თუ არა კაცის სექსუალური ორიენტაცია დაკავშირებული აღზრდასთან?

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ საკუთარ ნაწარმოებებში ’იდრისი საუბრობს დადგენილ ნორმებზე, სოციალურ აკრძალვებზე. ხშირად ამ პრობლემებს ის სექსუალურ თემატიკასთან აკავშირებს („დანაშაულის ადგილზე“ და „რადაც, რაც გაგიჟებს“).

როგორც განხილული მაგალითებიდან გამოჩნდა, კონკრეტული სექსუალური ურთიერთობების, გმირთა ფანტაზიების, განცდებისა და სურვილების ფონზე მწერალი ყურადღებას ამახვილებს ბევრ მნიშვნელოვან საკითხზე.

ე. რელიგია

ღუსუფ ’იდრისი საკუთარ ნაწარმოებებში ბევრ შეკითხვას სვამს რელიგიისა და ადამიანთა რწმენის შესახებ. ნოველა „შახე-შახეა“ საყურადღებოა რელიგიური საკითხების განხილვის თვალსაზრისითაც. აქ აღწერილი უწეველო არსება, გაურკვეველი წარმოშობისა და საშიში გარეგნობის მიუხედავად, მაინც მიღებულია ადამიანებს შორის. მისი დეფორმირებული სახე ღვთის ნების ერთგვარი გამოხატულებაა, რასაც ვერავინ შეეკამათება, რადგანაც მისია სამყარო, სადაც ყველას აქვს უფლება, იცხოვროს. ხალხს შახე-შახეასადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მას შეეძლო ყველგან შესვლა, ყველაფრის გაკეთება, მოსმენა და დანახვა. მას ხან შეიხ მუჭამადს, ხან კი შეიხა ფატიმას უწოდებენ. აქ მოციქულისა და მისი ქალიშვილის სახელებთან ვხედავთ კავშირს. ასევე აღსანიშნავია, რომ ის მეჩეთთან ცხოვრობს. მისდამი ხალხის დამოკიდებულება, მისი ყოვლისმომსწრეობა, სახელი, საცხოვრებელი ადგილი მიუთითებს, რომ ეს არარეალური არსება ღმერთის ერთგვარი სახეა ხალხს შორის. გავრცელებული ჭორი და მისი უეცარი გაუჩინარება ადამიანებში შიშს იწვევს. როდესაც იგი კვლავ გამოჩნდება და მის სახეზე დამცინავ გამომეტყველებას შენიშნავენ, ადამიანები საბოლოოდ შეშფოთდებიან, მიხვდებიან, რომ ისინი გააშიშვლეს,

რომ არ შეეძლოთ ეცხოვრათ მის ჩრდილში, ვის წინაშეც სრულიად შიშვლები იყვნენ.

„ისინი შადე-შადეას წინაშე შიშვლები იყვნენ. [...] ისინი ვერასდროს იცხოვრებდნენ ერთ სოფელში იმ ადამიანთან ერთად, ვინც მათზე ყველაფერი იცოდა“ (’იდრისი თ.გ. დ: 30);

”أَنَّهُمْ أَمَامُ الْشِّيَخِ شِيخَةٌ عَرَابِيَا ... وَأَنَّهُمْ أَبْدَا لَا يَسْتَطِيعُونَ أَنْ يَحْيُوا فِي بَلْدَةٍ وَاحِدَةٍ مَعَهُ، مَعَ إِنْسَانٍ يَعْرَفُ عَنْهُمْ كُلَّ شَيْءٍ.“
სასტიკი დასასრული გარდაუვალი იყო, მას ქვებით ჩაქოლილს იპოვიან.

ამ ნოველაში ავტორი ეხება ადამიანთა ოწმენას, რამდენად წრფელია იგი. თუ ადამიანს არ შეუძლია მშვიდად იცხოვროს უბრალო არსებასთან, რომელიც ყოვლისმომსწრეა, მაშინ როგორ შეძლებს, იცხოვროს ყოვლისმცოდნე და ყოვლისშემძლე ღმერთთან?

ადამიანის ოწმენაში არსებულ მუდმივ ეჭვზე ჩვეული ირონიით ’იდრისი სხვა ნოველებშიც მიუთითებს. მოთხოვთ მოგვითხობს „მროხის სურა“ (،البقرة،“) (’იდრისი თ.გ. ზ: 121-129) მოგვითხობს გლეხზე, რომელმაც ძროხა იყიდა და სოფელში მიჰყავს. გზა დამდლელი და აუტანელი აღმოჩნდება, რადგანაც ყველა გამვლელი ეკითხება ძროხის ფასს. მისი პასუხი, რომ გადაიხადა 87 ფუნტი და 25 ფურუში და 10 ფურუშიც შუამავალს მისცა, არავის სჯერა, ყველა ეჭვით უყურებს, ნიშნისმოგებით უცნებიან მრავალმნიშვნელოვან ფრაზებს. გლეხი ბოლოს მოთმინებას კარგავს და გიჟივით გაჰყვირის ძროხის ფასს. ამ ნოველაში ავტორი წარმოგვიდგენს ეგვიპტელ გლეხთა ცნობისმოყვარე და ეჭვიან მენტალიტებს, მათ უბრალო და უდავო ფაქტიც კი არ სჯერათ ადგილად. ფუსუფ ’იდრისი კიდევ ერთხელ მიუთითებს ადამიანთა ურწმუნოებაზე. მათ არ შეუძლიათ დაიჯერონ უბრალო სიმართლე, ძროხის ფასი და როგორ შეძლებს ასეთი ხალხი, ირწმუნოს რელიგიური ცნებები. მოთხოვთ სათაური ადებულია ყურანის მეორე სურიდან (،البقرة،“), რომელშიც ასახულია ყურანის ძირითადი სწავლებანი. სურის სათაური კი უკავშირდება 67-71 აიებს, სადაც მოთხოვთ იგავი იმის შესახებ, თუ როგორ არ სურდათ ებრაელებს, დამორჩილებოდნენ მოსეს და შეეწირათ ძროხა ღმერთისთვის, დასვეს უამრავი შეკითხვა და ამით თავიანთი ურწმუნოება გამოამჟღავნეს (კოენი 1992: 30).

აქვე უნდა განვიხილოთ ფუსუფ ’იდრისის შემოქმედების კიდევ ერთ მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ასევე რელიგიურ თემატიკას უკავშირდება – ეს არის სიცოცხლის, სიკვდილისა და აღდგომის თემა, მათი ურთიერთკავშირი. სწორედ ამ საკითხებს ეხება ნოველა „სული ტკბილია“ (،الروح،“) (’იდრისი

თ.გ. ზ: 77-86). მოთხოვბაში აღწერილია ადამიანის დახრჩობის სცენა. იგი ზღვაში იხრჩობა და ეს მხოლოდ ერთი წუთის განმავლობაში გრძელდება. ბანაობისას მას წყალი ნაპირიდან შორს გაიტაცებს და როდესაც მიხვდება, რომ იხრჩობა, ყველაფერი ერთად იჩენს თავს – უამრავი განცდა, ემოცია, შიში, ბრძოლა და დანებება. ბოლოს, როდესაც ღონეს კარგავს, მას მოულოდნელად ქალი გადაარჩენს. ’იდრისი თითქოს სიცოცხლის ყველა განცდას გვიჩვენებს ერთი წუთის მანძილზე, ერთი წუთისა, რომელიც დაუსრულებლად მეორდება ადამიანის ცხოვრებაში. ეს განცდები დაჭრილია სიკვდილ-სიცოცხლის ბრძოლისას, რასაც ერთგვარი მეორედ დაბადება მოჰყვება და რაც ქალთან არის დაკავშირებული. ამ ერთ წუთში მთხოვბელი იხსენებს მთელ ცხოვრებას. სიკვდილ-სიციცხლის ზღვარზე იღვიძებს მის არაცნობიერში დამარხული ინსტინქტები: თავის გადარჩენის ინსტინქტი და ამავე დროს თვითგანადგურების ინსტინქტი – სიკვდილის სურვილი. დახრჩობისას იგი უკეთ შეიცნობს საკუთარ თავს. ნოველაში თხოვბის ხაზი გმირის ცნობიერებაში მიმდინარე აზრების ნაკადს მიჰყება.

ყურადღება უნდა მიექცეს წყლის სიმბოლურ ხასიათს. წყალი არის სიცოცხლის საწყისი. იგი წარმოდგენილია როგორც არსებობის, სამყაროს პოტენციალის რეზერვუარი. ისლამში წყალი ტრადიციულად ასოცირდება სამოთხის ნეტარებასთან. ბუნებრივია, უდაბნოს მკვიდრისთვის წყალი სიცოცხლესა და ნაყოფიერებას უკავშირდება. უამრავი მითი თუ ლეგენდა ეხება წყალს, წყლის სიღრმეებს. ამ ლეგენდებში სიკვდილი და მეორედ დაბადება ყოველთვის ურთიერთკავშირშია, რაც გარკვეულ გარდასახვას გამოხატავს. (მაგ.: მითი ოსირისის შესახებ) სწორედ ასეთ შეხედულებას გხვდებით ’იდრისის ნოველაშიც.

ნოველა „ის“ ზედაპირულად არის ოცნება არაორდინალურ სექსუალურ ურთიერთობაზე, რომელიც მწარე იმედგაცრუებით მთავრდება. თუ დრმა შინაარსს დაფაკვირდებით, დავინახავთ, რომ მოთხოვბა სიცოცხლის, სიკვდილისა და აღდგომის ერთგვარი ავტორისეული გააზრებაა. სიზმრის დასაწყისში მთხოვბელი ცოცხალია. მას იღუმალი ხმა ეუბნება, რომ შეხვედრა აქვს ქალაქში. იგი მიდის კაიროს ერთ-ერთ მოედანზე ‘ათაბაზე. სიტყვა „ათაბა“ (عَتَبَ) სალიტერატურო არაბულ ენაზე ზღურბლს ნიშნავს. მოედნის აღწერისას ავტორი აღნიშნავს, რომ ესაა ძველი შენობებით გარშემორტყმული შეხუთული ადგილი. აქ ისეთი სუნია, „თითქოს საფლავები გახსნეს ასი წლის შემდეგ“

(“رائحة الزمن كجو مقبرة تفتح بعد مائة عام ،،”) (”օգրեսո տ.ց. №: 131). յև և շարատո յո գաճկոտեցուն դժուն ասուացուաս օվազը. նոզելա ցրմելութեա օմուտ, րոմ մտերոծելու տուոյուն ցարգաւոցալու. մուսո և եղալու լուրջու դա պատելու որնամենքը ենթառ մորտուլու մաճանուտ մույթու. ցուսցերու դա պատելու ասուութեա ցատան դա միջետան. մմջուլու աջպանեցեա, րոմ „ու“ յուրացալու. մուսո մշագրութեա ալ-մշաբթիամուն մտուակյեն դասաթուլուա, րոգորու սայյունու ցամցնացրեա. ցնա ար արուն շալուրու, տուոյուն յև յեսա դասցեսու դա ցալուն մշմացնեց ուսու յրեցա. րուցեսաց մտուն վայրէ մուալիչուն, ցմուրու մաճանուտան ցամուցա դա շուածնունու ալմոհնութեա. ու դուու կարուծեցուն վու դցաս, րոմլուն վոնաց շուածնուա, շուան յո ծալու – ցըմու. մտերոծելու մոլունուտ դցաս միուն մշեցնացրեցուն յայշ տացմէսացրունա դա սամել-սակմելուն ցարեմ. ուցու աելու միուն մուրառեա ակցութեա:

„միջ հացուդա, մյ դացունց; մյ ցացունցուց; միջ ամոցուդա; հացուդա ուսու դա դացունց...“

(”օգրեսո տ.ց. №: 134);

”غابت الشمس، نمت، صحوت، أشرقت الشمس... غابت، نمت ...“

յև մշմարդուն դակաշմուրեցուլու ոյուն և ուցուցելուն, և ուցուցուն դա ալճարմուն ցածրեցատան մզել ըցութուր մուտունունունու. մզելու ըցութուրու հմանուն մուեցուտ, միջ, միուն լմերու մոցնայրութեա ցածր դժուն ցանմացլութեա, մշմացնեց իւացուն, կացուն, րատա կացուն դասեացուն. րուցեսաց կարու ուցուն, մտերոծելու մշմարդուն ունացնուն սամպարունու: ցացաս եցեցուն ծալուն, սագաց շունայրու արևեցեցու սակլուն – մացուլուտա դա մացուտ ալիցունու եւս տոջունեցա. շեմյեն մատ սաշեարս, րոգոր ալիշերեն ուսուն „մաս“, րոգորու կլուզաբրասա դա այրունություն. յև արարեալուրու ըպութու ըրտցարու սումարու, րաց նախարմունուն ցմուն այրտեսուլուն, րոմ սացնեցու պացելունուն ար արուն ուսետու, րոգորու ց ցացունու դա րոգորու իւն. մշմացնեց ու մշմարդուն սալունուն, սագաց մարդու եալուն յրտու կացրաթուլու կուլումեթրու. սամ կայտեցու սամու և սամու. ու իւմոջացնեց աելու մրձարյ սկամիյ դա իւմունեցա. ծոլու ըպութունու մտերոծելու եցունուն „մաս“ դա սածունու ալմոհնութեա, րոմ „ու“ սաունեցու լմերությունուն յո արա, րալաց արևեցա ցերպացուն նունեցուտ. և ցանց ցանցուն, մացրամ կարու արևածած, ար իւն շուան ցասակցացու ցնա. մտերոծելուն ունեցեցու սամունելու օմեջալուրունուտ մտացրութեա. մշմարդու, ցմունուն ունեցեցու օմեջալուրունուտ ունեցեցու յրտցարու ալճարմուն ոյուն ացիւրունուն սկամիունուն սուցունուն մշմացնեց սուցուցելուն դակաշմուրեցուտ. մշմարդու, օշական օգրեսո ցոյկրութեա, րոմ սուցունուն մշմացնեց

სიცოცხლე ტყუილს ეფუძნება ან საუკეთესო შემთხვევაში, სიკვდილამდელი ცხოვრების ანარეკლია.

ეს ნაწარმოებები, შეიძლება, გამოხატავდეს ავტორის სკეპტიკურ შეხედულებას ცხოვრებასა და რელიგიაზე. ის ფიქრობს, რომ ადამიანს არ შეუძლია, ღმერთთან რეალურ კავშირში იყოს. ადამიანები უფლის მცნებებს კაცთა კანონების შექმნისათვის დამხმარე საშუალებად იყენებენ. ნოველებიდან ჩანს, რომ ადამიანთა საზოგადოების მმართველი ნორმები მათივე მოთხოვნილებების სამსახურშია და ღმერთის კანონებს ეწინააღმდეგება. ნაწარმოებები შეიძლება ასახავდეს ავტორის შეხედულებას, რომ ადამიანების მოქმედებას დედამიწაზე მხოლოდ მათი არსებობისათვის საჭირო მოთხოვნილებები განსაზღვრავს. თუმცა, ასევე შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ მწერალი ადამიანებს მათი ურწმუნოების გამო აკრიტიკებს.

მიუხედავად ნაწარმოებების ასეთი შინაარსისა, მწერალი პირდაპირ არასდროს გამოხატავს საკუთარ პოზიციას რელიგიასთან დაკავშირებით. 'იდრისის რელიგიურ შეხედულებებზე საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის მონა მიხალი. როგორც ის წერს, 'იდრისს არასდროს განუცხადებია სახალხოდ, იქნებოდა ეს ინტერვიუ თუ ლექცია ან საუბრები, რელიგიასთან და რწმენასთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრება. მას არასდროს უთქვამს რაიმე საკუთარ პოზიციაზე გარდა იმისა, რაც მისი თხზულებებიდან შეგვიძლია დაგინახოთ (მიხაილი 1974: 147). ამდენად, ძნელია გავაკეთოთ დასკვნა, ათეისტი იყო მწერალი თუ უბრალოდ ადამიანთა ურწმუნოებითა და თვალთმაქცობით იმედგაცრუებული.

ვ. ინტელექტუალის კრიზისი

აუსუფ იდრისის შემოქმედების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ეწ. ინტელექტუალის კრიზისი. ეს კრიზისი იწვევს მარტობის პრობლემას, რასაც თან სდევს ძლიერი დეპრესია, უიმედობა და გარშემომყოფებობა კომუნიკაციის უნარის დაკარგვა. როგორც ვიცით, 'იდრისს, მისი თაობის ბევრი სხვა კარგი განათლების მქონე მოდგაწის მსგავსად, საშუალება პქონდა, გასცნობოდა მოდერნისტულ იდეებს. საზოგადოება, რომლის წევრებიც ისინი იყვნენ, კვლავ ტრადიციული რჩებოდა და სიახლე შიშს იწვევდა. მწერალი თვლიდა, რომ

საჭირო იყო სოციალური ცვლილება, როგორც პროგრესის წინაპირობა, მაგრამ ეს იდეები საზოგადოების მხარდაჭერის გარეშე რჩებოდა.

შესაბამისად, საზოგადოებისა და პიროვნების დაპირისპირებამ, მათ შორის არსებულმა წინააღმდეგობებმა ფუსუფ იდრისის ბევრ თხზულებაში იჩინა თავი. თუმცა, შემოქმედების სხვადასხვა ეტაპზე მწერლის მიერ წარმოჩენილი საზოგადოება ძალიან განსხვავდება. თუ ადრეულ პერიოდში საზოგადოება გარკვეულწილად წესრიგის, მორალის და ზოგჯერ ერთგვარი სიბრძნის მოკარნახე იყო (მაგ.: „რიგი“, „الطابور“, (იდრისი თ.გ. ბ: 30-35) და „ხალხი“, „الناس“, (იდრისი თ.გ. გ: 35-39)), გვიანი პერიოდის ნოველებში მის სხვანაირ სახეს ვხედავთ. საზოგადოება აღარ არის მართალი, ის უფრო მტრულად განწყობილი და ამორალურიც კი ხდება. პიროვნება მისი მანკიერი წესრიგის წინააღმდეგ უნდა ამბოხდეს. ჰაფიზი წერს, რომ გმირის რეაქცია ხშირად გარშემო არსებული რეალობიდან განდგომის ფორმას იღებს. პიროვნება თავის დადწევისკენ მიისწრაფვის და საკუთარ ამბოხს ტრაგიკულობით ავსებს. რეალობიდან გაქცევის ტენდენცია მოწმობს, რომ იდრისი არ უარყოფს წარუმატებლობისა და იმედგაცრუების ელემენტებს, რომლებიც თან სდევს საზოგადოებასა და პიროვნებას შორის დაპირისპირებას (ჰაფიზი 2007: 165). უკიდურესი დაძაბულობის ან სიკვდილთან მიახლოვების მომენტებში გმირები საკუთარი თავის უკეთ შეცნობას და საკუთარი პიროვნულობის აღმოჩენას იწყებენ. როგორც მიხაილი აცხადებს, რეალურ, ნამდვილ მესთან პირისპირ აღმოჩენა ის გადამწყვეტი მომენტია, როცა ეგზისტენციალური ადამიანი წვდება ადამიანის რეალურ ყოფას, მის მდგომარეობას და ცდილობს, ხელახლა განსაზღვროს ცხოვრების აზრი (მიხაილი 1980: 115). სწორედ მსგავს კრიზისში მყოფ პიროვნებებს გვიხატავს იდრისი საკუთარ ნაწარმოებებში.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა „ეპოქის სასწაული“ (،معجزة العصر،) (იდრისი თ.გ. გ: 79-104), რომელშიც საზოგადოებასა და პიროვნებას შორის დაპირისპირების კონკრეტული, თუმცა ფანტასტიკური, ისტორიის ფონზე მწერალი ეგვიპტის პოლიტიკური და სოციალური რეალობის იმ საკითხებს განიხილავს, რომლებიც, სავარაუდოდ, მტკიცნეული და აქტუალური თემები იყო ინტელექტუალებისთვის. მოთხოვთ მთავარი გმირი უნიჭიერესი ადამიანი ნუსსნუსია. მან დოქტორის ხარისხი თოთხმეტ სხვადასხვა სამეცნიერო დარგში მოიპოვა, მაგრამ სამსახურს ვერ შოულობს ძალიან პატარა ტანის გამო.

მიუხედავად ნიჭისა და ცოდნისა, ის საზოგადოებაში ადგილს ვერ იმკვიდრებს, ხვედბა, რომ არსად და არავის არ სჭირდება ის. იმედგაცრულებული ნუსინუსი ცდილობს, თავი მოიკლას. ჯერ კაიროს ცენტრში მდებარე მაღალი შენობიდან ხტება, რომელსაც მუჯამა‘ ჰქვია და რომელშიც ბევრი სამთავრობო დეპარტამენტია განთავსებული, მაგრამ არ კვდება. ის ძალიან პატარა და მსუბუქია, ამიტომ ბუმბულივით ეშვება მიწაზე. ნილოსში გადახტომაც უშედეგო აღმოჩნდება, წყალში არ ჩაიძირება. იძულებულია იცოცხლოს და ისიც აგრძელებს ცხოვრებასთან ჭიდილს; ხდება უამრავი საოცარი გამოგონების ავტორი, მაგრამ მისი ზომა (حج) კვლავ პრობლემად რჩება, რაც მის აღიარებას უშლის ხელს. შეურაცხეოფილი და გულნატკენი ნუსინუსი თავად აწყობს კოსმოსურ ხომალდს და სხვა პლანეტაზე მიფრინავს, სადაც პატარა ტანის ადამიანები ცხოვრობენ. აქ მას დააფასებენ და შეიყვარებენ, მისი გამოგონების წყალობით კი პლანეტას სამოთხედ აქცევენ. მაგრამ ნუსინუს ეგვიპტე მოენატრება და გადაწყვეტს, დაბრუნდეს. დედამიწაზე დაბრუნებულს მის საძებნელად წამოსული თანაპლანეტელები ჩამოაკითხავენ, რომლებიც პირველად შეცდომით შვეიცარიაში ჩავლენ. სხვა პლანეტელების ჩამოსვლა დიდ ხმაურს გამოიწვევს და დედამიწაზე ნუსინუსი ასე გახდება ცნობილი. იწყებენ მის, როგორც „ეპოქის სასწაულის“, ძებნას. ბოლოს ეგვიპტელებიც დააფასებენ მის ნიჭს და დიდი მონდომებით ეძებენ ნუსინუს ალექსანდრიის სანაპიროზე, მისთვის საყვარელ ადგილას.

ამ არარეალური ამბის თხრობისას მწერალი ეხება აქტუალურ საკითხებს: ხშირად რამდენად სასტიკია საზოგადოება თავისი საუკეთესო წარმომადგენლების მიმართ; როგორ არ ფასდება ადამიანის ნიჭი იმ საზოგადოებაში, სადაც ადამიანი სოციალური მდგომარეობით ფასდება. ამ მხრივ საინტერესო მოსაზრებას გვთვაზობს კუპერშოეკი. აღნიშნავს, რომ სიტყვა „ჰაჯ“ (حج) ანუ ზომა ასევე ასოცირდება და იხმარება ე.წ. „სოციალური წონის“ აღსანიშნავად (კურპერშოეკი 1981: 147).

სიურრეალისტური პერიოდის ბევრი ნოველა გონების ტანჯულ მდგომარეობას გამოხატავს. მწერალი ებრძვის მღრღნელ უჭვებს, კონფლიქტებს, უამრავ კითხვას: რა არის ცხოვრების აზრი, წერის მიზანი, რა როლი ითამაშა საზოგადოებაში, სად იყო მისი ადგილი? ყველაფერი ეს ხშირად კოშმარების სახით იჩენს თავს. ერთ შემთხვევაში ეს დახრჩობის შიშია: „მთელი ჩემი

სიგიჟით ვიბრძვი, რომ ამოსვლა შევძლო და ჩავისუნთქო. [...] მე მინდა ვისუნთქო;“ (بجنوني كله أقاوم لأعلو كى أتنفس ... أريد أن أتنفس.)” (’იდრესი თ.გ. ზ: 82), სხვაგან ეს არის ძლიერი ტკივილის განცდა: „ტკივილით წავიბორძიკვ, ოთახის კარს ვეძებდი, მაგრამ კარი არსად იყო;“ (أتعثر في عثياني وأبحث عن باب المدخل ولا باب .) (’იდრესი თ.გ. ზ: 137). სხვა მაგალითებში კი ინდივიდუალობის დაკარგვას ვხვდებით:

„მის წინ სარკე იყო. რამდენადაც შეეძლო აკვირდებოდა. სარკეში ვერცხლის ანარეკლმა ყველაფერი აირეკლა, რაც მის წინ იყო. [...] მაგრამ ერთი რამ, მხოლოდ ერთი რამ აკლდა, ეს მისი სახე იყო. ის გაგიჟდა...“ (’იდრესი თ.გ. ი: 45);
"المرأة أمامة. بكل قواة حق. القضية العاكسة تعكس كل ما أمامها... ولكن الشيء الوحيد، وجهه، ليس هناك. جن..."

სწორედ ამ კრიზისით იყო გამოწვეული მწერლის შეხედულების შეცვლა სიკვდილზე. იგი სიკვდილს ახლა ერთგვარი შვების სახით აღიქვამს:

„დრო შენელდა და შეჩერდა. მე ვკითხე ჩემს თავს: რატომ ვეწინააღმდეგები, რატომ არ დავნებდები და არ მოვკვდები? განა სიკვდილი არ არის ის გამოცდილება, რომელსაც ბოლოსთვის ვინახავთ? და რატომ არ მოხდეს ეს ახლა? მე უპავ ბევრი ვიცხოვრე და ბევრი მოულოდნელობა შემემთხვა; იყო ბევრი სიყვარული, ცოტა ვიცინე კიდეც, ბევრი ვიტირა; და რაც დარჩა ჩემი ცხოვრებიდან, მხოლოდ მოსაწყენი განმეორება შეიძლება იყოს. ის, რაც არ განმიცდია, მხოლოდ სიკვდილია, რატომ არ მოვკვდე?“ (’იდრესი თ.გ. ზ: 83-84);

"تُخَرِّ الزَّمْنَ وَتُوقَفِّ. سَأْلَتْ نَفْسِي: لِمَاذَا التَّحْدِي؟ لِمَاذَا لَا اسْتَسْلَمْ وَأَمُوتْ؟ لِمَاذَا الْمَوْتُ هُوَ التَّجْرِبَةُ الَّتِي نَدْخُرُهَا لِتَكُونَ آخِرَ تَجَارِبِنَا. لِمَاذَا لَا تَكُونُ الْآن؟ لَقَدْ عَشْتُ كَثِيرًا، دَهْشَتُ كَثِيرًا، وَأَحَبَّتُ كَثِيرًا، وَضَحَّكْتُ كَثِيرًا، وَبَكَيْتُ كَثِيرًا، وَكَثِيرًا، وَمَا تَبَقَّى مِنْ حَيَاةٍ لَنْ يَكُونُ سُوِّي تَكْرَارَ مَمْلُ، وَمَا لَمْ افْطَهُ فَطَأْتِي لَمْ أَمُوتْ؟"

იქვლევს რა ამ გრძნობას, ავტორი სხვა ნოველაში ამბობს, რომ სურს იყოს სიკვდილის პირას, რადგანაც აღარ შეუძლია მეტის ატანა. ავტობიოგრაფიული ხასიათის მოთხოვობა „ფლეიტისტი კვდება“ (”يموت الزمار“) (’იდრესი თ.გ. ი: 15-41) კრიზისში მყოფი ინტელექტუალის პრობლემებს ასახავს. ’იდრესი გვაცნობს ფლეიტისტის სევდიან ილუზიას. ამასთან მწერალი აღწერს, თუ როგორ გაატარა მთელი ცხოვრება იმის სწავლაში, რა იყო წერა და როგორ ეწერა, როგორ იქცა მისი ოცნება მელნის ქმნილებად, სული კი – ფურცლიდ. მისი ოცნება წერაზე ჰგავდა მის ოცნებას რევოლუციაზე, სასწაულზე, რომ ყველა გაჭირვებული დაკმაყოფილდებოდა. ეს იყო მისი ცხოვრების ოზისი, რომელსაც ხშირად მიმართავდა დახმარებისათვის, თუკი მისი წარმოსახვის წყარო დაშრებოდა. ამ ოცნების დამსხვრევამ იგი მიიყვანა გადაწყვეტილებამდე, მიეტოვებინა წერა:

„մոշեցած թյուր սրբական գամուշագործած, առա մարթո իշխան նախըռջեծ, արամեա պատահ նախըռիսա, րազ Շյէմնուն մաս Շյմդյա, րազ աճամօնմա թյուր ուժագլու. [...] րա գագետա թյուրոտ, ան շուրջ եթորած, րա գայուղետա աճամօնս թյուրամ?“ (Ռուսական տ. օ: 17);

”إدراك عميق كامل بعدم جدوى الكتابة أصلا، ليست كتابتي فقط ولكن كل الكتابة منذ عرف الإنسان الكتابة ... ماذا فعل الإنسان بالكتابية؟ أو بمعنى أصح، ماذا فعلت بالإنسان الكتابة؟“

Ոգո մոգուս դասկանամք, մոմեցնուս ածալու ձրոցյեսօս:

„[...] մյ Շյմեմլու քամեթյացնուն մովուս նակարու իշխան սրբական Շյմեմլու գամեյեսնա յալունուց օպայո մյուրնալունուտայուս... ան քաշությունու քաշությունու ելունուն, րոմելու մոմիոն և չամացորու եյլ շորտ առ շոնքա մյենեպուն քաշությունու, ան իշխան թայսաւ մյեկուա և մմարու զյուցունուազու... պատահացու շարժա օմուս, րոմ ազուր իշխան յալունու և զորակու զայսենիսմայելուն մեռությունուս Շյութունուս, րոմելու արածուրուս Շյութունուա և աճամօնեցնուս, րոմլունու մեռությունու շարժա սական տայ Շյութունուանու“ (Ռուսական տ. օ: 20);

”أزرع قطعة الأرض التي تخمني في قريتنا. افتح مستوصفاً للعلاج الرخيص... أقتن حرف التجارة التي أهواها والتي أصبحت ماهية فيها لا تقل عن عشرة جنيهات في اليوم... أحيل عربتي إلى تاكسي أعمل عليه... أي شيء إلا أن أمسك القلم مرة أخرى وأتحمل مسؤولية تغيير عالم لا تغير، وإنسان يزداد بالتغيير سوءاً.“

Թյուրլուս մշակություն, Շյությունու թյուր, ամառ աճմօնեց. օս կալու մուսակա տագուս Շինացան մուսակա մուսակա. դալու յայնուս սությունուտ տայ զորակու, թյուրալու մուշություն „տագուս նախուն, րոմելու յարնաեռուն, րոմ թյուրու“ և թյուրալու մուշություն շարժեց սական տագուս (Հայեն 1992: 55-56). յև նույնական յայնությունուս Ռուսական լուրջերաբարձրությունու մուշությունուս յայ. „Տոմարու պարունակու անու աճրեցու 1970-ուն թյուրեց.“

Եյմուտ մուշությունու նույնական տյամարտու անալու թուան յարգաւ իանս, րոմ այսպի Ռուսական Ռուսական մատուցունու Շինարարությունու մալուան մրացալությունուն. տոտությունու մատուցու լուրջեր սրբական սամփարուս թյուրմագուն. Ռոգորու Ռուսական թյուրմագուն: „Շյեն առ ցյեմուս յարտու և օգուզ եմա մատուն, առա յարտու և օգուզ տոտու մուշությունու ազթորություն. տոտուն օսուն տագուստագաւ արուան ազթորուս շարժեց“ (Ռուսական տ. օ: 110).

III. Ռուսական սուրբառություն և ամպարություն

Ռոգորու գանեալությունու մագալու թուան իանս, այսպի Ռուսական մատուցունու 1960-ուն թյուրմագունու թյուրմագուն ունակությունու և սուրբառությունուն լուրջեր առաջաւագուն:

სიმბოლიზმის გავლენა. მის თხზულებებში უჩვეულო მოვლენები და გმირები ჩნდებიან. ეს გმირები და ისტორიები კი საქმაოდ თავისებურ, უცნაურ სამყაროს ქმნიან, რომელსაც შეგვიძლია, ’იდრისის სიურრეალისტური სამყარო ვუწოდოთ. როგორც ზემოთ განხილული მაგალითებიდან ჩანს, ამ სამყაროსათვის ფანტასტიკური და პარადოქსული ნიშნებია დამახასიათებელი, მაგ.: ვხვდებით აორტაგადაჭრილ კაცს, რომელიც მაინც აგრძელებს სიცოცხლეს („აორტა“); წარმოსახულ ლამაზმანს, რომელიც უცნაური არსება აღმოჩნდება თხის ფეხითა და ვირის ჩლიქით („ის“); ასევე გაუგებარი წარმოშობის დეფორმირებულ არსებას შახე-შახეას („შახე-შახეა“); ადამიანს, რომელმაც სახე დაკარგა („195⁰²“); აქლემის მოჭრილ თავს, რომელიც ყველგან ჩნდება („სიცრუე“) და ა.შ.

ზოგ ნოველაში დაკარგულია დროისა და სივრცის საზღვრები. „სკამის მატარებელში“ (”حمل الكراسى“) (’იდრისი თ.გ. ზ: 114-120) ძველი ეგვიპტელი დადის თანამედროვე კაიროს ქუჩებში. დროის ნორმალური აღქმა დაკარგულია მაშინაც, როცა ერთ-ერთი ნოველის გმირი თვეობით და წლობით იძინებს („ჩაზნექილი ლეიბი“⁷⁴, „المرتبة المقعدة“) (’იდრისი თ.გ. ვ: 75-77). ნოველაში „ის“ ჩვენ ვხვდებით დროსა და სივრცეში ერთგვარ მოგზაურობას, რომელსაც მთხოვობელი რეალობიდან საკუთარი ოცნების სამყაროში გადაჰყავს. ჰაფიზის მიხედვით, აუსუფ ʼიდრისის ნოველებისთვის დამახასიათებელ საინტერესო ტექნიკას მწერლის მიერ ფიქციური დროის გამოყენება წარმოადგენს, რომელსაც საკუთარი ავტონომიური ლოგიკა სდევს თან; ეს არის განსაკუთრებული ხანგრძლივობისა და მსვლელობის დრო, თითქმის გაჩერებული. ეს დრო არის გაბატონებული ამ სიზმრის მაგგარ სამყაროში (ჰაფიზი 2007: 169). ფაქტებისა და მოვლენების არაქრონლოგიური თანმიმდევრობა ან დროში გაწელილი მომენტები გმირებს რეალობიდან თავის დაღწევის გზას აძლევს. დროითი შეზღუდვისგან და ლოგიკური რეალობისგან გათავისუფლება არსებითი წინაპირობაა გმირების შინაგან სამყაროში გადასვლისა და მათი ნამდვილი რეალობის გასაგებად.

’იდრისის ბევრ ნაწარმოებში დარღვეულია რეალური პროპორციები, მაგ.: „სკამის მატარებელში“ პატარა ტანის კაცი გიგანტურ სკამს მოათრევს; ზღვა არის უსაზღვრო („სული ტკბილია“), სისხლის უჩვეულო რაოდენობა

⁷⁴ ქართული სათაური აღებულია ი. გრძელიძის მიერ შესრულებული თარგმანიდან. იხ.: ʼიდრისი 2002ბ.

საოპერაციო პალატას ფარავს („მთავარი ოპერაცია“). სიზმრის მაგვარი ხილვები შლის მკვეთრ რეალურ ზომებსა და საზღვრებს და საგნებს გმირის მიერ აღქმული სახით გვიჩვენებს. ვხვდებით კიდევ ადამიანის მაგიურ გარდასახვას, მაგ.: ხის თოჯინები, რომელთა კიდურები მავთულებითა და ძაფებით არის შეერთებული, მდედრობითი სქესის არსებებად გადაიქცევიან („ის“), პატიმარი გადაიქცევა ჭიანჭველად („კაცი და ჭიანჭველა“) და ა.შ.

ქაოსი კიდევ ერთი დამახასიათებელი ელემენტია ღუსუფ ʼიდრისის ნოველებში შექმნილი არარეალური სამყაროსთვის. ასევე ხშირია ფსიქიკური შეშლილობის, პარანოიის, კოლექტიური ფსიქოზის სცენები. არც თუ იშვიათად მოქმედება საავადმყოფოში ხდება, რაც, ალბათ, ავტორის პროფესიით არის განკირობებული. სიურრეალისტურ სცენებში ხშირია მაყურებელთა ბრძო, რაც, ერთგვარად, „განკითხვის დღის“ ატმოსფეროს ქმნის, ან სხვა საშუალებებით იქმნება ასეთი შთაბეჭდილება. ერთ შემთხვევაში ამ განცდას ჩახუთული ჰაერი და სიძველის სუნი იწვევს:

„თითქოს საფლავები გახსნეს ასი წლის შემდეგ“ (ʼიდრისი თ.გ. ზ: 131);

”رائحة الزمن كجو مقبرة تفتح بعد مائة عام.“

სხვაგან ვხვდებით სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე მყოფ გმირს და აქაც განკითხვის დღის ასოციაციაა:

„ბრძოლა მონსტრებისა მონსტრებთან, ტყეებისა ტყეებთან, ზღვის განკითხვის დღე ჩემი საკუთარი განკითხვის დღის წინააღმდეგ. კაცი სასტიკი ძალის წინააღმდეგ“ (ʼიდრისი თ.გ. ზ: 84);

”معركة الوحش مع الوحوش، الغابات مع الغابات، يوم قيمة البحر مع يوم قيامتي أنا، الإنسان مع القوة الغاشمة.“
სიზმარი, როგორც სიურრეალიზმისათვის დამახასიათებელი მედიუმი, მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ʼიდრისის ნაწაროებებში. ზოგ შემთხვევებში ამბავი მოთხოვილია პირდაპირ, როგორც სიზმარი, ზოგჯერ კი სხვადასხვა ინფორმაციით ვხვდებით, რომ ეს სიზმარია. ხშირად შეუძლებელია სიზმრისა და რეალობის გარჩევა, ან ცნობიერი და არაცნობიერი მდგომარეობის ერთმანეთისაგან გამიჯვნა. ვხვდებით ასეთ ფრაზებს:

„წყლის წვეთი, ჩემი ზეცაც წყალია, ჩემი ჰაერი წყალია. წყალს ვეხები, წყალს ვხედავ, წყალი მესმის; ჩემი ყველა შეგრძნება წყალია. თვით ჩემი თვალებიც წყალია. მე არც მღვიძავს და არც მძინავს, მაგრამ სიზმარში ვარ. დროც წყალი გახდა“ (ʼიდრისი თ.გ. ზ: 85);

"قطرة ماء، سماتي ماء، هوائي ماء. ماء أسمع، حواسِي كلها ماء. عيوني بالذات ماء. لا مستيقظ أنا ولا نائم وأحلُم. الزمن ماء كلُه أصبح".

„დიდი უდაბნო გადაჭიმულიყო, უსაზღვრო უდაბნო. არსად არაფერი იყო. მე არ მესიზმრებოდა, ნამდვილად არ მესიზმრებოდა. საათი მოვიხსენი და კურთან მივიტანე, მისი ხმა მესმოდა. ეს არ იყო სიზმარი. მე ვარსებობდი... კაირო სადღაც გაქრა, მაგრამ ის სადღაც ახლოს იყო, ის არსებობდა“ (’იდრისი თ.გ. ზ: 133);

"صحراء واسعة ممتدة، صحراء غير مسلوقة، لا شيء هناك ولا في أي اتجاه. لا أحلم، قطعاً لا أحلم. جلت الساعة، فربتها من ذنبي، التكثة مسموعة. أنا لا أحلم، أنا موجود والظاهرة مخفية في مكان ما ولكنها قريبة وموجودة".

სიზმრის თხრობისას დამახასიათებელია შემდეგი ელემენტები: დეფორმირებული საგნები, ნორმალური პროპორციების დარღვევა, სივრცისა და დროის საზღვრების მოშლა.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ მწერალი ხშირად მიმართავს ფოლკლორს. გარკვეულ ელემენტებს იყენებს ზღაპრებიდან, ხალხური თქმულებებიდან და ლეგენდებიდან. მის თხზულებებში მოთხრობილი ფანტასტიკური ამბების გარკვეული ნიშნები ზღაპრებისა და ლეგენდების თემებს უკავშირდება. მონა მიხაილი მსგავსებას პოულობს ’იდრისის ზოგიერთი ნოველის თხრობის სტილსა და ზღაპრის თხრობას შორის. მაგალითად მოჰყავს ჩვენ მიერ ზემოთ განხილული ნაწარმოები „შადე-შადეა“, კერძოდ კი, პირველი აბზაცი. აქვე დასძენს, რომ ’იდრისი ფოლკლორსა და ლიტერატურას შორის ძალიან საინტერესო კავშირს ქმნის (მიხაილი 1990: 191-192). გვინდა დავსძინოთ, რომ მითოლოგია და ფოლკლორი სიურრეალისტური ხელოვნებისთვისაც მნიშვნელოვანი წყარო იყო.

ამ სამყაროს შეცნობისთვის საუკეთესო ნიმუშებად შეიძლება მივიჩნიოთ ნოველები: „ის“ და „თამაში“ („اللعبة“) (’იდრისი თ.გ. ქ: 93-100). ორივე ნაწარმოები შორსაა ფიზიკური ლოგიკური რეალობისგან და თხრობა გმირის სიზმარს, ხილვას ან ფანტაზიას მიჰყვება. თუმცა ყველაფერი, რაც ხდება, რეალურად არის აღწერილი და ის გმირისთვის, მართლაც, რეალობაა, თუმცა სხვა ლოგიკაზე დამყარებული.

აქვე უნდა შევჩერდეთ ’იდრისის ნოველების ენაზე, რომელიც ამ განსხვავებული სამყაროს შექმნაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. მწერალი იყენებს რამდენიმე ტექნიკას, რომელთა საშუალებითაც ნორმად ქცეული ლოგიკის საწინააღმდეგო და ძლიერი ემოციის გამომწვევი სახეები შექმნა. ‘აბდ

ალ-ჭამიდ ალ-კიტბის აზრით, ’იდრისის ენა ისეთი ცოცხალია, რომ ზუსტად გადმოგვცემს ფიქრებს, გრძნობებს (ალ-კიტბი 1980: 231).

სალიტერატურო ენასთან ერთად მწერალი დიალექტსაც იყენებს, რასაც ‘ალი არ-რა’ს მიხედვით, მხატვრული დატვირთვა აქვს. სიტყვის გამოყენებისას მნიშვნელოვანია მისი მხატვრული დატვირთვა და არა ის, სალიტერატურო ფორმაა თუ არა (არ-რა’ თ.გ.: 93). თუმცა დიალექტის გამოყენება ხშირად უკმაყოფილებას იწვევდა ლიტერატურულ წევზი⁷⁵.

ჯუსუფ ’იდრისის ნოველებისთვის დამახასიათებელია მოკლე წინადადებები ნაკლები დაქვემდებარებული სინტაქტიკით. მისი ენა ახლოს დგას პოეზიის ენასთან და საგრძნობლად რიტმულია. ასეთი რიტმული ჟღერადობა კიდევ უფრო მკვეთრად იჩენს თავს კრებულში „ხორცის სახლი“ („بيت من لحم“ 1971). რიტმულ ჟღერადობას ხელს უწყობს სიტყვების, ძირითადად ზმნების ან ერთი ძირისაგან ნაწარმოები სიტყვების, გამეორება (’აბნა 1991: 226).

მაგ.: „ახლა ჩვენ მივფრინავთ. მანქანით შენთან ერთად მივფრინავ. მე მიწას ვეხები და მივფრინავ“ (’იდრისი თ.გ. ზ: 71);

”وَهَا نَحْنُ نَطِيرُ. وَبِالْعَرْبَةِ وَبِكَ أَطِيرُ. أَلَمْسِ الْأَرْضَ وَأَطِيرُ.“

„ჩვენს გარშემო ყველა ადამიანი გარბის, ყველა ცოცხალი არსება, ბუზებიც კი გარბიან, ჩვენი სიახლოვისგან გარბიან“ (’იდრისი თ.გ. ზ: 75);

”أَنَاسٌ مِّنْ حَوْلَنَا يَهْرِبُونَ، كُلُّ الْكَافِنَاتِ الْحَيَاةِ، حَتَّى النَّبَابَ، تَهْرِبُ، مِنْ حَوْلَنَا تَهْرِبُ.“

ასეთი სტილი გვაგონებს გარითმულ პროზას „საჯყს“, თუმცა მეტი სიახლოვეა თანამედროვე პოეზიასთან.

გვიანდელი პერიოდის ნოველებში ვხვდებით კლასიკური არაბულისათვის სიტყვათა უჩვეულო წყობას. არის მაგალითები, სადაც წინადადება ზმნით მთავრდება:

„მთელი მოკრებილი ძალითა და სურვილით დაარტყა, ეს განწირულმა გააკეთა“ (’იდრისი თ.გ. ე: 99);

”إِنَّهُ بِجَمَاعِ قُوَّتِهِ وَإِرَادَتِهِ يَضْرِبُ، وَبِاسْتِمَانِهِ يَفْعُلُ.“

„წყალს ვეხები, წყალს ვხედავ, წყალი მესმის“ (’იდრისი თ.გ. ზ: 85);

”مَاءُ الْمَسِّ. مَاءُ أَرِيٍّ. مَاءُ أَسْمَعٍ.“

ასეთი კონსტრუქციები შიძლება შეგვხვდეს სასაუბრო არაბულში, თუმცა იშვიათად და არასდროს გვხვდება ასეთი სიხშირით, როგორც ამ აბზაცში:

⁷⁵ მაგ.: ტაჰა ჭუსაფნი ურჩევდა, „უფრო დამეგობრებოდა სალიტერატურო ენას და ამ ენაზე აემეტყველებინა თავისი გმირები“ (ჭუსაფნი თ.გ.: 9).

„პარასკევობით საღამოს მოდის, ჯოხით ოკუნებს კარზე, მის წინ გამოწვდილ ხელს მიენდობა, ჩალის ფარდაგზე ჯდება და როცა მორჩება, ხელის ფათურით ეძებს სანდლებს, ჩაიბუტბუტებს ნახვამდის, რომელზე პასუხითაც არავინ იწუხებს თავს და მიდის. ჩვეულებრივ მოდის, ჩვეულებრივ კითხულოს ლოცვას და ჩვეულებრივ მიდის ისე, რომ დიდხანს ვერავინ ამჩნევს და არავინ აქცევს ყურადღებას“ (’იდრისი თ.გ. ზ: 4);

"عصر الجمعة يجيء، بعصاه ينقر الباب، وللrid الممدودة يستسلم، وعلى الحصیر يتربع. وحين ينتهي، يتحسن الصندل، ويلفي نجحية لا يحفل احد بردها، ويقضي بالتعود يجيء... بالتعود يفترأ... بالعادة يمضي، حتى لم يعد يشعر به أو تنبه اليه احد.".

’იდრისის თხზულებებში ბევრი ასეთი წინადადების არსებობის გამო, შეიძლება ვიფიქროთ, რომ მსგავს კონსტრუქციებს გარკვეული ფუნქცია აქვს. მსგავს ხერხებს აბსურდული სამყაროს განსხვავებული ლოგიკის შეგრძნების გაძლიერების მიზნით იყენებს. სასსონ სომეხის აზრით, მსგავსი შეტრიალებული წყობის წინადადებები დისპარმონიულ რითმებს იწვევს (სომეხი 1975: 97).

აღსანიშნავია კიდევ ერთი მოვლენა, რომელიც ასევე დამახასიათებელია ’იდრისის გვიანდელი ნაწრმოებებისათვის. ეს არის პარადოქსული სიტყვათშეთანხმებების გამოყენება, რაც განსაკუთრებით 1960-იანი წლებიდან შეინიშნება.

მაგ.: „ისე ფართოდ გაიღიმა, რომ უზრდელად ზრდილობიანი გამოჩნდა“ (’იდრისი თ.გ. ქ: 95);

"وسع ابتسامته بطريقة بدت وقحة الادب."

„ჩემამდე მოაღწია დაბალმა ხმამ, მასში ხმამაღალი ჩურჩული იყო“ (’იდრისი თ.გ. ზ: 130);

"جائتى الصوت من خفضا فيه همس الفاقار".

აქ ვხედავთ სიურრეალიზმისთვის დამახასიათებელ ტექნიკას, დააკავშიროს საწინააღმდეგო და დაშორებული მხარეები. შესაძლოა, ეს გამოთქმებიც აბსურდული სამყაროდან მომდინარეობს ან შეცვლილი ლოგიკის ანარეკლს წარმოადგენდეს.

ვურუფ ’იდრისის სიურრეალისტური სამყარო საკმაოდ საინტერესო ინდივიდუალური ქმნილებაა. იგი ავტორის წარმოსახვისა და განცდის საფუძველზეა შექმილი. ეს სამყარო არ არის ძალიან დაშორებული რეალობას, მისი მკვიდრი ადამიანები არიან, მხოლოდ უჩვეულო ურთიერთობებსა და მდგომარეობაში. ამ სამყაროში ადამიანი მარტოაა თავისი ინსტინქტებით, სურვილებითა და მისწრაფებებით.

IV. დასკვნა

როგორც განხილული მაგალითებიდან ჩანს, აუსუფ იდრისის ნოველები თქმატურად საკმაოდ მარავალფეროვანია. მისი შემოქმედების პირველ ეტაპზე ინტერესს ძირითადად პოლიტიკური და სოციალური საკითხები იწვევს. ქვეყნის პოლიტიკური რეალობის, ადამიანთა გაჭირვებისა და სასტიკ ბედოან ბრძოლის ამსახველ რეალისტურ თხზულებებში ჩანს მწერლის ოპტიმიზმი. ადრეული პერიოდის ნაწარმოებებში ადამიანთა მძიმე ყოფას ერთმანეთისადმი კეთილგანწყობა და თანაგრძნობა ამსუბუქებს. 1950-იანი წლების ბოლოდან კი ეს ტენდენციები იცვლება. გვიანი პერიოდის ნაწარმოებების გმირები გაუცხოებული და იმედგაცრუებული ან ბოროტი და სასტიკი ადამიანები არიან. იდრისი ახლა ყურადღებას ამახვილებს პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობაზე, პიროვნების შიგნით არსებულ განცდებსა და წინააღმდეგობებზე, დადგენილ ნორმებზე, სოციალურ აკრძალვებზე, რომლებიც ადამიანის ცნობიერებაში პროტესტს იწვევს და ხშირად საწინააღმდეგო შედეგი მოაქვს. მწერალი ნოველებში რელიგიურ საკითხებსაც განიხილავს. მიუთითებს ადამიანის ურწმუნოებაზე, მის ეჭვიან ხასიათზე. მისი აზრით, ადამიანები რელიგიასა და უფლის მცნებებს საკუთარი კანონების შექმნისათვის დამხმარე საშუალებად იყენებენ, რაც მხოლოდ მათ მოთხოვნილებებს ემსახურება. აქედან გამომდინარე, იცვლება ავტორის დამოკიდებულება სიკვდილისადმი. ადრეულ ეტაპზე ის გლოვასთან ასოცირდებოდა, მოგვიანებით კი ერთგვარი შვების სახითაა წარმოდგენილი.

გვიანდელი ნაწარმოებების მნიშვნელოვანი თქმების განხილვა პიროვნული კონფლიქტების, წინააღმდეგობების, ადამიანის განცდების და გმირების შინაგანი კრიზისის ასახვის ფონზე ხდება. სიმბოლისტურ-სიურრეალისტური პერიოდის ბევრი ნოველა გამოხატავს გონების ტანჯულ მდგომარეობას. სასტიკი რეალობიდან თავის დასაღწევად გმირები ხშირად საკუთარ ფანტაზიებსა და სიზმრებს ექვდლებიან. იქმნება ხევა ახალი რეალობა, რომელიც უფრო ახლოა ადამიანის არაცნობიერ გონებასთან.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ აუსუფ იდრისი თავის ნოველებში ქმნის გარკვეულ არარეაულ სამყაროს, რომელსაც შეგვიძლია სიურრეალისტური გუწიოდოთ, რამდენადაც მწერალი სიურრეალიზმისთვის დამახასიათებელ ბევრ ელემენტს იყენებს. აქ ვხვდებით უჩვეულო არსებებსა და მოვლენებს. ხშირად დარღვეულია სივრცისა და დროის შეგრძნება, ნორმალური პროპორციები.

მნიშვნელოვან ადგილს იკავებს სიზმრები და ფანტაზიები. ზოგ შემთხვევაში სიზმარი ირევა რეალობაში, ზოგჯერ კი გამიჯნულია მისგან. რეალობის, სიზმრისა და ფანტაზიის შერწყმით შექმნილი სამყარო არ არის ძალიან დაშორებული რეალობას. აქ ადამიანები უჩვეულო ურთიერთობების და ამბების პირისპირ რჩებიან და თავადაც არალოგიკურ ან მიუღებელ სურვილებსა და აზრებს ავლენენ. ეს სამყარო არსებული ფიზიკური რეალობისგან გარკვეული ნიშან-თვისებებითაც განსხვავდება, რომლებიც, ამავე დროს, მას ადამიანის შინაგან სამყაროში არსებულ სხვა, შესაძლოა, „უფრო ნამდვილ“ რეალობასთან აახლოვებს.

ამრიგად, **ლუსუფ** ’იდრისის შემოქმედება საკმაოდ მრავალფეროვანი და საინტერესოა. იგი, როგორც ადამიანი, წერდა ადამიანთა მდგომარეობაზე, როგორც ეგვიპტელი – ეგვიპტის ყოფაზე ამახვილებდა ყურადღებას, როგორც ინტელექტუალი – ცხადად ასახავდა განათლებული ადამიანის პრობლემებს. მთელი მისი შემოქმედების ხასიათი, მასში მომხდარი ცვლილებები მწერლის პირად ცხოვრებას უკავშირდება. სოფელში ცხოვრების შთაბეჭდილებები, აქტიური სტუდენტობა, რევოლუციური მოღვაწეობა და სამედიცინო საქმიანობა – ყველაფერი აისახა მის ნაწარმოებებში. ტან ჰუსახნი წერდა: „ის ექიმია და როცა წერს, ხელით ისე ეხება მნიშვნელობას, თითქოს ავადმყოფს სინჯავს და უნდა მიხვდეს, რა დაავადება აწუხებს მას. ჩვენამდე მოაქვს რეალობა ისე, თითქოს ავადმყოფობას აღწერს და აქვე გვიჩვენებს, რა წამალია საჭირო მისი განკურნებისთვის“ (ჰუსახნი თ.გ.: 8). თავად მწერალი კი საკუთარი შემოქმედების მიზანს ასე აღწერდა:

„მე არ შემიქმნია ჩემი ადგილი, ჩემი განსაკუთრებულობა და არ შემიძლია ჩემი თავის შეცვლა. ყველაფერი, რაც შემიძლია არის ის, რომ მივენდო ჩემს მოწოდებას მთელი ძალით და გაგაფართოვო ჩემს ირგვლივ არსებობის წრე. [...] ერთ დღეს მე ვიტყვი სიტყვას, რომელიც მისწვდება სადმე ვინმეს და ჩემი ტალღა სიტყვის ფორმით შეუერთდება მის ტალღას, რომ გადატანილოს ათასობით, მილიონობით ტალღა და მოხდეს რაღაც დიადი აფეთქება, რასაც ჯერ არასდროს მოუცავს კაცოა გულები“ (’იდრისი თ.გ. ი: 39);

”أنا لا خلقت تخصصي أو إختياري ولا أستطيع أن أغير نوعياً أو عضوياناً نفسياً، كل ما أستطيعه أن أعمل في اتجاهي بكلى موجاتي، وأن أوسع دائرة الوجود من حولي... ذات يوم سأقول كلمة تصل إلى إنسان ما في مكان ما، وتلتزم موجتي على شكل الكلمة بموجاته التحاماً ينشطآلاف وملايين و مليارات الموجات، وينجر الشيء الذي لم يكن خطراً على قلب البشر.“

3. თავი

’იდუარ ალ-ხარრატის „ზაფრანისფერი ქალაქი“

I. ’იდუარ ალ-ხარრატის ბიოგრაფია

’იდუარ ალ-ხარრატი (ابو ابراهيم يوسف الخطاط، ცნობილი ეგვიპტელი მწერალი, კრიტიკოსი და მთარგმნელი, 1926 წელს ალექსანდრიაში დაიბადა. ბავშვობა და სტუდენტობა მან ალექსანდრიაში გაატარდ და ნაწარმოებების უმრავლესობაშიც სწორედ ეს პერიოდი ასახა. მწერლის მამა წარმოშობით ზემო ეგვიპტიდან, საეძიდან, კერძოდ კი ’ახმदიდან, იყო. როგორც თავად მწერალი აღნიშნავს, სწორედ ამ ქალაქში გატარებული დროის შთაბეჭდილებებს გადმოგვცემს რომანში „ცის კლდეები“ (صخور السماء) (ალ-ხარრატი 2005ა: 37). მწერლის ბევრი განსაკუთრებული მოგონება უკავშირდება ზემო ეგვიპტეს, რომლებმაც წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე. ერთ-ერთ ასეთ მოგონებას წარმოადგენს პატარა ’იდუარის მორწმუნებთან ერთად წმინდა წყალში ჩაყვინოვა ’ახმამში მთავარანგელოზ მიქაელის ტაძარში. ალ-ხარრატი ყოველთვის განსაკუთრებული სიყვარულით იხსენებს ბავშვობის წლებს. თუმცა აღნიშნავს, რომ ბავშვობა მხოლოდ სილამაზისა და სილალის პერიოდი არ ყოფილა. ბედნიერებას თან ბევრი სევდაც სდევდა (ალ-ხარრატი 2005ა: 37, 84). ’იდუარი კაპტურ საბავშვო ბაღში დადიოდა. მწერალი სიყვარულით იხსენებს მასწავლებელ კატერინას, რომელმაც რელიგიური პიმები შეასწავლა. სავარაუდოდ, მას გულისხმობს „მისი ქვიშა ზაფრანისფერიას“ (مس كاترين) ერთ-ერთ გმირში, მასწავლებელ კატერინაში (ترابها ز عفان). ბავშვზე განსაკუთრებულ გავლენას ახდენდა საკვირაო სკოლაში მიღებული ცოდნა. მწერალს ბოლომდე ახსოვს ფერადი სურათებით შემკული წიგნი „ბიბლიური ისტორიები“, რომელიც საკვირაო სკოლაში აჩუქეს და მანსურ ეფენდი, რომელიც კოპტ წმინდანებზე ესაუბრებოდა (ალ-ხარრატი 2005ა: 37). მწერალი იგონებს, როგორ უყვებოდნენ ზღაპრებსა და ხალხურ თქმულებებს ბებია ელენა (هيلانة) და დეიდა ნურა მთვარიან დამეში (ალ-ხარრატი 2005ა: 38). სწორედ ამ ზღაპრებმა გააღვიძა მასში წერის სურვილი. ალ-ხარრატების ოჯახი ალექსანდრიაში დადგინდება მასში წერის სურვილი. ალ-ხარრატების ოჯახი ალექსანდრიაში დადგინდება მასში წერის სურვილი.

ნილოსის დაწყებით სკოლაში მიიყვანეს. შემდეგ 1937 წელს სწავლა ‘აბასიდას საშუალო სკოლაში გააგრძელა. სკოლაში სწავლისას ძალიან ბევრს კითხულობდა. როგორც თავად იხსენებს, დაახლოებით თორმეტი წლის იყო, როცა „ათას ერთი დამე“ წაიკითხა. წიგნმა საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე. შემდეგ გაეცნო ძველ და ახალ არაბულ ლიტერატურას. დაახლოებით ცხრა-ათი წლის იქნებოდა, როცა თავადაც დაიწყო წერა. როგორც ამბობს; „გწერდი ბაგშურ რაღაცებს, ლექსებს რომ ჰგავდა“ (ალ-ხარრატი 2005ა: 39). 1941 წელს მეორე მსოფლიო ომის დაწყებისას ალექსანდრია შფოთმა მოიცვა, ქალაქი იბომბებოდა და ’იდუნარი ოჯახთან ერთად მთელი ზაფხულით ’ახმამში გაემგზავრა. 1942 წელს სკოლა წარმატებით დაამთავრა და ფარუკ პირველის სახელობის ალექსანდრიის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე ჩააბარა. ალ-ხარრატის თქმით, იურისტობა მხოლოდ იმიტომ გადაწყვიტა, რომ მამა გაეხარებინა. სტუდენტობისას დროის უმეტეს ნაწილს ლიტერატურის ფაკულტეტის სტუდენტებთან ატარებდა. ამ პერიოდში ინგლისური ლიტერატურით დაინტერესდა და გატაცებით კითხულობდა შელის და ბაირონს. იგონებს, რომ მეგობრები იკრიბებოდნენ კაზინო „კლეოპატრაში“ და კაფე „ელიტაში“, სადაც საღამოებს ლიტერატურაზე საუბარში ატარებდნენ (ალ-ხარრატი 2005ა: 80). მოგვიანებით გერმანული ფილოსოფიით დაინტერესდა, განსაკუთრებული შთაბეჭდილება მარქსისა და ფროიდის ნაშომებმა მოახდინა (ალ-ხარრატი 2005ა: 41). სტუდენტობისას დაიწყო მისი რევოლუციური მოღვაწეობაც, როდესაც ტროცკისტულ რევოლუციურ დაჯგუფებას შეუერთდა. 1945 წელს მამის გარდაცვალების შემდეგ მუშაობა დაიწყო, რათა ოჯახს დახმარებოდა. თავდაპირველად ალექსანდრიაში ბრიტანეთის ჯარების საზღვაო საწყობებში მუშაობდა, მაგრამ მიწისქვეშა რევოლუციურ საქმიანობას მაინც არ წყვეტდა. 1946 წელს უნივერსიტეტი დაამთავრა და ბაკალავრის დიპლომი აიღო. ამავე წელს ინგლისის წინააღმდეგ მიმართულ სტუდენტურ დემონსტრაციებში მონაწილეობდა. განსაკუთრებით მასშტაბური დემონსტრაცია 1946 წლის თებერვალში მოეწყო, რასაც პოლიციის განყოფილების დაწვა მოჰყვა. მწერალი იხსენებს, რომ ერთმა ახალგაზრდამ საკუთარ გალაბიას ცეცხლი წაუკიდა და შენობაში შეაგდო. მიტინგი საშინელი სისხლისღვრით დამთავრდა. ხედავდა, როგორ ეცემოდნენ ახალგაზრდები ტყვიების წვიმაში და უკვირდა, როგორ გადარჩა თვითონ (ალ-ხარრატი 2005ა: 80).

ეროვნული და რევოლუციური მოძრაობის ბევრ სხვა მონაწილესთან ერთად 1948 წლის 15 მაისს 'იღუარდ ალ-ხარრატიც დააპატიმრეს. დაახლოებით ორი წელი მეცე ფარუკის პატიმართა ბანაკში გაატარა. პატიმრობის დროს ფრანგულის შესწავლა დაიწყო. ის გაეცნო ფრანგულ ლიტერატურას და სწორედ ამავე პერიოდში დაინტერესდა სიურრეალიზმით. ბანაკის დატოვების შემდეგ კერძო გაკვეთილებს ატარებდა და მასწავლებლობით ირჩენდა თავს, მსახურობდა ეროვნულ ბანკსა და ეროვნული დაზღვევის კომპანიაში. შემდეგ კაიროში გადავიდა საცხოვრებლად და 'აბდ ალ-რაჭმან ალ-შარკაზეს დახმარებით რუმინეთის საელჩოში დაიწყო მუშაობა. ბინა კაიროს ერთ-ერთ უბანში ჰილუანში დაიდო იმავე შენაბაში, სადაც უკვე ცნობილი მწერალი ჯუსუფ 'იდრისი ცხოვრობდა. კაიროში ის აქტიურად ჩაება ქვეყნის ლიტერატურულ ცხოვრებაში. მალე მწერალთა ახალი თაობის ე.წ. „სამოციანების თაობის“ ლიდერად იქცა. ალ-ხარრატი იყო ცნობილი ჟურნალის „გალერეა 68“-ის („68“ ერთ-ერთი რედაქტორი. ცხოვრების მანძილზე ალ-ხარრატმა ბევრი სამსახური გამოიცვალა, ბოლოს აზიისა და აფრიკის ხალხთა სოლიდარობის ორგანიზაციაში მოღვაწეობდა. ამავე დროს აზიისა და აფრიკის მწერალთა გაერთიანების გენერალური მდივნის მოადგილე იყო. აქტიურად მონაწილეობდა ამ გაერთიანების ჟურნალ „ლოტოსის“ („لوتس“) დაარსებასა და გამოცემაში. ამ პერიოდში მან ბევრი საინტერესო მწერალი გაიცნო და მათი თხზულებები თარგმნა კიდევ. მწერალი თვლის, რომ აზიისა და აფრიკის მწერალთა გაერთიანებამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქვეყნებს შორის კულტურული ურთიერთობების განმტკიცებაში (ალ-ხარრატი 2005ა: 41). ამის შემდეგ გადაწყვიტა, ცხოვრების დარჩენილი ნაწილი მხოლოდ წერისთვის დაეთმო. მომავალი მეუღლე 1952 წელს გაიცნო და 1958 წელს დაოჯახდა. ჰყავს ორი ვაჟი და ოთხი შვილიშვილი, რომლებსაც სიბერის მინდორში ამოსულ ყვავილებს უწოდებს (ალ-ხარრატი 2005ა: 82).

'იღუარ ალ-ხარრატი 33 წლის იყო, როცა 1958 წელს ნოველების პირველი კრებული „მადალი კედლები“ („حبلان عالية“) გამოსცა. როგორც მწერალი ამბობს, ნოველების წერა 1940-იან წლებში დაიწყო, თუმცა კრებულის გამოსვლამდე არც ერთი მათგანი არ გამოუქვეყნებია (ჰაფიზი 1992: 319). თავდაპირველად პოეზიამ გაიტაცა, თავადაც წერდა ლექსებს, მაგრამ მალე მიხვდა, რომ „პოეზია ავიწროვებდა და თითქოს არღვევდა იმ ქსოვილს, რომლის შექმნისკენაც

მიისწრაფოდა. ზღუდავდა იმ მცდელობას, რომლესაც სინამდვილის მიღმა ძიება უწოდა“ (ალ-ხარრატი 1994: 21). პირველი კრებულის გამოქვეყნების შემდეგ მწერლის შემოქმედებაში ერთგვარი დუმილი იწყება, რასაც ასე ხსნის: „ალბათ ეს სიჩუმე სიახლის პირისპირ აღმოჩენით იყო გამოწვეული, გაოცებით თუ დაბნევით. შესაძლოა, ეს მოლოდინის სიჩუმე იყო, როცა ველოდი, შემექმნა ახალი რამ“ (ფარქუჰი 2000: 120). მწერლის ცხოვრებაში დუმილის პერიოდი ჟურნალ „გალერეა 68“-ის გამოსვლით დასრულდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს იყო ახალი ლიტერატურულ-კულტურული ჟურნალი, რომელიც 1968-1971 წლებში გამოდიოდა. მართალია, ჟურნალის მხოლოდ რვა ნომერი დაიბჭდა, მაგრამ მან მაინც შეძლო, თანამედროვე არაბული ლიტერატურის განვითარებაში განსაკუთრებული როლი ეთამაშა. ზემოთ უკვე ვისაუბრეთ, რომ „გალერეა 68“-ის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე ბევრი კრიტიკოსი წერს. მათ შორის პილარი კილპატრიკიც აღნიშნავს, რომ ეს იყო ჟურნალი, რომლის გარშემოც შეიკრიბა ახალი თაობა, რომელსაც სურდა, ხმამაღლა გამოეხატა საკუთარი პროტესტი დადგენილი ნორმების წინააღმდეგ და შეექმნა საკუთარი, ახალი სტილი და ლირებულებები (კილპატრიკი 1992: 259). დადგენილი ნორმების წინააღმდეგ და ახალი თავისუფალი ხედვის დამკვიდრებისთვის იბრძოდა ’იდურ ალ-ხარრატი და მის გარშემო შეკრებილი ახალგაზრდა ინტელექტუალების ჯგუფი ანუ მომავალი „სამოციანების თაობა“. მათი მოდვაწეობის შედეგად გაჩნდა არაბულ ლიტერატურაში ე.წ. „ახალი ხედვა“ (الحساسية الجديدة, „). ამ ტერმინის დამკვიდრებაც ალ-ხარრატის სახელს უკავშირდება. ის ხშირად ხმარობა ტერმინს „ახალი ხედვა“ „გალერეა 68“-ის ფურცლებზე, რომელშიც იმ დროინდელ ეგვიპტურ ლიტერატურულ ავანგარს გულისხმობდა. მოგვაინებით ამ ტერმინის ქვეშ 1960-იანი და 1070-იანი წლების ეგვიპტური ლიტერატურის მოდერნისტული ტენდენციები მოიაზრებოდა. სწორედ ამ „ახალი ხედვის“ ერთ-ერთ საუკეთესო მწერალია თავად ალ-ხარრატი.

1972 წელს მოთხოვების მეორე კრებული „სიამაყის საათები“ გამოვიდა. ნოველა „رკინიგზის სადგური“ (ساعات الكبارياء, „) ამ კრებულში დაიბჭდა, ხოლო 1985 წელს მისი ახალი, ვრცელი ვარიანტი ცალკე გამოიცა. 1979 წელს გამოქვეყნდა ’იდურ ალ-ხარრატის პირველი რომანი „რამა და დრაკონი“ (rama و التنين, „). მწერალმა ამ რომანისთვის ნაჯიბ მაჰფუზის მედალი მიიღო. რომანში თხოვების ძირითად ხაზს ქმნის მთავარი გმირის მიხარელის

სასიყვარულო ურთიერთობა რამასთან. მიხატლი ცხოვრობს, იხსენებს და თავიდან გაიაზრებს ურთიერთობას ამ სექსუალურ და განათლებულ ქალთან, რომელსაც შეუძლია რამდენიმე როლი ითამაშოს. „რამა და დრაკონი“ ახალი ეგვიპტური რომანის მნიშვნელოვანი ნიმუშია; მართალია, ის არ არის პირველი მცდელობა სასიყვარულო ურთერთობის ასახვის, მაგრამ აქ გვაქვს მისი დეტალური ანალიზი მორალური განკითხვის გარეშე. ის პირველი რომანია, სადაც მოქმედი გმირები კოპტი კაცი და მუსლიმი ქალი არიან. ეგვიპტის წარსულის მიმართ მიხატლისა და რამას პროფესიული ინტერესის წყალობით მივიღეთ რომანი, რომელშიც დიდი ისტორიული სივრცეა აღწერილი, ფარაონთა ეპოქით დაწყებული XX საუკუნის შუა ხანების ჩათვლით. განსაკუთრებით კარგად იგრძნობა ეგვიპტის ქრისტიანული მემკვიდრეობა, რადგანაც სწორედ ის ქმნის გმირის – მიხატლის თავისებურ კულტურულ საფუძველს.

’იდუარ ალ-ხარრატი ყოველთვის დაინტერესებული იყო დასავლეთში არაბული ლიტერატურისადმი ინტერესის გაზრდით. ის ხშირად მონაწილეობდა კონფერენციებსა და შეკრებებში, სხვადასხვა წლებში კითხულობდა ლექციებს ბევრ ცნობილ უნივერსიტეტში, მათ შორის ოქსფორდის უნივერსიტეტსა და ლონდონის უნივერსიტეტის აღმოსავლეთისა და აფრიკის შესწავლის სკოლაში. მწერალს ბევრი ლიტერატურული ჯილდო აქვს მიღებული, მათ შორის: არაბულ-ფრანგული მეგობრობის პრემია (1991), ‘უშადსის (1994) და ქაფაფისის (1998) პრიზები და სახელმწიფო პრემია (1973/2000). ცნობილ მწერალს მხატვრული პროზაული ნაწარმოებების გარდა ეკუთვნის ლექსების რამდენიმე კრებული, პროზისა თუ პოეზიის შესახებ ბევრი კრიტიკული ნაშრომი და ასევე ბევრი საინტერესო თარგმანი. 1958-85 წლებში ინგლისურიდან და ფრანგულიდან დაახლოებით თოთხმეტი წიგნი თარგმნა, მათ შორის ამერიკელი, ევროპელი თუ აფრიკელი ავტორების თხზულებები. ალ-ხარრატმა ინგლისურიდან არაბულად თარგმნა ტოლსტოის „ომი და მშვიდობა“. მისი ნაწარმოებებით ბევრი მკვლევარია დაინტერესებული.

II. 'იდუარ ალ-ხარრატის შემოქმედების ზოგადი მიმოხილვა

ა. მწერლის განსაკუთრებული ადგილი

'იდუარ ალ-ხარრატი განსაკუთრებული წვლილი თანამედროვე არაბული რომანის განვითარებაში შეიტანა. მწერლის ტალანტი, გამორჩეული შემოქმედებითი ხედვა და ენის ძალიან კარგად ფლობა მის ნაწარმოებებს სრულყოფილებას ანიჭებს. ალ-ხარრატის რომანები განსაკუთრებულ სამყაროს ქმნიან. ტექსტებიდან ჩანს, რომ ნამდვილი ოსტატის დაწერილია ისინი ('აბდ ალ-ჯდირი 2000: 33). რაში მდგომარეობს ალ-ხარრატის, როგორც რომანისტის, საიდუმლო? მას შეუძლია, გაწყვიტოს თხრობის ხაზი, დინება და გასცდეს მონათხრობთან ლოგიკურად დაკავშირებულ ამბავთა ზღვარს; ასევე შეუძლია, დაარღვიოს რომანში დროისა და სივრცის ლოგიკური კავშირი. ერთი შეხედვით, თითქოს ცალკეული ისტორიებია მოცემული, რომელთა დაკავშირება და გაგება ძნელია, მაგრამ, მეორე მხრივ, ყველაფერი ურთიერთკავშირშია. თხრობის ასეთი თავისებურება კიდევ ერთხელ ადასტურებს მწერლის განსაკუთრებულობას XX საუკუნის მეორე ნახევრის ეგვიპტელ და არაბ რომანისტთა შორის. როცა ალ-ხარრატის თხზულებებს ვკითხულობთ, ვრწმუნდებით, რომ არაბული ნოველა და რომანი ავიდა განვითარების ახალ გზაზე, რომელიც ახალი სამყაროსკენ მიემართება. ალ-ხარრატის სამოცდაათი წლის იუბილის აღსანიშნავად გამოცემულ კრებულში მაღრიბელი მპვლევარი შადაკ ბუშაშბი წერს, რომ ალ-ხარრატი ბევრი სიახლე დამკვიდრა არაბულ მწერლობასა და ხელოვნებაში, რაც ცხადად ჩანს მისი თხზულებებიდან და განსაკუთრებით კი მხატვრული ნაწარმოებებიდან (ბუშაშბი 2000: 39). სალმა ალ-ხადრა' ჯაფუსის მიხედვით კი, „ალ-ხარრატი ქმნის დახვეწილ პროზაულ ნაწარმოებებს. მის პროზას პოეზიის ელფერი აქვს და ხშირად ნამდვილ ესთეტიკურ სიმაღლეებს აღწევს და ამასთან სავსეა ცხოვრების ეგზისტენციალური გამოცდილების ფილოსოფიით“ (ჯაფუსი 2005: 49). ბადრ ალ-დიბი, რომლის ნაშრომიც ეძღვნება ალ-ხარრატის კრებულს „სიამაყის საათებს“, მის თხზულებებს არაბული ნოველის სამყაროში გამორჩეულად მიიჩნევს (ალ-დიბი 1994).

მაჰმედ 'ამინ ალ-ჰლიმის აზრით, არ იქნება გადაჭარბებული, თუ 'იდუარ ალ-ხარრატს სრულყოფილ ხელოვანს ვუწოდებთ. „ის ლიტერატორია, რომელიც კარგად იცნობს ლიტერატურის სხვადასხვა მხარეს. მისი ნაწარმოებები საზრდოობენ ძველი არაბული ლიტერატურული მემკვიდრეობით, კერძოდ კი

მისი სუფიური სიღრმეებით“ (ალ-ალიმი 2000: 46). ამასთან ერთად, ალ-ხარრატის შემოქმედება სიახლით ხასიათდება და, შესაბამისად, ერთგვარი მაკავშირებელი ხიდის როლს თამაშობს ძველსა და ახალს შორის. ის, მართლაც, განსაკუთრებულ ადგილს იკავებს თანამედროვე არაბულ ლიტერატურაში.

’იდუტარ ალ-ხარრატი ამავე დროს ერთ-ერთი საუკეთესო კრიტიკოსია და განსაკუთრებით ახალგაზრდა მწერალთა ნაწარმოებებით ინტერესდება. ეს ის შემთხვევაა, როცა ხელოვანი წარმოგვიდგება კრიტიკოსის როლში. როგორც კრიტიკოსი, ის რომანის ძირითად ლირსებად განიხილავს არა უბრალოდ მის სტრუქტურას ან განსაკუთრებულ ენას, არამედ ნაწარმოების შინაგან სულს, ძალას, რომელიც მას აძლევს ზოგად მნიშვნელობას. ეს ძალა მუდამ არსებობს, თუმცა არა ცხადად, ის ხან ჩნდება და ხან იმაღლება; ის მოგონებულის თუ წარმოსახულის, კანონის თუ თავისუფლების, სხეულებრივის თუ სულიერის, ისტორიისა და ისტორიიდან გასვლისა, დროითი ადგილისა თუ ადგილობითი დროის ერთობას გვაძლევს (ფარიდი 2000: 50).

ალ-ხარრატი ადრეულ ეტაპზე იზიარებდა ტროცკისტულ იდეებს. ’იბრაჰიმ ‘აბდ ალ-მაჯადის აზრით, ეს კარგად ჩანს მისი ნაწარმოებებიდან, შესაძლოა პირდაპირი განცხადებებით არა, მაგრამ რომანებში ჩანს „მუდმივი რევოლუცია“. თითქოს მის თაობაში იყო რევოლუცია, რომელსაც ალ-ხარრატი ჩაუდგა სათავეში გამოჩენისთანავე. კრიტიკოსი იხსენებს პერაკლიტეს გამონათქვამს, რომ სამყარო მუდმივად იცვლება და ერთ მდინარეში ორჯერ ვერ ჩახვალ. ამ გამონათქვამს სწორედ ალ-ხარრატის ნაწარმოებებს უკავშირებს. ყოველი წაკითხვისას მათში ცვლილებას, ახალ ძიებას, მიგნებასა და მნიშვნელობას იპოვით (‘აბდ ალ-მაჯადი 2000: 95). ’ი‘თიდალ “უსმანიც თვლის, რომ ალ-ხარრატისთვის წერა კვლევას პგავს, ძიებას სხვადასხვა კულტურულ შრეებში ერთმანეთის მიყოლებით თუ ერთმანეთში შერეულად (“უსმანი 2000: 112). მისი შემოქმედება მოიცავს ფარაონთა ცივილიზაციის, კოპტური და ისლამური კულტურის სიღრმეებს, ასევე მსოფლიო ხელოვნების ცოდნას. ამ მხატვრული სამყაროსთვის მთავარი მასალა მწერლის პირადი გამოცდილებაა 1930-40-იანი წლების ალექსანდრიიდან მოყოლებული 1990-იანი წლების კაიროს ჩათვლით. ნიჭიერი ხელოვანი იყენებს ფაქტებს ისტორიიდან, სოციალური და პოლიტიკური რეალობიდან, წერილობითი თუ ზეპირი ლიტერატურული მემკვიდრეობის

ელემენტებს. მათში ჩართულია ოცნებები, ფანტაზიები, კოშმარები და იდუმალი ხმები.

ბ. ალ-ხარრატი და სიურრეალიზმი

ალ-ხარრატის ნაწარმოებები გამოირჩევა სიურრეალიზმის ცხადი გავლენით. მწერალი სიურრეალიზმით პირველად 1940-იანი წლების ბოლოს დაინტერესდა, როდესაც ის რევოლუციური საქმიანობის გამო დააპატიმრეს. საფრანგეთიდან უგიპტეში მიმდინარეობის შემოსვლა უკავშირდება ხელოვანთა ჯგუფს „ხელოვნებისა და თავისუფლების საზოგადოებას“, რომლის შესახებაც ზემოთ ვისაუბრეთ. მნიშვნელოვანია ასევე ალექსანდრიაში არსებული ორგანიზაციების „შეუცნობისაკენ“ („نحو المجهو“) და „ახალი კულტურა“ („الثقافة الجديدة“) მოღვაწეობა. ალ-ხარრატი იცნობდა ამ ჯგუფების საქმიანობას, კითხულობდა მათ მიერ გამოცემულ ჟურნალ-გაზეთებს. მართალია, უგიპტელი სიურრეალისტები უმეტესწილად ფრანგულად წერდნენ, მაგრამ ახალგაზრდა იდურმა იცოდა ფრანგული და, ამდენად, მას შეეძლო გასცნობოდა მათ თხზულებებს. ერთგან მწერალი იხსენებს, რომ ციხეში ყოფნის დროს კიდევ უფრო კარგად ისწავლა ფრანგული და დიდი ინტერესით ეცნობოდა ფრანგულ ლიტერატურას. სწორედ ამ დროს გაეცნო სიურრეალიზმსაც. საკუთარ მოგონებები ის აღნიშნავს, რომ სტუდენტობის დროს ფრანგულმა ლიტერატურამ დააინტერესა, განსაკუთრებული შთაბეჭდილება კი სიურრეალისტმა ავტორება მოახდინეს, რომლებიც „მის გონებასა და სულში დამკვიდრდნენ“ (ალ-ხარრატი 2005: 42). სხვა ნაშრომებში ალ-ხარრატი თავად წერს, რომ გატაცებით კითხულობდა ჟურნალ „ალ-თატარუშურს“ (ალ-ხარრატი 2000: 8) და „ალ-მაჯჯალა ალ-ჯადიდას“. აქ გამოქვეყნებულმა სალამა მუსას სტატიებმა განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა მასზე და რაღაც მნიშვნელოვანი შეცვალა მის აზროვნებასა და ცხოვრებაში (ალ-ხარრატი 2005: 42). როგორც ვიცით, სწორედ ამ ჟურნალებში იბეჭდებოდა უგიპტელი სიურრეალისტების სტატიები და მხატვრული ნაწარმოებები. ეს ჟურნალები კარგ საშუალებას წარმოადგენდა ახალგაზრდა იდურმა ისთვის, რომ გასცნობოდა 1940-იან წლებში არაბულ ლიტერატურაში გაჩენილ მოდერნისტულ ტენდენციებს.

ამ პერიოდისთვის მწერალთა გარკვეული ჯგუფი იზიარებდა სიურრეალისტთა მოსაზრებებს და მათ თხზულებებში სიურრეალისტური ხედვა შეინიშნებოდა. მათი თვალსაჩინო წარმომადგენელია ’ალბირ კუსაღრი, რომელმაც გავლენა იქონია ალ-ხარრატზე. მწერალი იხსენებს, რომ ’ალბირ კუსაღრის ნაწარმოებებს პირველად „ალ-თატაუშურში“ დაბეჭდილი არაბული თარგმანის საშუალებით გაეცნო⁷⁶. მოგვიანებით კი მოიძია მისი სხვა ნაწარმოებები ფრანგულად და მათი თარგმნის სურვილიც გაუჩნდა. თექვსმეტი წლის ალ-ხარრატმა კი მეგობართან ერთად სცადა ეთარგმნა ’ალბირ კუსაღრის წიგნი „ნამდვილი სიკვდილის სახლი“ („La maison de la mort certaine“, „منزل الموت الأكيد“). მწერალი ასვე იხსენებს პარიზში კუსაღრითან შეხვედრას (ალ-ხარრატი 2000: 8). საბრი ჰაფიზი წერს, რომ სწორედ ’ალბირ კუსაღრი იყო ერთ-ერთი იმ მწერალთაგანი, რომლებიც შეიძლება მივიჩნიოთ ალ-ხარრატისა და „სამოციანების თაობის“ სხვა მწერლების წინამორბედებად (ჰაფიზი 1992: 317-318). ერთ-ერთ სტატიაში ალ-ხარრატი იხსენებს პოეტ იდმუნ ჯაბისს და მასთან შეხვედრას პარიზში. აღნიშნავს, რომ ჯაბისი, სიურრეალისტი პოეტი, მისი ძველი მეგობარი იყო (ალ-ხარრატი 2000: 20). ეს ყველფერი მოწმობს იმას, რომ ალ-ხარრატი კარგად იცნობდა 1930-იანი წლების ბოლოსა და 1940-იანი წლების პირველ ნახევარში გავიპტეში არსებული სიურრეალიზმით დაინტერესებული ჯგუფების საქმიანობასა და იმ მწერლების ნაწარმოებებს, რომლებზეც ამ მიმდინარეობამ იქონია გავლენა. სიურრეალიზმით ალ-ხარრატის დაინტერესებას მოწმობს ის ფაქტიც, რომ ჟურნალ „გალერეა 68“-ის მეშვიდე ნომერში მან დაბეჭდა პოლ ელუარის ლექსების თარგმანები (კენდალი 2006: 236). მოგვიანებით ’იდუს ალ-ხარრატმა რამდენიმე ნაშრომი მიუძღვნა სიურრეალიზმს, სიურრეალისტურ მწერლობასა და გავიპტელ სიურრეალისტებს⁷⁷. ერთ-ერთ სტატიაში ის საუბრობს რამდენიმე გავიპტელ სიურრეალისტ მწერალზე, რომლებიც ძირითადად ფრანგულად წერდნენ და ცხოვრების დიდი ნაწილიც საფრანგეთში გაატარეს. როგორც მწერალი აღნიშნავს, მიუხედავად იმისა, რომ ნაწარმოებები ფარანგულად შეიქმნა, მათში

⁷⁶ საუბარია ’ალბირ კუსაღრის ნაწარმოებზე „ლმერთისგან დავიწყებულები“, „Les hommes oubliés de Dieu“, „المنسيون من الله“ არაბულად თარგმნა ‘აბდ ალ-ჰამბდ ალ-ჰადიდიმ’.

⁷⁷ იხ.: ალ-ხარრატი 1994; ალ-ხარრატი 1997; ალ-ხარრატი 2000.

ეგვიპტური სული იგრძნობა (ალ-ხარრატი 2000: 10-11). მწერალი ამავე სატატიაში სვამს შეკითხვას, არის თუ არა პირდაპირი კავშირი 1940-იანი წლების ძირითადად ფრანგულენოვან ეგვიპტურ სიურრეალიზმსა და 1960-70-იან წლებში არსებულ სიურრეალიზმს შორის? აქვე გამოთქვამს საინტერესო მოსაზრებას, რომელიც კითხვის სახით გვდერს: იქნებ სიურრეალისტური ესთეტიკა, დაფარული თუ ცხადი, ზოგადად არსებობს ეგვიპტურ, აღმოსავლურ სულში? ასეთი მოსაზრების დასამოწმებლად იხსენებს ხალხურ სიმღერას „ხეზე ამსვლელი“ („يَا طَالَعَ الشَّجَرَةَ“) და ათას ერთი დამის ზღაპრებს („أَلْفٌ لِيلَةٌ وَلِيلَةٌ“) (ალ-ხარრატი 2000: 20).

ალ-ხარრატმა სიურრეალიზმით დაინტერესებდა და მასთან კავშირი სამწერლობო კარიერის დასაწყისშივე გამოავლინა. სხვაგვარი, უფრო ღრმა რეალობის ხედვა და სიურრეალიზმისთვის დამახასიათებელი ნიშნები პირველივე ნოველებში შეინიშნება, რომლებიც 1940-იანი წლების მეორე ნახევარსა და 1950-იანების პირველ ნახევარში დაიწერა, ანუ იმ პერიოდში, როდესაც ეგვიპტურ ლიტერატურაში რეალიზმის ხანა დაიწყო. გაბრიელ-ბეჟალინკი საკუთარ სადისერტაციო ნაშრომში აღნიშნავს, რომ სწორედ ეპოქასთან შეუთავსებლობა იყო მიზეზი იმ ფაქტის, რომ ალ-ხარრატის ადრეულმა სიურრეალისტური, ფანტასტიკური და მაგიური რეალიზმის ელემენტებით სავსე ნოველებმა დიდი პოპულარობა ვერ მოიპოვა და „პოლიტიკურად და საზოგადოებრივად“ აქტიურ მწერალთა თხზულებების ჩრდილში მოექცა 1960-იანი წლების შუა ხანებამდე (გაბრიელ-ბეჟალინკი 2002 [2003]: 12).

ალ-ხარრატის ნაწარმოებებზე სიურრეალიზმის გავლენის და ამ მიმდინარეობით მწერლის დაინტერესების შესასწავლად საინტერესოა, განვიხილოთ მისი ერთი კრიტიკული წერილი, სადაც არაბულ ლიტერატურაში გაჩენილი მოდერნისტული ხედვისთვის დამახასიათებელ ნიშნებს განიხილავს და რამდენიმე ნაკადს გამოყოფს. იმ ნაკადს კი, რომელსაც თავის თავს მიაკუთვნებს, ასე ახასიათებს: „[...] ეს არის ნაკადი შინაგანი ხედვისა, რომელიც მხოლოდ შინაგან თვალს კი არა გულისხმობს, არამედ მთელს შინაგან ცხოვრებას, რომელიც იღვიძებს და ვლინდება ეფემერული სიზმრის მაგვარ ხილვებსა და წარმოსახვებში. ნაწარმოებებში, რომლებიც ამ ნაკადს მიეკუთვნება, ვხედავთ ადამიანის დაფარულ რეალობას, სადაც დროის

ნორმალური მსვლელობა ჩერდება, სიზმარსა და სიფხიზლეს შორის ბარიერები იშლება, ორაზროვნება და მკვეთრი ფორმების მქონე სიცხადე, შინაგანი და გარეგანი, რეალობა და ილუზია ერწყმის. ცხადია, ეს ყველაფერი ხელს უწყობს „რეალობიდან“ გაქცევას სხვა მეორე „რეალობისკენ“. ბოლოს კი დასძენს, რომ 1940-იანი წლებიდან მოყოლებული თავადაც შეიტანა საკუთარი წვლილი ამ ნაკადში (ალ-ხარრატი 1991: 198-190). მიუხედავად აქ მოყვანილი ფაქტებისა და იმ ცხადი სიურრეალისტური გავლენისა, რომელიც მის მხატვრულ ხედვასა და შემოქმედებაზე აისახა, ვერ ვიტყვით, რომ მისი ნაწარმოებები მთლიანად სიურრეალიტურია და ალ-ხარრატი წმინდა სიურრეალისტი მწერალია. ჩვენ შეგვიძლია, ვისაუბროთ მხოლოდ ამ მიმდინარეობის გავლენაზე და მწერლის თხზულებებში მისთვის დამახასიათებელი ელემენტების არსებობაზე. ალ-ხარრატის თხზულებები გამოირჩევა სიურრეალურისა და რეალურის შერწყმით, რისგანაც წარმოიშვა ავტორის თავისებური სტილი. როგორც რიდანი ამბობს, „ჩვენ ვგრძნობთ ამ ერთობას, რომელიც თან ენის საიდუმლოებებს ატარებს და ქმნის საკუთარ სამყაროს“ (რიდანი 2000: 123).

გ. მრავალმხრივი რეალობა

მწერალი ჟურნალ „გალერეა 68“-ის ფურცლებზე ხშირად ხმარობდა ტერმინს „მეტარეალური“. ამ სიტყვით აღნიშნავდა იმას, რაც რეალობის მიღმა არსებობს. ავტორი ეყრდნობოდა ხედვას, რომ ხილული რეალობა ხშირად მცდარ სახეს გვიჩვენებს, რომელსაც არ შეუძლია მოგვცეს სიმართლის ცოდნა, ვერ დაგვეხმარება, გავიგოთ და ჩავწედეთ მას. ამიტომ საჭიროა ისეთი მწერლობის არსებობა, რომელიც სწვდება იმას, რაც ცხადი, ხილული რეალობის გარსის მიღმაა, სცილდება მის გარეგნულ სახეს და ჩადის სიღმეში დაფარულ საიდუმლომდე. ალ-ხარრატმა თავის ლიტერატურულ თხზულებებში ამ ხედვის განხორცილება სცადა.

ალ-ხარრატის ნაწარმოებებში მნიშვნელოვანი საკითხია რეალობა და რეალურობა. რეალობა ალ-ხარრატის ნაწარმოებებში მრავალმხრივი და მრავლისმომცველია, რომელიც სცდება რეალობის ტრადიციულ, გაბატონებულ გაგებას. მასთან რეალობა არ არის გარკვეული მოვლენებისა და ამბების მსვლელობა. ავტორი უბრალოდ არ აღწერს აწმყოს ან წარსულს. აქ დროისა და

ადგილის მრავალი ფორმაა, რომლებიც თხრობის სხვადასხვა ხაზს მიჰყება და ერთმანეთზე მოქმედებს. ეს ყველაფერი სცდება ადგილობრივ, არაბულ თუ მსოფლიო რეალობას და ხშირად მოქმედების სივრცეები გმირის, ან მთხოვნელის გონიერის სამყაროში გადადის. როგორც ბუშანბი აღნიშნავს, მრავალმხრივი რეალობა ალ-ხარრატის ნაწარმოებთა ერთ-ერთი იმ თვისებათაგანია, რომელიც მათ განსაკუთრებულობასა და მათში არსებულ სიახლეს ადასტურებს (ბუშანბი 2000: 44). ეს ტექსტები მოითხოვს გამოცდილ მკითხველს, რომელსაც შეუძლია, ესთეტიკური ტექობა მიიღოს ნაწერით, რომლის გაგებაც არაა ადვილი. ეს თხზულებები მკითხველისაგან მათში მონაწილეობას ითხოვს. ალ-ხარრატის მიერ შექმნილი ტექსტების გასაგებად და ხილული რეალობის მიღმა ანუ „მეტარეალურამდე“ მისასვლელად გრძნობების ერთობაა საჭირო.

ბევრი ნაწარმოები არა მარტო მკითხველს, კრიტიკოსებსაც გარკვეულ სირთულეებს უმზადებს. ბევრ მათგანში (მაგ.: „მისი ქვიშა ზაფრანისფერია“, „რამდენიმე და დრაკონი“) თხრობის ორი ნაკადია, რომლებიც გმირის გონიერაში და რეალურად მიმდინარე ამბებს მიჰყება. თხრობის ხაზი ხშირად წყდება, მასში ჩართულია ოცნებები, წარმოსახვები, ფანტაზია და სურვილები. ლიტერატორი ბადრ ალ-დაბი წერს: „ალ-ხარრატის ნაწარმოებებში ბევრი სამყაროა. მისი თხზულებები იმსახურებენ ადგილს კაცობრიობის ლიტერატურის უდიდეს ქმნილებებს შორის. ვინც პირველად შევა ამ სამყაროში, დატკბება ცოდნისა და სიყვარულის სიხარულით და გაიგებს, როგორ იქმნება რეალობა წმინდა, დიდებული, ზოგადი თუ წვრილმანი დეტალებისგან“. ბადრ ალ-დაბი ალ-ხარრატის რომანის „სხვა დრო“-ის შესახებ წერს: „ეს რომანი ცდილობს, მოიცვას ადამიანის ისტორია პროგრესული ხედვით, მოიცვას რეალობა მთლიანად და გასცდეს სიკვდილითა და დაცემით სავსე არსებობას, რათა ერთმანეთში არეული, გადახლართული მყარი ერთეულებით სიმბოლური სამყარო შექმნას“ (ალ-დაბი 1994: 56). ამ სამყაროში მწერალი არ გვევლინება შუამავლად მკითხველსა და ობიექტურ სამყაროს, რეალობას შორის. ის შემოქმედია სამყაროსი, რომელშიც რამდენიმე რეალობა ერთიანდება.

დ. გაუცხოებული გმირი

მწერალი უამრავ შეკითხვას სვამს წარსულსა თუ მომავალზე, ისეთ თემებზე როგორიცაა ადამიანის ცხოვრება, სიყვარულის მნიშვნელობა და ა.შ. ავტორი მიისწრაფვის სამყაროს წვდომისკენ, ცდილობს წერით მიუახლოვდეს სამყაროსა და კაცობრიობის სულის საიდუმლოებას. 'ი'თიდან 'უსმანს ალ-ხარრატის ნაწარმოებებში არსებული ძიება სუფიურ სწრაფვას აგონებს. ეს ძიება წინააღმდეგობებს წარმოშობს ფიზიკურსა და სულიერს, ხილულს, შეგრძნებადსა და უხილავს შორის. ეს წინააღმდეგობა იწვევს სულის მოძრაობას ('უსმანი 2000: 113). რომანებში მწერალი ეხება ადამიანის ბედს, მის გრძნობებს, განცდებს, ლტოლვას, ბედნიერებას. ყველა ეს საკითხი ერთად იყრის თავს და მკითხველს რთულ სიტუაციაში აყენებს. ძნელია გავერკვეთ სად არის რეალობა, რომელშიც გმირები ცხოვრობენ. ჩნდება კითხვები: რა არის ეს რეალობა? როგორ შეიძლება იყოს ერთ მთლიანობაში ოცნება და რეალობა?

ალ-ხარრატს აინტერესებს ადამიანი, არა მხოლოდ საზოგადოებაში, როგორც ეს დამახასიათებელი იყო ტრადიციული რომანისთვის, არამედ ადამიანი საკუთარ თავში, მის სრულ იზოლაციაში, თავისი ძალით და სისუსტით. ალ-ხარრატის სამყაროში ადამიანი, მართალია, სოციალური ფაქტორების ზეგავლენას განიცდის, მაინც არ აღიქმება სოციალურ არსებად. ის რთული არსებაა, რომელიც ცდილობს, დაიცვას საკუთარი სურვილი და არსებობა არარაობასა და უაზრობაში. ალ-ხარრატის მთავარი გმირი ანტიგმირია. ყოველდღიურ მოვლენებთან აღმოჩენით გამოწვეული გაოცება და გაუცხოება მის ქცევას ხშირად უჩვეულოსა და ალოგიკურს ხდის. ალ-ხარრატის ადრეულ ნაწარმოებებში ადამიანს საკუთარი ცხოვრება მოსწყინდა, ყველაფერმა დაღალა. ამდენად, სიძულვილით უყურებს მას, ვინც ცხოვრებასთან ჰარმონიულ კაგშირშია და ეგუება მის ბანალურობას. ამ რთული პოზიციის შესაქმნელად ალ-ხარრატი ცდილობს თავის გმირს განსაკუთრებული და დაუჯერებელი ინტუიცია, აზროვნება და ირგვლივ არსებული გარემოს მრავალმხრივი ცოდნა მისცეს. თხრობისას პასივის ფორმების გამოყენება მიუთითებს, რომ ბევრი რამ გმირისგან დამოუკიდებლად ხდება და მის კონტროლს არ ექვემდებარება. ამის გამო აბსურდულობის, უაზრობისა და შიშის განცდა ჩნდება და ადამიანი ეჭვით უყურებს საკუთარ თავს. ის ყურადღებას ამახვილებს სიზმრების, ოცნების, ძველი მოგონებების სამყაროზე, სადაც ბავშვობის უცოდველი, სუფთა სამყარო

(ჭავაშვილი 1992: 320). ალ-ხარრატის ნაწარმოებებში ადამიანი მიღის დამალული არსებობისკენ, მარტოობისაგან დამცავი ბინდის სამყაროსკენ, რომელიც ემორჩილება არაცნობიერ სურვილებს.

ე. მოგონება

ნაწარმოებების მნიშვნელოვანი ნაწილი მოგონებებს ეთმობა. ალ-ხარრატის რომანების გმირი⁷⁸ გამუდმებით იყურება ბავშვობისა და ახალგაზრდობის სარკეებში და თითქოს თავიდან აცოცხლებს გარკვეულ საგნებსა და მოვლენებს. ამ ნაწარმოებებში მწერლის წარსული ცხოვრების გამცდილებასთან ერთად აღდგება საზოგადოების ზოგადი გამოცდილებაც. მკვეთრი ხაზით არაა გამიჯნული ბავშვობის, მოზარდობის და სიჭაბუკის მოგონებები. გმირის გონებაში ერთმანეთს ერწყმის ცხოვრების მკაცრი გამოცდილება, ქრისტიანული და მუსლიმური ფესვებიდან მომდინარე ზნეობრივი ვალდებულებები და გრძნობებით საგსე ფანტაზიები. მიუხედავად მასში არსებული ასეთი მრავალფეროვნებისა, ხედება, რომ უკელაფერი ამაოა და სილამაზის, ბედნიერების თუ ტკბობის ბოლო სიკადილია. აქ რომატიზმის სული გამოსჭვივის, რაც უფრო მკვეთრად მის ლექსებში ჩანს. მოგონებები და მათ მიერ გამოწვეული განცდები გვეხმარება მეხსიერების საიდუმლოს გაგებაში. აწმუნდან წარსულში გადავდივართ და მივდევთ იმ ნაკადას, რომელიც უწყვეტად მოდის მეხსიერებიდან. მწერალი თითქოს უარყოფს დროის ძალაუფლებას და მივყავართ უკვე ჩავლილ და დავიწყების საგნად ქცეულ აბმებთან; მველ დასრულებულ დროს აცოცხლებს აწმუნში, ახალ სიცოცხლეს სძენს დროის გადაფურცლულ გვერდებს. შორეულ თუ ახლო წარსულში გაფანტული მოგონებები შესაძლოა ოსირისის გაპნეულ ნაწილებს შევადაროთ, რომელთა შეგროვება წარსულს ახალ სიცოცხლეს ანიჭებს.

სალაჰ ალ-ლიკანი იკვლევს მოგონებების აღდგენას, გახსენების სტრუქტურას ალ-ხარრატის ნაწარმოებებში, კერძოდ კი რომანში „სხვა დრო“ („آخر من الآخر“), რომელშიც ალ-ხარრატი იხსენებს ეგვიპტის ახალ ისტორიას. ის ამბობს: „مِنْهُمْ أَنْدَلَى مَوْتَمِينَ بَعْدَ مَوْتِهِمْ“ და გულმოდგინედ ცდილობს, გაიხსენოს

⁷⁸ იმავე მთავარ გმირს, მიხარებს, ვხვდებით შემდეგ რომანებშიც: „آخر من الآخر“ (ალ-ხარრატი 1985) და „رامات و المتنين“ (ალ-ხარრატი 1993).

ეგვიპტის სხვა მეხსიერება, სხვა მოგონებები ნაცვლად იმ მოგონებებისა, რომლებიც სავსეა ფართო ბზარებით, ნაპრალებით და სიბნელით. ამისთვის „ცნობიერების ნაკადის“ ტექნიკას ისეთი ფორმით იყენებს, რომელიც თხრობისას ჯერ არ გამოუყენებიათ ეგვიპტესა და არაბულ სამყაროში. [...] ჩვენ შეგვიძლია, ჩაგრედეთ ამ მოგონებებს კულტურული და ისტორიული ფაქტორების გათვალისწინებით, ისინი ერთ მთლიანობის ანუ ეგვიპტური სულის, ფარაონთა თქმულებების, ბერძნული, კოპტური და ისლამური სიმბოლოების, ძველი და ახალი ისტორიის ფაქტების ქსოვილის ნაწილია“ (ალ-ლიკანი 1983: 36).

ვ. ალექსანდრია

იდუქარ ალ-ხარრატის ნაწარმოებების განუყოფელი ნაწილია ალექსანდრია. ეგვიპტის ქალაქებიდან და საერთოდ არაბული თუ ეპროპული ქალაქებიდან ამ მხატვრულ სამყაროში ყველაზე ხშირად 1930-40-იანი წლების ალექსანდრია გვხვდება თავისი სილამაზითა და ლეგენდარულობით; გაცოცხლებულია ძველი ქალაქი თავისი სანაპიროებით, ტრამვაის გაგონებით, ძველი შენობებითა და ქუჩაში მოარული ეტლებით. ცხადად ვხედავთ დარიბ თუ მდიდარ უბნებს, უბრალო ადამიანებით დასახლებულ შუკებს, სადაც საჭმელისა და ადამიანების სუნი ერთმანეთში ირევა; ვხედავთ სხვადასხვა ეროვნებისა და ფენის ადამიანებს თავიანთი თვისებებით, ჩაცმულობის სტილით და დიალექტებით. ეს ყველაფერი ჩნდება ქალაქის ისტორიის ფონზე. აქ ერთმანეთში არეულა განსხვავებული კულტურის სახეები და სხვადასხვა დრო, რაც უჩვეულო სამყაროს ქმნის. ალ-ხარრატი არ არის ალექსანდრიის მწერალი მხოლოდ იმიტომ, რომ ქალაქისა და მისი ზაფრანისფერი ქვიშების⁷⁹ შესახებ მოგვითხრო. ეს ქალაქი არის ისტორიული, რელიგიური და ფილოსოფიური სამყარო მისთვის. როგორც მუჭამმად ჰიდდიკი აღნიშნავს, ალექსანდრია ალ-ხარრატისთვის „არ არის უბრალოდ ლამაზი გეოგრაფიული ადგილი, ადგილი სადაც ადამიანები ხვდებიან, რომლებიც შრომობენ, უყვართ და პვდებიან ყოველდღიური ცხოვრების დინებაში; არც მხოლოდ საცავია დრმად ჩამჯდარი ძველი და ახალი კულტურებისა და ცივილიზაციების. რა თქმა უნდა, ალექსანდრია გულისხმობს ამ ყველაფერს, მაგრამ ის ასევე სულის მდგომარეობაა, შინაგანი სიმართლის

⁷⁹ ვგულისხმობთ ალ-ხარრატის რომანს „მისი ქვიშა ზაფრანისფერია“.

ძიებაა და თავგადასავალი ამ სიმართლის წედომისთვის. ამასთან ერთად, ის არის წყვდიადთან და სიკვდილთან მეტაფიზიკური შეხვედრა, რომელიც გადაჭიმულია ხან მშვიდ და ხანაც მშფოთვარე ზღვის ზედაპირზე და მიისწრაფვის საიდუმლო და უსაზღვრო პორიზონტისკენ“ (ჭიდდიკი 2007: 69). მონა მიხაილი „მისი ქვიშა ზაფრანისფერიას“ შესახებ წერს, რომ ეს რომანი ალექსანდრიის ავტობიოგრაფიას ჰგავს (მიხაილი 1992: 191). კრიტიკოსის ეს ფრაზა კარგად მიგვითოთებს იმ მნიშვნელოვან ადგილზე, რომელსაც ალესანდრია იკავებს ალ-ხარრატის შემოქმედებაში. როგორც ვიცით, „მისი ქვიშა ზაფრანისფერია“ ავტობიოგრაფიული რომანია, რომელშიც მთავარი გმირის და ქალაქის ცხოვრება მჭიდროდ არის ერთმანეთში გადაჯაჭვული. ალ-ხარრატმა დაწერა თხზულებები, რომლებსაც ვერ შექმნიდა ალექსანდრიაში რომ არ ეცხოვა, იმ ქალაქის ნაწილი რომ არ ყოფილიყო, სადაც სხვადასხვა რელიგიისა და კულტურის ადამიანები იყრიან თავს.

ზ. ერთი მთლიანი ტექსტის ძიება

ალ-ხარრატის ნაწარმოებებში განსაკუთებული სიმბაფრითადა

წარმოდგენილი ძიება, როგორც შადაკ ბუშა-ბი უწოდებს კვლევის სიგიურეს. ეს ძიება მრავალფეროვანია, ის ეხება წერის, მეტყველების, თხრობის სხვადასხვა დონეს. ეს გიური ძიებაა, რადგანაც მან დაკარგა პასუხი. გიურია, რადგანაც წინასწარ გრძნობს იმედგაცრუებას. ის ბნელშია და დაეძებს შეუძლებელს. ნაწარმოებების გმირები მუდმივ ძიებაში არიან, ისინი თავდაუზოგავად ეძებენ. წარუმატებლობას კვლავ ახალი იმედი ცვლის. ჩანს, რომ ალ-ხარრატის ნაწარმოებებში ერთი დაკარგული ტექსტის ძიებაა. სწორედ დაკარგული ტექსტი აკავშირებს მის თხზულებებს (ბუშა-ბი 2000: 43-44). ალ-ხარრატის ტექსტები მრავალფეროვანი და ვრცელია. მათში, მართლაც, უცნობი დაფარული და მრავალმხრივი საერთო ტექსტია, რომლის ზუსტი განსაზღვრა ძნელია. ნაწარმოებებში ასახულია მრავალი სახის ძიება, მაგრამ თითქოს სიმრავლის საშუალებით ერთის ძებნასთან გვაქვს საქმე ანუ იმ საიდუმლო ტექსტისა, რომლის შინაარსი არავინ იცის, იციან მხოლოდ მისი კვალი, მისი გამოვლინებები. ამ დრმა შინაარს გმირები იკვლევენ სხვადასხვა ნაკვალევის მიხედვით, რადგანაც ის უცნობი საიდუმლოს ნაწილია. ’აჭმად ალ-შაჰარ

თვლის, რომ ალ-ხარრატის შემოქმედებაც და ცხოვრებაც ერთი მთლიანი ტექსტია (ალ-შაჰარ 2000: 100).

აქმა გვინდა აღვნიშნოთ, რომ კრიტიკოსთა დიდი ნაწილი ალ-ხარრატის ნაწარმოებებს საინტერესოდ მიიჩნევს ინტერტექსტუალობის თვალსაზრისით. რობინ ოსტელი წერს: „ალ-ხარრატის ტექსტები სავსეა მითოთებებით და კავშირებით სხვა ბევრ სხვადასხვა სახის ტექსტთან ლიტერატურის ისტორიის ყველა პერიოდიდან, რომლებიც ქმნიან ადამიანის ცხოვრებას ბავშვობიდან მოყოლებული. [...] მაგრამ ალ-ხარრატის კითხვისას ცხადი ხდება, რომ ინტერტექსტი ბევრად მეტს ნიშნავს, ვიდრე ლიტერატურული წარსულის ტრანსფორმაციას ან რეკრიაციას. ავტორი გამუდმებით უბრუნდება იმ ტექსტებს, რომლებიც თავად შექმნა. მისამართი, ავტორის ალტერ ეგო აწმყოში, წარსულსა და ხშირად ერთგვარი გაფრთხილებებით სავსე მომავალში, დროდადრო ჩნდება ტექსტიდან ტექსტში სხვადასხვა დროსა და ადგილას, რომელსაც თან ახლავს რამა, დრაკონი, მეგობრები ან ოჯახის წევრები“. მკვლევარი ხმარობს ანა ზამბელი სოსანას მიერ გამოყენებულ ტერმინს „ავტო-ინტერტექსტუალობა“ და თვლის, რომ ის კარგად გამოხატავს ალ-ხარრატის რომანების შემთხვევას (ოსტელი 2006: 133-135). სტარკეი ინტერტექსტუალობის თვალსაზრისით საინტერესოდ მიიჩნევს რომანს „ბობელოს ქვები“ („حَجَرَةُ بُوبِيلُو“,) და იქვე დასძენს, რომ ალ-ხარრატის ნაწარმოებების უმრავლესობა შეიძლება განიხილოს როგორც ერთი დიდი და გამუდმებული ინტერტექსტუალური სავარჯიშო (სტარკეი 2006ბ: 150).

’იდჟარ ალ-ხარრატი პირველი ნაწარმოებიდან მოყოლებული ბოლომდე მიჰყვება პრინციპს, რომელიც 1972 წელს განაცხადა და რომლის მიხედვითაც განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებდა საკუთარ თხზულებებს. ’ილიას ფარქუჰი მისი სიტყვების ციტირებას ახდენს: „მინდა იყოს ისეთ რამ, რასაც აქვს სრული თავისუფლება შეზღუდვებში, რომლებსაც საკუთარი შინაარსი, ხედვა აკისრებს, ანუ თავის თავს ერთდროულად შეუქმნას თავისუფლებაც და კანონიც. [...] ნაწარმოებს მივეცი სრული თავისუფლება, რათა საკუთარი ქცევა თავად განესაზღვრა, მიჰყოლოდა იმ გზას, რომელიც თავად სურდა და საკუთარი თავისთვის შეუქმნა შემოქმედებითი კანონები; ეს არის შემოქმედების საიდუმლო, უნდა დაუდგინო შენს თავს კანონი და იპოვო შენი თავისუფლება ამ კანონების შიგნით“ (ფარქუჰი 2000: 118).

’იდუქტორ ალ-ხარრატი ქმნის თავის სამყაროს, რომანებისა და მოთხოვნების სამყაროს, რომელიც ერთი მთლიანობაა და ამიტომ ძნელია მისი ნაწარმოებების იზოლირებულად წაკითხვა. მიუხედავად ამისა, მასალის სიდიდის გამო შეუძლებლად მივიჩნიეთ ნაშრომში სხვადასხვა რომანისა თუ ნოველათა კრებულის სრული ანალიზი წარმოგვედგინა. გადავწყვიტეთ, მწერლის სამყარო მისი ერთი თხზულების მაგალითზე წარმოგვედგინა. ნიმუშად ცნობილი რომანი „მისი ქვიშა ზაფრანისფერია“ ავირჩიეთ. ნაწარმოებში განხილულია თითქმის ყველა ის საკითხი, რომელიც ზოგადად ალ-ხარრატის შემოქმედების აქტუალური თემაა. ეს რომანიც თხრობის იმ გამორჩეული სტილითაა შესრულებული, რასაც ვხვდებით სხვა თხზულებებში. აქაც ისევე, როგორც მის მთელ შემოქმედებაში, წარმოდგენილია რეალობისა და სიზმრის მონაცემეობა, მოგონებების საშუალებით წარსულის გაცოცხლება, დროისა და სივრცის საზღვრების უარყოფა. ნაწარმოების მთავარი გმირი და მთხოვნელი მისაჲილია, რომელიც როგორც უკვე აღვნიშნეთ, ავტორის სხვა ნაწარმოებებშიც ფიგურირებს. ნაშრომში განვიხილავთ ამ რომანს და მივუთითებთ სხვა ნაწარმოებებთან არსებულ კავშირსა და მსგავსებაზე. ამ გზით შევძლებთ, შეძლებისდაგვარად სრულად წარმოვაჩინოთ იდუქტორ ალ-ხარრატის შემოქმედება.

III. „მისი ქვიშა ზაფრანისფერია“

იდუქტორ ალ-ხარრატის ბრწყინვალე ნაწარმოები „მისი ქვიშა ზაფრანისფერია“ („ترابها ز عفران“⁸⁰) 1986 წელს გამოქვეყნდა და გამოცემიდან დღემდე მკითხველისა და კრიტიკოსების დიდ ინტერესსა იწვევს. ნაწარმოების შესახებ საუბრისას ‘აბდ ალ-კადირს მოჰყავს საბრო ჭაფიზის სიტყვები: „რომანი ხაზს უსვამს ავტორის ლიტერატურულ ადგილს, როგორც ეგვიპტური ახალი ლიტერატურის ერთ-ერთი უკელაზე მნიშვნელოვანი მწერლისას“ (‘აბდ ალ-კადირი 2000: 34). ‘აბდ ალ-კადირი მიმართავს კრიტიკოს მუჰამმად ბარადას მოსაზრებასაც, რომელიც ამ რომანის შესახებ წერს: „მისი ქვიშა ზაფრანისფერიას“ ტექსტებში იდუქტორ ალ-ხარრატი ბავშვობის შთაბეჭდილებებს ისეთი ფორმით გადმოგვცემს, რომელიც მას გამოარჩევს მასზე ადრე

⁸⁰ ჩვენ გამოვიყენეთ 1999 წლის გამოცემა და ასევე რომანის ინგლისური თარგმანი. იხ.: ალ-ხარრატი 1989 და ალ-ხარრატი 1999.

გამოქვეყნებული არაბული ნაწარმოებებისაგან. მწერალს უნდა, ალექსანდრიის ქვიშა კვლავ ზაფრანისფრად ბრწყინავდეს, ტკივილით დასუსტებული ცეცხლი არ ჩაქრეს და შეცტეს სიკვდილის აჩრდილი [...] მისი ბავშვობის ატმოსფერო სავსეა აქაური ზეცით, ჰაერით და სინესტით“ (აბდ ალ-კადირი 2000: 34).

„მისი ქვიშა ზაფრანისფერია“ ავტორის, ალექსანდრიისა და მისი ხალხის ამბავს მოგვითხრობს და ეგვიპტელი ადამიანის ცხოვრების ყველა მხარეს მოიცავს. ბავშვის მიერ აღქმული, ფანტაზიითა და სიზმრით გაფერადებული და შემდეგ ზრდასრული მთხობელის მიერ გახსენებული ამბების თხრობისას ალ-ხარრატი ბეგრ საინტერესო საკითხს ეხება. ქვემოთ გამოვყოფთ და განვიხილავთ ნაწარმოებში წარმოჩენილ ძირითად თემებსა და იმ მრავალმხრივი რეალობის სამყაროს, რომელიც რომანშია შექმნილი.

ა. რომანი თუ ტექსტების ერთობლიობა?

„მისი ქვიშა ზაფრანისფერიას“ შესაძლოა რომანი ვუწოდოთ, მაგრამ ასევე შესაძლოა ნოველათა კრებულად მივიჩნიოთ. ნაწარმოების ქვესათაურია „ალექსანდრიული ტექსტები“ (،قصص إسكندرانيّة“). მწერალი თხზულებას ტექსტებად მოიხსენიებს ნაწარმოების მოკლე შესავალშიც (ალ-ხარრატი 1999: 5). რომანი ცხრა თავისაგან ანუ ცხრა ტექსტისაგან შედგება. თითოეული მათგანი შეიძლება დასრულებულ მხატვრულ ნაწარმოებად მივიჩნიოთ, მაგრამ ამავე დროს ყოველი ტექსტი წინა თუ მომდევნო ტექსტს უძაგვირდება. ამდენად, თითოეულ ტექსტს დამოუკიდებელ ერთეულად მაინც ვერ ჩავთვლით. ისინი ცხადად ჰგვანან ერთმანეთს და ეს მსგავსება აერთიანებს მათ. ყველა ტექსტში მეორდებიან გმირები, რომლებიც სხვადასხვა ადგილას ჩნდებიან და ქრებიან. აქვე შეიძლება აღვნიშნოთ, რომ მსგავსი შემთხვევა გვაქვს რომანში „რამა და დრაკონი“. რომანის თოთხმეტი თავი შეიძლება დამოუკიდებელ ნაწარმოებებად წავიკითხოთ, მაგრამ ისინი ერთი მთლიანი რომანის ნაწილებია. საინტერესოა, რომ ალ-ხარრატი საკუთარი ნაწარმოების აღწერისას თავს არიდებს ტერმინების „რომანი“ (،رواية“) და „ნოველა“ (،قصة قصيرة“) ხმარებას. ამის საპირისპირო იყენებს „ტექსტს“ (،نص“). „ტექსტი“ არ გულისხმობს რომელიმე განსაზღვრულ ჟანრს, რომლის მიმართაც მკითხველს რაიმე განსაკუთრებული მოლოდინი შეიძლება ჰქონდეს. მწერალი თავის ნაწარმოებს ისეთ სტატუსს ანიჭებს,

რომელიც არსებული ჟანრების მიღმა აყენებს მას. ავტორი ეწინააღმდეგება თხზულების წინასწარ განსაზღვრული ფორმით შეზღუდვას. მისი აზრით, ნაწარმოები შინაგანი მოთხოვნების მიხედვით თავად განსაზღვრავს საკუთარ ფორმას. ალ-ხარრატი ყოველთვის წინააღმდეგი იყო „თხობის წინასწარ დაგეგმილი წყობისა, წესრიგისა“ და ემხრობოდა „კლასიკური ფაბულისა და სიუჟეტის დაშლას.“⁸¹ მაროკოელი მწერალი და კრიტიკოსი მუჭამმად ბარადა წერს, რომ ადრეულ 1960-იან წლებში ლიტერატურის ლექციებზე ალ-ხარრატი მაგალითად მოჰყავდა, როგორც მწერალი, რომლის ნოველებიც წინასწარ დადგენილი, განსაზღვრული ფორმისა და ჟანრის ფარგლებს სცდებოდა (ბარადა 1986: 6-7).

აქვე შეიძლება გავიხსენოთ კასიმის კვლევა ალ-ხარრატის კრებულის „დილისა და სიევარულის სულის შეხუთვა“, (”الختقات العشق والصباح“) შესახებ (კასიმი 1984). მისი აზრით, ნოველათა ამ კრებულში მწერალი ცდილობს, უარყოს მცირეზომიანი მოთხობის ტრადიციული ფორმა, შეცვალოს და მოთხობა მისივე ელემენტების საშუალებით სხვა რამედ აქციოს.

ედვარდ საიდის მიხედვით, ლიბანელი რომინისტი და კრიტიკოსი ’ილას ალ-ხური საუბრობს „უფორმო“ ნაწარმოებების არსებობაზე, რომლებიც არ მომდინარეობენ არაბულ თუ დასავლურ ტრადიციებში არსებული მყარი ფორმებისგან. ედვარდ საიდი დასძენს, რომ „რასაც ’ილას ალ-ხური გულისხმობს უფორმო ნაწარმოებებში არის ის, რასაც დასავლელმა თეორეტიკოსებმა პოსტმოდერნი უწოდეს: სხვადასხვა ელემენტების კომბინირებული ნაზავი, ძირითადად ავტობიოგრაფიის, მოთხობის, იგავის, ლიტერატურული კოლაჟის და საკუთარ თავზე პაროდიის და ამ მთლიანობის უცნაური ნოსტალგიის გრძნობა გასდევს (საიდი 1989: xviii). ეს შეფასება კარგად მიესადაგება „მისი ქვიშა ზაფრანისფერიას“ და ზოგადად ალ-ხარრატის ნაწარმოებებს. ამ თვალსაზრისით, ალ-ხარრატის რომანებს საინტერესო შეფასებას აძლევს აჭმად ზაფრანი: „ისინი გასცდა რომანის ტრადიციულ გაგებას, რომანის ახალი გაგებითაც კი მისი ტექსტები უცნობი მიმართულებით მოძრაობას აგრძელებენ. [...] ეს ტექსტები ბევრ ღია ადგილს ტოვებს

⁸¹ იხ.: ალ-ხარრატი 1991; ალ-ხარრატი 1981.

ვარაუდისთვის; აქ არის მცდელობა, მკითხველს მზა აზრები მოახვიოს“ (ზაფნი 2000: 96).

იდუქტორ ალ-ხარრატის რომანის „მისი ქვიშა ზაფრანისფერიას“ შესახებ ფრანცუაზ ჯაიარის შეფასება მოაქვს ‘აბდ ალ-კადირს. ჯაიარი თვლის, რომ ეს ტექსტი განსხვავდება დასავლური რომანის ტრადიციებისგან, რომელიც ცნობილია თეორიულ სწავლებაში. „მე“ რომელიც ტექსტში ჩნდება, ასევე გვევლინება როგორც „ის“, მას ვხედავთ სხვადასხვა ამბავსა და შემთხვევაში. ეს „მე“ სხვადასხვა გამოცდილების ნაკრებიდან იქმნება, მას ბევრი ფორმა აქვს. ეს გამოცდილებები, შემთხვევები, რომლებიც ბავშვობასა და მოზარდობაში მოხდა, მრავალრიცხოვანია (‘აბდ ალ-კადირი 2000: 34). ალ-ხარრატის ნაწარმოებებში გვაქვს ხმათა მრავალრიცხოვნება და, შესაბამისად, ასევე მეთოდთა, იდეოლოგიათა, ხედვათა სიმრავლე. მწერალსა და ნაწარმოებს შორის არ არის მონოპოლიური დამოკიდებულება. მწერალი მთხოვბელია, მაგრამ არ მოგვითხრობს მხოლოდ მშრალი პოლიტიკური და კულტურული ფაქტების შესახებ. ის წერს ნაწარმოებს, რომელშიც გადმოგვცემს თავისი ცნობიერების ნაწილს და სვამს კითხვებს. მისი დამოკიდებულება წერასთან არ არის მექანიკური, ეს დიალოგური ურთიერთქმედითი პროცესია. ამიტომ მწერლის ხედვა და დირექტულებები ყოველთვის ჰარმონიულად როდი შეესაბამება ნაწარმოებებში არსებულ მოსაზრებებს. ტექსტში ავტორი არ არის გაბატონებული და არც უჩინარი, უერ ვიტყვით, რომ ე.წ. „ავტორის სიკვდილი“ გვაქვს, რაც გავრცელდა XX საუკუნის 60-იან წლებში. მართალია, ის არ გვევლინება ერთადერთ მთავარ გმირად, რომელიც უკელაფერს წყვეტს, მაგრამ ის რეალურად არსებობს და მოქმედებს ტექსტში, საუბრობს სხვა გმირებთან, მათთან დიალოგში შედის.

ბ. ნაწარმოების ავტობიოგრაფიული ხასიათი

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იდუქტორ ალ-ხარრატი წიგნის შესავალში ამბობს, რომ ეს არ არის ავტობიოგრაფია („سيرة ذاتية“) (ალ-ხარრატი 1999: 5). თუმცა, ნაწარმოებები ბევრი ამბავი ძალიან ახლოს დგას მწერლის ცხოვრებასთან. შესავალში მწერლის მიერ გაკეთებული ასეთი განცხადება, შესაძლოა, არც ეწინააღმდეგებოდეს ავტობიოგრაფიული ელემენტების

არსებობას, რადგანაც ეს არ არის ტრადიციული ავტობიოგრაფია⁸². ალ-ხარრატი აღნიშნავს, რომ ნაწარმოებში წარმოსახვა დომინირებს (ალ-ხარრატი 1999: 5). თუმცა ეს ფაქტი, რომ ნაწარმოები ბევრ ისეთ ამბავს შეიცავს, რომელიც სინამდვილეში არ მომხდარა, არ ახდენს თხზულების, როგორც ავტობიოგრაფიის, დისკვალიფიკაციას.

ნაწარმოებში მოთხოვობილი ბევრი ამბავი ძალიან ჰგავს მწერლის ცხოვრებაში მომხდარ ისტორიებს. ასევე საინტერესოა ის ფაქტიც, რომ იგივე გმირები, ადგილები და ფაქტები გვხვდება ალ-ხარრატის სხვა ნაწარმოებებშიც, მაგალითად: „ბობელოს ქვები“, „რამა და დრაკონი“, „რკინიგზის სადგური“ („محطة السكة الحديدية“)⁸³. ეს ნაწარმოები რომ ავტობიოგრაფიული ხასიათისაა, მკვლევართა შორის აღიარებულ მოსაზრებაა. თავად ალ-ხარრატიც წერს საკუთარი თხზულების ავტობიოგრაფიული ელემენტების შესახებ და ეთანხმება მკვლევართა აზრს: „[...] ის შემთხვევები, რომლებიც სხვა არაფერია თუ არა ილუზია, ის გმირები, რომლებიც მხოლოდ ხილვებია, ის ფანტაზიის გაქანებები და იმ ამბების მოგონება, რომლებიც არასდროს მომხდარა, მაგრამ უნდა მომხდარიყო, ასევე ავტობიოგრაფიულია თავის მხრივ. ცხადია, მე არ გვულისხმობ ფაქტების სიზუსტის კოპირებას, რაც გარკვეულ დოკუმენტურ საფუძველს ემყარება; მე მხოლოდ მაინტერესებს: იქნებ მწერლის ეს წარმოსახვები უფრო ავთენტიკურად „ავტობიოგარფიულია“, ვიდრე ის ამბები, რომლებიც სინამდვილეში „რეალურად“ მოხდა“ (ალ-ხარრატი 1998: 9).

შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს არის მიხა-შლის, მთავარი გმირის, ავტობიოგრაფია. ალ-ხარრატი კი ავტორის, სცენის მიღმა მდგარი შემოქმედის როლშია, რომლის წარმოსახვაც მიხა-შლის მოგონებებისგან, ოცნებებისა და ფიქრებისგან ნაწარმოებს ქმნის. თავად მწერალსა და მის გმირ მიხა-შლს შორის არსებული ბევრი მსგავსების გამო მკვლევართა დიდი ნაწილი თვლის, რომ მიხა-შლი ავტორის ალტერ ეგოა⁸⁴. მწერლისა და მისი გმირის ცხოვრებაში მომხდარი იდენტური ფაქტების გარდა არის რამდენიმე მინიშნება, რაც

⁸² 1930-იანი წლების ბოლოს ბიოგრაფიის გაგება შეიცვალა. ის მხატვრულ ნაწარმოებად იქცა, რომელსაც წარმოსახული რომანის ხასიათი ჰქონდა.

⁸³ ჩვენ ამ ნაწარმოებების შემდეგ გამოცემებს გავეცანით: ალ-ხარრატი 2005გ, ალ-ხარრატი 1990, ალ-ხარრატი 1993.

⁸⁴ იხ.: ვესტი 2008, გვ. 246; ოსტელი 2006, გვ. 133.

შესაძლოა მათ იგივეობაზე მიგვითითებდეს. ემბა ვესტნის მოჰყავს ჭუსნი ჭასანის მოსაზრება, რომ მიხარულის გვარი კალდასი ’იღუპარ ალ-ხარრატის სრული სახელის ნაწილებისგან არის შექმნილი (ვესტნი 2008: 248). მწერლის სრული სახელის (’იღუპარ კულთურული ფალთას დუსუფ ალ-ხარრატის) ორი ნაწილის (კულთურული ფალთას) შექმნილი, მართლაც, შესაძლოა მივიღოთ მსგავსი ეღერადობის მქონე გვარი კალდასი. ასევე საყურადღებოდ მიგვაჩნია ის ფაქტი, რომ ბაგშვობის მოგონებებში მწერალი ხშირად საუბრობს ’ახმაში გატარებულ დღეებსა და იმ შთაბეჭდილებებზე, რომელიც მთავარანგელოზი მიქაელის ტაძარში წასვლის შემდეგ დარჩა⁸⁵. მწერლის მოგონებებში მთავარანგელოზის ხშირმა გამოჩენამ შესაძლოა გვაფიქრებინოს, რომ ბაგშვობაში მწერალი, ისევე, როგორც მისი მხატვრული გმირი, რაღაც განსაკუთრებულ კავშირს გრძნობდა მთავარანგელოზ მიქაელთან და, შესაბამისად, შეიძლება მიხარულის სახელიც მთავარანგელოზის სახელს უკავშირდებოდეს. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თავად მწერალი საკუთარი და მიხარულის პიროვნებების იგივეობას უარყოფს (ალ-ხარრატი 2005ა: 188).

ავტორი თავისი სახელით „მისი ქვიშა ზაფრანისფერია“-ს შესავალში მოგვმართავს, რომელიც გამოყოფილია რომანის ტექსტისგან, მთავარ ტექსტში კი უკვე მიხარულის ხმა ისმის. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ მიხარულის ხმა არ არის სრულად გამიჯნული ალ-ხარრატის ხმისაგან. შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ მიხარული მწერლის ალტერ ეგოა და მისი საშუალებით აღადგენს საკუთარ წარსულ ცხოვრებას. რომანში აღწერილია ის, რაც განიცადა ან განსაკუთრებულად აღიქვა ბაგშვმა, რომელიც ოდესდაც მიხარული იყო და შემდეგ უკვე ზრდასრულმა მთხოობელმა გაიხსენა. მიხარულის მოგონებები ყოველთვის არ მისდევს ლოგიკურ ხაზს, არ მიჰყვება კალენდარულ თარიღებს და საათებს, რაც განსაკუთრებულ ფორმასა და შინაარსს სძენს რომანს.

გ. ბაგშვის მოგონებები, ფანტაზია და გრძნობები

„მისი ქვიშა ზაფრანისფერია“ იწყება მიხარულის მოგონებით, თუ როგორ მიდიოდა ეტლით ბაგშვობაში. ამ ამბიდან მეხსიერებაში ცხენების გაოფლილი

⁸⁵ იხ.: ალ-ხარრატი 2005ა.

უკანალი და მათი „ძლიერ შეკავებული, გაბრაზებული“ ჭიხვინი დარჩა. მას ასევე ახსოვს ძლიერებისა და პატივისცემის გრძნობა, რომელსაც მის გვერდზე მყოფი ადამიანი იწვევდა (ალ-ხარრატი 1999: 7). მომხდარი ამბებიდან ხშირად მექსიერებაში მცირე, თითქოს უმნიშვნელო ელემენტები რჩება, რომლებიც მომხდარის თანმიმდევრულ შინაარს არა, მაგრამ ამ ამბით გამოწვეულ შეგრძნებებს გვახსენებს. როგორც ალ-ნოვაიჰი წერს, ჩვენ ბავშვებივით აღვიქვამთ და ვიხსენებთ ხმებს, გრძნობებს, გარკვეულ კადრებს. ჩვენი მექსიერება ყოველთვის არ ემთხვევა მომხდარ ფაქტებს, ის უფრო მეტად უკავშირდება ზოგად ატმოსფეროს. როცა ჩვენ ვოცნებობთ, ჩვენს არსებობასა და წარსულ დღეებზე ვფიქრობთ, ამბებს თანმიმდევრობით ქრონოლოგიური დროის შესაბამისად არ ვიხსენებთ, არამედ ვმოგზაურობთ წარსულსა და მომავალში (ალ-ნოვაიჰი 1994: 38). მიხარელი სვამს შეკითხვას: „ვინ იყო ჩემ გვერდით, ვის ეჭირა აღვირი“ („من كان إلى جنبي يمسك بالعنق“), მაგრამ არ ცდილობს, უპასუხოს ამ შეკითხვებს და კმაყოფილდება იმით, რომ ამ პიროვნებამ მასში ძლიერი გრძნობები გამოიწვია; მისთვის ამის ცოდნაა მნიშვნელოვანი (ალ-ხარრატი 1999: 7). მიხარელი არ ცდილობს ამ მოგონებას კონკრეტული ინფორმაცია დაუკავშიროს; არ აზუსტებს მოვლენებს, არამედ აღწერს ღრუბლებს, რომლებიც გახსენებულ შეგრძნებებთან ასოცირდება. შემდეგ ჩვენ ვცდილობთ გახსენებულ ფაქტებში წესრიგი აღვადგინოთ და ვიპოვოთ ლოგიკური კავშირი, მაგრამ თვითონ ალ-ხარრატი არ არის დაინტერესებული მსგავსი ლოგიკური თანმიმდევრობის აღდგენით. „ტექსტების“ შექმნისას ის ბავშვის მიერ აღქმულისა და ზრდასრულის მიერ მოგონებულის ერთგული რჩება. მიხარელი – ბავშვი წარმოსახვის საშუალებით აღიქვამს და გადმოგვცემს ამ სამყაროს, მიხარელი – ზრდასრული იხსენებს მას, ალ-ხარრატი კი ხელოვანის შემოქმედებითი ფანტაზიით ფორმას აძლევს ამ მოგონებებს.

ბავშვის მიერ სამყაროს აღქმა მჭიდროდ უკავშირდება შეგრძნებებს და თხზულებაში უხვადაა ხმების, სუნისა და საგნების მასალის ცოცხალი აღწერა. ეს გრძნობები მიხარელის ბავშვობის შემადგენელი ნაწილებია. ჩვენ ვხედავთ მიხარელს ფორთოხლისფერი, გამჭვირვალე, ექვსკუთხა კარამელით, რომელზეც სფინქსის ახალგაზრდული სახეა გამოსახული და მაზე ცხადად ჩანს წვერი (ალ-ხარრატი 1999: 11). ვიზიარებთ მის მღელვარებასა და ინტერესს, როცა გულმოდგინედ ათვალიერებს დედის ნივთებს: სპილოს ძვლით და სადაფით

ინკრუსტრირებულ სავარცხლებს, სუნამოს მინის ბოთლებს, რომლებიდანაც სუდანური სანდალოზის, ეგვიპტური უასმინის და იემენური ამბრის სურნელი იფრქვევა (ალ-ხარრატი 1999: 125). ჩვენც მასთან ერთად შევიგრძნობთ ქვიშის მოძრაობას მისი ფეხსაცმლის ქვეშ (ალ-ხარრატი 1999: 135). ცხადად ვხედავთ მეზობლის მკერდზე ამოზრდილ მწვერვალებს, რომლებსაც ბავშვი კაბის ამოჭრილი სახელოდან ხედავს; „მუქი და რბილი. [...] ჩემს ზემოთ, ისინი მძიმედ და მშვიდად შეირხა“; „أَسْمَرْ وَنَاعِمُ الْجَلْ ... عَالِيَاً عَنِّي، يَهْتَرِبُّ وَاطْمَنَّانْ“ (ალ-ხარრატი 1999: 13).

ყველა ქალს დამახასიათებელი სპეციფიკური სუნი აქვს, რომლითაც უკვე ზრდასრული მთხოვობელი იხსენებს მათ. ასევე ყველა ადგილს აქვს სპეციფიკური სუნი. ჩვენ თითქმის შეგვიძლია, ბავშვთან ერთად შევიგრძნოთ ქალალდის, მტვრისა და ქალის სუნამოს სუნი. ამ სუნს ის ბიძის საწოლის ქვეშ გრძნობდა, სადაც ხშირად გაურბოდა მრავალრიცხოვან ოჯახში არსებულ სმაურს და დამალული ჟურნალ-გაზეთებს ათვალიერებდა (ალ-ხარრატი 1999: 44). გახსენებულ განცდებს მთხოვობელთან ერთად გადავყავართ სხვა დროში და სხვა ადგილზე. ეს ცხადად შეგრძნებადი ელემენტები გვაცნობენ საგნებს, ადამიანებსა და ადგილებს, რომელთა შორისაც მიხარულმა ბავშვობა გაატარა. ასეთი აღწერის საშუალებით ჩვენ უბრალოდ კი არ ვაკვირდებით, არამედ მასთან ერთად განვიცდით ყველაფერს. აღწერა სავსეა ემოციებით; გრძნობები და სურვილები ამ ეპიზოდებს და მათ ბავშვისეულ აღქმას აფერადებს. ხშირად საგნებს და ადგილებს ორი საწინააღმდეგო თვისება აქვთ ერთდროულად. მაგ.: ვიწრო მტვრიანი ხეივანი, სადაც მან პირველი კოცნა შეიგრძნო, ფართო განათებულ ადგილად იქცევა (ალ-ხარრატი 1999: 152-153). ბავშვის ემოციები და ფანტაზია გარშემო არსებულ უძრავ საგნებს სიცოცხლეს ანიჭებს.

ამ ნაწარმოებში წარმოსახვა უბრალოდ კი არ აფორმებს მოგონებებს, არამედ ირევა მის გააზრებაში. მიხარულის ფანგაზიის ძალა ასუსტებს რეალურ და წარმოსახულ სამყაროებს შორის არსებულ საზღვრებს. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს შემდეგ მაგალითში: მას ესმის უფროსების საუბრის ნაწყვეტები. ყურს მოჰკრავს ამბავს ქალის შესახებ, რომელიც ქვედა სართულზე ცხოვრობდა და ქმარმა მოკლა. ამის შემდეგ ესმის ამ ქალის გაბმული და მტანჯველი კვნესა და საბნის ქვეშ იმალება. შეშინებული დამით კიბეზე მარტო ვეღარ ჩადის. მთხოვობელი იხსენებს ამ ამბებს, მაგრამ არ ამბობს, რომ შეშინებულ ბავშვს მოეჩვენა კვნესა, ის ამბობს: „مَجْ مَجْسَمِيْس“ (ალ-ხარრატი 1999: 148). მოგონებები,

რომლებშიც ბავშვის ფანტაზია და რეალობა ერთმანეთს ერწყმის და რომლებსაც სხვადასხვა ცოცხალი განცდა და ემოცია სდევს თან, რომანის ძირითად ნაწილს ქმნის. მოგონებებისაგან შექმნილ ქარგაში ჩართულია სხვადასხვა საინტერესო თემა. ბავშვობის ისტორიების და საკუთარი განცდების გახსენების ფონზე მწერალი განიხილავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა ადამიანის ცხოვრების სასრულობა, სიკვდილის შიში და ადამიანის სწრაფვა მარადიულობისკენ. ამასთან ერთად, მოგონებებით გამოწვეულ შეგრძნებებს ნაწარმოებში მაკავშირებელი ფუნქციაც ეკისრება. ეს გრძნობები ასოციაციურად აკავშირებს ერთ ამბავს მეორესთან და სწორედ ამ ასოციაციურ კავშირებს მიჰყვება თხრობა.

დ. ასოციაციური კავშირები

თხრობის ეს სტილი, რომელიც უკიდურესი სენსუალიზმით ხასიათდება და რომელშიც ჩართულია ემოციები და ფანტაზია, მხოლოდ ბავშვისთვის როდია დამახასიათებელი. ის ჩვეულია ზრდასრული მთხოობელისთვისაც და მასვე იყენებს ტრილოგიის მესამე წევრიც – ავტორი, რათა ერთმანეთს დაუკავშიროს ნაწარმოების განცალკევებული ნაწილები. სხვანაირად რომ ვთქვათ, სამყაროს აღქმისა და მასთან ურთიერთობის ეს ფორმა ასევე მნიშვნელოვანია ნაწარმოებში მიმდინარე ორი სხვა მოქმედებისთვის: გახსენებისა და თხრობისთვის (ალ-ნოვაიპი 1994: 40). ცხენები, რომლებსაც ბავშვი ნაწარმოების დასაწყისში აკვირდება, კვლავ ჩნდებიან პირველი თავის ბოლოს, სადაც უკვე სხვა აზრი და ფუნქცია აქვთ. მათი აღწერა ყოველგვარ კავშირს წყვეტს რეალობასთან და ფანტასტიკურ ხასიათს იძენს. ცხენები იმ ამბის ნაწილია, რომელიც მთხოობელის წარმოსახვის გარეთ, რეალურად არასდროს მომხდარა. მოგონება არ არის ობიექტური აღდგენაა იმისა, რაც რეალურად მოხდა და რაც იმალება ველური ოცნებისა და მოგონების ნიღბის ქვეშ. დროისა და ადგილის ასეთი მონაცვლეობის მიუხედავად, ნაწარმოებში გარკვეული წესრიგი მაინც არსებობს, რადგანაც ერთმანეთისგან თითქოსდა განსხვავებულ შემთხვევებს ღრმა ურთიერთკავშირი აქვთ მთხოობელის მოგონებებსა და წარმოსახვაში. თითოეული ამბავი ასოცირდება გარკვეულ შეგრძნებასთან და შემდეგ ამ შეგრძნებით უკავშირდება სხვა ამბავს. ასე რომ, საერთო ხაზი სწორედ ეს შეგრძნებაა, რომელიც, თავის მხრივ, იგსება წარმოსახვით. მიხარებლის

მოგონებებში სიცივის შეგრძნება უკავშირდება მამის სიკვდილს. ის ზამთრის სუსხიან, ცივ დამეს გარდაიცვალა (ალ-ხარრატი 1999: 97). სიცივის შეგრძნება მაკავშირებელ ელემენტად იქცევა ნაწარმოების მომდევნო ეპიზოდებში, სადაც მამის სიცოცხლეში მომხდარი ამბებია მოთხოვნილი. აქ სიცივე უკვე სხვა ხასიათისაა, არაა სასტიკი და აუტონელი. მამის სიკვდილთან ასოცირებული გაუსაძლისი სიცივის საწინააღმდეგოდ, რომელიც სულის სიცივედ იქცევა, ეს სიცივე გზას უთმობს სითბოს, რომელიც სახლს აფხებს. სახლში სითბოა, როცა მთელი ოჯახი ნახშირის დუმელთან ზის, ისინი თავს დაცულად გრძნობენ. აქ ნახშირი სიცივისგან თავის დაღწევის ერადერთი საშუალება როდია, სითბო ოჯახში მამის ყოფნას უკავშირდება (ალ-ხარრატი 1999: 98). სიცივე მაკავშირებელი ელემენტია შემდეგ ეპიზოდშიც. ჩვენ გადავდივართ იმ დროში, როცა ნახშირი გაძვირდა და მიხარლის ოთახი სითბოსთან ერთად ნავთის არასასიამოვნო სუნით ივხება. ეს ფაქტი მიგვანიშნებს, რომ სითბო მამის სიკვდილის შემდეგ შესაძლებელია, მაგრამ თან არ სდევს ისეთი სიამოვნებისა და უსაფრთხოების გრძნობა (ალ-ხარრატი 1999: 98-99). მომდევნო ეპიზოდებში მიხარლი ხშირად საუბრობს მამის მონატრებაზე.

ზოგ ეპიზოდში მთხოვნელს თითქოს მეხსიერება დალატობს და სწორედ მეხსიერების შესუსტება წარმოადგენს მომდევნო ეპიზოდებთან მაკავშირებელ ელემენტს. ბავშვი მიხარლი მიჰყვება დედას ზეთის საყიდლად, რომლითაც დედამ მთავარანგელოზი მიქაელის დღესასწაულითვის ტკბილეული უნდა გამოაცხოს. ისინი მოხუცი ბიძის მოსანახულებლად მიდიან, რათა ტკბილეული მიუტანონ და დღესასწაული მიულოცონ (ალ-ხარრატი 1999: 22-25). ამის შემდეგ მოდის ეპიზოდი, სადაც მიხარლს უკვე დამთავრებული აქვს უნივერსიტეტი. ის ხვდება ახალგაზრდა კაცს, რომელიც მასავით რევოლუციურ მოძრაობაშია ჩართული, მაგრამ მოგვიანებით აღმოჩნდება, რომ აგენტია. ეპიზოდის ბოლოს აღმოვაჩენთ, რომ აგენტი ახალგაზრდა ზეთის გამყიდვლის ვაჟია; ის გაბრაზებული, მოღუშული ბავშვი, რომელიც წლების წინ მიხარლმა ძლივს შეამჩნია (ალ-ხარრატი 1999: 24). ეპიზოდების ასეთი ფორმით დაკავშირება კარგი მაგალითია იმის, თუ როგორ აძლევს ალ-ხარრატი გახსენების პროცესს ნებას, მართოს ნაწარმოები. ახალგაზრდა კაცის ვინაობის გაგებისას ჩვენც გაოცების იგივე გრძნობა გვეუფლება, რაც თავად მთხოვნელს, როცა ამ ორ ადამიანს ერთმანეთთან აკავშირებს. ზეთის გამყიდვლის ვაჟი ჩვენთვის უკანა ფონზე

რჩება და მისაშლისთვისაც ჩრდილში ექცევა. ავტორი მნიშვნელოვნად არ თვლის, მიგვანიშნოს მისაშლის ცხოვრებაში მის მომავალ როლზე. ისიც სხვა გმირებისა და მომხდარი ამბების ზღვაში იკარგება. ალ-ხარრატი ირჩევს, დაგვტოვოს დროებით გაურკვევლობაში. ჩვენ მისაშლთან ერთად უნდა მიგყვეთ მოგონებების ნაკადს და მასთან ერთად ვეცადოთ, ვიპოვოთ კავშირები.

ე. სიმბოლური მნიშვნელობის მქონე სახეები

მისაშლის გრძნობებისა და ამ გრძნობებით გამოწვეული ასოციაციების გარდა მოგონებების დამაკავშირებელი ელემენტის ფუნქციას ასრულებს ბავშვის მიერ ნანახი სცენები, რომლებიც მის მეხსიერებაში სიმბოლური მნიშვნელობის მქონე სახეებად იქცა. ხშირად განმეორებადი სახეები თითქოს სიმბოლოებად იქცევა, რომლებიც თითქოს ნაწარმოების გაგების საიდუმლოს მოიცავს საკუთარ თავში. ამ სახეებიდან ყველაზე ხშირად მეორდება ცა და ჩიტები, ზღვა და მისი სანაპირო. ეს სახეები სიყვარულის, სიკვდილის, სულის გადარჩენის, დროისა და სივრცის შეზღუდვებისაგან ხსნის საკითხებს აერთიანებს. როგორც ალ-ხოვაიპი აღნიშნავს, ზღვისა და ცის სივრცეებთან დაკავშირებულ სახეებს შეუძლიათ, ადამიანს თავისუფლებისა და უკვდავების გემო აგრძნობინონ (ალ-ხოვაიპი 1994: 42).

სწორედ მსგავს სახეებს ვხვდებით ტექსტების სათაურებშიც. პირველი თავის სათაური „დაუმორჩილებელი თეთრი ღრუბლები“ (الصحابيُّون الْجَامِحُون) მიუთითებს ცის სურათზე, რომელიც მისაშლმა ბავშვობაში ნახა და კვლავ ცხადად ახსოვს (ალ-ხარრატი 1999: 7). ტექსტის დასაწყისში ცის სურათის მოთავსებით და მისთვის განსაკუთრებული როლის მინიჭებით ალ-ხარრატი მის სიმბოლურ მნიშვნელობაზე მიგვანიშნებს. ალ-ხოვაიპის მიხედვით, ამის დადასტურებაა რომანის მოკლე შესავალში არსებული ფრაზა „مِنْ غَوْرَنَةٍ“ (مِنْ غَوْرَنَةٍ), რომელშიც ამ სახეზე მინიშნებას ხედავს (ალ-ხოვაიპი 1994: 43) (ალ-ხარრატი 1999: 5). ჩიტი ფიგურირებს სამი თავის სათაურში. მეხუთე თავის სათაურია „مَاءُوْنَىٰ“ (مَاءُوْنَىٰ)، მეექვსე თავის – „تَهْرِيزَةٌ“ (تَهْرِيزَةٌ)، და მეცხვე თავის – „أَدَلَّةٌ“ (أَدَلَّةٌ). სხვა თავების სათაურებიც ასევე მოგონებებიდან და წარმოსახვიდან გაცოცხლებული სახეებია. რომანის

„მისი ქვიშა ზაფრანისფერია“ წეობა ამ სახეებს და მათ მიერ შექმნილ კავშირებს უფრო მეტად მიჰყება, ვიდრე ამბავთა რეალურ თანმიმდევრობას, რეალურ ადგილებსა და თარიღებს. სათაურში არ სახელდება ქალაქი ალექსანდრია, სანაცვლოდ, ავტორი გვთავაზობს სახეს. მაგდა ალ-ნოვაიპი აღნიშნავს, რომ ეს სახე ალექსანდრიის ზაფრანისფერი ქვიშების შესახებ ნამდერი პოპულარული სიმღერიდან არის ნასესხები (ალ-ნოვაიპი 1994: 43). სათაურში გამოყენებული ზაფრანისფერი ქვიშის სახის შესახებ საინტერესო ვერსიას გვთავაზობს ემმა ვესტნი. ის განიხილავს წარსულის ალექსანდრიის, როგორც დაკარგული სამოთხის, ნახევრად მისტიკურ აღწერას და საინტერესო კავშირს პოულობს რომანის სათაურსა და ერთ-ერთ ისლამურ ჭადისში მოცემულ სამოთხის აღწერას შორის:

...“[وَحْصَاهَا الْيَاقُوتُ وَاللَّؤْلُؤُ وَ تِرَابُهَا زَعْفَرَانٌ ...]” (ვესტნი 2000: 152);

„მისი კენჭები იაგუნდი და მარგალიტია და მისი ქვიშა ზაფრანი.“

მიხარელის ადრეული ასაკის მოგონებები ხშირად უკავშირდება ჩიტებსა და ფრენას. ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო და შთამბეჭდავ ვიზუალურ სახეს ქმნის ქუჩაში ლამპიონის შუქზე მსხდომი შავი ჩიტების მოგონება, რომელიც ჩუმი და საშიშია. მთხოვობელის თქმით, ეს მოგონება იმ დროს მიეკუთვნება, როც ის ორი ან სამი წლის იყო. ის ფანჯრიდან ხედავს საშიშ სურათს, რომელსაც წლების გასვლის შემდეგაც საკმაოდ დიდი ზემოქმედების ძალა აქვს, თუმცა გაზრდილ მიხარელს დედის დახმარების გარეშე არ შეუძლია, გაიხსენოს, ზუსტად როდის მოხდა ეს ამბავი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს სახე ერთ-ერთი თავის სათაურიცად. მოგონება გაურკვევლობის ელემენტებს შეიცავს, რადგანაც მთხოვობელს ზუსტად არ ახსოვს, სად და როდის ნახა ჩიტები, თუმცა თვითონ სურათი საკმაოდ ცხადია და ძლიერ ემოციას იწვევს (ალ-ხარრატი 1999: 76).

მეორე ადრეული მოგონება ფრენას უკავშირდება. განთიადისას ყურის ანთებით გამოწეული ტკივილითა და სიცხით გატანჯულ მიხარელს არ ეძინა. ამ დროს „ბაგშემა ანგელოზის ფრთების ცემის ხმა გაიგონა“, „سمع الطفل رفرفة أجحة الملك“: ფრთები საწოლის ირგვლივ მოძრაობდნენ. მან ტკბილი სუნიც იგრძნო, რომლის მსგავსიც შემდეგ არასდროს უგრძვნია (ალ-ხარრატი 1999: 93). აქ იგულისხმება, რომ ანგელოზმა შეისმინა დედის გულწრფელი ლოცვა და გადაარჩინა პატარა მიხარელი. მართალია, რაციონალური თვალსაზრისით, ამ მოგონებამ შესაძლოა ეჭვი გამოიწვიოს, მაგრამ არის

მინიშნებები, რომ ეს მართალია და მიხარლისაც სჯერა ამის. ბავშვის მიერ აღქმული ფრთების ხმა დარჩა მის გონებაში. წლების შემდეგაც ეს ამბავი ეჭვს არ იწვევს. შესაბამისად, ეპიზოდიც ცხადად და რეალურად არის წარმოდგენილი თხრობისას.

ტექსტში ხშირად გვხვდება სახეები, რომლებიც ზღვასა და ჩიტებს აერთიანებს. ვხედავთ ზღვიდან ამომართულ დიდ კლდეს, რომელიც თითქმის დაფარულია თოლიებით და ღრუბელს მოგვაგონებს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ცა დაეშვა ზღვაზე და მას შეერწყა (ალ-ხარრატი 1999: 112). რა თქმა უნდა, ალ-ხარრატის ამ რომანშიც ზღვა განსაკუთრებულ როლს თამაშობს. ზღვის სახე და მასთან დაკავშირებული წარმოსახვა ტექსტის ყველა დონეზე გვხვდება. თითქმის ყველა თავის ბოლოს ჩნდება ზღვა და ტალღები. ზღვის სამყარო სიზმრის მსგავს ირეალურ ამბებს უკავშირდება. სიზმრისა და წყლის ეპიზოდებში გმირი მსუბუქად, ყოველგვარი ძალისხმევისა თუ შიშის გარეშე დაუსრულებლად ეშვება წყლის სიდრმეში. ის ყვინთავს სიბნელეში; ექსტაზი მყოფი იძირება მისივე სხეულის ძლიერ ტალღებში; სიყვარულის ექსტაზის აღმოჩენისას ზღვის ტალღებზე მოტივტივე გემად გრძნობს თავს (ალ-ხარრატი 1999: 73). მიხარლი ხედავს, ან წარმოიდგენს წყლის ნაზ ტალღებს და მათი ხმის რითმებს, რომლებშიც ქალი დაცურავს. ეს ქალი აგონებს რანას, ქალს, რომელიც ადრე მოსწონდა, მაგრამ უკვე დავიწყებას მისცემია. მიხარლი უყურებს ქალს და იცის, რომ სიკვდილის მსგავსი სიყვარულით შეუყვარდება ის.

„[...] და ჩემი გული ქალისთვის ზღვის სივრცეა, მღელვარე მუდამ მდუღარე ტალღებით, რომლებმაც სიმშვიდე არ იციან“ (ალ-ხარრატი 1999: 53);

"...وأن قلبي هو ساحة بحرها اللجيّي الجياش أبداً بأمواج لا هدوء لها."

სატრუტოს თითები ზღვის ქაფთან ასოცირდება:

„ქაფი შენს მუქ მსუქან თითებზე ქათქათაა, როგორც ზღვის ქაფი მეცხრე და ბოლო ტალღაზე“ (ალ-ხარრატი 1999: 174);

"الزبد على أصابعك السمراء المكتنزة ناصع كرغوة البحر في موجته التاسعة والأخيرة."

მოგონება წყლის სხეულს ჰგავს და დღეები ტალღებია, რომლებსაც ადამიანები მიჰყავთ მიხარლის სანაპიროდან. მთლიანად ნაწარმოებიც ზღვას ჰგავს და მისი ცხრა თავი – ცხრა ტალღას. ზღვა ალექსანდრიის განუყოფელი ნაწილია და აქ ცხოვრება ნიშნავს გამუდმებით უყურო ამ უსაზღვრო სივრცეს, რომელიც თავის თავში მოიცავს სიკვდილს. ერთი მხრივ, ის მაგიურია,

დაუძლეველი, მისი სილამაზე – ამოუცნობი, მიუწვდომელი, მისი სივრცე – უკიდეგანო (ალ-ნოვაიპი 1994: 47). მისაშოლმა იცის, რომ ზღვა არის „თვით სიკვდილის ნაპირი“, „شاطئ الموت نفسه“ (ალ-ხარრატი 1999: 114).

ზღვის პირას მდებარე ალექსანდრია თავისებული ზღვარია ყოფნასა და არყოფნას შორის. ზღვა მას ხან ძალასა და ნუგეშს აძლევს, ხან კი შიშს ჰგვრის. ის ფლობს საწყის პოტენციალს, მაგრამ, ამასთანავე, გმირისთვის სიკვდილთან ასოცირდება. ზღვის ტალღებზე მოტივტივე ნავი, რომელშიც მისაშოლი აღმოჩნდება, სიცოცხლის სიმბოლური სახეა. ნავის აღწერა საკმაოდ რეალურად იწყება და თანდათან სიზმარს ემსგავსება. ის პატარაა და მისაშოლს ჰგონია, ერთ წუთში გადაივლის მთელ ნავს, მაგრამ ლაბირინთის მსგავს კორიდორებში აღმოჩნდება, რომლებიც კიდევ სხვა კორიდორებში გადის. ხედავს მინის ფანჯრებს, საიდანაც სხვადასხვა ხედი ჩანს და კიბეებს, რომლებიც უსასრულობას უერთდება. ეს ნავი, ეს ცხოვრება ძალიან პატარაა და თავის თავში ძალიან ბევრს მოიცავს. ის ყოველთვის განადგურების, დაღუპვის ზღვარზეა დიდი მშეოთვარე ტალღებისა და მშიერი თოლიების პირისპირ, რომლებიც თავს დასტრიალებენ და მზად არიან, დააცხრნენ (ალ-ხარრატი 1999: 36).

ვ. ზღვისა და ზაფრანისფერი ქვიშის ქალაქი

„მისი ქვიშა ზაფრანისფერიაზე“ მსჯელობისას ცალკე უნდა შევჩერდეთ თვით ალექსანდრიაზე, ქალაქზე, რომელიც ზღვის უკიდეგანო სამყაროსა და შეზღუდულ ფიზიკურ არსებობას შორის ხიდის როლს ასრულებს. ეს ქალაქი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ალ-ხარრატის შემოქმედების ერთ-ერთ ძირითადი თემაა. ალექსანდრია ისტორიული, რელიგიური და ფილოსოფიური სამყაროა მწერლისთვის. აქ უდაბნოსა და ზღვის შესანიშნავი ნაზავია. ქალაქმა ბევრი რამ გადაიტანა, იქამდე გაიზარდა, ვიდრე არ დაეცა და განადგურა. დიადი ალექსანდრიიდან მოგონების გარდა არაფერი დარჩა, მაგრამ მოგონებებიდან ამოდის მისი სული, ჩრდილიდან იბადება ლეგენდა, ლეგენდა იმ დიდებული ქალაქის, რომელიც ჯერ კიდევ ვერ შევიცანით და არ ვიცით, რომ ის არის ეგვიპტე, წერს ’აჭმად ‘აბდ ალ-მუ’ტი ალ-ჭიჯაზე (ალ-ჭიჯაზ 2000: 106). ‘აბდ ალ-მაჯიდი წერს, რომ ალ-ხარრატისთვის ალექსანდრია სამშობლოა. მიუხედავად

იმისა, რომ შემდეგ საცხოვრებლად კაიროში გადავიდა, ალექსანდრია მაინც რჩება მოგონებების მთავარ ქალაქად; ის მწერალს ფანტაზიისა და ფრენის თავისუფლებას აძლევს. ალექსანდრია კაცობრიობისათვის კოსმოპოლიტური ცენტრია. მწერალმა სცადა, აქ მიღებული გამოცდილება და თვით ეს სამყაროც რომანში მოექცია (‘აბდ ალ-მაჯიდი 2000: 95). ხმელთაშუა ზღვის ამ ქალაქმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სხვადასხვა კულტურის ასიმილაციაში. მასში ისევე, როგორც ალ-ხარრატის რომანში, სხვადასხვა რწმენა და, შესაბამისად, განსხვავებული ხედვა უკავშირდება ერთმანეთს.

„ალექსანდრიულ ტექსტებში“ ერთად არის მოთხოვობილი ავტორისა და ქალაქის ისტორია. სადაც შინაგანი და გარეგანი სამყარო ერთმანეთში ირევა და ქმნის მეორე მსოფლიო ომის დროინდელი ალექსანდრიის განსაკუთრებულ სახეს. „მისი ქვიშა ზაფრანისფერია“ მინაშელის და, შესაბამისად, მწერლის ბავშვობის შთაბეჭდილებებს გადმოგვცემს, როგორ იზრდებოდა ის და მისი ცნობიერება ამ ქალაქში 1947 წლამდე. ამბავი ალექსანდრიაში ბრიტანეთის წინააღმდეგ მიმდინარე დემონსტრაციითა და ჯარისკაცების მიერ დემონსტრაციების დახოცვით მთავრდება.

ტექსტში არსებულ ირეალურ ამბებთან, მთხოვბელისა და ბავშვის წარმოსახულ სცენებთან ერთად მწერალი მაშინდელ საზოგადოებრივ და ისტორიულ მოვლენებსაც აღწერს და მათთან საკუთარ კავშირზე მიგვითოთებს. მოგვითხობს თავისი რევოლუციური საქმიანობის შესახებ, როგორ მონაწილეობდა დემონსტრაციებში, როგორ იხილა სტუდენტთა დარბევა არმიისა და პატარა ყვითელი ტანკების მიერ მუჭარამ ბიქში (مِحْرَم) (ალ-ხარრატი 1999: 29-30). მუჭამად სიდდიკი წერს, რომ მინაშელი, ბავშვი, აღიქვამს ალექსანდრიის სოციალურ და პოლიტიკურ გარემოს ქალაქის მისეული მიკროკოსმიური კერძის საშუალებით. მოგვიანებით იგივეს სრულიად სხვა ემოციურ დონეზე იაზრებს უკვე ზრდასრული მთხოვბელი, რომელმაც ნაწარმოების შექმნის დროს, ანუ საუკუნის მიწურულს, გაცილებით მეტი იცის ეგვიპტური საზოგადოებისა და პოლიტიკის შესახებ (სიდდიკი 2007: 73-74). მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ მთელი რომანის მანძილზე ავტორი გარკვეულ პარალელებს ავლებს, რა მოხდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში და რა შეემთხვა მას და მის ოჯახს.

„ომი დამთავრდა და ბრიტანელთა საზღვაო საწყობები ქაფრ ‘აშარაზე დაიკუტა. ინგლისელები წავიდნენ, ზოგი მათგანი სახლში და ზოგი კი სუეციის არხთან მდებარე ყაზარმაში. მე საინჟინრო ფაკულტეტი დავამთავრე და წელიწადნახვარი სამსახურის ძებნაში გავატარე“ (ალ-ხარრატი 1999: 30);

"وانتهت الحرب وأغلقت مخازن البحرية البريطانية في كفر عشري وذهب الإنجليز بعضهم إلى بلاده وبعضهم إلى تكناط قال السويس و تخرجت من كلية الهندسة و قضيت سنة و نصفاً أبحث عن عمل".

1948 წლის დამარცხებას და ისრაელის დაკარგვას აღწერს, როგორც „ოცნების სიკვდილს“. პარალელურად მოთხოვობილი მისი ოჯახის ერთ-ერთი წევრის, რაფლა ეფენდის, სიკვდილი.

„მოკვდა მას შემდეგ, რაც მე ბაკალავრის დიპლომი ავიდე. მაშინ დაპატიმრებული ვიყავი ტურში. 1948 წელს ომი დამთავრდა პალესტინის დაკარგვით“ (ალ-ხარრატი 1999: 50);

"مات بعد أن حصلت على البكالوريوس، وكانت عندهم معنقد في الطور، وحرب قد انتهت بضياع فلسطين".

საზოგადო და პირად ცხოვრებას შორის ამ პარალელიზმის კიდევ ერთი ცხადი მაგალითია შემდეგი ნაწევეტი:

„დასურათებულ გაზეო ალ-ლატა'იფში წაიკითხა, რომ მისი უდიდებულესობა მურად სად აჭმად ბაზა გერმანიაში ეგვიპტის სრულუფლებიან ელჩად დაინიშნა, მას შემდეგ, რაც იგივე თანამდებობას იკავებდა ბელგიაში. [...] მამამისი (სამსახურის) ამაო ძებნით დაქანცული და განადგურებული დაბრუნდა.“ (ალ-ხარრატი 1999: 81-82);

"قرأ في اللطائف المصورة أن حضره صاحب السعادة مراد سيد أحمد باشا عين وزيراً مفوضاً لمصر بألمانيا بعد أن كان يشغل هذا النصب في بلجيكا ... عاد أبوه من هناك، هالكا من البحث والفشل".

იდუარ ალ-ხარრატის რომანში თარიღებსა და ისტორიულ ფაქტებს ქალაქის სახის ხელახლა შექმნის ან გაცოცხლების ფუნქცია ენიჭება.

ალ-ხარრატი საუკეთესოდ გვაცნობს ალექსანდრიას ტრამვაის საშუალებით, რომელიც ყოფს და აკავშირებს ალექსანდრიის მდიდარ და დარიბ უბნებს. ამ რომანში ტრამვაით მწერლის მოგზაურობა მარმარილოს ქალაქში ფიზიკურ მოგზაურობასთან ერთად მენტალურ მოგზაურობასაც გულისხმობს. თხობისას მთავარი გმირი, და მასთან ერთად ჩვენც, ტრამვაის ალექსანდრიის ერთი უბნიდან მეორეში, ერთი ბოლოდან მეორეში გადავყავართ. ვხედავთ ალექსანდრიის ფართო და სუფთა ქუჩებს და იქვე დარიბ და პატარა კვარტლებს, სადაც მიხარები ცხოვრობს. ტრამვაი საოცრებათა სამყაროში და „ათას ერთი ღამის მიწაზე“ ავტორის წარმოსახვითი მოგზაურობის

საშუალებაცაა. ერთ ეპიზოდში მგზავრობის რეალური აღწერა არარეალურ ამბავში გადადის. ტრამვაის მიჰყავს ალ-ნაბა დანიდანის ქუჩაზე, შემდეგ ის შედის ეზოში, სადაც ცხელა და შადრევნიდან წყლის ნაკადი ამოდის, წყალი მოზაიკით გაწყობილი გრიფონის პირიდან იღვრება.

„მე შიშველი ვიყავი. გარშემო რამდენიმე ახალგაზრდა გოგონა მეხვია. მე ვხედავდი და შევიგრძნობდი მათ რბილ და სავსე სხეულებს...“ (ალ-ხარრატი 1999: 133);

"كنت عارياً وحالي الجواري الخود، أراهن وأحسّهن ناعمات، مليئات الأجسد."*

მეგგი ავადალლას აზრით, ალექსანდრია ალ-ხარრატის წარმოსახვაში საყვარელ ქალად წარმოგვიდგება. ის ერთდროულად საოცნებო ქალი, მუზა და ფენიქსია, რომელიც აღსდგება ფერფლიდან. ალექსანდრია ასევე არის ჰოროსი, სიბნელის შავი ჩიტი და ლამაზი თეთრი თოლია. ნაწარმოებში ქალაქი იქცევა სამყაროდ, რომელშიც ეროტიზმი, მისტიციზმი, ირეალური და რეალური ერთმანეთში ირევა (ავადალლა 1991: 229).

ზ. დაკარგვის გრძნობა

„მისი ქვიშა ზაფრანისფერიას“ შესავალში ალ-ხარრატი აღნიშნავს, რომ „თეთრ-ცისფერ ქალაქში პოგნისა და დაკარგვის“ ამბავს ყვება (ალ-ხარრატი 1999: 5). მიხარების ცხოვრებას, და შესაბამისად ნაწარმოებსაც, ფონად გასდევს დანაკარგის გრძნობით გამოწვეული სევდა, რომელშიც ჩაბეჭდილია სხვა განცდები და შთაბეჭდილებები. დანაკარგის გრძნობა ხშირად სხვადასხვა ისტორიის მაკავშირებელი ელემენტი ხდება. დანაკარგით გამოწვეული სევდა და ტკივილი აერთებს შემდეგ სამ ეპიზოდსაც: პირველ მათგანში მიხარები ეკლესიაში ნაპოვნ ვერცხლის მონეტას კარგავს (ალ-ხარრატი 1999: 124); მეორეში აღწერილია აქლემის ფორმის სამელნე, რომელიც იერუსალიმიდან დაბრუნებულმა დეიდაშვილმა აჩუქა (ალ-ხარრატი 1999: 124); მესამე ეპიზოდი კი დეიდას და მის ოჯახს ეხება, განსაკუთრებით კი დეიდაშვილ შიტშატს, მის პირველ მეგობარს (ალ-ხარრატი 1999: 127). თითოეული მათგანი მიხარები დანაკარგით გამოწვეული განცდებით მთავრდება. ვერცხლის მონეტის დაკარგვას დიდი სევდა არ მოუტანია. ამ პატარა დანაკარგის მოგონება სხვა უფრო მნიშვნელოვანი და უფრო მტკიცნეული დანაკარგების გახსენებას იწვევს.

აქლემის ფორმის სამელნე მისთვის ძალიან ძვირფასია და როცა მას კარგავს, თითქმის სასოწარკვეთილი მონდომებით ეძებს. მისი დაკარგვა მოურჩენელ იარას ტოვებს. მესამე დანაკარგი, დეიდაშვილისა და მეგობრის ჟიტშატის სიკვდილი, ყველაზე მძიმეა. მიხარული ეკითხება თავის თავს:

„ნუთუ ეს იყო პირველი დანაკარგი? ეს იყო პირველი ძლიერი დარტყმა, რომელიც თითქმის დავივიწყე...“ (ალ-ხარრატი 1999: 128);

"هل كان هذا أول فقدان؟ وهل كانت الضربة من القوة حتى كدت أنساها...".

თითოეული მოგონება კიდევ სხვა მოგონებას იწვევს და მიხარულთან ერთად ჩვენ მივყვებით ამ ხაზს, სანამ თვით ცხოვრება საყვარელი საგნებისა და ადამიანების დაკარგვის სერიებად არ იქცევა. ჩვენ ვხვდებით, რომ ვერცხლის მონეტა, აქლემის ფორმის სამენლე და ასევე ჟიტშატი ამ მუდმივი დანაკარგის გრძნობის გამოხატულებაა. ზოგიერთ ეპიზოდში იხსენებს ძეელ მეგობრებს, რომლებიც ცხოვრების დინებამ სადღაც წაიყვანა და მათი კვალიც კი დაიკარგა (ალ-ხარრატი 1999: 78, 109).

თ. სიკვდილით სავსე სიცოცხლე

საყვარელი ადამიანების დაკარგვით გამოწვეული სევდა მიხარულის ცხოვრების მუდმივად თანმდევ ელემენტად იქცა. ამ პრობლემას მივყავართ მეორე საკითხთან, რომელიც „მისი ქვიშა ზაფრანისფერიას“ ერთ-ერთი მთავარი თემაა. სიკვდილი, სიკვდილის შიში და მისი დამარცხების სურვილი მიხარულისთვის და, შესაბამისად, ავტორისთვისაც აქტუალური საკითხებია. ხშირად სიმბოლოებად ქცეული სახეებიც სიკვდილზე მიგვანიშნებენ, ჩიტისა და ზღვის სახეები ხშირად სიკვდილს უკავშირდება. მაგალითად, მშიერი საშიში შავი თოლია, რომელიც სიბრალულის გამომხატველი თვალებით ეშვება მიხარულისკენ, სიკვდილის მაცნეა. მის თვალებში მთხოვობელი სასიკვდილო განაჩენს ხედავს (ალ-ხარრატი 1999: 36). ჩიტი, როგორც სიკვდილის მაცნე, ჩვეული მოტივია კლასიკური არაბული პოეზიისთვის. ეს გავლენა იგრძნობა თანამედროვე არაბ მწერლებზეც (ალ-ნოვაიდი 1994: 46). სიკვდილი ასევე ხშირად ფრენის ფორმას იდებს: ვინც კვდება, მიწაზე კი არ ეშვება, უსაზღვრო სივრცეში გადადის. მიხარული ხედავს გოგონას, რომელიც თავს იკლავს. ის მოპირდაპირე შენობის აივნიდან ხტება. სხეულის მიწაზე დაცემის ხმა ესმის და

ამ დროს კვლავ ფრენასთან ასოცირებული სახე ჩნდება; დაცემის ხმა გარშემო მყოფ მტრედებს ააფრენს ხეებიდან, მათ მოფარფატე ფრთებს დაისის წითელი ფერი ედება, თითქოს წითლად იწვის ალმოდებული (ალ-ხარრატი 1999: 172). მიხარელი გოგოს დაცემას ხედავს, როგორც ფრენას.

„გხედავ გოგონას ფრენას, რომელიც გარდება, ის მიფრინავს...“ (ალ-ხარრატი 1999: 178);

”أري رفرفة البتت التي تسقط، وهي تطير....“

თეთრი ღრუბლების სახე, რომლითაც ნაწარმოები იწყება და რომელიც პირველი თავის სათაურშიც გვხვდება, კვლავ ჩნდება ბოლო თავში; თითქოს უკან ვბრუნდებით, ან ავტორი გვახსენებს დასაწყისს და იმ მანძილს, რომელიც მიხარელის გონებაში გამოვიარეთ (ალ-ხოვაიჰი 1994: 46). ახლა ღრუბლებს წითელი ელფერი დაპკრავს, რადგანაც დღე, ისევე როგორც გოგონას სიცოცხლე და ნაწარმოებიც მთავრდება. მიხარელის წარმოსახვა ცვლის რეალობას, ის ხედავს გოგონას მარადიულ ფრენაში, მისი სხეული არ აღწევს მიწამდე. მისი სიკვდილი უსასრულობაში გადასცლად იქცევა. ამის მონაწილე თავადაც ხდება; გრძნობს, რომ შორსაა მიწიდან, მაგრამ თავს უსაფრთხოდ გრძნობს პაერში, თავისუფლების შეუზღუდავ, უსაზღვრო ფრენაში და არ ეშინია დაცემისა და სიკვდილის (ალ-ხარრატი 1999: 178). „მისი ქვიშა ზაფრანისფერია“ მთავრდება მიხარელის მიერ საკუთარი სიკვდილის წარმოსახვით, სიკვდილი მარადიული მოგაზურობის სახეს იდებს. ამ სახეში შერეულია სიყვარული, ფრენა და ზღვა. ბოლო ეპიზოდში საპროტესტო დემონსტრაციისა და სისხლიანი შეტაკების საკმაოდ რეალისტური აღწერა თანდათან პალუცინაციურ ელფერს იდებს.

„დაგინახე ცეცხლმოკიდებული სხეულები როგორ ცვიოდა მაღალი ფანჯრებიდან, პაერში ტრიალებდნენ და შორს ზღვაში ცვიოდნენ. თავები ტალღებზე ტივტივებდნენ, ღია პირებიდან კივილი ამოსდიოდათ, რომელიც არასდროს წყდება“ (ალ-ხარრატი 1999: 182);

”رأيت الأجساد التي أمسكت بها النار تلقي من النوافذ العالية، وتتقلب في الهواء، وتتسقط بعيداً في البحر، وكانت الرؤوس تطفو فوق الأمواج مفتوحة الأفواه بصرخة لن تصمت أبداً.“

ამ თავების აქაფებული ტალღებიდან სატრფოს სახე ჩნდება, თვალები ტალღებს მიუგავს. მისი თვალებით დაჭრილი გმირი იძინებს. ღრიალა ზღვიდან მტრედების ანთებული ფრთები ამოდის, გმირი მაღლა ცის წმინდა ნაზ სილურჯეში მიჰყავთ და ამ სილურჯეში იწვის უსასრულოდ (ალ-ხარრატი 1999: 182). მიხარელი იდებს

სიკვდილს, როგორც გარდაუვალს, მაგრამ უარყოფს მის არსებობის შემწყვეტ ძალას. წვა მარტო ტკივილი როდია, ნაწილობრივ სიამოვნებაცა, რაღანაც მასში არსებული ჯოჯოხეთი იმ ჭრილობის შედეგია, რომელიც საყვარლის ლამაზმა თვალებმა მიაყენა და ტანჯვა მწველ სექსუალურ სურვილს პგავს. წმინდა, ნაზ, ლურჯ ცაში ტკივილი ნაკლებ მტანჯველი ხდება. მიხარების უფრო მნიშვნელოვანია, რომ სამუდამოდ დარჩეს ზეცაში და არ გაქრეს არარაობაში.

რამდენიმე ეპიზოდში მთხოვობელი წყალში ეშვება. მიხარების წარმოდგენებში ზღვაში ჩაძირვით სიკვდილი არც მტკიგნეულია, არც არყოფნაში გადასვლაა. სიკვდილის, ფრენის მსგავსად, ფანტასტიკურად აღწერა არყოფნის შიშხე წარმოსახვით გამარჯვებას გვთავაზობს (ალ-ნოვაიზი 1994: 48). როცა მიხარები წყალში იძირება, წყალი ნაზად და თბილად ეხვევა და ითრევს. ის არც აღელვებულია და არც შეშინებული. ზღვის სიღრმეში ხედავს ვაზს, რომელსაც უხვად ასხია შავი ყურძნის მტევნები. მტევნებს შორის კი სატრფოს სახეს ხედავს:

„წყლის დინებაში წყლის გულში გაფანტული ქვემოდან მომავალი სინათლის სხივები ანათებს მას, სხივები დიდი სანთლის ალმოდებული პატრუქიდან. ტალღა ისე არხევს, თითქოს ხატია დასველებული კანით; მასში სხვა სიცოცხლეა...“ (ალ-ხარრატი 1999: 159-160);

"ينيره في السيولة، من تحت، إشعاع نور متقد في قلب الماء، من شمعة كبيرة نبالتها المشتعلة يهتز بها الموج كأنه أيقونة
محضلة البشرة، وفيها حياة أخرى..."

ეს წყლაქვეშა სამყარო საშუალებას აძლევს მიხარელს, მიიღოს გარდაუვალი სიკვდილი და არ შეეწინააღმდეგოს მას. მიხარები მიმართავს სატრფოს:

„შენ მეცხრე ხე ხარ. შენ ქარი ხარ ღრმა წყლებზე... პირველი, ვინც შიშველი ფეხი დაადგი ყურძენს...“ (ალ-ხარრატი 1999: 160);

"أنت الشجرة التاسعة. أنت الريح على المياه العميقية... أول من دست على العنبر بقدميك العاريتين."

მიხარები იცის, რომ „სხვა ღროში“⁸⁶ („في الزمان الثاني“,) აუცილებლად შესვამს ამ ნაყოფის ღვინოს, რაღანაც ყურძენი უკვე დამწიფდა.

სხვა შემთხვევაში ზღვაში ჩაშვებისას გმირი დაუსრულებელ გამოქვაბულებში ხვდება. უყოფმანოდ ჩადის კიბეზე, რომელსაც წყალში და

⁸⁶ ეს ფრაზა გვაგონებს ალ-ხარრატის ერთ-ერთი რომანის სათაურს: „სხვა ღრო“ („الزمن الآخر“), 1985).

შემდეგ გამოქვაბულში ჩაჲყავს. ეს გვირაბები ტალღების ქვეშ კლდეებშია გამოკვეთილი და უჩვეული სინათლით არის განათებული, რომელიც არც მზის ნათელს ჰგავს, არც სანთლისა და არც ნათურის შუქს. მოგზაურობა სპილენძის კედლებით შემოსაზღვრულ ქვიშიან ველზე მთავრდება. ეს წრეა, რომელსაც კარი არ აქვს, თუმცა გმირს აქედან გასვლა არც უნდა, რადგანაც აქაც სატრფოს ხედავს. ზღვაში განწმენდის შემდეგ მიხარული ისვენებს, თავი სატრფოს კალთაში უდევს და ფერად რგოლებს ხედავს, რომლებიც უსასრულობამდე ფართოვდება და უჩვეულო სინათლედ ჩნდება. მიხარულისთვის შორეული ტალღების ქვეშ არსებულ სამყაროში სინათლე და ფერები, სიობო და სიყვარულია, რეალობაში კი სიბნელისა და სიცივის გარდა გერაფერს ხედავს. თუმცა, წარმოსახვა ყოველთვის ვერ ვხმარება უკალოდ გაქრობის შიშთან ბრძოლაში. მის გონებაში სადღაც ყოველთვის არის საფრთხე, რომ ფერადი სამყარო გზას სიბნელეს დაუთმობს. გამოქვაბულებისა და ქვიშიანი დაბლობის ლამაზი სამყარო ამ ფიქრით იმსხვრევა. ის უყურებს საოცარ სინათლეს და იცის, რომ შავი ჩრდილები გამოჩნდება ზევით, ციდან ჩამოცვივდება (ალ-ხარრატი 1999: 92).

საბრძო ჰაფიზისთვის მიცემულ ინტერვიუში ალ-ხარრატი აღნიშნავს, რომ მასში დიდ ინტერესს იწვევს ის წინააღმდეგობა, რომელიც ადამიანის ცხოვრების წარმავალობასა და უკვდავებისკენ სწრაფვას შორის არსებობს: „რატომ არის მარადიული ცხოვრების ასეთი სურვილი? რატომ არის ადამიანში სწრაფვა იმისკენ, რასაც უკვდავება ჰქვია მიუხედავად იმისა, რომ ეს სურვილი განწირულია შეუსრულებლობისთვის?“ (ჰაფიზი 1982: 94). შესაძლოა, სწორედ ამ ინტერესის გამოვლენაა მისი გმირის სურვილები და მისწრაფებები. მიხარული გამოუდმებით გაურბის რეალობასა და მის სასრულობას, მიიღოვის უკიდეგანო სივრცეებისკენ, სადაც შემბოჭავი საზღვრები არ არსებობს, დრო ჩერდება და მას სასრულობის განცდით გამოწვეულ შიშს უკარგავს. სიკვდილზე გამარჯვების სურვილი ჩანს ასევე ’იდჟარ ალ-ხარრატის ნოველაში „ქუჩებში“ („فِي الشَّوَارِع“), რომელმაც სახელმწიფო პრემია მოაპოვებინა ავტორს. ამ ნოველაზე საუბრისას ამაღ ფარიდი ამბობს: „ეს ნოველა ჩვენს ლიტერატურაში ერთ-ერთი ყველაზე ექსპრესიული სურათია, რომელიც ველური მხეცივით სიცოცხლეზე მონადირე სიკვდილის სახეს წარმოგვიდგენს“. შემდეგ გვიხატავს სცენას, სადაც მთავარი გმირი ებრძვის სიკვდილს ან დაუდგენელ მკვლელს (ფარიდი 1982: 203).

როგორც ნაწარმოებიდან ჩანს და თავადაც ამბობს, სიკვდილი მუდამ თავს დასტრიალებს მიხარებს:

„მასში (ცხოვრებაში) სიკვდილი უხვად იყო“, „كان الموت فيها كثيرا“ (ალ-ხარრატი 1999: 174).

ზმანების მსგავს ეპიზოდებში ხშირია სიკვდილის შემთხვევები, რაც უფრო ამძაფრებს მათ. სიკვდილის ფაქტები, ზოგი გაგონილი, ზოგი ნანახი და ზოგიც მხოლოდ წარმოსახული, წინასწარ მიანიშნებენ ერთმანეთზე, მათში ერთმანეთის გამოძახილია. რაღაც გარკვეულ მომენტში კი ჩვენი ყურდღება შორდება სიკვდილის ამბებს და იმ ადამიანებს, რომლებიც გარდაიცვალნენ. თითქოს თვითონ სიკვდილი იქცევა იდეად, რომლსაც ვერ ვშორდებით, ძალად, რომელსაც იძულებული ვართ, შევეგუოთ. სიკვდილის მოლოდინი არსებობის ფორმად, ზაფრანისფერ ქალაქში ცხოვრების და ამ ნაწარმოების კითხვის მდგომარეობად იქცევა. თითოეული სიკვდილი ნაწინასწარმეტყველებია მასზე ადრე მომხდარი გარდაცვალების ფაქტით და თავადაც მიგვანიშნებს სხვა შემთხვევაზე, რომელიც შემდეგ მოხდება; აქ იგულისხმება ნაწარმოებში არსებული თანმიმდევრობა და არა ქრონოლოგიური თანმიმდევრობა. მაგალითად: გოგონას სიკვდილი, რომელიც აივნიდან ხტება, ნაწინასწარმეტყველებია მიხარელის სიზმარით. ის ხედავს, როგორ ვარდება აიგანი, რომელიც პირდაპირ უყურებს სკოლას და საიდანაც გოგონა ხტება. სიზმარში აიგანი სავსეა ხალხით, რომლებიც ჩუმად არიან (ალ-ხარრატი 1999: 170). საინტერესოა, რომ მსგავსი შემთხვევა მოთხრობილია ალ-ხარრატის ერთ-ერთ ნოველაში „დაცემამდე“ («قبل السقوط»). აღწერილია ადამიანებით სავსე აიგნის ჩამონგრევის სცენა (ალ-ხარრატი 1983: 32). მართალია, მიხარელის სიზმარი მოთხრობილია ორი გვერდით ადრე, ვიდრე ნაწარმოებში თვითმკვლელობის სცენას შევხვდებით, მაგრამ ცხადად ჩანს, რომ ეს არის კოშმარი, რომლითაც მიხარელი იტანჯება მას შემდეგ, რაც თვითმკვლელობას შეესწრო. ალ-ნოვაიჰი აღნიშნავს, რომ სიზმარი წინასწარი მინიშნებაა არა მიხარელის, არამედ მკითხველისთვის. ამ მეთოდის გამოყენებით ალ-ხარრატს შეუძლია, მიაღწიოს რამდენიმე შედეგს, რომელთა მიღწევა ერთდროულად სხვაგვარად შეუძლებელია. ჩვენ შეგვიძლია, განვიცადოთ ბავშვთან ერთად და გავიგოთ, მივხვდეთ და დავაკავშიროთ უკვე ზრდასრულ მთხობელთან ერთად. ჩვენ შეგვიძლია, მონაწილეობა მივიღოთ როგორც ამ ამბის განცდაში, ისე მის

თხრობაში (ალ-ნოვაიჰი 1994: 49-50). მწერალს შეუძლია შეუმჩნევლად დააკავშიროს დეტალები, გმირები და მოვლენები ისე, რომ ისინი ერთმანეთისგან დამოუკიდებელ ელემენტებად დარჩნენ.

ერთგვარი წინასწარმეტყველების მაგალითია მამის სიკვდილთან დაკავშირებული ეპიზოდები. უფრო ადრე მოთხოვობილი ეპიზოდები ამა თუ იმ ფორმით მიუთითებენ ადამიანის მოკვდავ ბუნებაზე. ავადმყოფ მიხაილს გადაარჩენს ანგელოზი, რომლის ფრთხების ცემაც ესმის (ალ-ხარრატი 1999: 93); საშიში შავი ჩიტების დანახვის შემდეგ შეშინებულ ბავშვს დედა აწყნარებს, ის კი აღელვებული კითხულობს მამას (ალ-ხარრატი 1999: 76); ბავშვი საკვირაო სკოლიდან ბრუნდება და ხედავს სამხარეულოში ჯერ კიდევ ცოცხალი კრევეტებით საგვე თასს. ეს სურათი მასში უცნაურ გრძნობას იწვევს და ამბობს: „شَفِيْقَةَ الْمُوْتَ الْبَطِئِ“، „وَاحْسَنْتَ بِمُوسِيقِيِّ الْمُوْتِ“ (ალ-ხარრატი 1999: 96). ამ მუსიკასთან დაკავშირებულ ასოციაციებს იწვევს იმ სურათის ნახვაც, რომელზეც ჩვილი იქსო და წმინდა სიმონი არიან გამოსახულნი. სურათი სახარების ეპიზოდს გადმოგვცემს, როდესაც მშობლებს ყრმა იქსო ტაძარში მიჰყავთ და წმინდა სიმონი იხილავს მას (ლუკა: 2, 22-32). ამ სურათის ხილვისას ახსენდება მამა. წმინდა სიმონი მზრუნველად და თბილად დაჟყურებს ყრმა იქსოს და ეს მიხა-შლისთვის მამობრივ ზრუნვასთან ასოცირდება. ახსენდება მამის მონათხობი წმინდა სიმონის შესახებ: ანგელოზმა უთხრა წმინდა სიმონს, იქამდე არ მოკვდებოდა, ვიდრე უფალს არ იხილავდა. მიხა-შლი ამ ამბავს ანგელოზთან აკავშირებს, რომელმაც ავადმყოფობისას გადაარჩინა. და ბოლოს, მიხა-შლს იმედი აქვს, რომ წმინდა სიმონის მსგავსად, მამაც სამოთხეში მოხვდება. ასევე ახსენდება მამის ნათქვამი, რომ მხოლოდ მას შემდეგ დაისვენებდა, როცა მიხა-შლი დიპლომს აიღებდა. ამ მოგონების შემდეგ პირდაპირ მოთხოვობილია ცივ დამეს მამის გარდაცვალების ამბავი (ალ-ხარრატი 1999: 97).

სიკვდილის თითოეული ისტორია არა მარტო ნაწინასწარმეტყველებია, არამედ ხშირად მეორე ამბავში აისახება გარკვეული მსგავსებით. ორი ადამიანი კვდება ტრამვაის რელსებში: მიხა-შლის საყვარელი დეიდაშვილი უიტუატი და უცნობი. ორივე შემთხვევა ერთმანეთს ჰგავს. მიხა-შლი ორივე შემთხვევის მოწმეა, ნანახით გაოგნებულია და მისი რეაქციები მოსალოდნელისგან განსხვავდება. უცნობის სიკვდილის შემთხვევაში რამდენიმე წუთის

განმავლობაში დელაგს, ეშინია, ეს ქალი დედამისი ხომ არ არის და დაკარგვის საშინელი გრძნობა ეუფლება. მეორე შემთხვევაში პირიქით, არც ის და არც მკითხველი არ აკავშირებს ბორბლებით გასრესილ სხულს ჟიტუატან. მოგვიანებით იგებს, რომ ჟიტუატი იყო და დაკარგვის გრძნობაც გვიან ჩნდება. სიკვდილის ამ ფაქტებზე მინიშნებაც გვხვდება ტექსტში სიზმრის სახით. სიზმარში მიხარული ძველ მეზობელს, ახალგაზრდა მემავ ჰუსნიდას ხედავს, მას ცხენებშებმული ეტლის ბორბლები გათელავს (ალ-ხარრატი 1999: 20). ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ეს ცხენები, რომლებიც ამ წარმოსახულ ეტლს მიაქანებენ, იგივე ცხენებია, რომლებსაც ბავშვი აკვირდება ნაწარმოების დასწევისში. ისინი ახლა სიზმრების სამყაროს არსებებად ქცეულან. ოთახში გაბატონებულ სიჩუმეში გმირს ესმის ტრამვაის ბორბლების საშიში ხმა. ავტორი თითქოს მიგვანიშნებს, თუ რა როლს ითამაშებს შემდეგ ტრამვაის ბორბლები. ეს ეპიზოდი უცნობის სიკვდილამდე რამდენიმე გვერდით ადრეა მოთხოვობილი (ალ-ხარრატი 1999: 43). ასევე ვხვდებით ტრამვაით მიხარულის მგზავრობის აღწერას. მგზავრობისას მას მუცლის ტკივილი სტანჯავს და აღებინებს. ეს ეპიზოდი წინ უსწრებს ჟიტუატის სიკვდილს (ალ-ხარრატი 1999: 118). ბიძის საყვარლის, რანას, სიკვდილიც ნაწინასწარმეტყველებია რამდენიმე გვერდით ადრე. სიზმრის მსგავს ეპიზოდში ეს ქალი შიშველი ჩნდება ტრამვაის გაჩერებაზე. მართალია, მიხაილმა „იცოდა, რომ არ შეიძლებოდა, იქ ყოფილიყო, ის მკვდარი იყო“, „. . .“ კან یعرف أنها لا يمكن أن تكون هناك، وأنها ماتت (ალ-ხარრატი 1999: 45). ქალის სიკვდილი უცნობის სიკვდილის შემდეგ არის მოთხოვობილი. ჩვენ უბრალოდ მოწმეები კი არ ვართ სიკვდილის ფაქტებისა, რომლებიც მიხარულმა გადაიტანა, არამედ ვხედავთ ცხოვრებასა და ნაწარმოებს, რომელშიც სიკვდილმა შეაღწია. სიკვდილი გარდაუვალ მდგომარეობად იქცა და გამუდმებით გვახსენებს თავს.

ი. ფანტაზიის, ხილვისა და სიზმრის სიურრეალისტური ეპიზოდები

ნაწარმოებში არის ეპიზოდები, რომლებიც ძალიან შორს არის ფიზიკურ რეალობაში მომხდარისგან. ისინი სიზმარს ან ჰალუცინაციურ ხილვას ჰგვანან და თავიანთ არსებობას მხოლოდ გონებას უნდა უმაღლოდნენ. ხშირად ეპიზოდი იწყება, როგორც რეალური ამბავი, შემდეგ კი თანდათანობით, ან უეცრად

ფანტასტიკის სამყაროში გადაღის, რომელშიც რეალობასა და სიზმარს შორის ზღვარი წაშლილია. როგორც ალ-ხარრატი აღნიშნავს შესავალში: „მასში ფანტაზიის გაქანებაა... მასში იღუზია...“ „فِيهَا أَوْهَامٌ...“ (ალ-ხარრატი 1999: 5). ასეთ ეპიზოდებშიც ფრენისა და ზღვის სახეები დომინირებს. უმეტეს შემთხვევაში ისინი გადაჯაჭვულია რელიგიურ წარმოსახვასთან. მიხარებლისთვის სიზმრის ძირითადი ფერი ლურჯია, ალბათ ზღვის და ცის გამო; მისთვის ის სამყაროს ფერია: „ოცნების მუქი ცისფერი სამყაროს ფერია“, „زرقة الحلم الداكنة هي لون العالم“ (ალ-ხარრატი 1999: 79). არარელაჟური ამბები მიხარებლის ფიქრებისა და გრძნობების მთავარი ელემენტებია. ისინი პირველადი შიშისა და შეკითხვების გამოხატულებაა, განსაკუთრებით კი ყველაზე მნიშვნელოვანის – სიკვდილის შიშის, სიკვდილზე და მის მიერ გამოწვეულ არყოფნაზე გამარჯვების დიდი სურვილის. სიკვდილის შიში არსებობის მოსპობის შიშია. მიხარებლს სურს, თავი დააღწიოს ამ სამყაროს სასრულობას, რაც მისი საკუთარი არსებობის სასრულობასაც ნიშნავს. მიხარებლს უკვდავება უნდა და ცდილობს, მას სიმბოლურად მაინც ჩაეჭიდოს (ალ-ხოვაიჰი 1994: 44). ერთ-ერთი მაგალითია საყვარელ ქალთან შეერთება, რომელიც ჩიტის მსგავს არსებად და შესაძლოა ჩიტადაც გადაიქცევა:

„მოსიყვარულე თეთრი ჩიტი მეხვევა შავი ფრთების ცემით, მისი დამდუპველი სინაზე ჩემთვის აუცილებელად ქცეულა. მე სული მეხუთება მის რბილ ბუმბულებში, თითქოს ეს (სიკვდილი) მინდა, თითქოს მისკენ მივემართები. ყვავი, ძერა, მდედრი, ნაყოფიერი, უხვი. მან მსხვერპლად შემომწირა მიწიერი სხეული; და მის სასიამოვნო მკერდში ჩაძირულმა გავიგე სიყვარულის ძალა და დარჩენის (მარადიულად) შესაძლებლობა“ (ალ-ხარრატი 1999: 80-81);

الطائر الأبيض الرؤوم يطبق على بجناحيه الأسودين الوثيرين، يرففان، حنانه قاتل ولا غنى لى عنه واحتقاني في الريش
اللذين كأني أريده وأوي اليه. الغراب الحادة الأنثى الخصبية المعلاء، بذلك لي جسم عمرها، وعرفت في صدرها الطيب قرة
الحب والمقدرة على البقاء.

როდესაც ორი საყვარლის სხეული ერთმანეთს ერწყმის, მაშინ სიყვარული, სიკვდილი და უკვდავებაც ერთმანეთს ერევა. ჩიტის მსგავსი ქალის „أنين المتعة كأنين الموت“ (ალ-ხარრატი 1999: 80) სურვილი, თავი მიუძღვნას მას, მიწიერი სხეული მისთვის გაწიროს, გმირს სიყვარულში უკვდავების ნიშნებს დაანახებს. ამ ქალის სიყვარული „დამდუპველია“, მაგრამ „აუცილებლობად“ იქცევა და არა მარტო სიკვდილთან შეხვედრის ძალას აძლევს, არამედ ანდომებს სიკვდილს ისევე,

როგორც სურს ამ ქალის სხეული. ორი სხეულისა და ორი სულის ერთიანობა იმ ქალის სიმბოლურ სახეს იძენს, რომელსაც შეუძლია გადავიდეს სხვა არსებაში, გახდეს ნაწილი უფრო დიდი ერთეულისა და გასცდეს ინდივიდუალურ პიროვნებას, თავის თავს, გაიზარდოს, განვითარდეს და მარადიულობას მიაღწიოს. ტექსტიდან კარგად ჩანს, რომ სიყვარულის ძალა მიხარულს უნარს აძლევს სამუდამოდ დარჩეს. მას აქვს „სიყვარულის ძალა და დარჩენის უნარი“, „قوه الحب والمقدرة على البقاء“. სიყვარულში შეიგრძნობს მომავალ, შესაძლო სამოთხის სიამოვნებას. აქ ფიზიკური და სულიერი სიამოვნება ერთიანდება და გმირში სულის გადარჩენისა და სამოთხის ნეტარების ასოციაციას იწვევს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა, რომ მაჟმუდ ალ-უადანის რომანის „فِرَاتُ الرَّبْقَالِ“ („رائحة البرقail“) ანალიზისას ალ-ხარრატი აღნიშნავს, რომ ქალი ფიზიკური და სულიერი თავშესაფარია, წყარო სიცოცხლის და სულის გადარჩენის (ალ-ხარრატი 1992: 283). საბორ ჰაფიზი ალ-ხარრატიან ინტერვიუში ვარაუდობს, რომ რომანში „რამა და დრაკონი“ სიყვარული აბსოლუტურისკენ სწრაფვად იქცევა. მწერალი ეთანხმება და დასძენს, რომ სიყვარულში შედარებითი და აბსოლუტური, დროებითი და მარადიული ქრება, თითქმის სუფიურ გამოცდილებაში გადადის, რომელიც ამ საზღვრებს სცდება (ჰაფიზი 1982: 104-105).

არარეალური, სიზმრის მაგვარი ან ფანტაზიით გალამაზებული ეპიზოდების უმრავლესობაში ჩნდება სატრფო, ხშირად სხვადასხვა ქალის სახით. მიხარული იხსენებს ქალებს, რომლებმაც განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა მასზე და მიმართავს მათ. ის წარმოთქვამს პიმნი, რომელშიც ასო-ბგერა „بـ-س სახელწოდება „بـونـي“ მეორდება, თითქოს ეს პიმნი „بـونـي“ ეძღვნება, რომელიც ალ-ნოვაიპის აზრით, მდედრობითობის სიმბოლოა (ალ-ნოვაიპი 1994: 45). მიხარული აღწერს საყვარელ ქალებს:

„سـاـسـعـرـغـعـلـوـ فـعـرـيـدـ... دـرـأـكـرـنـوـسـ ქـعـرـعـمـوـ، لـلـوـلـيـدـ... წـاـرـمـاـرـتـوـ وـاـ ჩـეـمـوـ مـهـيـوـ ჩـاـسـغـلـوـسـ ვـجـنـرـاـ... ნـაـჯـرـاـنـعـلـوـ პـაـლـმـ، აـრـაـბـعـلـوـ ჟـაـსـმـიـنـიـ ჩـეـმـსـ ზـაـფـرـاـნـშـიـ، დـლـიـ მـაـრـგـაـლـიـტـიـ. بـونـيـ“ (ალ-ხარრატი 1999: 156);

"الجـنـيـةـ النـهـمـةـ... كـاهـنـةـ النـتـيـنـ سـوـسـنـةـ... الـوثـنـيـةـ وـفـيـنـوـسـ مـدـنـقـيـ... نـخـلـةـ نـجـرـانـيـ، زـنـبـقـةـ فـيـ زـعـفـرـانـيـ، جـمـانـةـ النـهـارـ. النـونـ."

„مـجـ شـجـمـوـ بـونـيـسـ ბـუـდـეـშـიـ ვـაـრـ... სـიـგـიـუـსـ დـაـ სـაـმـოـთـხـიـსـ სـიـმـოـვـრـაـლـეـ...“ (ალ-ხარრატი 1999: 156);

"أـنـاـ فـيـ كـنـ نـونـكـ... وـنـشـوـاتـ الجـنـاتـ وـالـجـنـونـ..."

სიყვარულის სხვა პიმნი მიმართავს ასო „მიმს“, მამრობით სიმბოლოს. ეს პიმნიც სიყვარულისა და სიკვდილის გაერთიანებით მთავრდება. აქ ავტორი იყენებს რელიგიურ წარმოსახვებს ისე, რომ ორივე – სატრფოც და თვითონაც არიან ჩიტები, რომლებიც სიკვდილის სიბნელეს გაურბიან ფრენით (ალ-ნოვაიჰი 1994: 45).

„მიმის თავი გატეხილი, თავისი თავის მძებნელი, დაპეტილი გემი დაცურავს ტალღებზე ნავსაყუდელის გარეშე, თითქოს ხვალ მიწა დაიმტვრევა და ზღვის წარდგნის სიმძიმის ქვეშ ჩაირეცხება. [...] ჩემი მიმი შენსკენ იშლება დაღვრილ სხეულში და ჩემი ბედნიერება შენში ორი მიმის შეერთებაა. [...] ჩემი სული დაფლეთილი ნაჭერია შენს თითებში. ვეფერები შენი ორი რბილი მთის კერტებს და გადაუდებელი წვიმა იღვრება შენს ორ ბროწეულზე. აღვმართავ შენი ტყის რბილი მარმარილოს სვეტებს და შუბი ირყევა შენს ნასახლარში. შენთვის წარმოვთქვამ ჩემი გიჟური სიყვარულის ლოცვას ვიდრე სიკვდილის სანთლებამდე. ო, ჩემო ალმოდებულო მტრედო. [...] არ გესმის სიყვარულის მონის, მისი ხორცის და სისხლის? ვერ ხედავ შავი ანგელოზის ფრთების ქნევას, რომელიც მას უყურებს? სიკვდილის დრმა სიბნელეში სამარხის კარილან ქვა გადაგორდა და ამოვედი მაღლა ზეცისკენ“ (ალ-ხარადტი 1999: 174-175);

”رأس الميم المكسور المدور على ذاته فلك مغلق يمخر الموج بلا مرسي، وكان الأرض تتشقّع غداً وتتمور تحت طوفان البحر الغضوب. ... ميمي ممدودة إليك بجسم منهر ونعمتي فيك موصولة بالميمنين. ... ومهجتي مزع ممزقة بين أنانالك. أمس حلمة أكمتيك الدمنتة وينهمل مطر الديمة على رمانتيك أتسئم عدان آجامك من المرمر الرخيم، والرحم يميد في دمنتك. تعازيم هيامي مسدة إليك، حتى شموع موتي. يا حمامتي المضطربة... ألم تصغي لمتيم لحمه ودمه؟ لا ترين رفرفة الملاك الأسود الذي يراه؟ في عملية الموات الدامسة انزاح الحجر عن قبره وصعدت إلى السماء العلى.“

როგორც ლიარდეტი აღნიშნავს თავისი თარგმანის შესავალში, ეს პიმნები სავსეა ფერებითა და ხმოვანებით. პიმნის ტექსტში ყველა სიტყვაში ალიტერაცია „ნუნზე“ და „მიმზეა“ შესაბამისად (ლიარდეტი 1989: x). **საბრო ჰაფიზი** ალ-ხარადტან ინტერვიუში ეხება ამ ფენომენს, გარდენული ბგერის თავმოყრას რამასთან დაკავშირებულ ეპიზოდებში. მწერალი პასუხობს, რომ ბგერა მისთვის მნიშვნელოვანი ექსპრესიული ელემენტია, რომელიც ძლიერი ემოციის მომენტებში წარმოითქმება ისე, რომ ეს ბგერა იქცევა ხმად, მუსიკად, შინაგანი ღელვის ექვდ ან გამოხატულებად. ამგვარად, ბგერა იქცევა ემოციის თითქმის მაგიურ სახესხვაობად. მართალია, მწერლისთვის შექმნის საწყისი წარმოსახვით სახეებშია, ეს სახეები ასევე უკავშირდება ბგერას. ისინი ვიზუალურია, მაგრამ მათ აქვთ მათი სპეციფიკური თანმხლები ჰდერადობა. „ეს არაა მუნჯი კინო,

არამედ არაბულად მოლაპარაკე კინო, კერძოდ ეგვიპტურ არაბულზე, რომელზეც მე ვწერ“ (ჰაფიზი 1982: 110-111).

ნაწარმოებში არსებულ ამ არარეალურ ეპიზოდებს შეგვიძლია სიურრეალისტური ვუწოდოთ. გმირის სიზმრებსა ხილვებში ვლინდება ის ნამდვილი აზრები, რომლებიც ღრმადაა ჩახშული მის არაცნობიერ გონებაში. ის ცდილობს მიჰყვეს ამბების გახსენებისას გაჩენილ ასოციაციებს, ლოგიკურზე მეტად ინტეიციურ კავშირებს მიენდოს. ამ ეპიზოდებში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩნდება სახეები, რომლებიც გარკვეულ სიმბოლურ მნიშვნელობებს ატარებენ. ამ სიურრეალისტურ ეპიზოდებში თავს იყრის მიხარებების არაცნობიერში დაგროვილი ცონდა, რომელიც მის ფანტაზიებში ვლინდება.

მიხარებების – ბავშვის წარმოსახვა ხშირად უკავშირდება სხვადასხვა სფეროდან მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას, სიზმრებსა და ოცნებებში ლიტერატურული და ზღაპრული გმირები ისევე მონაწილეობენ, როგორც რეალური ადამიანები. სიზმრები იმ სარკეებად იქცევა, რომელშიც ბავშვი თავის სამყაროს ხედავს. როგორც ლიარდეტი აღნიშნავს „მისი ქვიშა ზაფრანისფერიას“ ინგლისური თარგმანის შესავალში, „ათას ერთი დამე მეორდება ღადტ ალ-‘ინაბის ქუჩებში“ (ლიარდეტი 1989: viii). მიხარები ცხადად აღწერს, რომ შევიდა მეფე შაჰრიდარისა და მისი ძმის, შაჰ ზამანის, სასახლეში. შემდეგ კი შაჰრაზადა გადმოდის ახალი ავტომობილიდან, რომელიც კინოთვატრის წინ ჩერდება. საიდის დაჩაგრული მუშები, რომლებიც მძიმე ტვირთს მიათრევენ, მონებთან ასოცირდებიან. მთხოვთ ამბობს:

„ფეხი დამისხლტა ათას ერთი დამის მიწისკენ, შევედი მასში და ჯერ კიდევ არ გამოვსულვარ“ (ალ-ხარრატი 1999: 70);

”انزلقت قدمي الى ارض ألف ليلة وليلة، ودخلتها، ولم يخرج منها حتى الان.“

მეორე ეპიზოდში ის ბადდადის ქუჩებშია ჰარუნ ალ-რაშიდთან ერთად (ალ-ხარრატი 1999: 72). მიხარები ხედავს ხალხური ზღაპრების გმირ ალ-შატირ ჰასანს, რომელმაც მაღალ სასახლეზე ასვლა შეძლო, რათა მზეთუნახავი სით ალ-ჰუსნ ვა-ლ-ჯამალი ენახა. ავტორი განიცდის მეფის ასული ალ-’ამირა ბინთ ალ-მულჟების ბედს, რომელიც მოხუცმა ჯადოქარმა ძროხად აქცია, დაკლეს და მისი ძვლები ორმოში ჩაყარეს. ძვლები კვნესოდნენ და იტანჯებოდნენ, ვიდრე ალ-’ამირ იბნ ალ-მალიქი არ მოვიდა. მეფისწულის სიყვარულმა ძვლები კვლავ მზეთუნახავად აქცია (ალ-ხარრატი 1999: 121). დეიდის მონაყოლი ზღაპრები და

ხალხური თქმულებები თავიდან ცოცხლდება დამის ხილვებსა და კოშმარებში. დამით ხედავს აჩრდილებს, ხვდება, რომ ეს არსებები მასთან არიან. მის წარმოსახვაში ზღაპრის გმირები და ქალი, რომელიც ქმარმა ლირსების გამო მოკლა, ერთმანეთში ირევა. სიბრუნვის ხედავს დედას, დეიდას და მეზობელ ბერძენ ქალს. მათი ნაზი მკლავები კისერზე ეხვევა მომაკვდინებელი მზრუნველობით. შემდეგ ჩნდება დაკლული ძროხა, რომელიც ქალის ძვლებს აგროვებს, ცდილობს, მისი სხეული თავიდან ააწყოს, სანამ ბოროტი ჯადოქარი მოაჯადოვებს. ის კოჭის ძვალს ვერ პოულობს (ალ-ხარრატი 1999: 131). უნდა აღვნიშნოთ, რომ სიტყვა „კოჭი“ (كعب) ასევე „დირსებასაც“ ნიშნავს (ბარანვი 1977: 691). შემდეგ ბავშვი ხედავს ლამაზ შიშველ ქალს, რომელიც კვნესით დარბის ბნელ ბინაში.

„ცდილობს სიკამოროს მწვანე ფოთლებით დაიფაროს ის, რაც თემოებს შორის აქვს. ფოთლებს ერთად გრეხს და თოკად წნავს, რომელიც მისივე გახსნილი ჭიპიდან გამოდის“ (ალ-ხარრატი 1999: 131);

"تسرع إلى تقطيع ما بين فخذيها يأوراق شجرة الجميز الخضراء التي لا بد ان تصفرها معا وتجعلها بخيط مقتول من سرتها المفتوحة."

ზღაპრების გმირები ისევე რეალურად მკვიდრობენ პატარა მიხარელის ცხოვრებაში, როგორც მის გარშემო მყოფი რეალური ადამიანები. ეს მოგონებები იმდენად ნამდვილია მისთვის, რომ უკვე დიდი მთხოვობელი მიხარელისთვისაც არაფერიდ მათში უცნაური და ალოგიკური.

სამყაროს მიხარელისეულ ხედვასა და წარმოსახვაში აგრეთვე დიდ როლს თამაშობს რელიგია. საკვირაო სკოლაში მიღებული ცოდნა და ამ ცოდნაზე დამყარებული წარმოსახული სახეები დრმად იბეჭდება მის ცნობიერებაში. არის რამდენიმე საინტერესო მაგალითი, როდესაც სიზმრის ან ხილვის მსგავს ეპიზოდებში რეალობა და ბავშვის რელიგიური წარმოსახვები ერთმანეთს ერწყმის. პატარა დის დაბადების შემდეგ დედა აძლევს პატარა რბილ შეხვეულ ნივთს და სთხოვს, მზეზე დააგდოს, სავარაუდოდ, ბოროტი სულებისაგან დასაცავად. მან არ იცის, რა არის შეხვეული, მაგრამ ხვდება, რომ ახალშობილ დას უკაგშირდება. ყურს მოკრავს, რომ ეს არის „ხალას“: სიტყვა „ხალას“ (خلاص) ნიშნავს „მოყოლს“, „ცხონებას“ და ასევე „დამთავრებას“ (ბარანვი 1977: 233). ბავშვა არ იცის დაბადების ბიოლოგიური დეტალები და ამ სიტყვის მნიშვნელობა „მოყოლი“, მაგრამ მან ამ სიტყვის სხვა მნიშვნელობის შესახებ იცის საკვირაო სკოლიდან. ცოცხალი ფანტაზიის წყალობით ის დაიჯერებს,

რომ „ხალას“ მხოლოდ გოგონებს უკავშირდება და ფიქრობს, რომ აუცილებლად უნდა მოიშორონ ეს ნივთი ანუ „დაასრულონ“, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი და ვერასდროს გათავისუფლდება ჯოჯონეთის ტანჯვისგან, ვერ ცხონდება. პატარა ამანათს ფანტასტიკურ საგნად აღიქვამს, რომელსაც მაგიური ძალას მიაწერს და ეშინია.

როცა გადააგდო, „პატარა რბილი ამანათი ჰაერში ამაღლდა, მაღლა თითქოს შიგნიდან მოძრაობდა. გაიზარდა, შემდეგ სრულიად გაქრა... თითქოს რაღაც უხილავმა გაიტაცა“ (ალ-ხარრატი 1999: 65);

”وارتفعت اللغة الصغيرة الطرية في الهواء، عالياً كأنه آت من داخلها، ارتفعت، ثم اختفت، تماماً... كأن شيئاً ما، غير مرئي، قد التقطها.“

სხვა ეპიზოდში, მიხარული გაიგებს მამის საუბარს ალ-ნაჰკას ფაშას შესახებ. ის ინგლისელმა ჯარისკაცებმა ხელკეტებით სცემეს სადგურზე, სადაც ლამე გაათენა. მამა თვლიდა, რომ ალ-ნაჰკას ფაშა ცდილობდა, ქვეყანა იმ მეფისგან დაეცვა, რომელიც ძალის ხმით ყეფდა. შემდეგ მიხარული ტრამვაით მგზავრობისას თვლებს და ხედავს ეგვიპტელ ლიდერს რკინიგზის ბაქანზე. ბავშვის წარმოსახვაში მიხარული ქრისტეს ემსგავსება. მას ტარბუში ახურავს ბასრი ეკლებით დაბოლოვებული, რომაელი ჯარისკაცი კი შუბს აძგერებს ფერდში (ალ-ხარრატი 1999: 119).

ასევე მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ ის ასოციაციები, რომელიც ბავშვს მთავარანგელოზ მიქაელთან აკავშირებს. მისი მფარველი ანგელოზი ხშირად ჩნდება მიხარულის ხილვებსა თუ სიზმრებში. მაგალითისთვის გავიხსნოთ ზემოთ უკვე ნახსენები ამბავი, როდესაც მიხარულს ანგელოზის ფრთების ხმა ესმის. აქ იგულისხმება, რომ მთავარანგელოზმა მიქაელმა გადაარჩინა ის.

საერთოდ, რელიგიასთან დაკავშირებული წარმოსახვა ხშირად გვხვდება მთელ ნაწარმოებში. საბრო ჰაფიზისთვის მიცემულ ინტერვიუში ალ-ხარრატი რელიგიის მისეულ გააზრებაზე საუბრობს. მართალია, ის ესწრაფვის აბსოლუტურს, ღვთიურს და ზოგჯეს სატანურსაც, მაგრამ ასევე ხვდება, რომ ყველაფერი ეს ძირითადად ადამიანურია და ადამიანის ცნობიერების გარეთ არაფერი არსებობს. მას სჯერა, რომ ეგვიპტელ ქრისტიანთა რწმენას ადამიანურისა და ღვთიურის გაერთიანება ახასიათებს (ჰაფიზი 1982: 101-102). შესაძლოა მწერლის ეს შეხედულება ვლინდება მის ნაწარმოებშიც. ეს კარგად

ჩანს ზემოთ მოყვენილ მაგალითშიც, როცა გმირს სამოთხის ნეტარებას აგრძნობინებს ფიზიკური და სულიერი სიამოვნება ერთად.

ამ არარეალურ ეპიზოდებს, რომლებიც სავსეა ფანტასტიკური ელემენტებითა და სიზმრის მსგავსი ზმანებებით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სხვა, უფრო ღრმა რეალობის წვდომისთვის. ადამიანის შინაგან სამყაროში არსებულის დასანახად კი საჭიროა, რაციონალურ გონებაზე დაფუძნებულ ხილულ რეალობას დავაღწიოთ თავი. არაცნობიერის გაგების საუკეთესო საშუალება კი სიზმრები და ფანტასტიკური ხილვებია. აქ შეგვიძლია გავიხსენოთ ალ-ხარრატის აზრი სიზმარსა და ხელოვნებას შორის არსებულ განსხვავებაზე. „რომანის ჩემეულ გაგებაში“ (مفهومي للرواية,) ის აღნიშნავს, რომ სიზმრები ძირითადად რეალობიდან თავის დაღწევის ინდივიდუალური საშუალებაა, ხელოვნება კი ბრძოლის კოლექტიური ფორმა, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა ფორმას ან ადამიანის ფსიქიკის სხვადასხვა ნაწილს და ერთმანეთისთვის უცხო ადამიანებს შორის საერთო განცდას იწვევს (ალ-ხარრატი 1981: 318).

პ. ერთისა და მრავლის ურთიერთგავშირი

„მისი ქვიშა ზაფრანისფერიას“ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ერთისა და მრავლის განსაკუთრებული ურთიერთობა. ნაწარმოებში გამუდმებით ვხვდებით ერთის, იდეალურის, აბსოლუტურის გამოვლენას მრავალში, სხვადასხვა სახეში. საინტერესოა, რომ თვით ნაწარმოებიც ქმნის სხვადასხვა რეალობას, რომელიც ერთი მთლიანი და ნამდვილი რეალობის ტიპებია. როგორც ფაბიო კაიანი წერს, თხრობის ერთი ძირითადი ხაზის შესაქმნელად მწერალი მრავალ ხმასა და თხრობის ფორმას იყენებს. ერთის დასანახად ბევრი პერსპექტივა გვაქვს (კაიანი 2007: 34).

რომანში ბევრი ერთმანეთის მსგავსი მომენტია. მაგალითად, რამდენიმე თითქმის იდენტური სცენაა, სადაც ბავშვი მიხარული დამე სიბნელეში იღვიძებს, ეშინია და დედას ეძახის (ალ-ხარრატი 1999: 75-76, 122, 132). წარმოსახვაში მისი ოთახი საკანია, რომელიც იდენტურად მეორდება სხვადასხვა სახლში. ამ ოთახსა და მის მრავალ სახეში მიხარულს ერთი და იგივე შიშები და მოჩვენებები აწუხებს და ზრდასრულიც ისევე განიცდის, როგორც ბავშვი. ამ

შემთხვევაში ერთი იქცევა მრავლად და მრავალი – ერთად. მიხარული იღვიძებს ფიზიკურად არსებულ ბევრ ოთახში, მაგრამ ეს ოთახები ერთის სახეებია; ისევე, როგორც სხვადასხვა კოშმარი და დამეული ხილვა ერთი და იმავე პირველადი შიშის გამოხატულებაა. საძინებელი ოთახი იმ სივრცის არქეტიპად იქცევა, რომელშიც ეს შიში ამოდის ზედაპირზე (ალ-ნოვაიპი 1994: 52).

მსგავსი შინაარსი შეიძლება დავინახოთ იმ ფაქტში, რომ მიხარულს უყვარს ბევრი ქალი და ამტკიცებს, რომ ყველა ნამდვილად და სამუდამოდ უყვარს. სინამდვილეში, მას უყვარს ერთი ქალი და ყველა ეს ქალი იმ ერთის გამოხატულებაა. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ალ-ხარრატის მოსაზრება, რომელსაც ალ-ჟადანის რომანის ანალიზისას გამოთქვამს. ხაზს უსვამს იმ საკითხს, რომ ქალის სახე ერთდროულად ერთი და ბევრია და იყენებს ასეთ ტერმინებს როგორიცაა: „مِرْأَةٌ مُّتَكَثِّرَةٌ“، الواحدة الم تعددة، (الواحدة المتكررة ، الواحدة الم تعددة) (ალ-ხარრატი 1992). სავარაუდო, ამის გამოა, რომ გაურკვეველია, ზუსტად ვინ არის მისი სატრფო, რეალურად არსებობს ის თუ არა. სატრფო იდეალია, მისი საჭიროებებისა და სურვილების მთლიანობა. თითოეული ქალი, რომელსაც მიხარული ხვდება, ერთადერთია, მაგრამ თავის თავში შეიცავს ყველა სხვა ქალს. მიხარული ბინდში ხედავს ორ ყოფილ მეზობელს, მოწყენილ მეძავ ჰუსნიდას და სით ჟაჰიბას. თითქოს ორივე ერთ ქალშია გაერთიანებული:

„وَيَقُولُونَ, إِنَّمَا يَرَى الْمَرْأَةَ الْمُتَكَثِّرَةَ لِمَا تَرَى مِنْهُنَّ وَلَا يَرَى الْمَرْأَةَ الْمُتَكَثِّرَةَ لِمَا لَا يَرَى مِنْهُنَّ“، აქ, მისი ნაყოფიერი სხეულის სირბილეში მორჩილი საცოდავი ჰუსნიდა იყო. მისი მოკლე უხეში თმა ჩემს თითებში ცოცხლდებოდა“ (ალ-ხარრატი 1999: 20);

”كنت أعرف أنني أعتق و هيئه وأتنسم عجينة أنوثتها. وكانت هناك، في داخل لدونة جسدها الخصب، حسنية المهمورة الحنون، وكان شعرها القصير الخشن حيا تحت أصابعى.“

ბაგშვი დეიდის კალთაში დებს თავს და ივიწყებს შიშს, ამ კალთის სინაზეში კი უკვე მომავალი სატრფოს სხეულს და სიყვარულს ხედავს. ის დეიდის კალთაში იძინებს, შემდეგ სტრიქონში კი უკვე სატრფოს მიმართავს:

„ما شين ეს ბაგშვი შვიდი წლის იყო، ما ان شეგიცნო შენ და შენი სხეულის სინაზეში დაიძინა“ (ალ-ხარრატი 1999: 173-174);

”عندئذ كان هذا الطفل، في الساعة من عمره، قد عرفك، ونام في حنو جسك.“

მის ადრეულ ეროტიულ ფანტაზიებში ბევრი ქალია, თითოეული განსხვავებული და ამასთანავე ერთი. როგორც ლიარდეტი აღნიშნავს, „ისინი

ყველა არსებითად ერთი ქალია, რადგანაც ყველა მათგანი „ნუნის“ გამოხატულებაა. მერვე თავში ზაფრანისფერი ქალაქის გოგონებისა და ქალებისთვის მიძღვნილი „ნუნის“ ჰიმნიც იმ ერთი ქალის ჰიმნია. „ნუნ“ არის ევა, მადონა ან ისიდა (ლიარდეტი 1989: ix). აღსანიშნავია, რომ „ნუნი“ – ეს სიმბოლო ალ-ხარრატის სხვა ნაწარმოებების ქალებსაც ეძღვნებათ, მაგალითად რამას „რამა და დრაკონში“.

ერთისა და მრავლის კავშირის ყველაზე ცხადი და საინტერესო მაგალითი კი რომანის მთავარი გმირია. პიროვნება, რომელსაც ნაწარმოები წარმოგვიდგენს ერთდროულად ერთიც არის და რამდენიმეც. სამი ძირითადი ფიგურა, რომლებზეც ზემოთ ვისაუბრეთ, ავტორი, მთხოობელი და ბავშვი განსხვავებული ფუნქციებით წარმოგვიდგებიან, რომლებიც სხვადასხვა კუთხიდან ხედავენ მოვლენებს, მაგრამ, ამასთანავე, ისინი ერთ პიროვნების სახებია, ანუ ისინი ერთ მთლიანობას ქმნიან. ამ პიროვნების ერთობა და მრავლობითობა, იგივეობა და განსხვავება ქმნის ნაწარმოების მთავრ ხაზს. ჩნდება შეკითხვები: რა ხარისხამდეა ზრდასრული მთხოობელი იგივე ბავშვი, რომლის ცხოვრებასაც იხსენებს? და არის თუ არა მისა-სლ კალდასი ’იდჟარ ალ-ხარრატი, მიუხედავად თვით მწერლის უარყოფისა? როგორც უკვე ვთქვით, მისა-სლის ცხოვრებაში ბევრი ამბავი ემთხვევა მწერლის ცხოვრებაში მომხდარ ისტორიებს. გარდა ამისა, ალ-ხარრატის სხვა ნაწარმოებების გმირებს ბევრი რამ აქვთ საერთო მისა-სლთან. იგივე გმირები გვხვდება ნაწარმოებებში „ბობელოს ქვები“ და „რკინიგზის სადგური“. საინტერესოა, რომ კრებულში „დილისა და სიყვარულის სულის შეხუთვა“ ბევრი გმირი ალექსანდრიის ისეთივე უბანში იზრდება, როგორშიც მისა-სლი. ეს, შესაძლოა, მხოლოდ ნიშნავდეს, რომ წარმოსახული ლიტერატურული მისა-სლი ამ სხვა ნაწარმოებების მთხოობელიცაა. მისა-სლ კალდასი ხან მთავარი გმირია, ხან – მთხოობელი რომანში „რამა და დრაკონი“, მაგრამ ალ-ხარრატის ბევრ ნაწარმოებში ერთი ლიტერატურული გმირის არსებობის იდეა ყველა დეტალს არ ხსნის. მაგალითად, ნოველა „ბელურების ნაფეხურები ქვიშაში“ (أقدام العصافير في الرمل,), რომელიც შესულია კრებულში „დილისა და სიყვარულის სულის შეხუთვა“, მთავრდება სცენით, სადაც ალ-ხარრატის ერთ-ერთი კრებულის „სიამაყის საათების“ ფურცლები იწვის. მაგდა ალ-ხოვაიპის აზრით, ჩვენ აქ ისეთი ტიპის მწერლობასთან გვაქვს საქმე, სადაც

საგნების, პიროვნების და თვით ავტორის გაგება ტექსტის შექმნის პროცესში იშლება (ალ-ნოვაიჰი 1994: 53).

ავტორის, მთხოვბელის და ბავშვის ურთიერთდამოკიდებულების უკუთ გასაგებად უნდა გავაანალიზოთ ტექსტი გრამატიკული პირისა და დროის ცვლილება. ეს საკითხი საკმაოდ კარგად არის განხილული მაგდა ალ-ნოვაიჰის სტატიაში, რომელიც „მისი ქვიშა ზაფრანისფერიას“ ეძღვნება. ჩვენ ამ ავტორის ბევრ მოსაზრებას საინტერესოდ მივიჩნევთ და ვეთანხმებით. მთხოვბელი – გაზრდილი მიხარული ძირითადად პირველ პირსა და წარსულ დროს იყენებს, მაგრამ ბევრ შემთხვევაში ცვლილება გვხვდება: ზოგან ბავშვი მოხსენიებულია მესამე პირში. ჩვეულებრივ, ეს ცვლილება ახლანდელი პიროვნების წარსულში მყოფი პიროვნებისაგან დაშორების გამოხატულებაა. ზოგიერთ შემთხვევაში წარსულ და ახლანდელ პიროვნებას შორის დაშორება, შესაძლოა, იმის წყალობით გამოჩნდეს, რომ მოგონება არ არის ცხადი. ასეთ შემთხვევებში მთხოვბელი ყოფილი საკუთარი „მეს“ ძალიან შორეული მოგონებების ერთადერთი ავტორი არ არის, ისინი ნაწილობრივ მაინც ვიდაც სხვას ეკუთვნის. ზოგჯერ მოგონებაში გაცოცხლებული ამბები შეკითხვებს იწვევს მთხოვბელში. ეპიზოდში, როცა ანგელოზის ფრთების ხმა ესმის, თავის თავს მოიხსენიებს მესამე პირში, როგორც „ბავშვს“ და პირველ პირზე გადადის მხოლოდ მაშინ, როცა მოგონების მოყოლა სრულდება. მართალია, მიხარული არ უარყოფს და არც ეჭვი შეაქვს ამ ამბავში, მაგრამ არც მთლიანად თავის თავს მიაკუთვნებს. ის ამბობს: „ბავშვმა გაიგონა“, „سُعَ الطَّفَلِ“ და არა „مَنْ“ გავიგონე“. მთხოვბელს ეჭვი არ შეაქვს ბავშვის გამოცდილებაში, არ უარყოფს მის სინამდვილეს, მაგრამ ამავე დროს უარყოფს ამ მოქმედების კავშირს საკუთარ თავთან. ახლანდელი პიროვნება არ არის ის, ვინც ანგელოსმა გადაარჩინა. მიხარულს აინტერესებს წარსულ „مَجْسَاتَهُ“ დაკავშირებული ამბები. ნაწარმოები მცდელობაა, გაიგოს ახლანდელი „مَنْ“ და მისი ცნობიერება წარსულის გააზრებით. მესამე თავი იწყება შემდეგი სიტყვებით: „مَنْ“ კედა ბიჭَس“, „أَرِيَ الْوَلَدِ“ (ალ-ხარრატი 1999: 37). აქ ახლანდელი დრო გამოყენებულია ზრდასრულის მიერ, ის ხატავს სურათს, რომლის საშუალებითაც უყურებს საკუთარ წარსულ „მეს“. ყურადღება ბავშვიდან მთხოვბელზე გადადის, რომელიც ხვდება, რომ ბავშვის გრძნობები ახლაც მას ეკუთვნის:

„امدجني წلوك شهد عذاب وغرمانه رب ابيك شهد عذاب وجرفه بنيه“ (ალ-ხარრატი 1999: 37);

"أحسّ، عبر السنين الطويلة، بالنداءة اللينة تحت قدميه الحافيتين، والهواء المبلول على وجهه."

მთხოვბელი აკვირდება ტალღებს, რომლებიც მიღიან და ყოველთვის უკან
ბრუნდებიან, არასდროს მშვიდდებიან. შემდეგ კვლავ მესამე პირში მოიხსენიებს
ბავშვს და ამბობს, რომ მის გარდა არავინ იყო სანაპიროზე. ამ სურათის
გაგრძელებისას მთხოვბელი კვლავ პირველ პირზე გადადის. შორს ორ
წერტილს ხედავს, რომლებსაც მოიხსენიებს „ჩემი დედა და მამა“, „أبي وأمي“,
ანუ საკუთარ თავს კვლავ ბავშვთან აიგივებს. მთხოვბელი ცდილობს, ჩასწვდეს და
გაიგოს წარსული „მეს“ ფიქრები და ემოციები, რათა გააცოცხლოს ბავშვის
თავგადასავლები. რამდენიმე გვერდის შემდეგ კვლავ მესამე პირს იყენებს და
ჩვენი ყურადღებაც კიდევ ერთხელ ექცევა ზრდასრულს, რომელიც ბიჭთან
ერთად გრძნობს შიშსა და სიხარულს:

„კვლავ ვხედავ ბიჭს... მასთან ერთად განვიცდი ზღვაზე გატარებული დღის სიხარულს... დამის მოჩვენებების შიშს და ამაღელვებელ ოცნებებს“ (ალ-ხარრატი 1999: 44);

"ما زلت أرى الولد ... وأعرف معه فرحة المنقذ بيومه على البحر... وخوفه من مفازع الليل وأحلامه المضطربة."

ზემოთ უკვე აღნიშნული დანაკარგის განცდასთან ასოცირებული ამბების სერიების თხრობაც საინტერესო მაგალითია. ბაგშვი, რომელიც კარგავს ვერცხლის მონეტას და აქლემის ფორმის სამელნეს, მესამე პირში მოიხსენიება, ზრდასრული კი პირველ პირში, რომელიც ასევე განიცდის დანაკარგებს. მესამე პირთან დაკავშირებული ადგილები წარსულ დროშია გადმოცემული, ხოლო პირველ პირთან დაკავშირებული – აწმყოში. უიტჰატის სიკვდილის ეპიზოდში კი პირველი პირი ბაგშვის მიმართაა ნახმარი. მაგდა ალ-ნოვაიპი ხსნის, რომ ეს დანაკარგი უფრო მტკიცნეული იყოს და უფრო დიდი ზემოქმედება პქონდა ახალანდელ „მეზე“, ვიდრე სხვა ორი საგნის დაკარგვას (ალ-ნოვაიპი 1994: 55). დასასრულისკენ კი ცხადი ხდება, რომ უფროს მიხარულს სურს, აქცენტი ბაგშვზე გააკეთოს და გაიგოს, რატომ და როგორ მოხდა, რომ ეს დანაკარგი და ტკიცილი თითქმის ამოშალა ცნობიერებიდან. უკვირს, რომ ცხოვრებაში პირველი დიდი დანაკარგი თითქმის გააქრო, რადგანაც აუზანელი იყო.

„თითქმის დავივიწყე, დავივიწყე პირველი და ბავშვობის ყველაზე ახლობელი მეგობარი და სხვაბიც აგრეთვე...“ (ალ-ხარრაზი 1999: 128).

"حتى كدت أنساها، وأنسى أول وأقرب صديقي، لي في الطفولة، وأخر هة أيضا..."

აღსანიშნავია, რომ აწმეო მუდმივად იჭრება მონათხობ წარსულში და განმარტავს მას. საინტერესოა, რომ ამ საკითხზე ავტორი სხვაგანც საუბრობს.

„رَوْمَانِيُّسْ بِهِمْجِعَلِ دَأْبَدْأَشِي“ اَلَّـهـَـاـرـرـاـبـيـ ٌـاـرـجـلـيـسـ،ـ اـنـمـيـوـسـاـ دـاـ مـوـمـاـغـلـيـسـ ـاـرـتـمـاـنـجـتـشـيـ غـاـدـاـسـغـلـاـسـ ـاـنـيـهـيـلـاـغـسـ ـيـسـجـوـتـيـ،ـ رـوـمـجـلـيـقـ ـعـاـرـجـوـفـسـ،ـ ـجـنـيـنـاـدـمـدـجـجـبـاـ ـاـدـاـمـيـاـنـيـسـ ـقـنـوـبـيـجـرـجـبـاـشـيـ ـاـرـسـجـبـعـلـ ـدـرـوـيـسـ ـكـلـاـسـيـفـيـكـاـقـيـاـسـ (اَلَّـهـَـاـرـرـاـبـيـ 1981: 308). „مـيـسـيـ ـجـوـشـاـ ـثـاـفـرـاـنـيـسـفـجـرـيـوـاـ“ ـعـبـادـسـ ـبـدـيـسـ،ـ رـوـمـ ـعـبـوـزـرـجـبـيـسـ ـمـوـمـجـنـبـجـبـيـ ـاـرـ ـاـرـيـسـ ـغـاـمـوـعـوـفـيـلـوـ،ـ ـغـاـنـقـاـلـجـمـجـبـجـلـوـ ـجـعـجـعـبـيـ،ـ ـعـجـيـدـعـرـجـسـ ـشـجـمـتـبـجـجـاـشـيـ ـيـسـيـنـيـ ـيـمـ ـمـاـبـجـاـرـجـبـلـيـسـ ـجـعـجـعـبـيـاـ،ـ رـوـمـلـيـسـ ـمـجـثـاـجـرـجـبـيـقـ ـمـجـمـيـوـ ـعـلـلـوـلـجـبـيـسـ ـمـدـغـوـمـاـرـجـوـبـاـشـيـ ـاـرـيـاـنـ،ـ ـمـاـتـشـيـ ـجـيـنـ ـدـاـ ـعـجـاـنـ ـمـوـمـرـاـوـبـجـنـ (اَلَّـهـَـاـرـرـاـبـيـ 1994: 55).

ـجـجـلـسـبـشـيـ ـاـرـيـسـ ـرـاـمـدـعـنـيـمـجـ ـمـاـغـاـلـيـتـيـ،ـ ـسـاـدـاـعـ ـجـيـدـجـعـ ـعـرـتـيـ ـبـمـاـ ـشـجـمـوـدـيـسـ،ـ ـبـمـاـ ـرـوـمـجـلـيـقـ ـمـجـسـاـمـجـ ـكـيـرـشـيـ ـمـوـيـسـجـنـجـبـسـ ـتـجـيـتـوـنـ ـمـتـبـرـوـبـجـلـسـ.ـ ـمـجـبـعـتـجـ ـتـاـجـ،ـ ـجـاـرـدـاـ ـكـاـلـجـعـنـاـعـوـرـوـ ـسـيـثـمـرـيـسـاـ ـدـاـ ـرـاـمـدـعـنـيـمـجـ ـبـوـلـوـ ـسـفـرـوـجـنـنـيـسـاـ،ـ ـمـتـلـدـيـاـنـاـدـ ـمـجـسـاـمـجـ ـكـيـرـشـيـ ـمـوـيـسـجـنـجـبـسـ ـمـيـكـسـلـسـ،ـ ـرـوـغـوـرـعـ ـدـيـدـسـ،ـ ـيـسـ ـبـاـجـشـجـسـ.ـ ـجـاـرـدـاـ ـاـمـيـسـاـ،ـ ـشـجـوـدـلـجـبـاـ ـمـوـغـوـعـاـنـوـ ـمـاـgـاـلـوـتـجـبـوـ،ـ ـسـاـدـاـعـ ـعـكـوـغـاـرـجـشـجـ،ـ ـرـوـمـ ـتـبـرـوـبـيـسـ ـوـبـيـعـجـبـيـ ـثـرـدـاـسـرـجـلـيـ ـمـيـكـسـلـسـ،ـ ـرـوـمـجـلـسـاـعـ ـكـوـلـاـجـ ـمـجـسـاـمـجـ ـكـيـرـشـ ـمـيـرـوـ ـمـيـجـمـاـرـتـجـبـاـ.ـ ـاـرـيـسـ ـاـسـجـتـوـ ـفـرـاـثـجـبـوـ:ـ „مـاـنـ ـعـتـبـرـاـ ـتـاـجـوـسـ ـتـاـجـسـ:ـ ـجـيـنـ ـاـرـيـسـ ـجـسـ ـبـاـجـشـجـسـ؟ـ“،ـ „مـاـنـ ـعـدـنـجـبـاـ ـتـاـجـوـسـ...ـ“،ـ ...ـيـقـولـنـفـسـهـ...ـ“ (اَلَّـهـَـاـرـرـاـبـيـ 1999: 86).ـ ـسـاـفـاـرـاـعـدـوـدـ،ـ ـاـمـ ـشـجـمـتـبـجـجـاـشـيـ ـتـجـيـتـوـنـ ـاـلـلـاـرـرـاـبـيـسـ ـبـمـاـ ـغـجـسـمـيـسـ.ـ ـمـسـgـاـزـسـ ـجـبـيـثـوـدـجـبـشـيـ ـمـيـكـسـلـسـ،ـ ـرـوـمـجـلـيـقـ ـعـرـتـجـوـاـرـوـ ـمـجـدـيـاـتـوـرـوـ ـيـعـ ـبـجـجـنـسـاـ ـدـاـ ـنـاـعـاـرـمـوـجـبـسـ ـشـوـرـيـسـ،ـ ـاـلـسـاـجـمـعـلـ ـوـبـيـعـجـبـيـاـدـ،ـ ـبـجـجـلـسـ ـجـمـيـرـاـدـ ـيـجـعـجـاـ،ـ ـرـوـمـجـلـسـاـعـ ـشـجـوـدـلـيـاـ ـدـاـجـاـجـوـرـدـجـتـ.ـ ـاـمـ ـشـجـمـتـبـجـجـاـشـيـ ـبـجـجـنـ ـدـرـوـتـاـ ـgـاـدـاـجـجـيـتـاـسـ ـجـبـجـوـتـ ـدـاـ ـجـاـنـاـلـوـيـجـبـتـ ـجـارـجـلـيـسـاـ ـدـاـ ـاـنـمـيـوـسـ ـعـرـتـوـيـرـتـوـبـاـسـ.ـ ـبـاـجـشـجـتـاـنـ ـتـعـ ـدـيـدـتـاـنـ ـجـرـتـاـدـ ـرـاـمـجـ ـمـوـمـجـنـ ـgـاـنـقـدـيـسـاـ ـدـاـ ـنـاـبـجـوـسـاـسـ ـبـجـجـنـ ـمـيـكـسـلـسـ ـمـرـاـجـاـلـ ـمـجـسـ”ـ ـجـرـتـاـدـ ـجـاـكـجـوـرـدـجـبـيـتـ.ـ ـاـمـيـسـ ـنـاـتـجـلـ ـمـاـgـاـلـوـتـيـاـ ـشـجـمـدـجـبـ ـجـبـيـثـوـدـ:ـ ـاـغـبـرـوـرـ ـاـلـgـوـيـعـرـسـ،ـ ـرـوـغـوـرـ ـيـسـجـنـجـبـسـ ـمـتـبـرـوـبـجـلـسـ ـرـاـمـجـ ـجـيـنـ ـتـلـيـسـ ـيـعـ ـرـوـمـ ـرـوـقـاـ ـسـاـشـيـ ـشـاـجـوـ ـبـيـرـجـبـ ـنـاـكـاـ.ـ ـشـجـمـدـجـ ـكـيـ ـمـتـبـرـوـبـجـلـسـ ـتـاـجـوـسـ ـتـاـجـسـ ـجـيـدـجـاـجـسـ.

„عـعـرـجـبـسـ ـبـاـجـشـجـسـ،ـ ـرـوـمـجـلـيـقـ ـتـجـيـتـوـنـ ـيـعـ ـدـاـ ـيـدـيـمـيـسـ،ـ ـتـيـتـجـسـ ـبـاـجـشـجـسـ ـسـبـجـاـ،ـ ـتـعـمـقـ ـعـجـبـرـ ـاـرـاـ.ـ ـيـسـ ـجـعـرـ ـجـيـدـجـعـ ـجـرـمـنـجـبـسـ ـاـمـ ـبـاـجـشـجـسـ ـشـيـشـسـ،ـ ـمـيـسـ ـبـجـجـوـيـلـسـ،ـ ـدـاـبـنـجـعـلـ ـدـيـجـبـاـسـ.ـ ـمـاـنـ ـعـتـبـرـاـ ـتـاـجـوـسـ ـتـاـجـسـ:ـ ـجـيـنـ ـاـرـيـسـ ـجـسـ ـبـاـجـشـجـسـ؟ـ ـسـاـدـ ـاـرـيـسـ ـيـوـ؟ـ ـدـاـ ـمـاـنـ ـتـجـبـاـ:ـ ـدـاـ ـجـيـنـ ـاـرـيـسـ ـيـسـ ـبـاـجـشـجـسـ،ـ ـرـوـمـجـلـيـقـ ـاـتـ ـجـيـلـجـ ـمـجـيـرـ ـيـجـبـيـسـ ـيـجـنـجـبـوـدـاـ“ (اَلَّـهـَـاـرـrـاـbـiـ 1999: 77);

“يـنـظـرـ إـلـىـ الـطـفـلـ الذـىـ كـانـ،ـ وـيـتـسـ قـلـيـلاـ،ـ وـكـأـنـهـ أـخـرـ،ـ وـإـنـ كـانـ غـيرـ غـرـيبـ.ـ وـمـاـ زـالـ يـشـعـرـ بـخـوفـ ذـلـكـ الـطـفـلـ،ـ وـمضـضـهـ،ـ وـبـحـثـهـ الـمـلـبـسـ.ـ قـالـ لـنـفـسـهـ:ـ مـنـ هـذـاـ الـطـفـلـ؟ـ وـأـيـنـ هـوـ؟ـ وـقـالـ:ـ وـمـنـ الصـبـيـ الذـىـ كـانـ بـعـدـ عـشـرـ سـنـنـ.ـ”

გახსენების პროცესი და ამ რომანის წერის პროცესიც შეკითხვის ქვეშ არის დაყენებული. მთხოვბელს უჭვი ეპარება, შეძლებს, აიტანოს ტკივილი, რომელიც მოგონებებთან, გახსენებასთან ასოცირდება:

„მე არ ვიცოდი, რომ ნანგრევებზე ტირილი ასეთი მტკიცნებულია“ (ალ-ხარრატი 1999: 115);

"لَمْ أَكُنْ أَعْرِفُ إِنَّ الْبَكَاءَ عَلَى الْأَطْلَالِ مَوْجِعٌ بِهِذَا الشَّكَلِ".

ასეთ მომენტებში, როცა მოგონებების სიმძიმე და თხრობა თრგუნავს მთხოვბელს, როცა გვეუფლება გრძნობა, რომ მთელ ტექსტს დაშლის საფრთხე ემუქრება, შემოდის მესამე (ავტორის) ხმა. ეს ხმა ანუ მიხარულის სხვა „მე“ ეხმარება მას აიტანოს ტკივილი და გააგრძელოს მოგონება:

„ამბობს: რა აზრი აქვს ამ მძიმე წუხილს, სულის სისუსტეს, ძველი სევდის მწველ ტკივილს? განა დირს? განა ყველაფერი ეს ცნობილი და ნაამბობი არაა, თითქმის დასრულებული? რა არის შენი ცოტა ირონიის გამომწვევი მცდელობა, გაიგო, რაც გაქრა და წავიდა? ფრთხილად... თავს გაუფრთხილდი“ (ალ-ხარრატი 1999: 86);

"يُقُولُ: مَا مَعْنَى هَذَا التَّوْجُعُ الصَّعْبُ، وَضَعْفُ النَّفْسِ، وَلَذْعُ الْحَنَينِ الْقَدِيمِ؟ وَمَا قِيمَتُهُ؟ أَلَيْسَ هَذَا كُلُّهُ مَعْرُوفًا وَمَأْتُورًا، قَرْبُ نِهايَةِ الْأَمْرِ؟ فَمَا عَكْفَكَ، الْمُثِيرُ لِلسُّخْرِيَّةِ قَلِيلًا، عَلَى مَا بَادَ وَانْدَثَرَ؟ حَذَارٌ... حَلَّ بِاللَّهِ".

საბედნიეროდ მიხარულის ის „მე“, რომელიც აგრძელებს წარსულის გახსენებას, იმარჯვებს:

„და მე ვთქვი: თანაგრძნობის და ცრემლის გარეშე დგომა ჩამონგრეულ ნასახლართან? რისი მომტანია? რა გამოსწორდება?“ (ალ-ხარრატი 1999: 113);

"وَقَلْتُ: أَوْقُوفُ، بِلَا رَحْمَةٍ وَلَا دَمْوعٍ، عَلَى مَا بَادَ وَانْدَثَرَ؟ فَمَاذَا يَجْدِي؟ وَبِمَا يَقَالُ؟"

ამ რომანში რამდენიმე „მე“, წარსული და ახლანდელი ერთიანდება და უკვდავება, თუმცა მხოლოდ წარმოსახვითი, მიღწეულია. ნაწარმოების ფინანში მიხარული ხედავს, რომ ისევ ახალგაზრდაა. ის შედის ბაღში, რომლის კარიც მუდამ ლიაა. ყურძნის ხეივნის ჩრდილში დადის და მტრედების ღუღუნი ესმის. მოულოდნელად ვიწრო თიხის ქოხიდან გამოდის გლეხი და მასთან მიდის.

„ვიგრძენი, ამ კაცის სხეულში ჩემი ბაბუა სავირასი იყო, მამაჩემი, ჩემი ბიძაშვილები ბუკტური და რაფლა და ჩემი სამი ბიძა იუნანი, ნასანი და სურიალი; მათი ყველას მზერა იყო ერთად მის ღრმად ჩამჯდარ გამჭოლ თვალებში. არასდროს მოვშორდებოდი მას და არც მათ. მის ხელებში ჩემი გულის მიწა იყო, დასვრილი, სველი და თიხაში აზელილი, რომელიც არსადროს შრება; ეს ბაღი ათას ერთი ლამის ჯადოსნური ბაღი იყო, სადაც საიდუმლოდ ხვდებოდნენ შეყვარებულები; და მათ იცოდნენ ისევე, როგორც მე შევიტყვა,

სიუკარულის ხელოვნება, რაც მანამდე არ იცოდნენ ადამიანებმა“ (ალ-ხარრატი 1999: 180);

”احسست أن في جسم هذا الرجل جدي ساويرس وأبي وأولاد عمتي بقطر ورفلة، وأجوالي الثلاثة يونان وناثان وسوريا، وأن نظرتهم جميعا معا، في عينيه الغائرتين الثاقبتين، واني لا انفصل عنه ولا عنهم، وأن في بيته تربة قلبى الملوثة الغمة المعونة بالطين لا تجف أبدا، وأن هذه الجنينة هي بستان ألف ليلة وليلة المسحورة الذى طالما التقى فيه المحبون خفية، وعرفوا – كما عرفت – من فنون العشق ما لم يعرف من قبل بشر.“

ამ ეგვიპტელი ფელაპის თვალები ყველა მისი საყვარელი გარდაცვლილი ადამიანის მზერით იყურება. ხელში უჭირავს მისი გული, მისი წარსული და აწმყო. ეპიზოდი საინტერესო სახეა ერთისა და სიმრავლის კავშირისა. გლეხი თითქოს თავის თავში აერთიანებს ყველას, ვინც მთავარ გმირს უყვარდა. ამასთან, ამ ერთი მარადიულისა და სრულყოფილის არსებობა სიკვდილზე სიმბოლურ გამარჯვებას გვთავაზობს. საინტერესო იქნება, თუ აქვე გავიხსენებო ალ-ხარრატის მეორე ნაწარმოებს „რამა და დრაკონი.“ ამ რომანის გმირიც, როგორც აღვნიშნეთ, მიხარებ კალდასია. ერთ ადგილას ის საკუთარ თითქმის სუფიურ რწმენაზე საუბრობს, რომ ეგვიპტე არის ადგილი, სადაც არასდროს არაფერი მთავრდება.

„შენ და მე ჩვენი წინაპრების ენაზე ვსაუბრობდით. ჩვენ ახლაც ვლაპარაკობთ დათიურ იეროგლიფურ ენაზე, სავარაუდოდ, სხვა სამოსში და ახალი ნიღბის ქვეშ. ეს ეგვიპტელების ჯადოსნობაა. ყველაფერს ცვლიან, ყველაფერს საკუთარ მადნად აქცევენ.... ეს ჩემთვის პრიმიტიული და უბრალო ჩანს, მაგრამ მე მაქვს რწმენა, ჰქეშმარიტება, რომელსაც მტკიცებულებები და არგუმენტები არ სჭირდება. რაღაც სუფიურის მსგავსი“ (ალ-ხარრატი 1993: 169);

”أنت وأنا نطقنا بلغة أجادانا... وما زلنا حتى الآن نتكلم الهiero-غيلفية المقدسة، في ثوب آخر ربما، وتحت قناع جديد. هذا هو سحر المصريين. يحولون كل شيء إلى تبرهم... ييدو لي هذا بداعيا، وسانجا لكنه عندي يقين، إيمان ليس بحاجة إلى أدلة وبراهين. شيء كأنه صوفي.“

მიხარელი თვლის, რომ ძველი ეგვიპტური ღმერთები რეინკარნირებულნი არიან დღევანდელ წმინდანებში.

ასე რომ „პოროსს შეიძლება მარ გირგისი ან სად ალ-ჭუსანი ერქვას და ისიდა ჩვენთან ერთად ცხოვრობს ყველა ეგვიპტურ სახლში სხვადასხვა სახელით, დღემდე და ხვალ და უკუნისამდე“ (ალ-ხარრატი 1993: 170);

”حوريس قد يكون اسمه مار جرجس أو سيدنا الحسين. وايزيس لها أسماؤها التي تعيش معنا، في كل بيت في مصر، حتى اليوم وغدا وإلى أبد الآبدين.“

ამ ხედვით, რომელშიც ერთიანდება მოგონება და წარმოსახვა, მიხარელი და, სავრაუდოდ, ალ-ხარრატი აღწევენ საკუთარი „მეს“ მთლიანობას, ერთიანობას

უსაზღვრობასთან, ხელახლა შეერთებას წარსულთან და სიკვდილისგან თავის დახსნას, რომელიც მისამართ ასე სურს.

ცალკეული ერთეულების ერთ დიდი მთლიანში თავმოყრა ან ერთის მრავალი ცალკეული სახით გამოვლენა და ამ გზით უსასრულობაში, აბსოლუტში გადასვლის მწერლისეულ ხედვას კარგად წარმოაჩენს მისი მოსაზრება აღმოსავლური ჩუქურთმისა და არაბესკების შესახებ. ალ-ხარრატი აღნიშნავს, რომ მისი შთაგონების წყაროდ სწორედ არაბესკები იქცა: „სასრული მცირე ნაწილების წრიული უსრული განმეორებით ის გადადის უსასრულობაში. [...] ეს იყო ჩემი შთაგონების წყარო და, ამასთანავე, იმ ფორმის გაცოცხლება, რომელიც ჩაბეჭდილია ჩვენს კულტურულ მემკვიდრეობაში და რომელსაც ვიმეორებ იმისთვის, რომ თანამედროვედ და ცოცხლად ვიქცეთ“ (პფლიტჩი 1999: 376-377).

IV. დასკვნა

შეგვიძლია დაგასკვნათ, რომ „მისი ქვიშა ზაფრანისფერია“ ბევრ საინტერესო თემას მოიცავს. საკითხების გააზრება და გადმოცემა განსაკუთრებული ფორმით ხდება. როგორც აღვნიშნეთ, ნაწარმოებში მთხოვბელი იხსნებს თავის ბავშვობასა და ახალგაზრდობას და ამისთვის სხვადასხვა დროსა და პირს იყენებს. თხრობა მოგონების პროცესად იქცევა, რომელშიც უხვადაა ჩართული სიზმრები, ფანტაზია და წარმოსახვა. გახსენებული ამბები ქრონოლოგიური თანმიმდევრობით არ ჩნდება თხზულებაში, ისინი ასოციაციურად უკავშირდება ერთმანეთს. ხშირად მონათხრობი ამბების ლოგიკური თანმიმდევრობა წყდება და დამაკავშირებელ ელემენტს გმირის განცდები ან მის გონებაში ჩაბეჭდილი ერთგვარი სიმბოლური სახეები წარმოადგენს. ერთსა და იმავე მოვლენას რამდენჯერმე ვხვდებით, თუმცა სხვადასხვა კავშირში. გმირები, მათ შორის გარდაცვლილებიც ქრებიან და ნაწარმოების სხვადასხვა მონაკვეთში თავიდან წარმოგვიდგებიან. აქ მოთხოვთ მისტერიები მას შემდეგ ირკვევა, როცა ჩვენ მომხდარი ამბების გაგების იმედი უკვე გვიქრება. თუმცა, უნდა ადინიშნოს, რომ ეს არ არის სახელების, ადგილებისა და ამბების გაურკვეველი, უწესრიგო ნარევი, ეს უმაღლესი ოსტატობით შექმნილი ნაწარმოებია, რომელშიც უმცირესი დეტალიც კი არ არის შემთხვევით ნახმარი.

ნაწარმოებში დროისა და სივრცის საზღვების მოშლა საშუალებას გვაძლევს ადგილად კიმოგზაუროთ მიხარებლის წარსულსა და აწმყოში, ასევე მის სიზმრებსა და ფანტაზიებში. მთხოვთ რაციონალური და ლოგიკური ხედვის სანაცვლოდ შეგრძნებებით გამოწვეულ ასოციაციებსა და ინტეიციას მიჰყება, ეს კი საშუალებას გვაძლევს რეალური სამყაროდან გადავიდეთ სიურრეალურში. რეალისტურ აღწერებს სიზმრის მსგავსი, თითქმის პალუცინაციური ეპიზოდები მოსდევს და ისინი ერთ მთლიან რეალობას ქმნიან. ალ-ხარრატი ამ განსაკუთრებული სამყაროს შესაქმნელად სხვადასხვა საინტერესო ტექნიკას იყენებს. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ თხრობაში ანბანის ასოებისადმი მიძღვნილ ჰიმნებია ჩართული.

მიხარები ცხოვრების თხრობის ან მოგონების ფონზე მწერალი ბევრ საინტერესო საკითხს განიხილავს. ის იკვლევს ადამიანის გონების სიღრმეებს, ცდილობს, მიაგნოს გზა, რომლის გავლის შემდეგაც მიხარები „თავის თავად“ ჩამოყალიბდა. მიხარების თვითგამორკვევის მაგალითზე კი ვხედავთ, ზოგადად, ადამიანისთვის აქტუალურ პრობლემებს. ყველა საკითხი კი საბოლოოდ ერთს თემას უკავშირდება, ადამიანის ცხოვრების სასრულობას, სიკვდილის შიშა და მარადიული ცხოვრების სურვილს.

ჩვენ ვხედავთ, როგორ აღიქვამს და განიცდის ბავშვი სამყაროს. მისი განცდა იმ ზრდასრული ადამიანის ხედვის მსგავსია, რომლადაც ის იქცა. ბავშვობის სამყაროში ძიება მცდელობაა, თავი ერთად მოუყაროს წარსულსა და აწმყოს, გააერთიანოს ის „მეები“, ის პიროვნებები, რომლებიც მთხოვთ ელიტური იყო და გაიმარჯვოს სიკვდილზე, როგორც დასასრულზე, და როგორც არარსებობაში გადასვლის სიმბოლოზე.

4. თავი

ლადა ალ-ჭალაშანის სიურრეალისტური ხედვა

I. ლადა ალ-ჭალაშანი

ახალგაზრდა მწერალი ქალი ლადა ალ-ჭალაშანი 1971 წლის 27 თებერვალს კაიროში დაიბადა. კაიროს უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ პოლიტიკურ მეცნიერებათა ბაკალავრის ხარისხი მოიპოვა. მოგვიანებით სწავლა საფრანგეთში ექსის უნივერსიტეტში განაგრძო. ამავე უნივერსიტეტში მაგისტრატურის კურსი გაიარა არაბულ ლიტერატურაში და მაგისტრის ხარისხი მიიღო. ამჟამად ლადა ალ-ჭალაშანი კაიროს ამერიკულ უნივერსიტეტში მუშაობს. ახალგაზრდა მწერალმა ლიტერატურული კარიერა XX საუკუნის მიწურულს დაიწყო. მისი ნოველების პირველი კრებული „მსუბუქი ჩხვლეტა“ („وَخْزَةٌ خَفِيَّةٌ“) 1999 წელს დაიბეჭდა კაიროში. წიგნმა ლიტერატურული წრეების ყურადღება იმ თამამი და განსხვავებული ხედვით მიიპყრო, მასში შემავალ ნოველებში რომ გამოვლინდა. ხუთი წლის შემდეგ 2004 წელს მწერლის მეორე წიგნი „მაგრამ როგორ“ („وَلَكَ كَيْفَ“) გამოიცა. წიგნი განსაკუთრებული ფორმითაა დაწერილი, ტექსტი ორი შრისგან შედგება, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავებული შრიფტებით არის გამოყოფილი. მაგრამ წიგნი XX საუკუნეს არ განეკუთვნება და, შესაბამისად, მას ჩვენს სადისერტაციო ნაშრომში არ განვიხილავთ.

ლადა ალ-ჭალაშანის ნაწარმოებებში ბევრი საინტერესო ტენდენცია გამოვლინდა. ახალგაზრდა მწერალი გვიხატავს სხვა, ფიზიკური და ხილული რეალობისგან განსხვავებულ, რეალობას. გვიჩვენებს გმირების შინაგან სამყაროს, მათ სიზმრებს და იმ სახეებს, რომლებიც გმირების წარმოსახვასა და ხილვებში ჩნდება. არაცნობიერიდან მომავალი ნაკადი, რომელიც სხვადასხვა ფორმით ვლინდება მათ ცხოვრებაში, გმირების ცხოვრების რეალური ნაწილი ხდება. ალ-ჭალაშანის ნაწარმოებებში მოთხოვობილ ისტორიებში ორი განსხვავებული სამყარო ისე ერწყმის ერთმანეთს, რომ მათ შორის გამყოფი ხაზის პოვენა ძნელია. გმირების სიზმრები თუ წარმოსახვა, შინაგანი თვალით დანახული რეალობა, ჩართულია მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში. მწერლის

თხზულებებისთვის დამახასიათებელი მსგავსი ელემენტები საფუძველს გვაძლევს, ამ ნოველებს სიურრეალისტური კუროდოთ. თავად მწერალმა ჩვენთან საუბრისას განაცხადა, რომ მიზანმიმართულად არ შეუქმნია სიურრეალისტური ნოველები, მაგრამ არც ის ფაქტი უარყო, რომ მათში ბევრი სიურრეალისტური ტენდენციაა. ლადა ალ-ჭალაშანი თვლის, რომ სიურრეალიზმი არის მიმდინარეობა, რომელმაც შეძლო წინააღმდეგობა გაეწია წელთა სვლისთვის. მისი აზრით, ის არ არის ისტორიის კუთვნილება, ის არის რეალობის განსხვავებული ხედვა, რომელიც ნებისმიერ დროში შეძლება პქონდეს ადამიანს. სწორედ ამის განსაკუთებული ხედვისთვის დამახასიათებელი ნიშნები ჩანს ლადა ალ-ჭალაშანის კრებულში „მსუბუქი ჩხვლეტა“, რომელსაც განვიხილავთ ჩვენს ნაშრომში.

II. „მსუბუქი ჩხვლეტა“ - ალ-ჭალაშანის სიურრეალისტური ნოველები

ახალგაზრდა მწერლის პირველმა კრებულმა „მსუბუქი ჩხვლეტა“ ეგვიპტური საზოგადოების ყურადღება მიიპყრო და შეძლო, გაოცებინა ისინი. კრებულში შესულია გრძელი ნოველი ან მოკლე რომანი „ჯოხი და სანთელი“ („العصا والشمعة“, (ალ-ჭალაშანი 1999: 17-52) (რომელიც თავის მხრივ კიდევ ორი ნაწილისგან: „ჯოხი“ („العصا“,) და „სანთელი“ („الشمعة“,) შედგება) და მცირე ზომის ნოველები. კრებულში შემავალი ნოველები ბევრ სიახლეს სთავაზობს მკითხველს, როგორც შინაარსის, ისე ფორმის თვალსაზრისით. ამბავი ხშირად არ წარმოადგენს მოვლენას ან შემთხვევას, რომელიც ფიზიკურად მოხდა მატერიალურ სამყაროში გარკვეული ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. მისი, როგორც „ამბის“, მოყოლა არ არის მარტივი. ამ ნაწარმოებებში შინაარს უფრო ურთიერთობები და კავშირები ქმნის. ეს ურთიერთობები საკმაოდ მრავალფეროვანია: ორ ადამიანს, უფრო ხშირად ქალსა და მამაკაცს, ან ბევრ ადამიანს შორის, საგნებს ან არსებებს, ან განხორციელებულ აზრებს ან ადამიანსა და მის მიერვე შექმნილ კოშმარს შორის. ამ ურთიერთობების აღწერისას მწერალი ბევრ ისეთ საკითხს განიხილავს, რომლებზეც ხშირად არ საუბრობენ. კრებული „მსუბუქი ჩხვლეტა“ ერთგვარი თამამი განაცხადი აღმოჩნდა ეგვიპტური საზოგადოებისთვის. ’იდუქ-რ ალ-ხარრატი თვლის, რომ სწორედ ასეთი ნამდვილი ექსპერიმენტალური ნაწარმოებები ტოვებენ კვალს

მკითხველზე და წვლილი შეაქვთ ლიტერატურის განვითარებაში (ალ-ხარრაზი 2002: 157).

„მსუბუქი ჩხვდების“ ნოველები ბევრ საინტერესო თემას მოიცავს, განსაკუთრებულ ადგილს კი სიყვარული, სიყვარულით გამოწვეული ტკიფილი და ტანჯვა იკავებს. ეს ნაწარმოებები ჩვენს ყურადღებას ადამიანის შინაგანი სამყაროს, ნამდვილი სურვილებისა და აზრების საინტერესო ფორმით წარმოჩენის გამო იპყრობს. ნოველების განხილვის ფონზე შევეცადეთ, გამოგვეულ დადა ალ-ჰალაჟანის შემოქმედების რამდენიმე ძირითადი საკითხი, რომელიც მწერლის სიურრეალისტურ ხედვას უავთ გაგვაცნობდა.

ა. საპირისპირო მხარეების დაკავშირება

უპირველესად, წიგნი ყურადღებას იქცევს იმით, რომ ორ საპირისპირო მხარეს, ერთმანეთის საწინააღმდეგო ელემენტებს აერთიანებს. პირველი მხარე ხილულ რეალობაში არსებული ფიზიკური სცენის ან სახის ზედმეტად დეტალური აღწერა ან სხეულის მოძრაობის ლამის მიკროსკოპული დაკვირვებით გადმოცემაა. ხილული სახეების აღწერისას მწერალი მათი უმცირესი დეტალების ურთიერთობებისა და კავშირების გამოკვლევას გადმოგვცემს. რაც შეეხება მეორე, საწინააღმდეგო მხარეს, ის სიზმრისა და კოშმარების სამყაროა, ფანტაზიის ფართო გაქანება. ავტორი ჩადის სიურრეალისტური სამყაროს სიღრმეებში, რომელიც გამოყოფილია იმ სამყაროსგან, რომელსაც რეალურს ვუწოდებთ. ახალგაზრდა მწერალმა დამკვირვებელი და შემსწავლელი მზერა სწორედ ამ სამყაროთა კავშირს მიაპყრო და ამ კავშირით წარმოქმნილი სახეები გადმოგვცა საკუთარ ნოველებში. იქნება შთაბეჭდილება, რომ მწერალი გატაცებულია სახის გარეგნული, ხილული დეტალებით, შინაგანი სიურრეალისტური კოშმარებითა და მათი დაკავშირებით.

ორი საპირისპირო მხარის დასაკავშირებლად ავტორი ერთგვარ დიალექტიკურ მეთოდს იყენებს, რომელსაც განსაკუთრებულად ხშირად გონების კარნახის შესუსტებისას, ლოგიკური მდგომარეობიდან გამოსვლისას და სახეების დეტალურად წარმოდგენისას მიმართავს. ალ-ხარრაზი ახალგაზრდა მწერლის სათქმელის გადმოცემის სტილს კაფკას თხრობის განსაკუთრებულ სტილს ადარებს, რომელიც წარმოსახვისა და ფანტაზიის სახეებს მოიცავს (ალ-

სარრატი 2002: 142). კაფეას თხრობის სტილთან და მისეულ ხედვასთან გარკვეული მსგავსების არსებობას თავად ავტორიც ადასტურებს. როგორც დადა ალ-ჭალაშანიძ აღნიშნა ჩვენთან საუბარში, მის ნოველებში არის სიმბოლისტური, გროტესკული და კაფეასეული სახეებიც.

საწინააღმდეგო ელემენტების დაკავშირებას გულისხმობს აგრეთვე მისი თხრობის სტილისთვის დამახასიათებელი სხვა ელემენტიც. ალ-ჭალაშანიძ ს თხზულებებში სახეები და სცენები ზოგჯერ სიგიურ უახლოვდება, მაგრამ მათი გადმოცემა მშვიდი, ნეიტრალური და გაწონასწორებული ფორმით ხდება. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს მოთხრობილ ამბავში არაფერია უცნაური ან ამაღლებებელი. ასეთი ფორმით ავტორი საინტერესოდ აკავშირებს ერთმანეთისგან დაშორებულ ელემენტებს, ყოველდღიურ რეალურ ყოფით სცენებსა და გმირების გონებაში წარმოშობილ არარეალურ სახეებს, რომლებიც მათი არაცნობიერი ინსტინქტებისა და სურვილების საფუძველზე წარმოიქმნება. მთლიანად წიგნი ერთგვარი გაორების მაგალითს მიჰყება, სადაც ერთი მხარე მეორე, საწინააღმდეგო მხარეს მტკიცე და ორგანული კავშირით უკავშირდება.

რეალური და არარეალური ელემენტების შერწყმით მიიღება მწერლის თხრობისთვის დამახასიათებელი ბევრი სახე. მაგალითად, შეგვიძლია, მოვიტანოთ ნაწყვეტი ნოველიდან „ხელმოცარული ხელოვანის ხედვა“ (ალ-ჭალაშანი 1999: 87-88):

„ძნელია სარკის ადამიანის ნაკვთების აღწერა. სახის პირდაპირ აღმართული სარკე ხელს გვიშლის მისი სახის ნაკვთების დანახვაში. თუმცა, არსებობს ხუთი მდგომარეობა, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია ამ ნაკვთების აღწერა. ეს მდგომარეობები სარკის მდებარეობაზეა დამოკიდებული. სარკე ეყრდნობა სადგარს, რომელიც წრიული საყრდენით ბოლოვდება და მის ყელს – სარკის ადამიანის კისერს ეხვევა. სარკე ზუსტად სახის ზომის, სიდიდისა და ფორმისაა. მისი მდგომარეობა სახის შესაბამისად იცვლება. არის მთლიანად სახეზე მიწებებული სარკეები, ზოგი სარკე ცხვირის კიდესთანაა, ზოგი სარკე კი ისეთი მანძილითაა დაშორებული, თითის სახსრის სიგრძეს რომ არ აღემატება“ (ალ-ჭალაშანი 1999: 87);

”من الصعب وصف ملامح إنسان المرأة. فمرأته التي تنتصب أمام وجهه تمنع رؤية ملامح وجهه. إلا أن هناك خمسة أوضاع يمكن من خلالها وصف ملامحه. وهي أوضاع تتناسب مع مكان المرأة. والمرأة على حامل ينبعى بقاعدة حلقة ثائف حول رقبة - رقبة إنسان المرأة. والمرأة بمقاييس وحجم وشكل الوجه بالضبط. ويختلف وضعها بالنسبة للوجه. وهناك مرايا متصلة بالوجه تماماً ومرايا عند طرف الأنف، ومرايا على مسافة لا تتجاوز عقلة الإصبع من طرف الأنف.“

აქ მოცემული სარკის მდგომარეობების აღწერა თითქმის მოსაწყენი ხდება ზედმეტი დეტელურობის გამო, მაგრამ გადმოცემული ამბავი ინტერესს იწვევს ლოგიკური აზროვნებისთვის შეუძლებელი, უცნაურ ელემენტების გამო, რომლებიც ამ ეპიზოდში გვხვდება. აქ არსებობს „სარკის ადამიანი“ (إنسان المرأة), რომელიც თითქოსდა განსაკუთრებული ადამიანია. ის შეიძლება იყოს ისეთივე არსება, როგორიც ნებისმიერი ზღაპრული გმირია, მაგრამ ის ჩვენ წინაშე საკმაოდ რეალურად წარმოდგება, მიუხედავად კიდევ ერთი უცნაურობისა: სარკის საყრდენის წრიული სადგარი მისი კისრის გარშემოა შემოჭდობილი. იქმნება უცნაური სახე, რომელშიც ერთმანეთს ერწყმის სრულიად რეალური, მიწიერი და ყველასთვის ცნობილი სარკე, ასევე ჩვეულებრივი წრიული სადგარით და არარეალური „სარკის ადამიანი“, რომლებიც ერთმანეთან უცნაურ კავშირში არიან. ლადა ალ-ჰალაჟის თხრობის ეს თავისებურება არახილული რეალობის სახეებს წარმოგვიდგენს ისე, რომ ისინი არ გაემიჯნება ხილულ, ცხად რეალობას.

როგორც აღვნიშნეთ, ალ-ჰალაჟის ნოველებისთვის დამახასიათებელია მშვიდი, ობიექტური და გაწონასწორებული თხრობა. მიუხედავად იმისა, რომ მათში ძალიან ხშირად გაოცების, აღშფოთების ან სულაც ზიზღის გამომწვევი სახეები და სცენებია აღწერილი. ავტორს შეუძლია მშვიდად, ემოციის გარეშე დეტალურად აღწეროს რომელიმე შავი მაგის რიტუალის მსგავსი სცენა ან ტკივილით გათანგული ადამიანის სხეული ან სულაც რომელიმე უცნაური არსება. ეს კი არარეალურს, უცნაურს და ფანტასტიკურს ჩვეულებრივად და რეალურად წარმოგვიდგენს. მაგალითად, უცნაური და, ამავე დროს, უკიდურესად საზიზღარი გმირის სახეს ქმნის ნოველაში „მათხოვრობა“ (التسول,):

„უშნო ქალთან საქმე სხვაგვარად იყო. რომელიმე მათგანის დანახვისთანავე, ცხვირს უბრძანებდა, დენა დაეწყო და თვალის კუთხეებს – ჩირქით აგსებულიყვნენ. ჩამოკიდებული ენიდან ჩამოწურული ნერწყვის დიდი ნაკადი ბოროტ განზრახვას უმზადებდა მდედრ ობობას ...“ (ალ-ჰალაჟი 1999: 63);

”مع المرأة القبيحة يختلف الأمر. ففور رؤيته لإدحافن، يأمر أنفه أن يسيل، وزوايا عينيه بأن تمتلي بالعماص، يتهدل لسانه مفرزا كمية من اللعاب تحسد عليه أثني العنكبوت...“

მწერალი ამ ნაწყვეტსაც ისევე, როგორც სხვა მსგავსი სისაძაგლის შემცველ ეპიზოდებს, დეტალურად, მაგრამ უემოციოდ და ცივად, აღგვიწერს.

ნოველებში გამუდმებით ჩანს ადამიანის სხეულის, მისი ნაწილებისა და მოძრაობების მშვიდი, დეტალური აღწერა. შეიძლება ითქვას, რომ მწერალი

იკვლევს ადამიანის სხეულის მოძრაობას. მოძრაობა გადმოცემულია დეტალური თანმიმდვერობით და ხშირად აღწერა დაწვრილმანების სახესაც იღებს. ამის ნათელსაყოფად შეგვიძლია მაგალითად მოვიყვანოთ ეპიზოდი ნოველიდან „ჯოხი და სანთელი“, სადაც აღწერილია გოგონას ცეკვა კარნაგის ტაძრის ეზოში:

„მის წინ, კარნაგის ტაძრის ეზოში გაიქცა. ცეკვა დაიწყო. მან კი დიდი ქვა ამოარჩია დასაჯდომად. ქალი გამართული დადგა. მკლავები გვერდებთან ჰქონდა. მარცხენა ხელი ნახევრად წრიული მოძრაობით ასწია თავის ზემოთ. შემდეგ მარჯვენა ფეხით ნაბიჯი გადადგა. მისი სხეული უკან გადაიხარა და მარცხენა ხელის თითები ტაძრის იატაკს შეეხო. მარცხენა მუხლი მოხარა ისე, რომ ტაძრის იატაკზე დაეშვა, მარჯვენა ფეხი კი გამართული დარჩა. ის ტაძრის იატაკზე დაეშვა. ასე იწვა ტაძრის იატაკზე. მარცხენა ფეხი მოხარა მიწაზე გაწოლილი სხეულის ქვეშ, მარჯვენა ფეხი კი მიწაზე გამართა, თითებგადაჭდობილი ხელები თავს ზემოთ ეჭირა. მარჯვენა ფეხი მაღლა ასწია სწორ ხაზად, ფეხის თითები დაჭიმული ჰქონდა. ფეხით პატარა წრიულ მოძრაობებს აკეთებდა. წრეებს თანდათან აფართოებდა, ვიდრე გაწოლილი სხეულის ზომის წრე არ მოხაზა გადაჭდობილი თითებიდან მოხრილ ფეხამდე“ (ალ-ჭალაუდი 1999: 31);

"جرت أمامه في ساحة معبد الكرنك. بدأت ترقص، اختار حمرا كبيرا ليجلس فوقه. وقفت مستقيمة ذراعاها إلى جانبها. رفعت ذراعها اليسري في حركة نصف دائرة حتى وصل إلى أعلى رأسها، ثم خطت خطوة بقدمها اليمني. ثنت جذعها إلى الخلف حتى لمست أناملها اليسري أرض المعبد. ثنت ركبتيها اليسري نزولا إلى أرض المعبد، بينما ظلت ساقها اليمني مستقيمة وهي تنزل إلى أرض المعبد. وهكذا كانت مستلقية على أرض المعبد. ساقها اليسري مثنية تحت جذعها المستلقي على أرض المعبد وساقها اليمني مستقيمة على الأرض وذراعاها متشابكي الأنامل فوق رأسها. رفعت ساقها اليمني إلى الأعلى في خط مستقيم وأصابع قدمها مشدودة تماما. حركت ساقها في حركات دائرة صغيرة تتسع وتتسع حتى أحاطت الدائرة محيط جسدها المستلقي من أناملها متشابكة حتى ركبتيها المثنية."

მოყვანილ მაგალითში კარგად ჩანს მწერლისთვის დამახასიათებელი დეტალური აღწერის მეთოდი, რომელიც ყველაზე მცირე მოძრაობასაც მოიცავს.

ბ. პოეტური სახეები

კრებულ „მსუბუქი ჩხვლეტის“ ნოველების კიდევ ერთი თავისებურებად ტექსტის ზოგი ეპიზოდის პოეზიასთან სიახლოვე. ამ ტექსტებში ერთგვარ პოეტურ სახეებს ვხედავთ. იდურ ალ-ხარრატი ამ მოვლენას „პოეტურ გაელვებებს“ უწოდებს. მიუხედავად იმისა, რომ მას არ უყვარს სიტყვა „პოეტურის“ გამოყენება, ამ მოვლენის დასახასიათებლად სხვა შესაფერ სიტყვას ვერ პოულობს. მისი აზრით, ეს „პოეტური გაელვებები“ უფრო ძლიერ ემოციებს

იწვევს, რადგანაც „ისინი მძიმე ღრუბლების გროვიდან ანათებდნენ, რომლებიც, სავარაუდოდ, ცრუ ლოგიკურობისგან და ცხადი სიურრეალურობისგან მოღუშულა“ (ალ-ხარრატი 2002: 143). ასეთ პოეტურ გაელვებას ვხვდებით ტექსტი „დაბადების მცდელობები“ („محاولات الميلاد“):

„ვიტირეთ, თითქოს ჩამავალი მზე ვიყავით. ვიცეკვით, თითქოს მეორედ დაბადების პირობა იყო დოკუმენტი, რომელსაც ბალიშის ქვეშ ვინახავთ. და ვენდეთ ჩვენს ცრემლებს, ვიცინეთ და გავტეხეთ სარკე“ (ალ-ჰალაჟანი 1999: 69);
"بَكِينَا كَمَا لَوْ كَانَ الْوَعْدُ بِمِيلَادٍ ثَانٍ صَكَانْتَهُنَّ تَحْتَ وَسَادَتْنَا. وَتَقْهِيَّةً فِي دِمْوَعِنَا وَضَحْكَنَا
هَمْشِنَا الْمَرَأَةَ".

ასევე საინტერესოა მაგალითი ნოველიდან, რომელსაც პქვია „სიხარული“ („البهجة“), თუმცა მასში სიხარულს საერთოდ ვერ ვხედავთ. მწერალი გვიხატავს საყვარლებს წარუმატებელი სექსუალური კავშირის შემდეგ. ნოველა ძირითადად მათ დიალოგს წარმოადგენს. ერთგვარი პოეტური გაელვების ნიმუშად მოვიყვანთ ნაწყვეტს დიალოგიდან:

„კაცი: რაც ჩვენ შორის არის, ჰგავს ზამთარს, რომელიც ციფი არ იქნება.
ქალი: ის, რასაც შენდამი ვგრძნობ, შექმნის ლეგენდაა.

კაცი: ის, რასაც შენდამი ვგრძნობ, მიწიერი გრძნობის სიცარიელეა.

ქალი: რაც ჩვენ შორის არის, წვიმაა, რომლისაც ეშინიათ დასველებულებს“ (ალ-ჰალაჟანი 1999:15);

" هو: إن ما بیننا شقاء يأبى أن يكون باردا

هي: إن ما بداخلي لك أسطورة الخلق

هو: إن ما بداخلي لك وحش الشعر البرى

هي: إن ما بیننا مطر يحاف المبتلون".

ეს ე.წ. „პოეტური გაელვებები“ უწესრიგოდ არ ჩნდება თხრობისას. ტექსტებში ჩანს მწერლის ტკბობა თხრობის ასეთი მანერით. გარდა ესთეტური ფუნქციისა, ხშირად მათ ტექსტის სტრუქტურისთვის მნიშვნელოვანი დატვირთვაც აქვს. არის შემთხვევები, როცა ასეთი ეპიზოდი ტექსტში კვანძის შეკვრას წარმოადგენს. ე.წ. „პოეტური გაელვებები“ გვხვდება „مسيحيون
ჩხვლეტის“ ნოველების უმრავლესობაში. ისინი განსაკუთრებით ხშირად ჩანს ისეთ ტექსტებში, როგორიცაც „ფიჭის თაფლი და ფინიკის დვინო“ (الشهد والنبيذ, „الشهد والنبيذ“, ალ-ჰალაჟანი 1999: 89-98) და „ჯოხი და სანთელი“.

ბ. ტკივილი

„მსუბუქი ჩევლეტის“ ტექსტებში ერთ-ერთი ძირითადი თემაა ტკივილი. ნოველებში მოთხოვბილ ამბებში დომინირებს ადამიანის ტანჯვა და ტკივილი. როგორც ზემოთ აღნიშნეთ, ნაწარმოებების ძირითად შინაარსს ქმნის სხვადასხვა სახის - ჩვეულებრივი თუ უჩვეულო - ურთიერთობა. ხშირ შემთხვევაში ეს ურთიერთობები აღწევს სასტიკ, ბოროტ ან გასაოცარ, უცხო ფორმას. მწერალი აგვიწერს ამ ურთიერთობებით გამოწვეულ ტკივილს. გმირის ტანჯვის მიზეზი წარუმატებელი ურთიერთობები, სიბრალური და იმედგაცრუებაა. ასეთი ურთიერთობებით გამოწვეული სისასტიკა, ტკივილი, ტანჯვა, პროტესტი და გაუცხოება ჩანს კრებულში შემავალ ყველა ნაწარმოებში. მაგალითად ნებისმიერი მათგანი შეიძლება გამოდგეს. ნოველაში „დამის რიტუალები“ („طقوس ليلية“), გვითხულობთ:

„ის სისხლის მსუბუქმა სუნმა გაადვიძა. დაინახა, მარჯვენა მქლავი კბილებით დაექბინა... სისხლი წამოსვლოდა... შეტევა ჰქონდა“ (ალ-ჭალაშან 1999: 53);

"أيقظته رائحة دم خفيفة، رآها تقضى ذراعها الأيمن بأسنانها ... أدته ... إنها النوبة."

საშინელი ტკივილი ჩანს იმავე ნოველის შემდეგ ეპიზოდშიც:

„დამე... მისკენ გაიწია და მის კალთასთან მოიკუნტა. ოფლი მოსწმინდა, დააძინა. დაიძინა და თან მას უყურებდა... პირველად ტიროდა. იმ დამით შემდეგი შეტევების ნიშნად იქცა მსუბუქი ჩევლეტა მარცხენა ფეხის პატარა თითის ბალიშზე“ (ალ-ჭალაშან 1999: 54);

"الليلة ... تحرك نحوه وتکورت في حضنه مسح عرقها هدهدها نامت وهي تنظر له ... لأول مرة تبكي. في المرات التالية

لتلك الليلة أصبح دليلاً: وخزة خفيفة في باطن الإصبع لقدمه الصغير اليسري."

სიბრალულის ეს მსუბუქი ჩევლეტა უტოლდება სხეულის ტკივილის სიმწარეს. თითქოს ეს ჩევლეტა ჩახშული ძლიერი განცდის გამოხატულებაა.

ალ-ჭალაშანის ნოველებში აღწერილ ტკივილს შეიძლება სხვადასხვა მიზეზი ჰქონდეს. ადამიანის მარტოობითა და გაუცხოებით გამოწვეული სევდა და უნუგეშობა ჩანს შემდეგ სტრიქონებში:

„უცხოები საკუთარი თავისთვის და სხვებისთვის. კვლავ მისჯილი გვაქვს, გვეცვას იგივე სხეული და იმავე სულით ვიმოძრაოთ მარადიულობაში. მარადიულობას ალბათ ყველაზე სულელური ფორმით ვქმნით. საკუთარ თავს გარს მოსაწყენ ტაბუებს ვაკრავო“ (ალ-ჭალაშან 1999: 23);

"نعيش غرباء عن أنفسنا وعن الآخرين ويظل محکوما علينا أن نليس نفس الجسد ونتحرك بنفس الذات في خلود أبيدي؛ إننا

نحقق الخلود بطريقه من الطريق لعلها أسفت الطرق. نحيط أنفسنا بلبلبيه هات المملة جدا."

მსგავსი ეპიზოდები, რომლებიც საშინელი ტკივილის განცდას და სისასტიკეს გამოხატავს გეხვდება ასევე ნოველა „ჯოხი და სანთელის“ პირველ ნაწილში „ჯოხი“. ადამიანი, უფრო სწორად მისი სხეული, იშლება სისხლის, ძვლების, ნერვებისა და კანის გროვებად. გმირში იწყება შინაგანი ბრძოლა და მას ესმის საკუთარი სხეულის ნაწილების ტკივილით სავსე ოხვრა (ალ-ჭალაშანი 1999: 37). იმავე ნაწარმოების მეორე ნაწილში „სანთელი“ კი გმირი საკუთარი ხელებით გლეჯს საყვარელ კატას. სხეულის ნაფლეთების გარშემო ანთებს სანთლებს. სანთლების წრეში იწყებს ხტუნვას და ვერც კი გრძნობს, როგორ ეწვება კიდურები სანთლების აღზე (ალ-ჭალაშანი 1999: 50-51). ასევე საინტერესოა ნოველა „რა ხდება, როცა დედალი ლომი ჭამს თაგვს“ („ماذا يحدث عندما تأكل اللبؤة فأرا“). ლომი, რომელმაც შეჭამა თაგვი, ტკივილით ეცემა მიწაზე და რკინის ნაკეთობად გადაიქცევა (ალ-ჭალაშანი 1999: 73).

ნოველების შესწავლისას ჩვენთვის ცხადად შესამჩნევი გახდა, რომ სისხლი, როგორც ტკივილის, ტანჯვის და სიკვდილის სიმბოლო, მცირე თუ დიდი რაოდენობით გვხვდება მთელი წიგნის მანძილზე. მაგალითად:

.... და თავიდან ახალი ლაპლაპა წითელი სისხლის სდიოდა, მისმა სუნმა ცხვირი და ნესტოები წალექა, სისხლი სახეზე ჩამოედინებოდა, პირში ჩაედინებოდა და ნერწყვები ერეოდა“ (ალ-ჭალაშანი 1999: 36);

"... ورأسه تنزف دما أحمر لاما طازجا طفت رانته على أنفه وعلى خياشيمه وسال الدم على وجهه ليتسلى إلى فمه ويختلط بلعابه".

დ. სიყვარული და მისგან გამოწვეული ტანჯვა

ნოველების შესწავლამ გვიჩვენა და თავად ავტორმაც აღნიშნა, რომ მის ნაწარმოებებში ყველაზე მნიშვნელოვან ადგილს სიყვარული იკავებს. „მსუბუქი ჩხვლეტის“ ტექსტების ძირითადი თემა წარუმატებელი სიყვარულია, რომელიც დიდ ტკივილს და ზოგჯერ სიკვდილსაც უტოლდება. ზოგ შემთხვევაში პრობლემა პირდაპირ არის გადმოცემული, ზოგან კი მხოლოდ სიყვარულით გამოწვეული ტკივილი ჩანს. ალ-ჭალაშანის ნოველებში სიყვარული მტანჯველი გრძნობებისა და ფიზიკური ტკივილის ფორმით ვლინდება. მწერლისთვის ფიზიკური, ხორციელი გრძნობა სულიერს უტოლდება. ’იდურ ალ-ხარრატს მიაჩნია, რომ მწერლის დამოკიდებულებას კარგად გამოხატავს ის საოცარი და ღრმა ბეითი, რომელიც „მსუბუქი ჩხვლეტის“ ნოველების წანამძღვრად აირჩია:

„სულიერო მეგობარო, ჩემი სხველიდან...
სიყვარული მაქვს შენგან თუ ტკივილი“
"يا شقيق الروح من جسدي ... أهوبي بي منك أم الْمُ؟"

მწერლისთვის ისევე, როგორც ამ ბეითის ავტორისთვის, მხოლოდ სულიერი მეგობარი არ არის საკმარისი, ის ამავდროულად არის „სხეულიდან“, „من جسي“ ანუ მისთვის ფიზიკური სიახლოვეც არსებითია. სხეული სიყვარულში სულის სწორია (ალ-ხარრატი 2002: 150). კრებულის თითქმის ყველა ტექსტი გამსჭვალულია აზრით, რომელიც ამ ბეითში ჩანს. ეს არის მტანჯველი შეკითხვა არის თუ არა სიყვარული ტკივილი. სიყვარულის გამო განცდილ ტანჯვას, სექსუალურ დაუკმაყოფილებლობას ან სექსუალურ მარცხს ამ ნაწარმოებების გმირები ქალის და ქალურობის უარყოფამდე მიჰყავს. ეს უარყოფა სხვადასხვა საქციელით ვლინდება. ეს თემები განსაკუთრებით ცხადად გამოვლინდა ნოველებში „ჯოხი და სანთელი“ და „ფიჭის თაფლი და ღვინო“.

ნოველა „ჯოხი და სანთელი“ ორი ცალკეული დასრულებული ნაწილისგან შედგება „ჯოხი“ და „სანთელი“. თავიდანვე ადვილად შევნიშნავთ, რომ ტექსტში „ჯოხი“ მამრობითი ხმა ისმის, ხოლო ტექსტში „სანთელი“ – მდედრობით. მთელი ნოველის მანძილზე თავისუფლად, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, ჩანს სექსუალური განცდები და ჟესტები. ნოველის პირველი ნაწილის დასაწყისში აღწერილია ახალგაზრდა კაცის ერთ-ერთი ჩვეულებრივი დილა გამოსაფხიზებლებლად დალეული ფინჯანი ყავით, სიგარეტითა და დილის გაზეთებით. მოულოდნელად კატის კნავილი ისმის და კატის გამოჩენისთანავე გმირის მოგონებების სამყაროში გადავდივართ. ის კატის ნაკბენისგან ფეხზე დარჩენილ პატარა ჭრილობებს უხვევს გოგონას. ჩნდება ხორციელი გულისთქმა. სცენა ვნებიან ფორმას და შინაარს იძენს, თუმცა ეპიზოდი იმით მთავრდება, რომ კაცი უნდა წავიდეს და გოგონა მიატოვოს. გოგონა იდებს ჩემოდანს და მიდის.

„ჩემოდანს მიათრევდა და ბინის კარისკენ მიემართებოდა. არ შეყოფმანებულა ისე გააღო და კარს უკან გაუტინარდა“ (ალ-ჰალაჟი 1999: 30);

"وسبحت حقبيها وتوجهت إلى باب الشقة. ففتحه دون تردد وتلاشت وراءه."

იმედგაცრუება და სიყვარულით გამოწვევული ტკიფილი და სევდა კარდად ჩანს შემდეგ ეპიზოდშიც:

„მარცხენა ხელი მარჯვენა მხარზე დაიდო. მის ლოფას შეიგრძნობდა, რომელიც რამდენიმე წამის წინ აქ თვლებდა. თითები დაუსველდა: „როდის ჩამოუგორდა ეს

ცრემლები?“ მისი ცრემლებით დასველებული თითები გაიღოკა“ (ალ-ჭალაშვილი 1999: 30);

"وضع كفة اليسري على كتفه اليمني يتحسس خدها الذي كان راقدا هنا منذ ثوان فابتلت أنامله: "أودي الدموع دي فين" مص أنامله البلاطة بدموعها."

შემდეგ ასევე მოულოდნელად კარნაგის ტაძარში მოცეკვავე გოგონას ვხედავთ. ფიქრიდან გამოვხიზულებული გმირი ხვდება, რომ ტანსაცმელი აწუხებს. ის ტანზე იხდის და იატაკზე ხოხვას იწყებს. საშინელ ტკივილს გრძნობს, ხვდება, რომ სისხლი სდის და მისი სხეული ჯერ კანისგან, შემდეგ კი ხორცისგან შიშვლდება. გმირის ტანჯვას კიდევ უფრო აძლიერებენ არწივები, რომლებიც მის სხეულს კორცნიან. საბოლოოდ მისი სხეული შემადგენელი ნაწილების თოხ გროვად იშლება, რომლებიც ანატომიური სიზუსტითა აღწერილი. კაცი იქცევა სისხლის, ძვლების, კანის და ნერვების გროვებად და თითოეული მათგანი ცალკე კვნესის. გმირი ხვდება, რომ სისხლის გუბეში იძირება. ამის შემდეგ კვლავ რეალობაში ვპრუნდებით. გმირი ხვდება, რომ წყლით დატბორილ აბაზანაშია. შემდეგ ისევ წარმოსახვის სამყაროში გადავდივართ, სადაც მთვარის შუქით განათებულ მთაზე არბის, მიდის გამოქვაბულთან, საიდანაც თოხი ჯოხი გამოდის. ერთი მარჯვენა თვალს გამოსთხოის, მეორე – მარცხენას, მესამე ჯოხი მარჯვენა ყურს გაუხვრეტს, მეოთხე კი – მარცხენას; ენა კი კბილებს შორის იჭყლიტება. ნოველის ეს ნაწილი ტკივილის და ტანჯვის საშინელი სცენებით მთავრდება. გმირის ნგრევა და წამება სხვა არაფერია, თუ არა სიყვარულისა და მისი დაკარგვის გამო განცდილი ტკივილი.

რაც შეეხება ნაწარმოების მეორე ნაწილს „სანთელი“, მასში ქალ გხვდებით. ტაქსტი ასე იწყება:

„თავი თემოებში ჩარგო, კისერი მოხარა. სხვა არავინ იყო შემცვლელი“ (ალ-ჰადიატ-ინ 1999: 40);

"وَضَعْتُ رُأْسَهَا بَيْنِ فَخْذَيْهَا وَلَوْتَ رُفْقَتَهَا لَمْ يَكُنْ أَمَامَهَا بَدِيلٌ آخَرَ".

დასაწყისიდანვე ვხვდებით, რომ სიყვარულის გამო განცდილ ტკივილთან
და უიმედობასთან გვაქვს საქმე. ნოველის ეს ნაწილიც დასაწყისში ჩვეულებრივ
დილას აგვიწერს, ოღონდ ამ შემთხვევაში ქალის დილას. გმირი ლილინით
იღვიძებს და განსაკუთრებული შეხვედრისთვის ემზადება. შემდეგ ჩნდება შავი
კატა, რომელიც ქალმა თავად აირჩია და რომელსაც ყოველ დილით
გაფვიძებისთანავე ხედავდა. ამ დილას კატა არ მიუახლოვდა, რაც გმირმა კარგ

ნიშნად ჩათვალა, იფიქრა, რომ დღე კარგად ჩაივლიდა. დილის ჩვეულებრივ სამზადისში პერიოდულად იჭრება სიზმარში ნანახი სცენა, სადაც ის კაიროს თავზე პაერში გადებული წვრილი გზის კიდეზე დგას. ახსოვს, რომ ადრე ეს სცენა სიზმარში ნახა და ცდილობს, ამაზე ადარ იფიქროს. ნოველის ამ ნაწილშიც ვხვდებით შხაპის მიღების სცენას, რომლის დროსაც გმირი ისევ საკუთარი გონების სიღრმეებში იძირება. აბაზანიდან გამოსულს ფეხი უსხებლება. მიზეზად შავი კატის მისკენ მიმართულ მზერას ჩათვლის. ამ დღისთვის ნაყიდი კაბის ჩაცმამდე ის სარკესთან ჯდება. სარკეში საკუთარ სახეს ვერ ხედავს, მაგრამ შენიშნავს შავ ყუთს, რომლის დანახვის შემდეგაც ის საკუთარ მოგონებებში გადადის. ჩნდება სახეები სიზმრებიდან და მოგონებებიდან და ეს ყველაფერი თითქმის ბოდვას უტოლდება. გმირი კვლავ გრძნობს მისკენ მიმართულ მზერას, მაგრამ ამჯერად ეს პატარა თაგვის ორი ფერფლისფერი თვალია, რომლებიც ბეწვით შემოსილი ხორცის ნაკეცებში ჩაჭყლებილა. ვხედავთ რომ ის ვიდაცის ხელის მუჭშია მოქცეული. ეს, სავარაუდოდ, კაცის ხელია. კაცის ხელი ჩნდება შემდეგ ხილვაშიც. ხალხით გადაჭედილ ავტობუსში კაცის ხელი ეხვევა წელზე:

„თავი მუცელზე დაადო... კაცის მკლავები უფრო ძლიერად ეხვევა წელზე... კაცის თითქბი უფრო ძლიერად ჩადის მის ხორცში“ (ალ-ჰალაჟინი 1999: 45);

”وضع رأسه على بطنه... وذراعا الرجل تزدادان تشبثا بخصرها... ويزداد توغل أصابع الرجل في لحمها.“
არავინ ცდილობს, დაეხმაროს. ალბათ იმიტომ, რომ ყველა ადამიანი უცხოა ერთმანეთისთვის; ან იმიტომ, რომ მას სიამოვნებას ანიჭებს ეს ხელი და ეს მდგომარეობა. შემდეგ გმირის გონებაში ამოტივტივდება წინადადება: „საჭირო არ არის კიდევ შევხვდეთ“, „مش لازم نشوف بعض ثاني“ (ალ-ჰალაჟინი 1999: 45), რაც სიყვარულისა და ურთიერთობების კრახის, იმედის გაცრუების გამოხატულებაა. იღებს წერილს, რომელშიც ეს წინადადება წერია ყვალანაირი გამართლებისა და განმარტების გარეშე. ერთი კვირის შემდეგ წერილს სატრაფოს ქორწილის ფოტოებით აჭრელებული გაზეთები მოჰყვება. მოგონებებიდან გამოფხიზლებული გმირი აკვირდება ოთახის კუთხეში კედელზე მიმავალი ჭიანჭველების რიგს. ცდილობს, სიგარეტით დაწვას ისინი, მაგრამ ვერ ახერხებს. რამდენიმე წარუმატებელი მცდელობის შემდეგ იატაკზე ჯდება და ტირილს იწყებს. სასოწარკვეთილი დაეძებს საკუთარ კატას, რომელიც მამრობითის სახეა, მისი წადილის გამოხატვაა, რომელიც უნდა, რომ მოკლას და გაანადგუროს:

„პირში სისხლის გემომ მოკუმული ხელი გააშლევინა. სისხლი მისხმულიყო ყველგან, სარკეზე, მის შიშველ სხეულზე, ყველაფერზე. კატის პატარა სხეულის ნარჩენები შეაგროვა და ოთახის შუაგულში დადო“ (ალ-ჰალაჟი 1999: 50);

”مذاق الدم في فمهما أوقف قبضة يدها. يتاثر دمه في كل مكان على المرأة على جسدها العاري على كل شيء. لملت بقابيا جسد الصغير بين كفيها ووضعته في منتصف الغرفة.“

შიშველი რადაც რიტუალს ასრულებს, რომელიც შუა საუკუნეების შავი მაგიის რიტუალს ჰგავს, ორმოცი სანთელი დაანთო კატის სხეულის ნარჩენების, ანუ კაცის სხეულის ნარჩენების გარშემო. შემდეგ ქალი თითქოს უცნაურ არსებად გადაიქცა, რომელსაც ორი ფრთა აქვს, რაც, ალბათ, გაფრენის უნარისა და გათავისუფლების სიმბოლოა.

„კატის სხეულის ნარჩენების გარშემო ორმოცი სანთლით წრე შემოხაზა. გაჩერდა, ნაგლეჯები მის ფეხებს შორის ეწყო სანთლების წრის შუაგულში. ორი ფრთა გაშალა და მათ გარშემო წრე მოხაზა. კატის ნაგლეჯების გარშემო ცეკვავდა, ცეკვის ილეთებს აკეთებდა. სანთლების წრის გარეთ გადმოხტა. წრის მეორე მხარეს გადახტომის მეორმოცე მცდელობაც არ გამოუვიდა. ამასობაში სხეულის დიდი ნაწილი დაეწვა. მარცხენა ფეხი და ერთი ნეკნი მოიტეხა. ჩაქრა გამდნარი სანთლი, რომელიც მის მკერდს ჰგავდა“ (ალ-ჰალაჟი 1999: 51);

”رسمت حول بقایا جسد قطها دائرة بأربعين شمعة. وقف وبقایاه بين قدميهما في مركز الدائرة الشمعية. فرمت جناحيها وحلقت حوله. رقصت حوله. دبببت بقدميها في خطوات راقصة حوله. فقررت خارج الدائرة الشمعية. نظرت إلى الجهة المقابلة من الدائرة وقررت أن تففر إليها. عندما فشلت محاولتها الأربعون في القفز نحو الناحية الأخرى من الدائرة بعدما احترق معظم جسدها وتحطم ساقها اليسرى وأحد أصلاعها وغدا الشمع النائب هو الذي يشكل ثديها...“

დასასრულს კვლავ ტექსტის დასაწყისს ვუბრუნდებით:

„მის წინ არავინ იყო სხვა მისი შემცველელი: თავი თემოებში ჩარგო, კისერი მოხარა“ (ალ-ჰალაჟი 1999: 51);

”لم يكن أمامها بديل آخر: وضعت رأسها بين فخذيها ولوت رقبتها.“

ნოველა გვიხატავს ქალის განცდებს, მის სულიერ და ფიზიკურ ნიღევას ველურ და საშინელ სიურრეალისტურ რიტუალში. მისი სიყვარული უიღბლო აღმოჩნდა, ის მიატოვეს. უარყოფა საშინელი ტანჯვაა ქალისთვის. ვკითხულობთ ფრაზას: „აღარ გრძობდა, რომ ქალი იყო“, ”ლ تشعر أنها أنتى“, (ალ-ჰალაჟი 1999: 48), რომელშიც ჩანს, რომ ის საკუთარის ქალურობის უარყოფამდე მიდის, რაც აუცილებლად დაანგრევს მას. საბოლოოდ ან დაქმაყოფილდება მისი სურვილები ან თავს გაინადგურებს.

მსგავსი საკითხების განხილვისას ალ-ხარრატი ყურადღებას ამახვილებს ნოველაზე „ფიჭის თაფლი და დვინო“ და მას საინტერესო ნაწარმოებად მიიჩნევს. მისი აზრით, ამ ნოველის მთავარი თემა სწორედ ქალური საწყისი, მისი შიში თუ უარყოფაა (ალ-ხარრატი 2002: 154). ნოველა კაცის ცნობიერებაში ქალურობის გააზრებისა და ორი საწინააღმდეგო საწყისის ჭიდილის ნამდვილად საინტერესო მაგალითს გვიხატავს. მთხობელი არის კაცი, რომელმაც ორმოც წელს მიაღწია და ქალი არ შეუგრძენია. მისმა ბოლო მეგობარმა ქალმა განსაკუთრებული დავალება მისცა, რომელიც მის მეხსიერებაში ქალის კანის სინაზეს და, ამასთანავე, მენსტრუალურ სისხლს უპავშირდებოდა, რომელიც მის ცნობიერებაში ქალურობის ყველაზე სახასიათო ნიშანი იყო. დავალებამ მეგობრის ისტორია გაახსენა, რომელთანაც ასოცირდებოდა ის ფარული შიში, რომელსაც ეს სისხლი იწვევდა მასში. გმირის მეხსიერებაში მკვეთრად ჩაიბეჭდა კიდევ ერთი ისტორია, რომელსაც შემთხვევით მოუსმინა, როდესაც მისი და მეგობარს ელაპარაკებოდა. გოგონები ტანიდან თმის მოშორების პროცედურაზე საუბრობდნენ. გაგონილი მის გონებაში ერთობიული სცენის სახით აღიბეჭდა. მის ცნობიერებაში სექსი, სისხლი და თმის მოსაშორებელი მასა მჭიდროდ დაუკავშირდა ერთმანეთს. ბევრჯერ განიცადა მარცხი, როგორც ამ ძნელი დავალების შესრულებაში, რაც თმის მოსაშორებელი მასის მომზადებას გულისხმობდა, ისე სექსშიც. ამის შემდეგ შინაგანად კიდევ უფრო დაუახლოვდა ქალების სამყაროს:

„ამჯერად თაფლით გააპეთა. გამოვიდა. თემოს ქვედა ნაწილზე წაისვა. აღგზნების შეგრძნება დაეუფლა, ასეთი გრძნობა მანამდე არ განეცადა. როდესაც კანიდან აიცალა, ამ გრძნობამ კულმინაციას მიაღწია და მასში ჩაიძირა. სუნთქვა აუზქარდა, ხელით შეიგრძნობდა იმ განსხვავების სიამოვნებას, რომელიც ამ პატარა ადგილზე არსებულ სინაზესა და მის გარშემო არსებულ სიუხეშეში იყო. წაიკეპლუცა. ღრმა და ხანგრძლივი კვნესა აღმოხდა: ჯერ ხშირი, მერე გაწონასწორებული, ჯერ უხეში, მერე ნაზი“ (ალ-ჰალაჟი 1999: 97);

”صنعاها هذه المرة بالعمل فنجحت. فرشها على أسفل فخذه. انتابته إثارة حسية لم يسبق لها الشعور بها وعندما انتز عها من فوق“

جلده وصل إلى الذروة وغرق في مياهه. يلهث متحسسا بلذة الفرق بين إحساس النعومة في تلك البقعة الصغيرة وإحساس

الخشونة الذي يحيطها. ينبع بتاؤه تأوهات عميقة طويلة. غليظة تارة ناعمة تارة رقيقة تارة.“

როგორც ტექსტიდან ვხვდებით, მისმა ძველმა მეგობარმა გოგონამ ვერ შეძლო მისი „დაუფლება“, მაგრამ ბოლო მეგობარმა „წართვა ქალწულობა“.

„ქალმა კარი მანამდე გაუდო, ვიდრე დაბკაუნებდა. გულში მაგრად ჩაიკრა. მის დვინოს საკუთარ თაფლში ურევდა. წართვა ქალწულობა. როდესაც ზურგზე

დაწვა, ქალი მის ფეხებს შორის მოექცა და თავი მის მარცხენა მუხლს მიაყრდნო. ქალის თითქბს უყურებდა, ქალი მის ასოს ეთამაშებოდა. მერე ხელი თვალებთან მიიტანა. სისხლის წვრილი ზოლი ჩანდა. ქალმა ენით მისი სისხლი ალოკა“ (ალ-ჰალაჟი 1999: 97);

”فَتَحْتَ لِهِ الْبَابُ قَبْلَ أَنْ يَطْرُقَهُ. احْتَضَنَهَا بَشَدَةٍ وَهُوَ يُخْلِطُ نَبِيذَاهَا بِشَهَدِهِ. فَضَتْ بَكَارَتِهِ. عَنْدَمَا اسْتَقَى عَلَى ظَهَرِهِ جَلَسَتْ بَيْنَ سَاقَيْهِ مَسْنَدَ رَأْسِهَا عَلَى رَكْبَتِهِ الْيُسْرَى. يَنْظُرُ لَأَنَّامِهَا وَهِيَ تَدَاعُبُ ذَكْرَهُ. رَفِعَتْ كَفَاهَا أَمَامَ عَيْنِيهِ يَشْرِطُهُ شَرِيطًا رَفِيقًا مِنَ الدِّينِ. لَحِسْتَ شَرِيطَ دَمِهِ بِلِسانِهِ.“

ამავე ეპიზოდზე ამახვილებს ყურადღებას ’იდუარ ალ-ხარრატიც. მისთვის გაუგებრობას იწვევს სიტყვა „მისი სისხლი“ (ძმ). ეს მხოლოდ ქალის ხელიდან მომავალი სისხლი არ უნდა იყოს ალბათ, ის თვითონ მთხოვობელსაც უნდა უკავშირდებოდეს, ამ გმირს ომლის შესახებაც ყველიან – კაცს, ომელიც თითქოს გოგონაა, ომელმაც, ეს ესაა, ქალწულობა დაკარგა (ალ-ხარრატი 2002: 155). ნოველა სიურრეალისტური აზროვნების საინტერესო გამოხატულებაა. აქაც ისევე, როგორც ზემოთ განხილულ ნაწარმოებებში ვხედავთ სიურრეალისტურ სახეებს, შექმნილს ადამიანის გონების სიღრმიდან მომდინარე ინსტინქტების საფუძველზე.

ე. რაციონალური კონტროლისგან თავისუფალი სამყარო

ღადა ალ-ჰალაჟის ნაწარმოებებში იქნება განსაკუთრებული სამყარო, ომელიც შინაგანისა და გარეგანის, რეალურისა და სიურრეალურის ზღვარზე მდებარეობს, რომელშიც ეს ორი საპირისპირო სამყარო ერთიანდება. ზემოთ ვახსენეთ, რომ „მსუბუქი ჩევლეტა“ თამამი განაცხადი იყო ეგვიპტის საზოგადოებისთვის. ამის მიზეზი თემატიკა იყო, რომელსაც ის ეხებოდა, ადამიანის ნამდვილი სურვილებისა და ინსტინქტების ცხადი და თამამი აღწერა. ღადა ალ-ჰალაჟის თხზულებათათვის დამახასიათებელია სექსუალური თემატიკის ღიად განხილვა. ტექსტებში სექსუალური სცენების დეტალური აღწერაა. ამ ეპიზოდებში ორგანული ფიზიკური შეგრძნებების მხურვალე აღწერა ეთანხმება თითქმის მიკროსკოპულ დაკვირვებას სხეულებზე, ან სხეულის ნაწილებზე, მაგრამ ამ სცენების ან ცალკეული ფრაზების მიღმა უფრო ღრმა სიურრეალისტური შინაარსია. ხშირად ეს სიურრეალიტური ტექსტები ქმნიან სახეებს ან სცენებს, რომლებიც საზიზდარიც კია, მაგრამ მათში აზრი ყველანაირი შეზღუდვის თუ კონტროლის გარეშე წარმოდგენილი, როგორც ეს

ნამდვილ სიურრეალიზმში უნდა იყოს. ’იდუარ ალ-ხარრატი თვლის, რომ არაბულ ნოველათაგან, რომლებიც სიურრეალისტური სახელის ქვეშ დაწერილა, არსად ჩანს ისეთი ნამდვილი სიურრეალისტური ხედვა და მიღომა, როგორიც ალ-ჭალაშანის ნოველებში (ალ-ხარრატი 2002: 145). ზემოთ აღნიშნულის ნათელსაყოფად კარგი მაგალითია შემდეგი ნაწყვეტი ნოველიდან „ჩემთან მოდის“ („თაئინი“):

„მოკლა საკუთარი მამა, საკუთარ დედასთან სექსი ჰქონდა, საკუთარი მეგობრის ნაწლავებში პატარა მატლი ჩასვა, რომელიც სიკვდილამდე ჭამდა მას. ქმარმა დაიჭირა, მის მენსტრუალურ სისხლს ლოკავდა, ლოკავდა გამჭირვალე სითხეს. როცა დააკვირდა, აღმოაჩინა, რომ სპერმა იყო“ (ალ-ჭალაშანი 1999: 60);

”وقد قتلت أبيها ومارست الجنس مع أمها وغرست في أحشاء صديقتها دودة صغيرة ألتمنتها حتى الموت وضبّطها زوجها تلحس دم دورتها الشهرية وتلحس سائلاً شفافاً عندما فحصه وجده سائلاً منينا.“

ნოველებში უხვადაა ბოდვასთან ახლოს მყოფი ეპიზოდები, რომლებშიც გამოვლენილი აზრები და სახეები ნამდვილი, არაცნობიერი სურვილებიდან მომდინარეობს. ახლა ისინი სრულიად გათავისუფლებულია რაციონალური კონტროლით ჩახშობისგან და წარმოდგენილია არაცნობიერ საწყისში არსებული ფორმით. ამის ნათელი მაგალითია აბზაცი ნოველიდან „დაბადების მცდელობები“ („محاولات الميلاد“,):

„მისი თვალის ტბის კიდეზე დაეცა, გასწია ხელი, ამოიღო ორი საკვერცხე და დაწეს ისინი. ერთი ბოლო ენაზე მოიპა, მეორე ბოლო კი ტბაში ჩაუშვა. ტბის ფსკერზე, მისი საკვერცხის ნაწნავის ბოლო თემოს ქვეშ დაიდო. ქვიშის ნაწნავის დაწვნას ამთავრებდა, რომელიც მას შემდეგ დაიწყო, რაც კლდოვანი ველების გარშემო შუშის კედელი აღიმართა, იმ დღეს, როცა მზე აღმასის კრისტალებად დაიღვარა, რომლებიც ნერწყვის კონებს შეიცავდა“ (ალ-ჭალაშანი 1999: 67);

”على حافة بحيرة ارتمت، مدت يدها وأخرجت مبيضيها. ضفرتهما؛ ربطت طرفا في لسانها وأدلت طرفا في البحيرة. في قاع البحيرة وضعت طرف ضفيرة مبيضها تحت فخذها. تكمل ضفيرة الرمل التي بدأتها منذ أن شيد السور الزجاجي حول السهلول الصخريه يوم ذرفت الشمس بلورات ماسية تحترض كتلًا لعابية.“

’იდუარ ალ-ხარრატი აღნიშნავს, რომ ლადა ალ-ჭალაშანის ნოველების ზოგი სცენა ბელგიელი სიურრეალისტი მხატვრის რენე მაგრიტის ნახატებს ახსენებს. ამის ნათელსაყოფად მოპყავს ეპიზოდი ნოველიდან „ჯოხი და სანთელი“ (ალ-ხარრატი 2002: 149):

„სარკესთან დაჯდა სახის მოსაწესრიგებლად. სახე ვერ დაინახა, პირველ შეხედვაზე კისრის ადგილას სიცარიელე შენიშნა. მეორე შეხედვისას კი – რეინის ყუთი პატარა სპილენძის საკეტით. შავ ყუთში ჩაეშვა. ეშვებოდა ისე,

თითქოს სიზმრების დინებაში უნდა გადაშვებულიყო. თითქოს რაღაც იყო ისეთი, რაც არ იყო. ცოტა დაიხარა, მაგრამ კვლავ ეშვებოდა სიყვარულის ნათებით დამარცხებული. მისი სახე მისივე სარკე იყო“ (ალ-ჭალაშანი 1999: 43);

”جلست إلى تسرحيتها لتزيين وجهها. لم تر وجهها. في النظرة الأولى رأت فجوة مكان رقبتها. في النظرة الثانية رأت صندوقاً حديدياً بقفل نحاسي صغير. هوت بصنوفها الأسود. تهوي حيث يجب أن تهوي في دفق من الأحلام تهوي. كأن شيئاً لم يكن. انحنى قليلاً لكنها هوت وهوت صريعة انبلاج الهوى. وجهاً لها لمرآتها.“

ჩვენი მოსაზრებით, ასეთი შედარების მიზეზი ის უნდა იყოს, რომ მწერლის ტექსტები ტრადიციული შეზღუდვებისგან გათავისუფლებულ ცნობიერებას ეფუძნება, ან თავად ქმნის თავისთვის განსაკუთრებულ, არატრადიციულ, არაჩვეულებრივ და არაგონებისმიერ შეზღუდვებს.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ კრებულში შესულ ნოველებში ვლინდება სიგიურ და ამ სიგიურ ან უცნაურისა და მიუწვდომლის გაგებით გამოწვეული სიხარული. ერთ-ერთი გმირი ამბობს:

„არ დაუშვა, რომ შენ არ ხარ მხიარული. სამყაროში ნამდვილი ძალის წყაროა, შეხვიდე მიტოვებულ და აკრძალულ ადგილებში“ (ალ-ჭალაშანი 1999: 61);

”لَا تدع أنك لست فرحة إن هذا هو مصدر القوة الحقيقية في العالم: أن تدخل المناطق المحرمة والمهجورة.“

ის სიხარული, რომელიც უცხო არ იყო დადა ალ-ჭალაშანის ერთ-ერთი გმირისთვის, მართლაც, ნამდვილ ენერგიის წყაროდ იქცევა მის ტექსტებში. ალ-ჭალაშანის ნოველებში აღწერილი სიხარული უახლოვდება მშრალი გონებრივი ბორკილებიდან გათავისუფლებით გამოწვეულ სიხარულს. ეს სიხარული გამოწვეულია იმის თქმით, რასაც ჩვეულებრივ არ ამბობენ დამკვიდრებული ეთიკის ან, თუ გნებავთ, შიშის გამო. უთქმელი თემები, ის ამბები, რომლებიც ხდება და ტრიალებს ავხორცი გულისთქმის სიღრმეებში, ფიზიკური სამყაროს ცვალებადობა, წარუმატებლობა და კოშმარული ხილვები თავს იყრის სამყაროში, რომელიც „ზერელურია“, „რეალურს მიღმაა“ (تحت واقعی). ეს სამყარო ახერხებს ერთმანეთის საწინააღმდეგო მხარეების წარმოჩენას და ეს განსაკუთრებულად კარგად ჩანს ხელოვნებაში.

გათავისუფლების სიხარულის წვდომისთვის მნიშვნელოვანია გონების მართვა საჭირო მიმართულებით. კვლევის სურვილსა და სითამამეშია ნამდვილი გათავისუფლების საიდუმლო. როგორც ალ-ხარრატი აღნიშნავს, ამ თხზულებებში სიხარულის ეს სახეობა გროტესკის, დასახიჩრებისა და გაზვიადების კარში შესვლით მიიღწევა (ალ-ხარრატი 2002: 147). როგორც ჩანს, გროტესკული სიხარულითა და თავისუფალი წარმოსახვით ტკბობა

მწერლისთვის ოსტატურ მხატვრულ თამაშს წარმოადგენს. ხშირად თავისუფალ წარმოსახვას ის შორს მიჰყავს რეალობისგან, ხშირად კი თამაში რეალურისა და არარეალურის ზღვარზე გრძელდება. მაგალითად, ნოველაში „რა ხდება, როცა დედალი ლომი ჭამს თაგვს“ ლომი, რომელმაც შეჭამა თაგვი, იქცა მეწამული ფერის რკინის ნაკეთობად, რომელიც ორი სამყაროს ზღვარზე მდებარეობს.

„[...] და არაფერი დარჩა ლომისგან კუდის გარდა. [...] ოთახის სამყაროსა და გარეთ არსებულ სამყაროს შორის გამყოფ ხაზზე ნაკეთობას ორი ბუმბული გამოეზარდა...“ (ალ-ჰალაჟი 1999: 73-74);

”... ولم يتبق من اللبوة إلا ذيلها ... وفي الخط الفاصل بين عالم الغرفة الداخلي والعالم الخارجي نبتت لقطعة الحديدية
ريشتان...“

ეს არის ტექსტი, რომელიც მუდმივად შინაგან და გარეგან სამყაროებს შორის, გამყოფ ხაზზე მდებარეობს. მოთხოვობილი ამბავი შთაგვაგონებს, რომ რკინის ნაკეთობას შეუძლია იფრინოს წარმოსახული ბუმბულის ფრთებით. ნოველის ბოლოს კი ვიგებთ, რომ ლომი მდედრია, რომელიც ლამაზი იყო, მაგრამ შეშუპებულ, თუმცა მშვიდად მომღიმარ სახედ იქცა. საყვარელი სახისგან არაფერი დარჩა მბორწყინავი თვალების გარდა.

რეალობისა და არარეალობის ზღვარზე ყოფნის თემის განსახილველად საინტერესოდ მივიჩნიეთ ნოველა „საქანელაც“ (المرجحة). ტექსტში ვხედავთ ადამიანის ვარდნას საქანელიდან მისი უეცარი გაჩერებისას. ადამიანის სხეული ვარდება საქანელის სკამსა და ლობეს შორის. ეს შეიძლება იყოს ვარდნა შინაგან სამყაროსა და გარეგან სამყაროს ბარიერებს შორის. ერთ მხარეს არის თავისუფალი გაქანება, ძლიერი სურვილი ანუ „საქანელა“ და მეორე მხარეს გარეგანი ნივთიერი სამყაროს ბარიერები ანუ „ლობე“, რომელიც, ალბათ, საზოგადოებრივ გარემოებებსა და დამკვიდრებულ ტრადიციებს გულისხმობს. მწერალი აქაც ორი სამყაროს ზღვარზე, მათი ბარიერების გადაკვეთის ადგილზე აღმოჩნდა.

III. დასკვნა

როგორც განხილული ნაწარმოებებიდან დავინახეთ, დადა ალ-ჰალაჟის ნოველებისთვის დამახასიათებელია სიურრეალისტური ხედვის ბევრი ნიშან-თვისება. ნოველებში ერთმანეთს ერწყმის ხილული რეალობა, სიზმარი და

გმირების წარმოსახვა, მათ გონებაში მიმდინარე ამბები. ხშირია საწინააღმდეგო რეალობების ან სახეების გაერთიანება. თხრობისას მწერალი მოულოდნელად გადადის ერთი საწინააღმდეგო ან დაშორებული მხარიდან მეორეზე. მაგან ჩვეულებრივი ბურჟუაზიული ოთახიდან, რომელიც მწერლისთვის დამახასიათებელი დეტალური აღწერითაა წარმოდგენილი, ჩვენ მოულოდნელად გადაგდივართ განსხვავებულ ადგილას – იქნება ეს ტაძარი, კლდე თუ გამოქვაბული. ნოველები სავსეა სიურრეალისტური სახეებით: არწივების მიერ დაჩხვლეტილი სხეული, რომელიც ხორცისგან შიშვლდება; ძვლების, სისხლისა და კანის გროვებად დაშლილი ადამიანის სხეული; პატრონის მიერ დაგლეჯილი კატა, რომლის გარშემოც სანთლები ანთია; სანთლების წრეში მოხტუნავე ახალგაზრდა ქალი; ლომი, რომელიც რკინად იქცა და ბუმბულის ფრთხი გამოეზარდა; სამყაროსათვის საშიში უცნაური მდედრობითი არსება, რომელიც მიწისქვეშა ციხეშია ჩაკეტილი, თუმცა იქიდან სხვადასხვა სახით იპარება. ეს სახეები არ არის უბრალო ფანტაზიის ნაყოფი, ისინი არაცნობიერში დაფარული აზრებიდან და სურვილებიდან მომდინარეობენ.

კრებულში ჩანს ძიების, ახლის შეცნობის დიდი სურვილი. აქ ვხვდებით გმირების მცდელობას, შეიცნონ საკუთარი თავი და, ამასთნ ერთად, სამყაროს საიდუმლოებები. თითქოს მთელი კრებული ადამიანის დაფარული სიღრმეების წვდომის სურვილით არის გამსჭვალული, მწერალს სურს გაიგოს ის უხულავი, დაფარული რეალობა, რომელიც ჯერ კიდევ საიდუმლოდ რჩება. სწორედ აქედან გამომდინარე მიიჩნევს ცნობილი მწერალი და კრიტიკოსი 'იდუარ ალ-ხარრატი, რომ ეს არის პირველი ნამდვილი სიურრეალისტური წიგნი ეგვიპტურ არაბულ ლიტერატურაში, კერძოდ კი პროზაში (ალ-ხარრატი 2002: 155). ბოლოს კი, საკუთარ ნოველებთან დაკავშირებით თავად ალ-ჭალაშანის მოსაზრებას მივმართავთ. მწერალი თვლის, რომ მისი ნაწარმოებები სიურრეალისტურია და, ამავე დროს, რაღაც ფორმით რეალისტურიც. უბრალოდ მას სურდა, სამყაროებისა და ადამიანების უცნაურობა ეჩვენებინა.

დასკვნა

ამრიგად, XX საუკუნის ეგვიპტურ პროზაში საინტერესო სიურრეალისტური ნაკადი შეინიშნება. სიურრეალიზმისთვის დამახასიათებელმა ბევრმა თემამ და გამოხატვის ფორმამ იჩინა თავი ეგვიპტულ მწერალთა ნაწარმოებებში. არაბულ, კერძოდ ეგვიპტურ, პროზაში სიურრეალისტური აზროვნებისა და ხედვისთვის ტიპური ელემენტები განსაკუთრებით ცხადად 1960-იანი წლების მწერალთა თაობაში გამოვლინდა. ბევრი ცნობილი შემოქმედის ნოველები თუ რომანები გამოხატავს რეალური და ირეალური სამყაროების კავშირს, არახილულისა და ადამიანის არაცნობიერის კვლევასა და დაფარულის შეცნობის სურვილს. თუმცა, ხშირად სიზმრითა და წარმოსახვით გატაცების მიზეზი შეიძლება არსებული რეალობიდან გაქცევის სურვილი იყოს. სიურრეალიზმი რეალობისთვის თავის დაღწევის კარგ საშუალებას სთაგაზობდა ეგვიპტელ მწერლებს. ზოგი ახალგაზრდა მწერალი დღესაც იზიარებს სიურრეალისტურ ხედვასა და ზერეალურის ძიების სურვილს. მიუხედავად ზემოთ თქმულისა, ძნელია ვისაუბროთ არაბულ ლიტერატურაში წმინდა სიურრეალიზმის არსებობაზე. როგორც შესწავლილმა მასალამ გვიჩვენა, სიურრეალიზმი არ ყოფილა არაბული ლიტერატურისთვის ბუნებრივი მიმდინარეობა, ამდენად, ჩვენ მხოლოდ მის გავლენასა და სიურრეალისტური ნაკადის არსებობაზე ვსაუბრობთ. როგორც ნაშრომში აღვნიშნეთ, ეგვიპტურ პროზაში ამ ნაკადის გაჩენისთვის საფუძველი რიგმა მიზეზებმა მოამზადა, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვნად ეგვიპტეში 1930-იან წლებში სიურრეალისტური ჯგუფის არსებობას, მწერლების დასავლური ავანგარდული იდეებით დაინტერესებასა და 1960-იანი წლების პოლიტიკურ რეჟიმს მივიჩნევთ.

სიურრეალიზმი იყო მიმდინარეობა XX საუკუნის ლიტერატურასა და ხელოვნაბაში, რომელიც პირველი მსოფლიო ომის შემდეგ პარიზში წარმოიშვა. არსებული ლირებულებებისადმი პროტესტმა, რეალობის ახალმა განსაკუთრებულმა ხედვამ, ზერეალურის წვდომის სურვილმა და ადამიანის არაცნობიერი გონების კვლევამ ბევრი სიახლე დაამკვიდრა ლიტერატურასა და ხელოვნებაში. ანდრე ბრეტონის გარშემო შეკრებილი ახალგაზრდა შემოქმედების იდეებმა მალე გადალახა საფრანგეთის საზღვრები და სიურრეალიზმა თითქმის მთელ მსოფლიოში მოიკიდა ფეხი. მიუხედავად იმისა, რომ სიურრეალიზმი დასავლური კულტურის ნაყოფი იყო, მან თავი

აღმოსავლეთშიც იჩინა. ეგვიპტეში ახალი მიმდინარეობა მოგვიანებით 1930-იანი წლების ბოლოს „ხელოვნებისა და თავისუფლების საზოგადოებაში“ შეიტანა. ეგვიპტეში სიურრეალიზმის გამოჩენა იმ ახალგაზრდების სახელს უკავშირდება, რომლებმაც განათლება ევროპაში მიიღეს ან კარგად იცნობდნენ ევროპულ ხელოვნებასა და ლიტერატურას. ისინი ცდილობდნენ, დასავლური კულტურული ცხოვრების რიტმს აჟყოლოდნენ. „ხელოვნებისა და თავისუფლების საზოგადოების“ ჩამოყალიბებასა და ეგვიპტეში სიურრეალისტური ხედვის დამკვიდრებაში განსაკუთრებული როლი ჯურჯ ჭანიძმა შეასრულა. პარიზში ყოფნის დროს მან გაიცნო პარიზის სიურრეალისტური ჯგუფის წევრები, მათ შორის სიურრეალიზმის მამად აღიარებული ანდრე ბრეტონი. ხშირად ეგვიპტელი სიურრეალისტები პირადად ბრეტონის მითოთებების შესაბამისად მოქმედებდნენ. როგორც „ხელოვნებისა და თავისუფლების საზოგადოების“ მოღვაწეობის შესწავლამ გვიჩვენა, ეგვიპტელი სიურრეალისტები აქტიურად მონაწილეობდნენ საერთაშორისო მასშტაბის სიურრეალისტურ გამოფენებსა და ღონისძიებებში. ამდენად, „ხელოვნებისა და თავისუფლების საზოგადოების“ მოღვაწეობა პირდაპირ შეესაბამებოდა იმ დროის ევროპულ ლიტერატურასა და ხელოვნებაში არსებულ ტენდენციებს. მიუხედავად ამისა, სიურრეალიზმა ეგვიპტეში ფართო განვითარება ვერ ჰპოვა. ის აღმოსავლური საზოგადოებისთვის არ აღმოჩნდა ადვილად გასაგები და, შესაბამისად, მისი მიღებაც გაუჭირდათ. მიმდინარეობა, რომელმაც სხვაგვარობითა და ინოვაციებით პარიზის გაგვირვება შეძლო, ბუნებრივია, კონსერვატორული აღმოსავლური საზოგადოებისთვის არ იქნებოდა ადვილი მისაღები. ეგვიპტური სიურრეალიზმის ლიტერატურითა და ხელოვნებით გატაცებული ახალგაზრდების ვიწრო წრეში ჩაკეტვის კიდევ ერთი მიზეზი ის გახლდათ, რომ ჯგუფის წევრები ნაწარმოებებს ძირითადად ფრანგულად წერდნენ. მართალია, ფართო საზოგადოებამ ბევრი არაფერი იცოდა სიურრეალიზმის შესახებ და ვერც ჯგუფის შემოქმედებას გაეცნო, „ხელოვნებისა და თავისუფლების საზოგადოებაში“ მაინც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ეგვიპტური კულტურის განვითარებაში. სიურრეალისტური ჯგუფის წევრების გავლენას განიცდიდა შემოდგომი თაობის ბევრი ახალგაზრდა ხელოვანი, განსაკუთრებით მხატვრები. „ხელოვნებისა და თავისუფლების საზოგადოებაში“ არსებობა მალე შეწყვიტა, მაგრამ მათი მოღვაწეობის ნაყოფმა მოგვიანებით, 1960-იან წლებში, კიდევ ერთხელ იჩინა თავი.

1960-იან წლებში ეგვიპტის ლიტერატურის განვითარებაში ახალი და მნიშვნელოვანი ეტაპი დაიწყო. ლიტერატურულ ასპარეზზე მწერალთა ახალი თაობა გამოჩნდა, რომელმაც არაბულ მწერლობაში ახალი ტალღა მოიტანა. არაბულ ლიტერატურაში ბევრი ინოვაცია დამკვიდრდა. დასავლურ ლიტერატურასთან ე.წ. დაწევის პროცესი დასრულდა. მოდერნისტული და ავანგარდული იდეებით დაინტერესებული არაბი მწერლების ნაწარმოებებშიც გაჩნდა ბევრი დასავლური მიმდინარეობის გავლენა. ახალგაზრდა მწერლების ნაწერებში მოდერნიზმთან და პოსტმოდერნიზმთან ასოცირებული სიახლეები დამკვიდრდა. მიუხედავად დასავლური ლიტერატურის გავლენის გაძლიერებისა, ეგვიპტელი მწერლები არ შორდებოდნენ არაბული ლიტერატურის მდიდარ ტრადიციებს. ამ ორმა ფაქტორმა განაპირობა ის, რომ ეგვიპტური ლიტერატურა სულ უფრო განსაკუთრებულ და საინტერესო სახეს იღებდა. ეს იყო ლიტერატურა, რომელიც მყარად იდგა არაბულ საფუძველზე და, ამასთანავე, იცნობდა დასავლურ ლიტერატურაში არსებულ ახალ ტენდენციებს.

მწერალთა ახალმა თაობამ თხრობის ახალი სტილი, რეალობასა და ხელოვნებას შორის არსებული კავშირების ახალი გააზრება დაამკვიდრა. მათთვის არ იყო მთავარი მხრივოდ არსებული რეალური ცხოვრების რეალური სურათები აღეწერათ. მათი ყურადღება ადამიანის შინაგანმა სამყარომ, პიროვნების შიგნით არსებულმა წინააღმდეგობებმა და ადამიანის გონებაში დაფარულმა აზრებმა მიიპყრო. ასევე, თვითონ რეალობის გააზრებაც შეიცვალა. აღნიშნულ ცვლილებას ხელი შეუწყო 1960-იან წლებში ეგვიპტეში არსებულმა საზოგადოებრივმა და პოლიტიკურმა მდგომარეობამ. მწერალთა უმრავლესობა ეწინააღმდეგებოდა არსებულ პოლიტიკურ რეჟიმს. მათ შიშისა და ზეწოლის ქვეშ უხდებოდათ ცხოვრება. გაძლიერებული ცენზურის გამო იძულებული იყვნენ, სათქმელის კოდირების მეთოდი შეემუშავებინათ. ცდილობდნენ, ნააზრევი შეფარული გზით გადმოეცათ. არსებული რეალობა მათთვის სასტიკი აღმოჩნდა, ის მხრივოდ ტანჯვას, გაუცხოებასა და გამოუხატავ პროტესტს სთავაზობდა. შესაბამისად, მწერლები ცდილობდნენ, თავი დაედწიათ ამ რეალობისთვის ან დაეწიათ ის. ამის მისაღწევად საუკეთესო საშუალება სიურრეალიზმი იყო. მიმდინარეობა მათ სიზმრის, წარმოსახვისა და არახილულის სამყაროს სთავაზობდა. ნამდვილი და სუფთა აზრების ძიებით მათ შეეძლოთ, თავი აერიდებინათ არსებული სიყალბისთვის. სიურრეალიზმი დროისა და სივრცის საზღვრებით შეზღუდვას არ ითვალისწინებდა, ის მეტ თავისუფლებას იძლეოდა,

საწინააღმდეგო და დაშორებული საგნებისა თუ რეალობების დაკავშირებას ხდიდა შესაძლებელს. სიურრეალისტური სახეებისა და გამოხატვის ხერხების საშუალებით ახალგაზრდა მწერლებს ნააზრევის არაპირდაპირი ფორმით გადმოცემა შეეძლოთ. ამდენად, არსებული პოლიტიკური რეჟიმით გამოწვეულმა მკაცრმა რეალობამ გარკვეულწილად განაპირობა ახალგაზრდა ეგვიპტელი მწერლების მიერ სიურრეალიზმში თავშესაფრის ძიება.

სიურრეალიზმითა და სხვა ავანგარდული მიმდინარეობით გატაცება პროტესტი იყო არა მხოლოდ სოციალურ-პოლიტიკური რეალობის, არამედ საუკუნის შეა ხანგბში არაბულ ლიტერატურაში დომინანტად ქცეული რეალიზმის წინააღმდეგაც. როგორც დავინახეთ, 1940-იანი წლების მეორე ნახევრიდან რეალიზმი და სოციალური რეალიზმი მომდლავრდა ეგვიპტურ პროზაში. პოლიტიზირებული საზოგადოება მწერლისგანაც სოციალურ და პოლიტიკურ აქტივობას ითხოვდა. ჩამოყალიბდა ე.წ. „მოვალეობის“ ლიტერატურა. მსგავსმა ტენდენციებმა შეაფერხა ლიტერატურაში განსხვავებული მიმდინარეობების განვითარება, რომელიც საუკუნის პირველ ნახევარში წარმატებით დაიწყო. ვალდებულებად ქცეული რეალური თემებითა და რეალიზმის ყალბი მიმბაძველობით დადლილმა მწერლებმა სცადეს, საუკუნის პირველ ნახევარში წინა თაობების მიერ მომზადებულ ნიადაგზე კვლავ აედორძინებინათ თანამედროვე ლიტერატურა, რომელშიც სხვადასხვა მიმდინარეობა თავისუფლად გამოვლინდებოდა.

არაბული ლიტერატურის განვითარების ამ ახალ პერიოდში კიდევ ერთი საინტერესო ტენდენცია გაჩნდა. ახალგაზრდა მწერლები სულ უფრო ხშირად მიმართავდნენ ფოლკლორსა და კლასიკურ არაბულ ლიტერატურულ მემკვიდრეობას. „ათას ერთი დამის“ ზღაპრებითა და ხალხური თქმულებებით გატაცება მწერლებს ფანტაზიისა და წარმოსახვის სამყაროსთან კიდევ უფრო აახლოებდა. ეს შესაძლოა საფუძველი გამხდარიყო არა მხოლოდ მაგიური რეალიზმის ჩასახვის, არამედ სიურრეალისტური ხედვის განვითარებისაც. როგორც ვიცით, სიურრეალისტები დიდი მნიშვნელობას ანიჭებდნენ ფოლკლორს. საინტერესო იქნება, აქვე გავიხსენოთ ’იდუსტრ ალ-ხარრატის ის მოსაზრება, რომ შესაძლოა, სიურრეალისტური ხედვა, ზოგადად, არაბული ლიტერატურისა და აზროვნებისთვის დამახასიათებელი იყოს. საკუთარი მოსაზრების დასასაბუთებლად ცნობილი მწერალიც არაბულ ფოლკლორს იშველიებს.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ 1960-იან წლებში სიურრეალიზმი ისევ გამოჩნდა ასპარეზზე ევროპაშიც. 1968 წელს პარიზში სტუდენტების აჯანყებამ სიურრეალისტური პროტესტისა და ძიების სული კიდევ ერთხელ გამოაცოცხლა. სწორედ ამავე პერიოდიდან იწყება სიურრეალიზმით, როგორც კვლევის ობიექტით, დაინტერესებაც. როგორც ადგიშნეთ, ამ პერიოდის არაბული ლიტერატურა და მისი განვითარება პირდაპირ შეესაბამებოდა ევროპაში მიმდინარე კულტურულ პროცესებს. აქედან გამომდინარე, შესაძლოა სიურრეალისტური ტენდენციების გაძლიერება და ლიტერატურაზე მისი გავლენის გამძაფრება მხოლოდ ეგვიპტური ცენზურისგან და სასტიკი რეალობისგან თავის დაღწევის სურვილით არ ყოფილიყო განპირობებული. არაბ მწერალთა ნაწარმოებებში სიურრეალისტური ხედვის და მისთვის დამახასიათებელი ელემენტების გაჩენა, სავარაუდოდ, ევროპაში დროებით სიურრეალისტური სულისა და პროტესტის დაბრუნებასაც უკავშირდება. შესაძლოა, არაბულ პროზაში სიურრეალისტური ნაკადის შემოჭრა იმ დროისთვის მთელ მსოფლიოში სიურრეალიზმით დაინტერესების ზრდის შედეგიც იყო.

ადნიშნულმა ფაქტორებმა „ხელოვნებისა და თავისუფლების საზოგადოების“ მიერ ერთხელ უკვე დამუშავებულ ნიადაგზე სიურრეალისტური ტენდენციების აღმოცენება ადვილად შესაძლებელი გახდა.

XX საუკუნის არაბულ პროზაში არსებული სიურრეალისტური ნაკადის ზოგადი სურათის შესაქმნელად და მისთვის დამახასიათებელი ასპექტების წარმოსაჩენად სადისერტაციო ნაშრომში განხილულია სამი მწერლის: **ჯუსუფ** ’იდრისის, ’იდჟარ ალ-ხარრატის და ლადა ალ-ჭალაჟნის ნაწარმოებები. ეგვიპტური ნოველის დიდოსტატად აღიარებული **ჯუსუფ** ’იდრისის ნაწარმოებების დიდი ნაწილი რეალისტური ხასიათისაა. სიურრეალიზმი თავს მის გვიანდელ, 1960-70-იან წლებში დაწერილ, ნოველებში იჩენს. ამ ნაწარმოებებში იქმნება ერთგვარი სამყარო, რომლისთვისაც ბევრი სიურრეალისტური ელემენტია დამახასიათებელი. გვიანი პერიოდის ნაწარმოებებში მწერალი ადამიანების შინაგან სამყაროს, მასში დამალულ ნამდვილ განცდებს გვიხატავს. ამ სამყაროში ერთმანეთს უკავშირდება სიზმარი და რეალობა; თანდათან მათი გამიჯვნა შეუძლებელი ხდება. თუმცა, ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ’იდრისი სიურრეალისტი მწერალია, შეგვიძლია მხოლოდ მის ნაწარმოებებში სიურრეალისტური ელემენტების არსებობაზე ვისაუბროთ.

ერთ-ერთი საუკეთესო ეგვიპტელი რომანისტი 'იდუარ ალ-ხარრატი სიურრეალიზმით ახალგაზრდობაში დაინტერესდა. მას ბევრი საინტერესო ნაშრომი აქვს დაწერილი ამ მიმდინარეობის შესახებ. სიურრეალისტური ხედვა და ზერეალური სამყაროს შეცნობის წყურვილი მის პირველ ნაწარმოებებშივე ჩანს. მწერლის რომანებისთვის ჩვეულია სიზმრის, წარმოსახვისა და რეალობის შერწყმა. თხრობა ნაწარმოების გმირის გონებაში მიმდინარე აზრებს მიჰყვება. რაციონალური კონტროლი სუსტდება და გმირის აზრები, ლოგიკური კავშირების გარეშე, ასოციაციებს მიჰყვება. მათ შორის კავშირი შეგრძნებებს ემყარება, რაც, ერთი შეხედვით, შეუთავსებელ სახეებს აერთებს. მიუხედავად ამისა, გერც ალ-ხარრატს მივიჩნევთ სიურრეალისტ მწერლად. მისი რომანების სამყარო არ არის წმინდად სიურრეალისტური, ის რეალობისა და სიურრეალობის ნაზავია. სიურრეალიზმით დაინტერესებულმა მწერალმა შექმნა ნაწარმოებები, რომლებშიც სიურრეალიზმი ფართოდ არის წარმოდგენილი.

ახალგაზრდა მწერალი ქალის, ღადა ალ-ჭალაშანის ნოველები შეგვიძლია სიურრეალისტურ ტექსტებად მივიჩნოთ. ამ ნაწარმოებებში რეალურ ფიზიკურ სამყაროში მომხდარი მოვლენები ნაკლებად ჩანს, მწერალი ძირითადად ადამიანებს, ან ადამიანებსა და გარკვეულ მოვლენებს შორის არსებულ ურთიერთობებს გვიხატავს. ადამიანის გონებაში, მის არაცნობიერში დამალული ნამდვილი აზრები და ინსტინქტები თამამად, მინიმალური ცნობიერი კონტროლით, ნაკლებად შეზღუდული ფორმით არის გადმოცემული. თუმცა, თავად მწერალი თვლის, რომ მისი ნოველები რაღაც ფორმით რეალისტურიცაა.

სამივე მწერლის ნაწარმოებებისათვის და, შესაბამისად, მიღებული საერთო სურათისთვის დამახასიათებელია ბევრი სიურრეალისტური ნიშანი. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ის განსაკუთრებული ადგილი, რომელიც სიზმარს ეთმობა ამ თხზულებებში. ქნელია სიზმრისა და რეალობის ერთმანეთისგან გამოყოფა. ხშირად რეალურად მომხდარი ამბის თხრობა მოულოდნელად სიზმარში ნანას სცენად გადაიქცევა. სიზმარში ნანახი უცნაური სახეები და განცდილი არარეალური ამბები პირდაპირ, ლოგიკური ახსნის გარეშე გადმოიცემა, რაც ზოგჯერ სიურრეალისტთა „ავტომატური წერის“ მეთოდს გვაგონებს.

ზოგიერთ ნაწარმოებში განსაკუთრებულ როლს თამაშობს ბავშვის ფანტაზიები, წარმოსახვით გამდიდრებული მოგონებები და ბავშვის მიერ რეალობისა და ზღაპრის ერთნაირი სიცხადით გააზრება. როგორც ვიცით

სიურრეალისტებიც განსაკუთრებული ინტერესით ეკიდებოდნენ ბავშვის ფიქრების, მისი აზროვნების შესწავლას, რამდენადაც ის ჯერ არ იყო დაბინძურებული უფროსების რეალური სამყაროს ღირებულებებით.

როგორც თავად სიურრეალისტები მიიჩნევდნენ, სიურრეალისტური სული ძიების სული იყო. ისინი ეძიებდნენ უხილავ, ზერეალურ სამყაროს და არაცნობიერში დაფარულ აზრებს, მაგრამ პირველ რიგში ეს იყო საკუთარი თავის ძიება. მათთვის არსებითი იყო საკუთარი თავის შეცნობის სურვილი; საკუთარი თავის წვდომის შემდეგ ადვილი ხდებოდა, ზოგადად, ადამიანის სიღრმეების გაგება. სამივე მწერლის ნაწარმოებებში აქტუალურია ეს თემა. ხშირად ვხედავთ ადამიანში არსებულ შინაგან წინააღმდეგობებს, საკუთარ თავთან ბრძოლას, პიროვნების ნგრევას. გმირები ცდილობენ გაიგონ ვინ არიან, რას ეძიებენ. არის სცენები, სადაც გმირი კარგავს სახეს, ან მისი სახე სარკედ იქცევა. აქვე შეიძლება შევეხოთ პიროვნების გაორების საკითხს. ხშირად ადამიანი არ არის მარტივად ერთი „მე“, ის თითქოს დანაწევრებულია და რამდენიმე განსხვავებული „მესგან“ შედგება. სწორედ ამის მაგალითია ალ-ხარრატის განხილული რომანის გმირის, მიხა-ილის, პიროვნება. ის არის მთხოვნებულიც, მთავარი გმირიც და ბავშვიც, რომლის შესახებაც მთხოვნებული გვიყვება. რომანში სამი ხმა ისმის და სამივე ერთი „მეს“ სხვადასხვა სახეა. აქაც ვხედავთ კავშირს სიურრეალისტურ აზროვნებასთან, სიურრეალისტები ხომ ერთი მთლიანი პიროვნების არსებობას ეჭვებეშ აყენებდნენ.

როგორც სიურრეალიზმისთვის, ისე განხილული ნაწარმოებებისთვის და, შესაბამისად, არაბულ ლიტერატურაში არსებული სიურრეალისტური ნაკადისთვის დამახასიათებელია თამამი ეროტიკული სცენები. ნაწარმოებების ერთ-ერთი მთავარი თემა სწორედ სიყვარული, სექსი და ქალის სილამაზის ეროტიკული განცდაა. ხშირად სიყვარული და სექსი უჩვეულო ფორმით ვლინდება. ზოგჯერ მხოლოდ მისგან მოტანილი ტანჯვა ჩანს, რასაც პიროვნების თვითგანადგურებამდე მივყართ, რაც განსაკუთრებული სისასტიკით და ალ-ჭალაშანის ნოველებში ვლინდება. ალ-ხარრატან კი სიყვარული და საყვარელ ქალთან შეერთება მარადისობაში გადასვლის საშუალებაა.

მნიშვნელოვანია ასევე სივრცისა და დროის საზღვრების უგულებელყოფა. ნაწარმოების გმირები თავისუფლად გადადიან საწინააღმდეგო სამყაროებში, მომავლიდან წარსულიდან ან წარსულიდან აწმეოში ან სულაც გაურკვეველ

დროში. აქ ხშირად დაკარგულია დროის ქრონოლოგიური განცდა. ვხვდებით უსაზღვრო სივრცეებს, ზღვა და ზეცა ხშირად ამ უსაზღვრობისა და უკიდეგანობის სახეებს წარმოადგენს. ხშირად გმირი უმირო სიღრმეში ეშვება. სწორედ ადამიანის არაცნობიერის უძირო სიღრმეების კვლევა და იქ დამალულის გამოვლენა იყო ის, რასაც სიურრეალისტები ესწრაფოდნენ.

ამრიგად, განხილული მაგალითები და მათთვის დამახასიათებელი სიურრეალისტური ნიშნები საშუალებას გვაძლევს, რომ XX საუკუნის არაბულ, კერძოდ ეგვიპტურ, პროზაში სიურრეალისტური ნაკადის არსებობაზე ვისაუბროთ. ჩვენ ვეცადეთ, სადისერტაციო ნაშრომში კონკრეტული მაგალითების განხილვის საფუძველზე ამ ნაკადის ზოგადი სახე და მისთვის დამახასიათებელი ელემენტები წარმოგვეჩინა.

გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი

- عبد القادر، عبد الأله (2000)، 'ادوار الخراط روائيا وقاصا'، *دور الخراط مغامر حتى النهاية، نصوص احتفالية العام السبعين (القاهرة: الحضارة العربية)*، ص. 32-38.
- عبد المجيد، إبراهيم (2000)، 'أنت لا تنزل عملا لإدوار مرتين'، *دور الخراط مغامر حتى النهاية، نصوص احتفالية العام السبعين (القاهرة: الحضارة العربية)*، 96-94.
- البنا، حسن (1991)، 'عن اللغة والتكتنิก في القصة والرواية ، نموذج تحليلي من يوسف إدريس'. ا. عثمان، 1991: 273-219.
- 'ابو عوف'، عبد الرحمن (1991)، 'يوسف إدريس وعالمه الفصصي والروائي (القاهرة)'.
- 'ابو غازي، بدر الدين (1963)، 'رمسيس يونان وعالمه المعتزل'، *المجلة (أغسطس)*.
- آدم آدمووچو 1996: Adamowicz, E. (1996), 'The Surrealist (Self-)Portrait: Convulsive Identities', in S. Levy (ed.), *Surrealism, Surrealist Visuality* (Keele: Keele University Press), pp.31-44.
- آدے 1978: Ades, D. (1978), *Dada and Surrealism Reviewed* (London: Arts Council of Great Britain).
- آزادا لاللا 1991: Awadalla, M. (1991), 'The Wedding of Imagination and Reality in Al-Kharrat's Alexandria: The City of Saffron', in H. Gindi (ed.), *Images of Egypt in Twentieth Century Literature* (Cairo: Department of English Language and Literature, University of Cairo), pp.221-230.
- آلن 1978: Allen, R. (ed.), (1978), *In the Eye of the Beholder: Tales of Egyptian Life from the Writings of Yusuf Idrīs* (Minneapolis & Chicago: Bibliotheca Islamica).
- آلن 1989: Allen, R. (1989), 'Review of Yusuf Idris, Abu al-rijal/ A Leader of Men', *World Literature Today*, Vol. 63 (2, Spring), p.360.
- آلن 1992: Allen, R. (1992), 'The Beginning of the Arabic Novel', in M. M. Badawi (ed.), *Modern Arabic literature* (Cambridge: Cambridge University Press), pp.180-192.
- آلن 1995: Allen, R. (1995), 'Arabic Fiction and the Quest for Freedom', *Journal of Arabic Literature*, (XXVI), pp. 37-49.
- آلن 1998: Allen, R. (1998), *The Arabic Literary Heritage: The Development of its Genres and Criticism* (Cambridge: Cambridge University Press).
- آلن 2000: Allen, R. (2000), *An Introduction to Arabic Literature* (Cambridge: Cambridge University Press).

- ალენი 2006: Allen, R. (2006), 'Intertextuality and Retrospect: Arabic Fiction's Relationship with Its Past', in L. Deheuvels, B. Michalak-Pikulska, and P. Starkey (eds.), *Intertextuality in Modern Arabic Literature Since 1967* (Durham: School of Modern Languages and Culture, Durham University), pp.1-12.
- ალთომა 2005: Altoma, S. J. (2005), *Modern Arabic Literature in Translation* (London: Saqi).
- العالم، محمود أمين (2000)، "إدوار الخراط... ناقداً جمالياً"، *إدوار الخراط مغامر حتى النهاية* ، د.م.اهـ ٢٠٠٠: نصوص احتفالية العام السبعين (القاهرة: الحضارة العربية)، ص. 46-52.
- العالم، محمود أمين (د.ت.)، يوسف إبريس بقلم كبار الأدباء (القاهرة: مكتبة مصر)، ص. 202-242.
- აჟსენი 1992: Ahsen, A. (1992), *New Surrealism, The Liberation of Images in Consciousness* (New York: Brandon House).
- ბადაუი 1985: Badawi, M.M. (1985), 'Commitment in Contemporary Arabic Literature', in M.M. Badawi (ed.), *Modern Arabic Literature and the West* (London: Ithaca Press), pp.1-25.
- ბადაუი 1993: Badawi, M.M. (1993), *A Short History of Modern Arabic Literature* (Oxford: Clarendon Press).
- ბალაკიანი 1967: Balakian, A. (1967), *Literary Origins of Surrealism, A New Mysticism in French Poetry*, (London and New York: University of London Press and New York University Press).
- برادة، محمد (1986)، *لغة الطفولة والحلم* (ربط: الشركة المغربية للناشرين المتدينين).
- ბარანოვი 1977: Баранов, Х.К. (1977), *Арабско-Русский Словарь* (Москва: Издательство Русский Язык).
- ბარაქი 2008: Barak, E. (2008), 'Egyptian Intellectuals in the Shadow of British Occupation', *British Journal of Middle Eastern Studies*, Vol. 35 (2, August), pp.173-186.
- ბარაქი 1993: Barakat, H. (1993), *The Arab World, Society, Culture, and State*, (Berkeley, Los Angeles and London: University of California Press).
- ბასტია 1941: Bastia, J. (1941), 'L'exposition de L'art Independent', *Le Progres Egyptien*, (16.03.1941).
- بهنسی، عفیف (د.ت.)، *الفن التشكيلي العربي المعاصر* (المنظمة العربية للتربية الثقافة العلوم).
- بیاجینی، مارسیل (1999)، 'جورج حنين: لا مبررات الوجود'، مترجم: بشیر السباعی، الكتابة 1999: الأخرة، (العدد 20\19)، ص. 245-247.
- بیکار (1980)، "الرجل الأخضر"، جريدة الأخبار (28.11.1980).
- ბორისოვი 1961: Борисов, В.М. (1961), *Современная Арабская Проза* (Москва).

- ბრეტონი 1924: Breton, A. (1924), *Manifesto of Surrealism* [online text], available from <http://www.scribd.com/doc/186128/Manifesto-of-Surrealism-Andre-Breton>
[<http://www.scribd.com/doc/186128/Manifesto-of-Surrealism-Andre-Breton>](http://www.scribd.com/doc/186128/Manifesto-of-Surrealism-Andre-Breton)
- ბრეტონი 1962: Breton, A. (1962), *Les Manifestes du Surréalisme* (Paris: Jean-Jacques Pauvert).
- ბრეტონი 1969: Breton, A. (1969), *Manifestos of Surrealism*, trans. R. Seaver and H.R. Lane (Ann Arbor: University of Michigan Press).
- بريتون، اندرية (1978)، بيانات السريالية، مترجم: صلاح برمدا، (منشورات وزارة الثقافة والارشاد 1978) بوصيي السوريه.
- ბულლათა 1989: Boullata, I. (1989), 'Review of Yusuf Idris, Abu al-rijal/ A Leader of Men', *International Fiction Review*, Vol. 16 (1), p.83.
- بوشعيب، شداق (2000)، 'الخراط ورهانات الكتابة الحديثة'، *إدوار الخراط معاصر حتى النهاية* ، نصوص احتفالية العام السبعين (القاهرة: الحضارة العربية)، ص. 45-39.
- გაბრიელე-ბეუგელინკი 2002: Gabrielle-Beugelink, S. (2002 [i.e. 2003]), *The Wedding of Apollo: the Marriage of Historic Hybridity and Fantastic Imagination in the Works of Edwar al-Kharrat*, (D.Phil Thesis, University of Oxford).
- გერმეინი 1986: Germain, E.B. (1986), 'Automatism and the Birth of Language', in I. Higgins (ed.), *Surrealism and Language, Seven Essays* (Edinburgh: Scottish Academic Press), pp.76-87.
- გრილე 2003: Greeley, R.A. (2003), 'For an Independent Revolutionary Art: Breton, Trotsky and Cárdenas's Mexico', in R. Spiteri and D. LaCoss (eds.), *Surrealism, Politics and Culture* (Hants and Burlington: Ashgate Publishing), pp.204-225.
- დაგრ, فیصل کمیل (1979)، اندرية بریتون (بیروت: المؤسسة العربية للدراسات والنشر).
- დელ რენზი 1996: Del Renzio, T. (1996), 'Un Faucon et un Vrai', in S. Levy (ed.), *Surrealism, Surrealist Visuality* (Keele: Keele University Press), pp.149-156.
- დიაკომიდესი 1968: Diacomides, D. (1968), 'Lectures on contemporary art in Egypt', *Arab Observer*, (14).
- الديب، بدر (1994)، 'صوت صارخ في الشوارع ينادي باسمك'، مختارات فصول الهيئة المصرية 1994: العامة للكتاب.
- დოლინინა 1961: Долинина, А.А. (1961), 'Предисловие', in А.А. Долинина and К.О. Юнусова (eds.), *Современная арабская проза* (Москва, Ленинград: Государственное издательство художественной литературы).

დღაზი 1981: Draz, C. K. (1981), 'In Quest of New Narrative Forms: Irony in the Works of Four Egyptian Writers (1967-1979): al-Ghitani, Yahya T. Abdallah, Tubya, Sunallah Ibrahim', *Journal of Arabic Literature*, (XII), pp.137-159.

ებურნე 2003: Eburne, J.P. (2003), 'Surrealism Noir', in R. Spiteri and D. LaCoss (eds.), *Surrealism, Politics and Culture* (Hants and Burlington: Ashgate Publishing), pp.91-110.

ელხადემი 1988: Elkhadem, S. (1988), 'Preface', *A Leader of Men*, (أبو الرجال), a Bilingual Edition, trans. S. Elkhadem (Fredericton: York Press), pp.1-2.

ერნსტი 1970: Ernst, M. (1970), 'Identité instantanée, in "Au-delà de la peinture"', *Cahiers d'art, 14 1936, Écritures* (Paris).

ვალდერგი 1978: Waldberg, P. (1978), *Surrealism* (New York and Toronto: Thames and Hudson).

ვესტნი 2008: Westney, E. (2008), 'The Representation of the Coptic Christians of Alexandria in Turabuha Za'faran and Ya Banat Iskandariya by Idwar Al-Kharrat', in R. Ostle (ed.), *Sensibilities of the Islamic Mediterranean, Self-Expression in a Muslim Culture from Post-Classical Times to the Present Day* (London and New York: I.B. Tauris), pp.245-259.

ვესტნი 2000: Westney, E. (2000), *Arabic Literary Modernism: the Short Story Cycles and Episodic Novels of Imīl Ḥabībī and Idwār al-Kharrāṭ*, (D.Phil Thesis, University of Oxford).

ვილიამი 1992: Williams, L. (1992), *Figures of Desire. A Theory and Analysis of Surrealist Film* (Berkeley, Los Angeles, Oxford: University of California Press).

زین، أحمد (2000)، 'إدوار الخراط يكرم جائزة العويس'، *إدوار الخراط مغامر حتى النهاية ، نصوص 2000*، احتفالية العام السبعين (القاهرة: الحضارة العربية)، ص. 96-99.

التلمساني، كامل (1940 أ)، 'تحو فن حر'، التطور (العدد الأول).

التلمساني، كامل (1940 ب)، 'الإنسانية والفن الحديثة'، التطور (العدد الثاني).

التلمساني، كامل (1941)، 'معرض الرسام راتب صديق'، *المجلة الجوية* (العدد 400).

التلمساني، كامل (1992)، 'المعرض الأول لفن الحر'، *الكتابة الأخيرة* (الكتاب الثالث)، ص. 121-117.

იდრისი 1972: Idris, Y. (1972), 'The Journey', trans. R. Allen, *Journal of Arabic Literature*, (III), pp.127-131.

იდრისი 1988أ: Idris, Y. (1988) (إدريس، يوسف)، *A Leader of Men*, (أبو الرجال)، a Bilingual Edition. Elkhadem, Saad, trans. S. Elkhadem (Fredericton: York Press).

იდრისი 1988ب: 'იდრის, ი. (1988), „ხელობის ძიებაში“، თარგმნა რ. კვიჭინაძემ, არმალანი, გამომცემლობა საბჭოთა საქართველო.

- 'օգրութեա 1991: Idris, Y. (1991), 'The Half Revolutionaries by Yusuf Idris', trans. C. Cobham, *Journal of Arabic Literature* (XXII), pp.38-46
- 'օգրութեա 1992: Idris, Y. (1992), *The Piper Dies and Other Stories*, trans. D. Cohen-Mor (Potomac: Sheba Press).
- 'օգրութեա 2002Ճ: 'օգրութեա, Զ. (2002Ճ), „Ապահովման ճառացության մասին Հայաստանի Հանրապետությունում աշխատավայրերի գործադրության մասին ՀՀ օրենքով“ №2(182).
- 'օգրութեա 2002Ճ: 'օգրութեա, Զ. (2002Ճ), „Բանական լուսաբանության մասին ՀՀ օրենքով“ №2(182).
- إدريس، يوسف (دت. أ)، *أرخص ليالي* (مطبوعات مكتبة مصر، القاهرة: مكتبة مصر).
- إدريس، يوسف (دت. ب)، *جمهورية فرحت* (مطبوعات مكتبة مصر، القاهرة: مكتبة مصر).
- إدريس، يوسف (دت. ت)، *ليس كذلك* (مطبوعات مكتبة مصر، القاهرة: مكتبة مصر).
- إدريس، يوسف (دت. ث)، *آخر الدنيا* (مطبوعات مكتبة مصر، القاهرة: مكتبة مصر).
- إدريس، يوسف (دت. ج)، *لغة الأی آی* (مطبوعات مكتبة مصر، القاهرة: مكتبة مصر).
- إدريس، يوسف (دت. ح)، *النداهة* (مطبوعات مكتبة مصر، القاهرة: مكتبة مصر).
- إدريس، يوسف (دت. خ)، *بيت من لحم* (مطبوعات مكتبة مصر، القاهرة: مكتبة مصر).
- إدريس، يوسف (دت. د)، *أنا سلطان قانون الوجود* (مطبوعات مكتبة مصر، القاهرة: مكتبة مصر).
- إدرييس، يوسف (دت. ذ)، *أقتلها* (مطبوعات مكتبة مصر، القاهرة: مكتبة مصر).
- զանան 2007: Caiani, F. (2007), *Contemporary Arab Fiction, Innovation from Rama to Yalu* (London and New York: Routledge, Taylor & Francis Group).
- զարգության 1970: Cardinal, R. and Short, R.S. (1970), *Surrealism, Permanent Revelation* (London: Studio Vista Limited).
- قاسم، سبز (1984)، ' حول بوليفيقيا العمل المفتوح قراءة في "اختناقات العشق والصباح"', فصول، المجلد 1984: 4 (العدد 3).
- զենդան 2006: Kendall, E. (2006), *Literature, Journalism and the Avant-Garde, Intersection in Egypt* (London and New York: Routledge, Taylor & Francis Group).
- զոլքաթրուզօ 1973: Kilpatrick, H. (1973), "Hawwa' bila Adam': an Egyptian novel of the 1930's', *Journal of Arabic Literature*, (IV), pp. 48-56.
- զոլքաթրուզօ 1974: Kilpatrick, H. (1974), 'The Arabic Novel - a Single Tradition?' *Journal of Arabic Literature*, (V), pp.93-107.
- զոլքաթրուզօ 1992: Kilpatrick, H. (1992), 'The Egyptian novel from Zaynab to 1980', in M.M. Badawi (ed.), *Modern Arabic Literature* (Cambridge: Cambridge University Press), pp.223-269.

- კირპიჩენკო 1988: Кирпиченко, В.Н. (1988), 'Предисловие', in В.Н. Киприченко (ed.), *Современный египетский рассказ* (Москва: Издательство Наука).
- კირპიჩენკო 1999: Кирпиченко, В.Н. (1999), 'Об "Арабских Формах" Арабского Романа и о Пище Духовной', *Россия - Восток - Запад* (Москва: Издательство Наследие), pp.265-278.
- القط، عبد الحميد عبد العظيم 1980)، يوسف إدريس وفن القصصي (القاهرة: دار المعارف).
- კობამი 1975: Cobham, C. (1975), 'Sex and Society in Yusuf Idris: Qa' Al-Madina', *Journal of Arabic Literature*, (VI), pp.78-88.
- კოენი 1984: Cohen, D. (1984), 'The Journey, by Yusuf Idris - Psychoanalysis and Interpretation', *Journal of Arabic Literature*, (XV), pp.135-138.
- კოენი 1992: Cohen-Mor, D. (1992), *Yusuf Idris, Changing Vision*, (Potomac: Sheba Press).
- კრახიოვსკი 1946: Крачковский, И. Ю. (1946), *Арабская Литература в XX Веке* (Ленинград: Издательство Ленинградского Государственного Ордена Ленина Университета).
- კრახიოვსკი 1956: Крачковский, И. Ю. (1956), *Избранные Сочинения*, (III) Москва).
- კურპერშოეკი 1981: Kurpershoek, P.M. (1981), *The Short Stories of Yusuf Idris, a Modern Egyptian Author* (Leiden E.J. Brill).
- کبرشوابک، ب. م. (1991)، 'قصص يوسف إدريس القصيرة، تحليل مضموني'. ا. عثمان، س. 1991: سرحان وس. ع. الفتاح، يوسف إدريس 1927-1991 (القاهرة)، ص. 42-99.
- ლა კოსს 2003: LaCoss, D. (2003), 'Attacks of the Fantastic', in R. Spiteri and D. LaCoss (eds.), *Surrealism, Politics and Culture* (Hants and Burlington: Ashgate Publishing), pp.267-299.
- ლარო 1976: Laroui, A. (1976), *The Crisis of the Arab Intellectual, Traditionalism or Historicism?*, trans. D. Cammell (Berkeley, Los Angeles and London: University of California Press).
- ლეკიაშვილი 1977: ლეკიაშვილი، ალ. (1977), არაბული ენა I: ფონეტიკა، ხიდურული არმოვება და ძორულობები، (თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა).
- ლიარდეტ 1989: Liardet, F. (1989), 'Introduction', *City of Saffron* (London: Quartet Books).
- اللقاني، صلاح (1983)، "الزمن الآخر أعادة بناء الذاكرة"، مجلة أدب ونقد، (1983-04).
- لوتى، جان جان (1998)، "الحركة السوريانية في مصر"، مترجم: ب. السباعي، الكتابة الأخيرة، (العدد 1998)، ص. 39-121.
- ლუკას სახარება: ლუკა: 2, 22-34 (1992), ახალი აღმოქმნა და ფასლმუხები (სტოკოლმი: ბიბლიოს თარგმნის ინსტიტუტი).

- مقار، شفيق (1969)، 'عن الجديد والقديم وما بين بين'، *جاليري* 68، (العدد 7).
- منصور، أنيس (د.ت.)، 'هذه "أرخص ليلي" الطبيب الأديب'، يوسف إبريس بقلم كبار الأدباء ٥. د. ج: (القاهرة: مكتبة مصر).
- منصور، جويس (1998)، *افتاح أبواب الليل*، مترجم: ب. السباعي، (كولونيا: منشورات الجمل).
- مادغاشيقولو 2008: მადგარაშვილი, გ. (2008), სიურრეალიზმი, ლიტერატურული
კურნალი „ხაბა“ (I), გვ. 32-37.
- محفوظ، عصام (1992)، 'السورالية المصرية، الكتابة الأخرى'، (الكتاب الثالث)، ص. 30.
- ماددوخ 1996: Maddox, C. (1996), 'Only Chaos within One Gives Birth to a Dancing Star', in S. Levy (ed.), *Surrealism, Surrealist Visuality* (Keele: Keele University Press), pp.11-14.
- مikhail 1974: Mikhail, M.N. (1974), 'The Death of Religion in the Stories by Idrīs and Mahfuz', *Journal of Arabic Literature*, (V), pp.147-157.
- مikhail 1980: Mikhail, M.N. (1980), 'The Search for the Authentic Self Within Idrīs's City', in I.J. Boullata (ed.), *Critical Perspectives on Modern Arabic Literature 1945-1980* (Washington D.C.: Three Continents Press), pp.105-115.
- مikhail 1990: Mikhail, M.N. (1990), 'Egyptian Tales of the Fantastic: Theme and Technique in the Stories of Yūsuf Idrīs', *Journal of the American Research Centre in Egypt*, Vol. 27, pp.191-198.
- مikhail 1992: Mikhail, M.N. (1992), 'Man and the Sea: Intertextual Perspectives in Idwar al-Kharrat's Turabuha Za'farān', in I.J. Boullata (ed.), *The Arabic Novel Since 1950, Critical Essays, Interviews, and Bibliography* (Mundus Arabicus; Cambridge, Mass (USA): Dar Mahjar), pp.191-203.
- موسى سعفان 1944: Mosseri, R.I. (1944), '4eme Salon de l'art independent', *Le Progres Egyptien*, (19.05.1944).
- موسى سعفان 1945: Mosseri, R.I. (1945), '5eme Salon des Independents', *Le Progres Egyptien*, (05.1945).
- مoussa-mahmoud 1983: Moussa-Mahmoud, F. (1983), 'New Developments in the Arabic Short Story during the Seventies', *British Journal of Middle Eastern Studies*, Vol. 10 (2, January), pp.105-110.
- ناغيбин 1963: Нагибин, Ю. (1963), 'Предисловие - Об арабской новелле', in К.В. Одесильева and В.Э. Шагаль (eds.), *Современная арабская новелла* (Москва: Издательство иностранной литературы).
- النساج، سيد حامد (د.ت.)، *اتجاهات القصة المصرية القصيرة* (القاهرة).

- አሉ-ቤጋዊ** 1994: al-Nowaihi, Magda (1994), 'Memory and Imagination in Edwar Al-Kharrat's *Turābuḥā Za‘farān*', *Journal of Arabic Literature*, (XXV, Part I), pp.34-57.
- ጠቃዋኑ** 1971: Audoin, Ph. (1971), 'Preface', in Andre Breton (ed.), *Les Champs magnétiques* (Paris).
- ኦስቴ** 2006: Ostle, R.C. (2006), 'From Intertext to Mixed Media: the Case of Edwar al-Kharrat', in L. Deheuvels, B. Michalak-Pikulska, and P. Starkey (eds.), *Intertextuality in Modern Arabic Literature Since 1967* (Durham: School of Modern Languages and Culture, Durham University), pp.133-148.
- ኦስቴ** 1985: Auster, P. (1985), 'Book of the Dead: An Interview with Edmond Jabès', in E. Gould (ed.), *The Sin of the Book: Edmund Jabès* (Lincoln: University of Nebraska Press), pp.3-25.
- ፳፻፲፭፾፻፻፻፷፻** 2003: Papanikolas, T. (2003), 'Towards a New Construction: Breton's Break with Dada and the Formation of Surrealism', in R. Spiteri and D. LaCoss (eds.), *Surrealism, Politics and Culture* (Hants and Burlington: Ashgate Publishing), pp.37-51.
- ፳፻፲፭፭፻** 1999: Pflitsch, A. (1999), 'Narration Against Transitoriness and Temporality, Mythical Time Structure in Idwār al-Kharrāt's Works', in A. Neuwirth, et al. (eds.), *Myths, Historical Archetypes and Symbolic Figures in Arabic Literature, Towards a New Hermeneutic Approach (Proceedings of the International Symposium in Beirut, June 25th - June 30th, 1996)* (Beiruter Texte und Studien; Beirut: In Kommission Bei Franz Steiner Verlag Stuttgart), pp.363-378.
- ፳፻፲፭፭፻፻፻፻፻፷፻** 2003: Polizzotti, M. (ed.), (2003), *Andre Breton, Selections* (Berkeley, Los Angeles and London: University of California Press).
- ፳፻፲፭፻** 1996: Powrie, Ph. (1996), 'The Surrealist Poème-Objet', in S. Levy (ed.), *Surrealism, Surrealist Visuality* (1st edn.; Keele: Keele University Press), pp.57-77.
- የሪሱስ، ራልድን ንግብ** 1992: **የፍርገዬ ጽሑጥ**: نقد في أدب السينما .
- የራሱስ، ሰላም** 1992: مع مجموعة جديدة من قصص يوسف إدريس مشكلة الموت والحياة في "شيوخة". بلا جنون، أهلية وفصحي عند يوسف إدريس والأدباء الشبان، يوسف إدريس بقلم كبار الأدباء (القاهرة: مكتبة مصر).
- ፳፻፲፭፻** 1988: Ramain, P. (1988), 'L'Influence du rêve sur le cinéma', in R. Abel (ed.), *French Film Theory and Criticism – A History/Anthology, 1907-1939* (Princeton).
- ፳፻፲፭፻** 2001: Rakha, Y. (2001), 'The Sovereign Genre', *Al-Ahram weekly Online*, No 546 (9-15 August). <<http://www.ahram.org.eg/weekly/2001/546/cul.htm>>, accessed 14.08.02.
- ፳፻፲፭፻** 1996: Remy, M. (1996), 'The Visual Poetics of British Surrealism', in S. Levy (ed.), *Surrealism, Surrealist Visuality* (Keele: Keele University Press), pp.157-166.

- ريان، أمجد (2000)، 'دائرية لا تنتهي'، *ابوار الخراط مغامر حتى النهاية* ، نصوص احتفالية العام ٢٠٠٠: السبعين (القاهرة: الحضارة العربية)، ص. 122-126.
- رشدي، رشاد (د.ت.)، 'الفنان لا يصنع (أقصر الطرق إلى آخر الدنيا... لا تحاول أن تكون فنانا!)'، يوسف عز الدين: إدريس بقلم كبار الأدباء (القاهرة: مكتبة مصر).
- ١٩٨٩: Said, E. (1989), *Little Mountain* (Minnesota: University of Minnesota Press).
- ٢٠٠١: Salti, R. (2001), 'A Different Leader of Men: Yusuf Idris against Arab Concepts of Male Homosexuality', *World Literature Today*, Vol. 75 (2, Spring), pp.246-256.
- السباعي، بشير (1992)، 'جورج حنين أربع لوحات'، *الكتاب الآخرة*، (الكتاب الثالث)، ص. 79 - ٦٣-٦٥٦٧: ٩٠.
- السباعي، بشير (2000)، 'جورج حنين: نموذجاً لسيرالي مصري'، الف، مجلة البلاغة المقارنة: ٢٠٠٠: ٦. ٦-٦٥٦٧-٦٥٦٨: (قسم الأدب الإنجليزي والمقارن، الجمعية الأمريكية بالقاهرة)، (العدد العشرون)، ص. 29-53.
- ٢٠٠٧: Siddiq, M. (2007), *Arab Culture and the Novel: Genre, Identity and Agency in Egyptian Fiction* (London and New York: Routledge, Taylor & Francis Group).
- ١٩٧٥: Somekh, S. (1975), 'Language and Theme in the Short Stories of Yusuf Idris', *Journal of Arabic Literature*, (VI), 89-100.
- ١٩٩٧: Spector, J.J. (1997), *Surrealist Art and Writing, 1919-1939, The Gold of Time* (New York: Cambridge University Press).
- ٢٠٠٣: Spiteri, R. (2003), 'Surrealism and the Political Physiognomy of the Marvellous', in R. Spiteri and D. LaCoss (eds.), *Surrealism, Politics and Culture* (Hants and Burlington: Ashgate Publishing), pp.52-72.
- ٢٠٠٦أ: Starkey, P. (2006a), *Modern Arabic Literature* (Edinburgh: Edinburgh University Press).
- ٢٠٠٦ب: Starkey, P. (2006b), 'Intertextuality and the Arabic Literary Tradition in Edwar al-Kharrat's *Stones of Bobello*', in L. Deheuvels, B. Michalak-Pikulska, and P. Starkey (eds.), *Intertextuality in Modern Arabic Literature Since 1967* (Durham: School of Modern Languages and Culture, Durham University), pp.149-159.
- عثمان، إعتدال (2000)، 'مغامرة أدبية'، *ابوار الخراط مغامر حتى النهاية* ، نصوص احتفالية العام ٢٠٠٠: السبعين (القاهرة: الحضارة العربية)، ص. 112-115.
- عصفور، جابر (2003أ)، يوسف إدريس وأصالة الهوية، *العربي*، (العدد 532، مارس)، ص. 74 - ٢٠٠٣أ: ٧٩.
- عصفور، جابر (2003ب)، 'تجربة يوسف إدريس'، *العربي*، (العدد 533، أبريل)، ص. 81-76.

عصفور، جابر (2003 ت)، يوسف إدريس... ذكريات مشاحنات، 'العربي'، (العدد 534، مايو)، 2003ج، 2003ج، ص. 83-76.

وادي، طه عمران (2001)، القصة بيوان العرب، قضايا ونماذج (أدبيات؛ ألقاہر: الشركة المصرية العالمية: 2001ج).

فوزي، محمود (1991)، يوسف إدريس على فوهہ برکان (القاهرة: الدار المصرية اللبنانية).

فريد، ماهر شفيق (1982)، Farid, A. (1982), 'Edward al-Kharrat and the State Prize', *Fusul*, (2).

فريـد، مـاهـرـ شـفـيقـ (2000)، "إـدـوارـ الـخـراـطـ مـتـرـجـمـاـ"، إـدـوارـ الـخـراـطـ مـعـامـرـ حـتـىـ النـهاـيـةـ، نـصـوصـ اـحـفـالـيـةـ، العـامـ السـبـعينـ (الـقـاهـرـةـ:ـ الحـضـارـةـ الـعـربـيـةـ)، صـ.ـ 61ـ53ـ.

فركوح، إلياس (2000)، "إـدـوارـ الـخـراـطـ اـنـتـمـاءـ مـتـبـادـلـ" ، إـدـوارـ الـخـراـطـ مـعـامـرـ حـتـىـ النـهاـيـةـ ، نـصـوصـ اـحـفـالـيـةـ، العـامـ السـبـعينـ (الـقـاهـرـةـ:ـ الحـضـارـةـ الـعـربـيـةـ)، صـ.ـ 121ـ118ـ.

فـيـرـ 1994ـ: Fer, B. (1994), 'Surrealism, Myth and Psychoanalysis', in B. Fer, D. Batchelor, and P. Wood (eds.), *Realism, Rationalism, Surrealism, Art Between the Wars* (Yale University Press, New Haven and London in Association with the Open University), pp.171-249.

فـيلـوـيـ 2003ـ: Filipovic, E. (2003), 'Surrealism in 1938: The Exhibition at War', in R. Spiteri and D. LaCoss (eds.), *Surrealism, Politics and Culture* (Hants and Burlington: Ashgate Publishing), pp.179-203.

فـيـشـمـانـ 1963ـ: Фишиман, О.Л. (1963), 'Предисловие', in З.Н. Ворожейкина and О.Л. Фишиман (eds.), *Восточная новелла* (Москва: Издательство восточной литературы).

فـوتـيـادـ 1996ـ: Fotiade, R. (1996), 'Pictures of the Mind: Artaud and Fondane's Silent Cinema', in S. Levy (ed.), *Surrealism, Surrealist Visuality* (Keele: Keele University Press), pp.109-24.

فـولـيـ 1963ـ: Fowlie, W. (1963), *Age of Surrealism* (Bloomington: Indiana University Press).

فـونـرـ 1960ـ: فـونـرـ 1960ـ، مـاـكـمـيـلـانـ، بـ.ـ (1960)، مـاـكـمـيـلـانـ تـجـوـيدـ تـجـوـيدـ، بـ.ـ (III).

فـيـرـ 2009ـ: فـيـرـ 2009ـ، دـ.ـ (2009)، دـرـاـدـيـلـيـوـ رـمـدـاـبـرـيـوـ ثـمـوـ (تـبـيـلـيـوـسـ:ـ غـاـمـوـمـيـلـلـوـدـاـ،ـ "ـمـفـيـدـنـوـدـاـرـوـ").

غـرـيـبـ،ـ سـمـيرـ (1986)،ـ الـسـرـيـالـيـةـ فـيـ مـصـرـ (الـقـاهـرـةـ:ـ الـهـيـئـةـ الـمـصـرـيـةـ لـلـكـتـابـ).

غـارـيـبـ 1986ـ: Gharieb, S. (1986), *Surrealism in Egypt and Plastic Arts* (Guzeх: Prism Publications).

الـشارـونـيـ،ـ صـبـحـيـ (1967)،ـ "ـالـقـافـةـ وـالـتـمـرـدـ وـرـمـسـيـسـ يـونـانـ"ـ،ـ الـمـجـلـةـ،ـ (ـفـيـرـاـيـرـ).

شـفـيقـ،ـ مـحمدـ (1971)،ـ 'ـرـمـسـيـسـ يـونـانـ وـجـيـلـ التـمـرـدـ"ـ،ـ مـجـلـةـ فـنـونـ Iـ (ـالـعـدـدـ الثـانـيـ).

الشهارى، أحمد (2000)، "إدوار الخراط بحر لا ساحل له" ، إدوار الخراط مغامر حتى النهاية ، 2000: نصوص احتفالية العام السبعين (القاهرة: الحضارة العربية)، ص. 103-100.

شاهين 2002: Shaheen, M. (2002), *The Modern Arabic Short Story, Shahrazad Returns* (New York: Palgrave Macmillan).

شيرنام 1986: Sheringham, M. (1986), 'Breton and the language of Automatism: Alterity, Allegory, Desire', in I. Higgins (ed.), *Surrealism and Language, Seven Essays* (Edinburgh: Scottish Academic Press), pp.46-62.

شورت 1996: Short, R. (1996), 'Magritte and the Cinema', in S. Levy (ed.), *Surrealism Surrealist Visuality* (Keele: Keele University Press), pp.95-108.

شورت 2003: Short, R. (2003), 'The Politics of Surrealism, 1920-36', in R. Spiteri and D. LaCoss (eds.), *Surrealism, Politics and Culture* (Hants and Burlington: Ashgate Publishing), pp.18-36.

شكري، غالى (1969)، 'رحلة فؤاد كامل من الشاطئ المجهول الى حافة الهاوية'، (كتاب معرض فؤاد: 1969) كامل، قاعة الفنون الجميلة.

تشاد윅 1993: Chadwick, W. (1993), *Women Artists and the Surrealist Movement* (London: Thames and Hudson).

تسارا 1977: Tzara, T. (1977), *Seven Dada Manifestos and Lampisteries*, trans. B. Wright (London: Calder).

خولياد ... 1984: خولياد، د. و د. خولياد، ر. (1984)، *ლიტერატურული ცოდნები* ცნებები (თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცმლობა).

الخراط، إدوار (1981)، 'مفهومى للرواية'. محمد برادة، الرواية العربية. الواقع وآفاق (بيروت: دار ابن رشد للطباعة والنشر).

الخراط، إدوار (1983)، اختراقات العشق والصلب (القاهرة: دار المستقبل العربي).

الخراط، إدوار (1984)، 'مقدمة'، الكرمل: فصلية ثقافية، (العدد 14)، ص. 14-4.

الخراط، إدوار (1985)، الزمن الآخر (القاهرة: دار شهدي).

الخراط-خاراتي 1989: al-Kharrat, E. (1989), *City of Saffron*, trans. F. Liardet (London and New York: Quartet Books).

الخراط، إدوار (1990)، محطة السكة الحديد (بيروت: دار الأدب).

الخراط-خاراتي 1991: al-Kharrat, E. (1991), 'The Mashriq', in R. Ostle (ed.), *Modern Literature in the Near and Middle East 1850-1970* (London: Routledge), pp.180-192.

الخراط، إدوار (1992)، 'روايات الفدان والبتر : عالم كابوسي يضيء الواقع ويأوله'، مجلة فصول، (ربيع 1992)، ص. 78-285.

- الخرّاط، إدوار (1993)، رامة والتنين، (الفجالة والاسكندرية: دار ومطبع المستقبل).
- الخرّاط، إدوار (1994)، الكتابة عبر النوعية، مقالات في ظاهرة "القصة - القصيدة" ونصوص 1994: ١٩٩٤-٦٥٩٩٠، مختارة، (القاهرة: دار شرقيات للنشر والتوزيع).
- الخرّاط، إدوار (1996)، مجالدة المستحيل، مقاطع من سيرة ذاتية للكتابة، (منشورات المدى. ١٩٩٦-٦٥٩٩٠)، دراسات؛ دمشق: دار المدى للثقافة والنشر).
- الخرّاط، إدوار (1997)، ما وراء الواقع، مقالات في الظاهرة اللاواقعية (كتابات نقدية. الهيئة: ١٩٩٧-٦٥٩٩٠)، العامة لقصور الثقافة).
- الخرّاط، إدوار (1998)، 'Random Variations on an Autobiographical Theme', in R. Ostle, E. deMoor, and S. Wild (eds.), *Writing the Self, Autobiographical Writing in Modern Arabic Literature* (1st edn.; London: Saqi Books), pp.9-17.
- الخرّاط، إدوار (1999)، ترابها زعفران (القاهرة: دار الأحمدى للنشر).
- الخرّاط، إدوار (2000)، 'مصريون قلبا ... فرانكوفونيون قالبا: شهادة شخصية'، ألف، مجلة ٢٠٠٠-٦٥٩٩٠، العدد العشرون، ص. 8-28.
- الخرّاط، إدوار (2002)، القصة الحداثة (القاهرة: مركز الحضارة العربية).
- الخرّاط، إدوار (2005 أ)، مجالدة المستحيل، مقاطع من سيرة ذاتية للكتابة (القاهرة و عمان: ٢٠٠٥-٦٥٩٩٠)، دار البستانى للنشر والتوزيع و دار أزمة للنشر والتوزيع).
- الخرّاط، إدوار (2005 ب)، مجالدة المستحيل، مقاطع أخرى من سيرة ذاتية للكتابة (القاهرة و عمان: دار البستانى للنشر والتوزيع و دار أزمة للنشر والتوزيع).
- الخرّاط، إدوار (2005ج)، al-Kharrat, E. (2005), *Stones of Bobello*, trans. P. Starkey, (Cairo: The American University in Cairo Press).
- جعفر عيسى ٢٠٠٥: Jayyusi, S.Kh. (ed.), (2005), *Modern Arabic Fiction: an Anthology* (New York: Columbia University Press).
- حفيظ، يحيى (1960)، فجر القصة المصرية (القاهرة).
- الحلواني، غادة (1999)، وخزة خفيفة (القاهرة: دار شرقيات للنشر والتوزيع).
- همارneh، W. (1992)، 'Some Narrators and Narrative Modes in the Contemporary Arabic Novel', in I.J. Boullata (ed.), *The Arabic Novel Since 1950, Critical Essays, Interviews, and Bibliography* (Mundus Arabicus; Cambridge, Mass (USA): Dar Mahjar), pp.205-236.
- حنين، جورج (1940)، كتالوج المعرض الأول للفن المستقل، التطور، (العدد الثالث، فبراير).
- حنين، جورج (1942)، 'رسالة الفن الحر'، المجلة الجديدة، (العدد 415).
- حنين، جورج (1994)، 'من أجل وعي منتهك للمرحمة'، مترجم: بشير السباعي، الجراد للشعر ١٩٩٤-٦٥٩٦، المصرى الجديد، (العدد 1)، ص. 175-181.

- حنين، جورج (1994 ب)، 'من هو السيد آراجون؟'، مترجم: ب. السباعي، *الجراد للشعر المصري* ١٩٩٤، ط١، حنين، جورج (العدد ١)، ص. ١٨٤-١٩٠.
- حنين، جورج (1994 ت)، 'هيبة الرعب'، مترجم: ب. السباعي، *الجراد للشعر المصري الجديد*، (العدد ١)، ص. ١٩١-٢٠٥.
- حنين، جورج (1996)، *أعمال مختارة، اختيار وترجمة: ب. السباعي* (كولونيا: منشورات الجمل).
- ١٩٩١: Haurani, A. (1991), *A History of the Arab Peoples* (New York: Warner Books).
- ١٩٧٦: Hafez, S. (1976), 'The Egyptian Novel in the Sixties', *Journal of Arabic Literature*, (VII), pp.68-84.
- حافظ، صبرى (1982)، 'حوار مع إدوار الخراط'، أ.لف، مجلة *البلاغة المقارنة* (قسم الأدب الإنجليزى والمقارن)، الجمعة الأمريكية بالقاهرة، العدد الثاني (ربيع)، ص. ٩٠-١١٣.
- ١٩٩٢: Hafez, S. (1992), 'The Modern Arabic Short Story', in M. M. Badawi (ed.), *Modern Arabic literature* (Cambridge: Cambridge University Press), pp.270-328.
- ٢٠٠٢: Hafez, S. (2002), 'Torture, Imprisonment, and political Assassination in the Arab Novel', *Al-Jadid*, Vol. 8 (38), pp.16-18.
- ٢٠٠٧: Hafez, S. (2007), *The Quest for Identities: the Development of the Modern Arabic Short Story*, (London, San Francisco and Beirut: Saqi Books).
- الحجازى، أحمد عبد المعطى (2000)، 'إدوار الخراط في السبعين'، إدوار الخراط مغامر حتى النهاية، نصوص احتفالية العام السبعين (القاهرة: الحضارة العربية)، ص. ١٠٤-١٠٩.
- حسين، طه (د.ت.)، *يوسف إبريس بقلم كبار الأدباء* (القاهرة: مكتبة مصر)، ص. ٥-١٠.